

1986

ISSN 0132-500 X



საქართველოს
რესპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფია

34
114



9

1986



ენათობა

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთაო და
საზოგადოებრივ-კოლექტიური შურობი

წიგნი 62-0

№ 9

სექტემბერი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

რეზა ჯაფარიძე — ოთხი დღე ნიკის ქვევანაში. ნარკვევი. ვაგრაძელება	3
რეზა ინანიშვილი — სამაგიერო რაბულაბიძიდან	49
მეზარ კვიციანი — ცის ქალაქი. პოემა.	65
გიგლა სარგშილი — ლექსები	75
გორანა ჯაფარიანი — ლექსები	78
ვახა მიგაშვილი — პატარა მოთხრობები	80
ბადრი გუგუშვილი — ლექსები	87
ალექსანდრე ბაბუაძე — ლექსები	90
ნანა ჯერანაშვილი — მოთხრობები	93
იოსებ ვოლფგანგ მომთე — შაუსტი. ვაგრაძელება. თარგმნი ვერმანულიდან ვიორჯი ქორჩაქიძე	104

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აკოლონ დანაბა — „რაც იკითხვო ცხოვრება სულ დააჩნდებინს...“	114
კობა იმიდაშვილი, თამაზ გიგულაძე — საუბარი	120
ანიკან რობაქიძე — წინობრივი კათარჯისისაქან სავალი გზები...	132

მეხინარება

რეზა კახარიძე — ძეგა ქართული ბინა	136
ვახტანგ გომილაძე — ბრანქთა ანბანი წმინდა ბინოს „ცხოვრებაში“	144
ჯემალ სტუდნაძე — ოდესღაც დიდი ქოფილს საქართველო	152

(იხ. მეორე გვერდი)

შეგონებები, ფაქტები

სიკვდილიანი დღეები — ბარბაროსული დღითა კვალნი 159

გამოსათხოვარი

აღმასი ჯიშა — გამოთხოვების წესები 169
 დავით კვიციანი — დიდი შემართების მწიკლი 170
 ილია ტაბაღაძე — კალიგრაფი სალია 171

წიგნების მიმოხილვა

ფრიდონ სიხარულიძე — „და ზა თელილი“ 173

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამოშვილი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
 შილაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, პ. კალაძე, მ. ლანსკია, მ. ლიბანიძე,
 ე. მარტოვილი, ლ. მრავალშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარია, ჯ. ჩა-
 რკვიანი, ნ. წულუშიძე, ი. შილაძე, ბ. ხარაბაძე (პ/მგ. მდივანი)
 რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



ოთხი დღე ნაირის ქვეყანაში

იმისათვის, რომ ქალაქიდან გახვიდე და მის ჩრდილოეთით, გელამის მთებში, გარნის გზას დაადგე, ნორკის ახალთ-ახალი საცხოვრებელი მასივი უნდა გაიარო. მასივი მშრალ ხევშია გაშენებული და მთლიანად დუბეში დგას. სხვა ადგილებიდან იგი თითქმის არა ჩანს, რადგან სახლებს უკან აღმართული კლდეები ეფარება. პირველი სოფელი, რომელიც აღმართ-აღმართ მიმავალს გზად შემოგხვდება, ჭრევეია, რომლის პატარ-პატარა, ერთ და ორ-სართულიანი სახლები, სკოლა, ადმინისტრაციული შენობები და სამრეწველო თუ სასურსათო მაღაზიები აგრეთვე ტუფით არის აშენებული და არცთუ ნაკლები ხელოვნებით, ვიდრე შიგ ერევანში აშენებენ. ხის დამზადებულ შენობებს, გლეხაკის კარ-მიდამოს რომ ახლავს და რაჭა-იმერეთში შინაურულად ნაშრომებს რომ ეძახიან, აქ ვერსად შეხვდები. ხე, ეტყობა, გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ქვა, ნაკლებ საიმედოცაა და ამიტომ საშენ მასალად მხოლოდ ქვას იყენებენ. გამძლეობითა და სიჯანსაღით, აგრეთვე სიმსუბუქითა და დამუშავების სიადვილით ტუფს რა ჯობს, თუ წელი მოგდევს და შეგიძლია სახლის ლარითი სწორი კედლები ამოიყვანო!

გელამის მთავრებილი, რომლის წვე-

რზედაც თოვლი ქათქათებს, ერთიმეორეზე გადაჯაჭვული ღრმა ხევსუფებითა და მოყავისფრო ქედებითურთ, ვერ მოგხიბლავს ულრანი ტყეებითა და ქოჩორა ბუჩქნარებით. ირგვლივ ბიბლიური პეიზაჟია. სამყარო თითქოს ესაა შეიქმნა, აქა-იქ მქრქალი კვამლი ასდის, ჭერაც არ გაგრილებულა და მცენარეულობისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების გაჩენამდე აწი მილიონმა წელიწადმა უნდა გაიაროს. სერპანტინად დაკლავნილი გზა სულ ზევით და ზევით მიდის. ძირს, თითქოს ახალდაბადებული სამყაროს ფსკერზე, რჩება ხელისგულივით სწორი, ცამდე აზიდული მთებით ოთხივე კუთხივ შემოზღუდული არარატის ველი და სქელი ღრუბლების პირბადეში გახვეული ორწვერიანი მასისი — არარატი.

— სერგო, ცოტა ნელა, — მხარზე უბიძგა შოფერს გვეორქმა. — ჩარენცის თაღთან უნდა გააჩერო. იქ გადმოვალთ.

— ჩარენცის თაღთან? — გავიკვირე მე. — ეგ რაღაა?

— ცოტა დაგვიჩა, მივალთ და გაჩვენებთ. გადასახედა. ჩვენს დიდებულ პოეტს, ელიშე ჩარენცს, ყვარებაა აქ გაჩერება. იდგა თურმე და საათობით გაჰყურებდა არარატს. ამის აღსანიშნავად ცოტა ხნის წინათ თალი ავაშენეთ და ჩარენცის სახელი ვუწოდეთ. განა ცუდია?

18211

— ცუდიო? რას ბრძანებთ, ცუდი როგორ არის! მადლიერმა ერმა მის სიყვარულში დაფერფლილი დიდი შეილის სახე მარტო მისსავე ლექსებში კი არ შემოინახა, შეიყვარა ყველაფერი, რაც მას სიცოცხლეში უყვარდა, გააღმერთა, რასაც აღმერთებდა და ამით პოეტის ადამიანური გატაცება საყოველთაო გატაცების საგნად აქცია!

— გულის კარნახით!.. — ფრთხილად დაუმბრა გვეორქვმა.

— დიახ, გულის კარნახით!.. — ცხარედ გავიმეორე მე. — მაგრამ არა მგონია, აქ მარტო გული იყოს, გონებასაც არანაკლები როლი ეკისრება!..

საშუალო ტანის, მხარბეჭჩაკირულმა სერგომ, რომელსაც აქა-იქ ჭიკაბაძე-მორეული ოდნავ შეთხლებული ხე-შეშითმა მოკლედ შეეკრიბა და ლონიერ კისერზე ორი მკვირივი ნაკეცი დასდებოდა, მანქანა გზის მარცხენა მხარეს, წყაროსთან შეიჩერა, ხელის მუხრუჭით საიმედოდ გაამაგრა, ემანდ თვალი არ გვეცეს, არ დაგვიგორდესო და კარი გააღო.

ჩარენცის თალი გზის მარჯვნივ, კარგა მოზრდილი ბორცვის წვერზე დაეინახე და თანამგზავრებისათვის აღარ დაშიცდია, მაშინვე ციცაბო აღმართს შეეუდღეო. ხეობიდან ძვალ-რბილის გამოთოშავი ცივი ქარი უბერავდა, ზამთარგამოვლილ ხმელ ბალახებში სისინებდა და აქამდე ზედმეტ ბარგად ქცეული ჩემი თბილი ქურქი ახლა დაუფასებელ სამსახურს მიწევდა. აღმართი უღვთოდ გაჰიანურდა, ათავებას საშველი არ დაადგა, გულმა ძგერას უშატა, მაგრამ თალი უკვე ცხვირწინ იყო და ვითომ ვივადკაცე, დაღლა არ გამოვამტლავნე. ქარი აბა ზევით, ბორცვის თხემზე უნდა გენახა! ისე ძლიერად უბერავდა, თავის შემაგრება სათუო საქმე შეიქნა.

ფანქრის ერთი მოსმით მოხაზული თალი ვარდისფერი ტუფის ფილებით აუტავთ. აქ შევიძლია ჩამოჭდე, დაისვენო და მთელი გულისყური ირიბი ხა-

ზებით დასერილი მოყავისფრო ქედების ჯაჭვს და თითქმისღერ შეხუცნულში დარჩენილ, ბუნებრივად სწავლულური ტბებით მოციმციმე არარატის ველს მიაპყრო.

მართლაც განსხვავებული სილიადით უნდა ჩანდეს აქედან არარატი, როცა ცა მოწმენდილია და ველზე ნისლი არ არის გაწოლილი. თუმცა ველზე გაწოლილი ნისლი მთელს ცისქვეშეთზე გადაფოფრებულ არარატს რას უშლის, მთავარია, ნისლმა თვით ის არ დაფაროს, უჩინმაჩინის ჯადოსნური ქული არ დაახუროს.

ახლა სწორედ ასე იყო. ყველაფერი ნათლად და გარკვევით ჩანდა, როგორც მთის მდინარის ბროლივით გამჟვირვალე მორგვის ფსკერზე, მხოლოდ არარატი იფასებდა თავს, ჩადრში ეხვეოდა და მშვენიერ პირს გვარიდებდა. თალის ნახევარკალზე, გზის მხრიდან, მარცხნიდან და მარჯვნივ, რაღაც სომხური წარწერა იყო ამოკვეთილი.

— ჩარენცის ლექსის ნაწყვეტია? — ვკითხე გვეორქს, რომელიც მყის მომიხლოვდა და გაწეწილი თმის სწორებ-სწორებით, ამ საშინელ ქარში სიზიფეს შრომას რომ უტოლდებოდა, გვერდში ამომიდგა.

— სწორად გამოიცანით. აი, დაახლოებით სიტყვასიტყვითი თარგმანი ქვაში ამოკვეთილი სტრიქონისა: „მოიარო თუნდ ქვეყანა, ვერსად კხოვო თეთრი მთა, მასისის შესადარი“.

— ვინ იცის, სწორედ აქ დაწერა, სადაც შემდეგ ეს შემორჩალური თალი აღმართეს! — მცირე დუმულის შემდეგ ვთქვი მე და თან ნისლში გახვეულ ბიბლიურ მთას თვალს არ ვაშორებდი.

— აგრე ამბობენ!

— არარატი აქედან მართლაც დიდებულია!

— ოღონდ არ უნდა შეგაქართოს და შეგვაფიქრიანოს პოეტის მტკიცებამ, თუკი შეიძლება პოეტური ლაღადისი ამ უქანასკნელი სიტყვით მოინათლოს.



არარატი მისი სამშობლოს ცოცხალი სახეა, სიმბოლოა და ვგონებ არ უნდა გაგვიკვირდეს და არ უნდა ჩავუთვალოთ მიკერძობებად, თუ ის ყველა სხვა მთაზე უფრო მოწონს და უყვარს!

— ასე რომ არ იყოს, პოეტიც არ იქნებოდა. ეს პოეტური აღსარებაა და არა ტრაქტიკა მთების შესახებ. ჩარენცი თანამემამულეს მიმართავს და მას სამშობლოს სიყვარულს ასწავლის! ვინ დაგიშალა, შენ, სხვა ერის შვილმა, ჩარენცისეულ არარატში შენი მთა და შენი სამშობლო დაინახო! კონკრეტული ემოციის ზოგადსაკაცობრიო შინაარსი სწორედ ამნაირად ახსნება!

— სავსებით გეთანხმებით. არ შემძლია, არ დაგეთანხმით! გაბსოვთ, იყო ერთი ასეთი სიმღერა, ომის დროს მღეროდნენ: „ბოროთა სტრანა ბოლგარია, ა როსია ლუჩშე ვსეხ!“ ვინ არ მღეროდა, ვის არ ეკერა პირზე ეს კეთილშოვნანი სიმღერა! მასში, თუ არ ვცდები, ბულგარეთი წარმტაც, ბუნებრივი მშვენიერებით შემკულ ქვეყნად წარმოგვიდგებოდა, მაგრამ ჩანდა ისიც, რომ სიმღერის ტექსტი თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა რუსმა პოეტმა დაწერა, რომელსაც მოწონს და მთელი სინაზით უყვარს ბულგარელების ტურფა ქვეყანა. შეუძლებელი იყო, სხვა აზრი დაგზადებოდა. დრო რომ გავიდა, ვილაცის მოეჩვენა, სიმღერის მეორე სტრიქონი „ა როსია ლუჩშე ვსეხ“ ბულგარეთს შეურაცხყოფსო და, არ ვიცი კი, ეს როგორ მოხერხდა, მშვენიერი სიმღერა თანდათან გამოვიდა ხმარებიდან, დღეს იგი თითქმის აღარავის ახსოვს!

მწარედ გაგვეცინა. მართლაც და რა უნდა ყოფილიყო ამაზე მეტი უგუნურება? განა ცოტა რამა გვაქვს გადასასინჯი და გასასწორებელი, სიყვეთის მთესველ უწყინარ სიმღერას რომ არ ვეცეთ და ჩხირკედლაობის ექსტაზით შეპყრობილებმა შიგ ქვეყნის ამომგდები ბოროტება არ დავინახოთ?

დაღმართში თავებირის მტერევეთ დავეშვით და ჩვენს მყუდრო სახლს, წყაროსთან რომ გველოდებოდა, მშვი-

დობით ჩავალწვიეთ. სერუანტინად დგალაცილმა გზამ ისევ დასაქმებულნი წაგვიყვანა. გვერდი ავუარეთ რომელიღაც დიდ მშენებლობას და რამდენიმე ადგილას დახვავებულ საშენ მასალებს, ამ თვალშეუდგამ სიმაღლეზე მძიმე სატვირთო მანქანებით რომ ამოეზიდათ, შიშველ ფერდობს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაუყვებით და მოულოდნელად თვალწინ რაზისი გადაგვეშალა. ეს გახლდათ ხეხილის ბაღებში ყელამდე ჩაფლული, მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი სოფელი გარნი, ზაფხულის ხვატით გასაფეთებულ ერევენელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილი. ზაფხულობით აქ ხალხმრავლობაა, კაცი კაცს გვერდს ვერ აუვლის. საიდან, დედამიწის რომელი კუთხიდან არ მოდიან აქ ყველგანმავალი ტურისტები, რათა თვალწარმტაც გარნი უძველესი სომხური სიძველენი მოიხილონ. თუ გინდა აქვე ვერ აუვლის. საიდან, დედამიწის როგორც ჩვენ, აღრიან გაზაფხულზე უნდა მოხვიდე, სანამ ტურისტებს თავიანთი ჭრელ-ჭრულა კარვები არ გაუშლიათ და ნახევრად შიშველ ქალებსა და კაცებს, მიუხედავად მათი ასაკისა, სამხრეთის თაკარა მზით გარუჭული სხეული საქვეყნოდ არ გამოუფენიათ.

რა დასამალია, თვალი უკვე შეეჩვია ხრიოვ ფერდობებს, აქ კი გამაკვირვა ლაღად ნაზარდი ვაშლის, მსხლის, გარგარის და ატმის ხეებით დაჩრდილულმა ლამაზ-ლამაზმა ეზოებმა, მონღოლებით დამუშავებულმა ბოსტნებმა, ყვავილნარებმა. თავი საღდაც ალაზნის პირას, შუა კახეთში მეგონა.

თუ ირგვლივ, გელამის ქედის მოყავისფრო კალთებზე, მხოლოდ ქვა-ლორია და სიციცხლის ნიშან-წყალი თითქმის არსად იგრძნობა, ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ნიადაგის ქრონიკული გამოფიტულობა სულაც არ უნდა იყოს. წყლის ნაკლებობამ და შემოსეული მტრის მსახვრალი ხელით უხსოვარ დროს ტყეების გაჩეხვამ, რის სამწყურბარო მაგალითებიც სხვაგან კიდევ მეტი მოგვეპოვება, მიდამო თანდათან

გაუღებურა, ნიადაგის წყლების დონემ კატასტროფულად დაიწია და ადამიანის საცხოვრისი გულის შემოღობვად შევიწროვდა.

მაგრამ გარანი? მისი ლაღად მოშრილ ბაღები, ამწვანებული ველები და ბოსტნები? სსსრული მაცოცხლებელ წყალს მოუხდენია, რომელიც უხსოვარ დროს აქ თიხის მიღებით გამოუყვანიათ. ერთი ორი წყარო შიგ სოფელშიაც ამოქუხს მიწიდან. სომხეთის წყლები სასიამოვნო სიგრილითა და გემოთაა განთქმული და მათ შორის გარანის წყაროებს არცთუ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. წყაროებითა და გამაჯანსაღებელი მთის ჰაერით აქაურობა ყოველთვის მდიდარი იყო და უთუოდ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ გარანი სომხეთის მეფეებმა, სატახტო ქალაქები რომ არარატის ველზე ჰქონდათ, უძველეს დროიდანვე თავიანთ საზაფხულო რეზიდენციად აირჩიეს, აქ ბრწყინვალე პალატები აიშენეს და ზაფხულის თვეებს, როცა არარატის ველზე სიცხისაგან კვერცხი შეიწვის, თუკი მოძალბებული მტერი ამის საშუალებას მისცემდა, აქ ატარებდნენ, აქვე იღებდნენ უცხო ხელმწიფეების მიერ წარმოგზავნილ ელჩებს, ნადიმობდნენ, მართავდნენ სპორტულ ასპარეზობებს, აწყობდნენ შემოჭრილი მტრის ურდოების განადგურების გეგმებს. მეფეთა დიდებული სრა-სასახლეები, რომელთაგან დღეს მხოლოდ ნანგრევთა ნაშთებია დარჩენილი, სოფლის აღმოსავლეთით, მთის მდლალ გადასახელებზე მდგარა, სადაც ზამთარ-ზაფხულ სიმხნევის ჩამწერავი ნიავე უბერავს. სასახლეს და მის დამხმარე ნაგებობებს გარს ერტყა სამი მხრიდან სავსებით მიუღვამელი ციტადელი მაღალი საღარაჯო კოშკებითურთ, რომელსაც სოფლის მხრიდან ერთადერთი, მეფის მკველი რაზმების მიერ სამედოდ გამაგრებული კარიბჭე ჰქონდა.

სასახლეცა და ციტადელიც სომხეთის ქრისტიანმა მეფეებმა ტრადიციულ ადგილას ააგეს. ჯერ კიდევ პირველ სულ-

ქუნეში აქ წარმართული ტაძარი იდგა. ტაძარი ელინური ხანისაა, სწორედ ამათისი არქიტექტურული სტილია, რომელიც დროის საკულტო ნაგებობათა ყველა ნიშან-თვისებას ატარებდა. 301 წელს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სომხეთმა ზურგი შეაქცია წარმართობას და ლირბთა და უპოვართა შემწედ დაბადებული ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა.

ეს არა მარტო რწმენის საკითხი იყო, იგი პოლიტიკურ ორიენტაციასაც გამოხატავდა. რაკი ქრისტიანობა თავის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარა, ამით სომხეთი იდეოლოგიურად გაემიჯნა მტაცებელ მეზობლებს, უპირველეს ყოვლისა სპარსეთს, რომლისგანაც განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდიდა და თავისი მომავალი ბედი ქრისტიანულ დასავლეთს დაუკავშირა.

გავრცელებული მითის თუ ისტორიული ფაქტის თანახმად, რომელიც როგორც სომხურ, ასევე ქართულ მატია-ნებშია შეტანილი, ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად სომხეთში მშვენიერი სქესის ორი წარმომადგენელი რიფსიმე და გაიანე მოვიდნენ.

ენის უცოდინარობის გამო, სამწუხაროდ, სომხურ საისტორიო წყაროზე მე ხელი არ მიმიწვდება და ამიტომ, თხრობის მეტი სიზუსტისათვის, ქართულ წყაროს, ლეონტი მროველისეული თხზულების შესაბამის თავს მივმართავ. მას „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ ეწოდება. ამ თავში მოთხრობილია, რომ მაცხოვრის წამებას გოლგოთაზე საქართველოდან საგანგებოდ მიწვეული ორი ებრაელი მღვდელი დაესწრო. მათვე ჩამოიტანეს საქართველოში უძვირფასესი რელიკვია — უფლის კვართი, რომელიც შემდგომ იმ ადგილას დაიფლო, სადაც მომდევნო საუკუნეებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა საქათედრო ტაძარი სვეტიცხოველი აშენდა. ქართლის გამაქრისტიანებელი, მოციქულთა სწორი ნინო კაპადოკიე-



ლი ჩვენს ქვეყანაში უფლის კვართის კვალზე სიარულმა მოიყვანა, რათა ის ხალხიც მოექცია, ქეშმარიტების გზაზე დაეყენებინა, ვის მიწაშიაც უფლის სასწაულმოქმედი კვართი იყო დამარბული.

შემდეგ ძალზე საინტერესო ამბებს გვიყვება ქართული მემატიანე.

როდესაც ნინო კაპადოკიელმა უფლის კვართის ადგილსამყოფელის ამბავი დაწერილებით გამოიძია და ისიც წარმოიდგინა, იქამდე როგორ მიედგინა, ეფესოდან ვილაც ქრისტიანი დედაკაცი ეწვიათ წმიდა აღდგომის რიტუალს შესასრულებლად. სარა ნიაფორმა, ვინც ნინოს კვართის ადგილსამყოფლის ამბავი გაიხსოვრა, ქალს ჰკითხა: „ელენე დედოფალი აგრეთსავე ცთომილებასა და ბნელსა შინა არისა?“ ე. ი. ისევე ურწმუნოა, უღმერთო, ისევე სულის წამწყმედ მნათობებს ემონებაო? ქალმა ამაზე უპასუხა: „შე ვარ მხეველი მათი და მეცნიერი განზრახვათა მათსა ყოველსა, ცხადსა და დაფარულსა, და უწყვი შე მისი, რამეთუ აქუს მას დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა და ნათლისღებისათვის“.

ხედავთ, რა ხდება? მოხერხებული დედაკაცი თვით დედოფალს გამოუგზავნია, წმიდა აღდგომის თავყვანის საცემად ამოდენა გზის გამოვლა საბაბად არის მოგონილი, რათა სადაც ჯერ არს მას თავისი გულის საიდუმლო ემცნო: მინდა ქრისტეს სჯულს ვეზიარო, ქრისტიანად მოვინათლო და მირჩიეთ, ვის მივმართო, ამას როგორ მივალწიო.

ნინო იქ იჯდა და ყველაფერი ორთავ ყურით გაიგონა. გულმა სატანჯველში ჩავარდნილი დედოფლისაკენ გაუწია. შეევედრა სარა ნიაფორს: „წარმგზავნე მე და მივიდე მე წინაშე დედოფლისა, ნუ უკუე მივიპალო მის წინაშე სიტყვის-გებად ქრისტესთვის“. სარამ შეიწყნარა ნინოს თხოვნა თუ ვედრება, უშუამდგომლა პატრიარქის, მისი დედის ძმის, წინაშე, რომელმაც აჭურთხა ქალი და ქრისტეს სჯულის ქადაგებისა და ურწმუნოთა მოქცევის უზენაესი უფლებით აღჭურვა. გაუდგნენ

რომის გზას, სადაც მოუთმენელად ელოდა სულის ხსნას „ელენე დედოფალი“.

აქ, რომში, ნინომ სწინაპრებისა და ქალწულთასა, რომელთა ქრისტეს აღსარებისათვის სუროდა და ელოდნენ იერუსალიმით ნათლისღებასა, გაიცნო „მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძებე მისი გაიანე“. გულმა გული იცნო, ქალებს ერთმანეთი მოეწონათ და ერთმანეთის მიმართ დიდი სიყვარულით აღივსნნო, მოგვეთხრობს ლეონტი მროველი, ერთი წლის თავზე რიფსიმე მოინათლა, მასთან ერთად მოინათლა დედამძებე გაიანეც და ოცდაათი სხვა ქალიც, რომლებიც მათ ახლდნენო. მღვდელმსახურება შეასრულა წმიდა ნინომ, რის უფლებითაც ის რომს გამოგზავნის წინ პატრიარქმა აღჭურვა.

ასე გაგრძელდა ორ წელიწადს. უზრუნელი მონაზვნები წმიდა ცხოვრებას ეწეოდნენ და ყოველ ცისმარე დღე სასოებით ლოცვას აღავლენდნენ თავიანთი ჯვარცმული ღმერთის, იესო მაცხოვრის სადიდებლად.

იმხანად ერთი საბედისწერო ამბავი მოხდა, რომელმაც სრულიად სხვანაირად შეაბრუნა ახალმოქცეულთა ბედები: „ძებნად ქალისა ქმნულ-კეთილისა“, ე. ი. ულამაზესი ქალის საძებრად, რათა იგი თანამეცხედრედ გამოეცხადებინა, კეისარმა კაცები დაგზავნა მთელს რომში და ის კაცები სასურველი სასძლოს ძიებამ ქალწულთა მონასტერშიაც მოიყვანა. ნახეს რიფსიმე, განკვიფრდნენ, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „იგავიშუწმედომელი სომშენიერით“, გამოიკითხეს, ვინ იყო, ვისი შვილი იყო და აქ როგორ მოხვდა, დაადგინეს მისი დიდგვაროვნული წარმომავლობა.

კეისრის კაცები სიტყვიერი აღტაცებით როდი დაკმაყოფილდნენ, რიფსიმეს სახე „ფიციარსა ზედა“ დახატეს და სასწრაფოდ წარგზავნეს რომს, რათა იქ კეისრისათვის ეჩვენებინათ.

ბატი რომ ნახა, გადარიდა კეისარი, ეს რა ღვთაებრივი არსება გიპოვნიათო და ბრძანა, რიფსიმე დაუყოვნებლივ

რომს ჩამოეყვანათ, უნდა ეიქორწინო.

როგორი იყო მეფური ძღვენითა და ჭორკიდებულთ დატვირთული ახალი დეშუტაციის გაოცება და იმედის გაცრუება, როდესაც აღარც კეისრის სასძლოდ არჩეული რიფსიმე და აღარც მასთან ერთად ქალწულთა მონასტერში მყოფი ქალები იქ აღარ დაუხედნენ. მათ იქაურობა წინდახედულად მიეტოვებინათ და გაურკვეველი მიმართულებით სადღაც გადახვეწილიყვნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ლტოლვილებმა არაქონი გადავლეს და სომეხთა დედაქალაქ დვინს მიიღწიეს, სადაც იმ დროს ტახტზე კეისრისებრ წარმართი და, მამასადამე, უღმერთო თრდატი იჯდა. უცხოელი ქალების მოსვლა არავის შეუტყია. დვინი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ქალაქი იყო, აქ მუდამ მიღუთის ხალხი ირეთდა და უცხოელის დანახვა, თანაც ფლასებში გახვეულებისა, ამა ვის გაუკვირდებოდა. ლტოლვილი ქალები ღამის სათევად ვიღაცის მარანში, „საწინაბელთა ვენახისათა“ დაბინავდნენ, სომეხთა შორის სამისიონერო მოღვაწეობას შეუდგნენ და თავს ნახელსაქმარში აღებულნი ფულთი ირჩენდნენ.

დაკარგა ძილი და მოსვენება რიფსიმეს ხატზე თავდავიწყებით შეყვარებულმა კეისარმა. ოთხივე კუთხივ დაგზავნა ლეგიონერები ლტოლვილების შესაპყრობად და უკან დასაბრუნებლად. მოაწიეს რომაელმა მოციქულებმა თრდატ მეფემდეც და მოართვეს პატივმოყვარებულთაშელახული კეისრის წიგნი. თვითმპყრობელი კეისარი საყვარელ ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა თრდატსა მოგიკითხავო. მე უკვე შეუწყეს, რა დიდი ენება მოგველის შენც და მეც ქრისტიანებისაგან, რომლებიც ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენო. ისინი ვიღაც ჭვარცმულ მკვდარს ემსახურებიან „და ძელსა თაყუანის-ცემენ“ და თავიანთი უფლისათვის სიკვდილს დიდებდა მიიჩნევენო. დაუენიათ, შხის ნათელიც, მთვარეც და ვარსკვლავებიც

ჩვენი ჭვარცმულის შექმნილთა და ა. შ. და ა. შ.

ბოლოს კეისარი პირდაპირ, საქმეზე გადადის და „ძმას, მეგობარსა და თანამოსაყდრეს“ თავის პიროვნულ გაჭირვებას ამცობს:

„ხოლო აწ შემემთხვა მე ხილვად ნათესავისა მათისაგან (ე. ი. ქრისტიანთაგან) ჰაბუკი ერთი ქალი, და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად ჩემდა. ხოლო მას არა თუ ვითარცა მეფისა გული უთქმიდა სურვილად ჩემდა, არამედ საძულელადცა და არაწმიდად შემრაცხეს. რომლითაცა მეორე იქმნეს ფარულად ჩემგან, და კერძოთა ქუეყანასა შენისათა წარმოსრულ არიან. უწყებულ იყავნ შენდა, ძმავო ჩემო, მოიძიენ იგინი და, პოვნენ რა მისთანანი იგი, სიკუდილით მოაქუდივნენ. ხოლო რომელი — იგი შეაცუთუნეს, შუენიერი ხატითა და სახელით რიფსიმე, ჩემდა წარმოავლინე. და უკეთუ შენ ვთნდეს, თავისა შენისათვის იგულე, რამეთუ არაეინ იპოვა სხუა, მსგავსი მისი, იონთა სოფელსა შინა“.

ხედავთ, როგორ გამწარებულა და სადამდე იდაბლებს თავს მისი უდიდებულესობა კეისარი? მე მისი (რიფსიმეს) ცოლად შერთვა მინდოდა, შუამავლებიც მივეუზღავე, ძღვენიც ვაახლე, მან კი არამცთუ სიხარულით აიტაცა ჩემი მეფური სურვილი, სიძულვილიც კი მიჩვენა და არაწმიდად შემრაცხაო. შემდეგ ფარულად გამომქცნენ ყველა და ახლა სადღაც მანდ უნდა იყვნენო. მოიძიე და თუ იპოვნო, ყველა ამოხოცე, ვინც ჩემი გულისსწორი გააბრიყვა და მრუდე გზაზე დააყენა, თვით ეგ კი, რიფსიმე, „შუენიერი ხატითა“, აქ გამომიგზავნეო.

მაგრამ აქ კი შეეყოყმანებულა შეყვარებული მონარქი და ხელი აპკანკალებია. ეტყობა, მან კარგად იცოდა თავისი „ძმის, მეგობარისა და თანამოსაყდრის“ კომსუნაგის ამბავი, იცოდა, ლუკმას ის პირიდან არ გაავდებდა და კეთილი ურთიერთობა რომ საბოლოოდ არ გაეფუჭებინა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და თავისივე პირით აუწყა:

თუ რიფსიმე შენც მოგეწონოს, რამ გაყო ჩვენი ქონება, შენთვის დაიტოვე, რადგან იონთა ქვეყანაში მაგის მსგავსი სხვა არავინ მოიძებნებაო.

ბიკოს, გაიფიქრა, ალბათ, შეფე თრდატმა, ეს რიფსიმე მართლაც რაღაც სასწაულებრივად ლამაზი ქალი უნდა იყოს, რადგან რომის კეისარი ასერივად გადაურევიასო. უნდა მივდგე-მოვდგე, იქნებ კიდევაც ვიპოვნო და სასახლეში მოვაყვანირო, ხოლო ვის მოვკლავ და ვის ცოცხალს დავარჩენ, აქვე გადაწყდებოა.

ბევრი ძებნა როდი დასჭირვებიათ. მეფის მანდატურებმა უცხოელ მისიონერთა ღარიბულ სადგომს მალე მიიჩინეს, ეგ კი არა, ის საბრალონი უბატიებელ დანაშაულზეც დაიჭირეს, როდესაც ჭეშმარიტ ღვთაებებს გამოზღვენ და გუშინდელ მართლმორწმუნე წარმართ სომხებს ქრისტეს მცნების ერთგულებაზე აფიცებდნენ, და ყველა შეიპყრეს.

თრდატი გავიგნდა, რიფსიმე რომ დანიანა. ასეთი ზეციური სილამაზისათვის ჯერ თვალის არსად მოეკრა. ბევრი არ უფიქრია, უოველგვარი ეტიკეტი უკუაგლო და მამინვე ცოლობა სთხოვა, რაზედაც გადაჭრილი უარი მიიღო. განრისხდა თვითმპყრობელი მეფე, ეს რა მაკადრესო, უარი როგორ შემომბედესო და მამინ ქრისტეს სჯულის მიტოვება და კვლავ წარმართობის წილში დაბრუნება უბრძანა. როცა იმაზედაც გადაჭრილი, არაორაზროვანი უარით უპასუხეს, მეფემ ტაში შემოკრა, მანდატურები იხმო, ჯალათი დააბარებინა და რიფსიმე და მისი დედამძუღე გაიანე, ყველა მათ მხლებელ ქალთან ერთად, საწამებლად გაგზავნა.

ჯალათის ხელიდან გასხლტომა და მიმალვა, უთუოდ დღვილობრივი თანამგრძნობების დახმარებითა და ხელის შეწყობით, მხოლოდ რამდენიმე შეიძლო, მათ შორის ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინო კაპადოკიელმა, რიფსიმე და გაიანე კი ეწამნენ ქრისტეს სჯულისათვის, უზენაესი

რწმენისათვის და ამიერიდან სომეხ ხალხს ახალი სარწმუნოება მოეცა.

ცოტა სხვაგვარად მოგვეთხრობენ ამავე ამბავს სომეხი მემატიანეები. რიფსიმეს ღვთაებრივი სილამაზით აღგზნებულმა მეფე თრდატ მესამემ, რომელსაც ჯიბეში რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს ნახევრად შეგობრული, ნახევრად მბრძანებლური წერილი ედო, ქალს ცოლობა კი არა, ხასობა შესთავაზა. თავისი აღთქმის ერთგულმა რიფსიმემ, რომლის უარი არაფერს ნიშნავდა, რადგან სასახლეში ძალით იყო მოყვანილი და ირგვლივ მეფის შუბოსნები ედგნენ, როგორღაც მოახერხა და თავს გაქცევით უშველა. მაგრამ მეფის ქვეშევრდომები დაეწივნენ, შეიპყრეს და აწამეს.

ეს ცოდვიანი საქმე ამით არ დასრულებულა. ზენაარმა სომეხთა სამეფო სახლს საშინელი რისხვა მოუვლინა: მეფე თრდატი და მისი დიდებულები ღორებად გადაიქცნენ. თრდატმა სიზმარი ნახა: ეს უბედურება სამეფოს აესხნება, თუ ქრისტეს მოძღვრების კიდევ ერთ მქადაგებელს, გრიგოლს, ორმოდან ამოიყვანთ, სადაც ის უკვე ჩვიდმეტი წელია უღუთოდ ეწამება და მთელი სომეხი ხალხი მის სარწმუნოებას მიიღებს, ქრისტიანული წესით მოინათლებოა.

ღორად ქცეულ მეფეს სხვა რაღა გზა ჰქონდა. სურდა თუ არა, ღვთის მიერ დადებული პირობა უნდა შეესრულებინა. გრიგოლ განმანათლებელი ორმოდან დიდი პატივით ამოიყვანეს, ერი მონათლეს, ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადეს და, თანახმად პირობისა, პირველ ქრისტიან სომეხ მეფე თრდატ მესამეს და მის დიდებულებს კვლავ ადამიანობა დაუბრუნდათ.

ქრისტიანობა, მისი ჩასახვისა და აღზევების პირველ წლებსა და საუკუნეებში, რა სისასტიკე და წარმართობის ნაშთების საბოლოო აღმოფხვრის მიზნით გაჩაღებული სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებიც არ უნდა

გაგვახსენდეს, წინამორბედ სარწმუნოებებთან შედარებით ლმობიერი და შემწყნარებელი გამოდგა. სხვანაირად იქნებ ვერც ახსნა გარნის წარმართული ტაძრის უენებლად გადარჩენის ფაქტი. ქრისტიანმა სომეხმა მეფეებმა, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ გამიჯნენ ძველ სარწმუნოებას, შვიდ საუკუნეზე მეტს, სანამ მათი ტახტი საბოლოოდ არ შეირყა და სელჩუკების ბარბაროსული შემოსევებით არ დაემხო, იგუეს იგი თავიანთ საზაფხულო რეზიდენციასში, კარის გელესიის გვერდით, თუმცა აქ აღგილი ისე მცირე იყო, თავი კედს ძლივს იბრუნებდა. სარწმუნოებრივ შეურიგებლობას, სხვანაირად რელიგიურ ფანატიზმსაც რომ უძახიან, ეტყობა, მშვენიერებისადმი ტრფობამ სძლია და იონური თეთრი სვეტებით ცაღ აზიდულა, ათენის პართენონის მსგავსი კლასიკურად მკაცრი შენობა, ვინ იცის, დღესაც, აშენებიდან ორი ათასი წლის შემდეგ, ძველებურად მდგარიყო გემოვნებით შერჩეულ ადგილზე, 1679 წლის საშინელ მიწისძვრას, სომხეთისა და ახლო აღმოსავლეთის ბევრ სხვა ღირსშესანიშნავ ისტორიულ ნაგებობასთან ერთად უწყალოდ არ დაეზგარია და საუკუნეებგამოვლილი ულამაზესი შენობა ქვისა და კირის გროვად არ ექცია.

მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსაო, უბრძანებია დიდ რუსთაველს. „ღმერთი“, ეტყობა, არც ხელიხელ საგოგმანებელ ძეგლებს გასწირავს, რათა მაშერალ ერს პასპორტი სამარადემოდ შეუნარჩუნოს და დღევანდელი ურწმუნო თომბა, ყოველთვის გამარჯვებულისა და ძლევამოსილის მხარეს რომ იჭერს, საუკუნეების უფსკრულში ჩაახდოს!

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გარნის ნანგრევებს ერთი განათლებული, ეროვნულ სიძველეებზე თავდავიწყებით შეყვარებული, ძველი ვარპეტების პირდაპირი შთამომავალი არქიტექტორი ეწვია, აქვე კარავი დაიდგა, შიგ დასახლდა და ტაძრის პირველ-

სახის აღდგენის მიზნით ცალკეული დეტალების სურუპულუზურ შესწავლას შეუდგა. ბევრი ვინმე უმჯობესად გაჩუქულიც, იქნებ სრულიად უნაყოფო საქმედ თვლიდა ზეგარდმო შთაგონებული არქიტექტორის წამოწყებას, მაგრამ ხელი მაინც არავის შეუშლია, ნეტარ არიან მორწმუნენიო.

რამდენიმე წელიწადი მარტო ტერიტორიის გაწმენდას და მიწაში ღრმად ჩაფლული არქიტექტურული დეტალების მზის სინათლეზე ამოტანას დასჭირდა. რაკი ეს მოსამზადებელი სამუშაო ასე თუ ისე შესრულდა, ახლა უნდა დაწყებულიყო მთავარი, დეტალების ერთმანეთთან მისადაგება, ნაწილების საშუალებით მთელის აღდგენა და ამ გზით ტაძრის თავდაპირველი სახის წარმოდგენა.

სომხეთში ერთხელ უკვე იყო შესრულებული მსგავსი სამუშაო. ჩვენი საუკუნის დამდეგს სომეხმა არქიტექტორმა ტოროს ტარამანიანმა აგრეთვე მიწისძვრის დროს ძირფესვიანად დაქცეული ზვარტნოცის რეკონსტრუქციის პირველი პროექტი შეადგინა. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ნიმუში მთელს აღმოსავლეთში, ზვარტნოცი, რომელმაც არაბობის შეებნელ ხანაში რაღაც სამასიოდე წელიწადს იარსება და 925 და 1000 წელს შუა ყოვლის მომსვრელი მიწისძვრისაგან დაინგრა, ანისის კათედრალის წინაპირი და წინამორბედი გამოდგა. წინარები და წინამორბედები, რაღა თქმა უნდა, გარნის წარმართულ ტაძრსაც არა ერთი ეყოლებოდა, მაგრამ ის უფრო „იონთა ქვეყანაში“ იყო საძიებელი, რადგან მისი მონათესავე საკულტო შენობა ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე უკვე აღარ მოიპოვებოდა.

აქედან ცხადია, რა დიდი და შრომატევადი კვლევა-ძიება უნდა გაეწიათ ძეგლის რეკონსტრუქციაზე მომუშავე ავტორებს, რამდენი რამ უნდა შეესწავლათ, დაეგვემათ, აეზომ-დაეზომათ, რამდენი ვარიანტი უნდა გადაესინჯათ, რომ მათი მოწადინება სიბნელეში ბე-

ლების ფათურს არ დამსგავსებოდა და ტაძრის პირველსახისათვის შეუცდომლად მიეგნოთ.

არ ვიცი, ნაფიცი სპეციალისტები რას ფიქრობენ, ამის გარშემო შექმნილ ლიტერატურას, უნდა გამოვტყდეთ, მე არ გავცნობივარ, მაგრამ უშუალო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჩვენმა თანამედროვე სომეხმა არქიტექტორებმა, კონსტრუქტორებმა და მშენებლებმა შეუძლებელი შესძლეს, შორეული წარსულის ხელთუქმნელ ძეგლს სული ჩაუდგეს და იგი ზუსტად იმ საბით აღადგინეს, რა სახეც იმ საბედისწერო მიწისძვრამდე ჰქონდა.

ნანგრევებში, საბედნიეროდ, შენობის შემადგენელი ყველა დეტალი იპოვნეს. ამდენი საუკუნის განმავლობაში, რაც ტაძარი დანგრეული იყო და ქვები მიწის თხელი ფენისა, მთავლის ბუჩქებისა და ბალახის ქვეშ განისვენებდნენ, ახლომახლო ერთი სულმოკლეც არავინ გამოჩნდა, ვისაც შეეძლო ერის უძველესი სალოცავის ნანგრევიდან თუნდაც კენჭი გაეტანა და იგი ახლო დანიშნულებით, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

იქნებ ეს საგანგებოდ არც აღმენიშნა, ერთის შეხედვით ჩვეულებრივ ამბავზე მკითხველის ყურადღება არ გამომხაზილებინა, მაგრამ ამას სხვათა და სხვათა გასაგონად ვამბობ, ვინძლო საკუთარ სინდისს დაეკითხონ, ყველა ასე იქცევა თუ არა!

მკვლევართი აღმდგარ ელინური სტილის შენობაში ახალი მხოლოდ ცემენტგარეული კირის ხსნარი, ტყვიის თხელი ფურცლები და რკინის ჭანგებია, რითაც, ადგილობრივი ტრადიციისამებრ, ქვა ქვაზე მაგრდება და ერთი მთლიანი მონოლიტის სახეს იღებს, სხვა ყველაფერი, სამსხვერპლოზე ამავალი კიბის საფეხურებით, საკრეთლით ნაკვეთი რთული ლავგარდანებით, ოთხივე კუთხივ წყობისად შემოვლებული მრგვალი კოლონებით დაწყებული და ხატოვანი კაპიტელებით, ქვაში საკვირველი ოსტატობით ნაკვეთი ორნამენტებით და ბარელიეფებით დამთავრე-

ბული ძველია და თითოეული მათგანი ნანგრევიდან ამოიღეს.

გული როგორ მოგიტყვის, კრწანთის არაიარო, შიგნით არ შენვიდე და იქაურობა ძირისძირობამდე არ დაათვალიერო! რა არის შიგ? შიშველი, შეუღესავი ბაზალტის კედლები, შემალღებულ ადგილას, უკანა კედელზე მიშენებული სამსხვერპლო ნიში და მის წინ, ქვის იატაკში, მრგვალი ორმო, რომელშიაც ზეარაქად შეწირული მოზერის თუ კრავის უმანკო სისხლი ჩაედინებოდა.

ღეთისმსახურების შესასრულებლად საგანგებოდ შემოსილი წარმართი ქურუმები, ეტყობა, გამწვდომი კიბის თავში იდგნენ, როგორც თანამედროვე ესტრადაზე, ვერცხლისა და ბრინჯაოს საეცხლურებით ნელსურნელებას აგმევენენ და მუხლმოყრილ მორწმუნეთა ბრბოს წინაშე თავიანთ წარმართულ მისტერიას წარმოადგენდნენ. ხალხი ყოველ მათ ეესტს ეხმაურებოდა და ცად მხურვალე ლოცვას აღავლენდა. შემდეგ იწყებოდა სამსხვერპლოზე ზეარაქის მიტანის და თვით მსხვერპლად შეწირვის საზეიმო ცერემონიალი. ჯერ ხომ, ზენაარის გულწრფელი და უყოყმანო მორჩილება რომ დამტკიცებინათ, ბიბლიური ამბაამისა არ იყოს, ღმერთებს გულით საყვარელ ადამიანს წირავდნენ და სამსხვერპლო ორმოს მათი თბილი სისხლის ობშივარი ასდიოდა, შემდეგ მხოლოდ ტყვედ ჩავარდნილ მტრის ჯარისკაცებს იმეტებდნენ, ბოლოს კი, ეტყობა, ღმერთებს მობეზრდით ერთფეროვნება, ადამის შვილთა სისხლის განურჩევლად ღვრა და უკვე შინ გამოზრდილი თვინიერი პირუტყვის მსხვერპლად შეწირვით კმაყოფილდებოდნენ.

გალავანს შიგნით, ტაძრიდან ოცი-ოცდახუთი ნაბიჯის მოშორებით, არქეოლოგებმა ელინური ხანის კიდევ ერთი ნაგებობა — აბანო გათხარეს. მეცნიერების ვარაუდით, აბანო იმავე წლებს განეკუთვნება, რომელშიაც წარმართული ტაძარი აიგო, მაგრამ თა-

ვის მოვალეობას ის, შესაძლოა, გაცილებით მეტ ხანსაც ასრულებდა.

სანახევროდ მიწაში ჩადგმული ქვითკირის მომცრო შენობა ოთხი ოთახისაგან შედგება. აქედან ორი ოთახი საბანაო დარბაზებად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ერთში ცივი წყლით ბანაობდნენ, მეორეში — ცხელით. ცხელი წყალი აქ აგურის იატაკის ქვეშ გავყვანილი თიხის მილებით შედიოდა.

ერთ-ერთი დარბაზის იატაკზე წაირფერი სოფიის კენჭის მოზაიკური პანოა გამოხატული, რომელიც ძველი სომხეთის მონუმენტური ფერწერის ერთადერთ შემორჩენილ ნიმუშად არის აღიარებული.

პანო დროს საკმაოდ შეუღანძვარს, დაუზიანებია, მაგრამ არა იმდენად, რომ ზედ გამოსახული სიუჟეტი ვერ ამოიკითხო. მღელვარე ზღვის ტალღებში ღმერთები და მითითური არსებები — ისტიოკენტავრები, ნერეიდები და სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის დიდი და მცირე თევზები დაცურავენ.

ღმერთების გამოსახულებას ბერძნული წარწერა ახლავს: გლაჯკოსი, ტეტისი, აგრიოსი, პოტოსი და ა. შ. ირგვლივ შემოვლებული ჩარჩოს ზემოთ ამოყვანილია მკაფიო წარწერა აგრეთვე ბერძნულ ენაზე: „მუშაობდნენ გასამრჩელოს მიუღებლად“.

ვის ეხება ეს სიტყვები? ვინ მუშაობდა? რატომ მუშაობდნენ „გასამრჩელოს მიუღებლად“? თუ მონები იყვნენ, მათ არავითარი „გასამრჩელო“ არ ეკუთვნოდათ და რაღა საჭირო იყო ამის საგულდაგულოდ აღნიშვნა? ვისთვის მუშაობდნენ? ვინ იყო ვალდებული „გასამრჩელო“ გადაეხადა?

ყველაეს კითხვა რიტორიკულია, ვინაიდან პასუხს ვერაფერს გვაძლევს. იგი განვილილ საუკუნეებთან ერთად ჩანთქმულა დროის უსასრულობაში!

სომეხი მეცნიერის ალექსანდრე საინიანის მიხედვით, ისტორიაში გარნის პირველი მოხსენიება ეკუთვნის რომაელ ისტორიკოსს კორნელიუს ტაციტუსს, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხ-

ვის პირველ საუკუნეში ცნობდა.

ტაციტუსი საგულისხმო ამბავს მოგვითხრობს: საქართველოს მეფის, გარსმანის, ძმა მითრიდატე, რომელიც მისი მძისწულის, რადამისტის, მიერ მოწყობილი სასახლის კარის გადატრიალების წყალობით სომხეთის სამეფო ტახტზე ავიდა, 51 წელს შეთქმულ სომეხ დიდებულებს გამოექცა და „თავი გარნის ციხე-სიმაგრეს შეაფარა“. ტაციტუსი ბოლოს დისძენს: „შეთქმულებმა, რომელთაც არც სააღყო მანქანები გააჩნდათ და „არც ციხე-სიმაგრეთა გარემოცვის ხელოვნებას ფლობდნენ“, ციხეში შინა გამკეპის დახმარებით შეაღწიეს.

ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის, რომ გარნი მიუვალი იყო და შიგნიდან გატეხვის გარეშე მისი აღება არავის შეეძლო.

საქართველოს საისტორიო ანალებში გარნის სახელი კიდევ ერთხელ თითქმის 12 საუკუნის შემდეგ გაიხსენებს. ეს მონღოლური ლაშქრობების ეპოქაა, რომელმაც ხალხების ისტორიის ბუნებრივ მსვლელობას კალამოტი და გეზი შეუწყვალა და დაღმა მიმავალ მდინარეებს პირი აღმა უქნა.

ხორეზმის შაჰი ჯალალედინი მონღოლთა ურდოების ძლევამოსილი მოწოდის გამო იძულებული გახდა მშობლიური შუა აზია მიეტოვებინა იმ იმედით, რომ თავისი სკიპტრის ქვეშ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსა და სომხეთს გააერთიანებდა, ერთ მუშტად შეჰკრავდა, კალიასავით მოდებულ მონღოლთა როგორმე შეაჩერებდა, მანამდე კი მათი მდიდარი ქალაქების ხარჯზე თავის მტაცებელ ლაშქარს შეინახავდა.

საქართველოს სამეფოს ჯარს, მძვინვარე მტერს გელამის მთების იწროებში რომ დაუხვდა, ღრმად მოხუცებული ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი სარდლობდა. ბრძოლა მოხდა გარნის მიდამოებში 1225 წელს. მტერზე გაცილებით მცირერიცხოვანი ქართველები, რომელთა რიცხვშიაც სომეხთა რაზმები თავგამეტებით იბრძოდნენ, იძ-

ლიწენ ამ ომში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მტერმა არარატის ველი ააოხრა, დონი დაარბია და გაძარცვა, მომდევნო წელიწადს კი სისხლით გაუმძღარი ხორეშმშაში მეფე ლაშა-გიორგის მოულოდნელი გარდაცვალებით თავზარდაცემულ საქართველოში შეიჭრა, დიდძალი მსხვერპლის ფასად მისი სატახტო ქალაქი ტფილისი აიღო და, ამავე დროს, ანისა და ყარსსაც შემოეწყყო.

ქალათი ვერ მოესწრო სხვისი ხელით ნაღვერდლიდან მუგუზლის გამოღებას. ეიდრე ქართველებსა და სომეხებს „ერთ მუშტად“ შეკრავდა, მონღოლებმა აქაც მოაგნეს, გუდა-ნაბადი აკრეფინეს და მანაც პირი მესოპოტამიისაკენ იბრუნა, სადაც კიდევაც იპოვნა ის, ამდენ ხანს რომ ეძებდა — უსახელო სიკვდილი!

გარნი ყოველთვის იყო და ბოლომდე დარჩა სომეხი ხალხის მიუდგომელ ციტადელად, მაგრამ ეს მიუდგომლობა და გაუტეხელი სიმტკიცე მართო მკვიდრად ნაგებ ციხე-სიმაგრეს როდი მიეწერებოდა, იგი უპირველეს ყოვლისა გამოხატავდა ხალხის, მეციხოვნეთა, გარნელი ერისა და ბერის სულისკეთებას, ვინც სამშობლოს მიწა-წყალს ურჯულო მტრის განუწყვეტელი შემოსევებისაგან იცავდა.

უმძიმესი გამოცდა უღმობელ ბედისწერას გარნმა და გარნელებმა ამიერკავკასიის ქრისტიანი ერების, ქართველების, ალბანელებისა და სომეხების, სისხლისმსმელი შაჰ-აბასის დროს ჩააბარეს. სპარსეთ-თურქეთის ომში შევიწროებულ შაჰ-აბასს, მისებრ ფანატიკოსი ოსმალო-სუნიტების შემოტევა როგორმე რომ შეენელებინა და მათ საბოლოო გასანადგურებლად დრო მოეგო და ძალა მოეკრიბა, თავში საზარელი, აქამდე კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი იდეა დაეხადა — მთელი აღმოსავლეთ სომხეთის მოსახლეობა იეყარა, სპარსეთში გადაესახლებინა, მათი ნაფუძვარი მიწა კი დაუსახლებელ უდაბნოდ ექცია. ბარბაროსული განზრახვის აღსრულებით

შაჰი ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელს კლავდა: დაუსახლებელი უდაბნოთი, სადაც სურსათი და ჯანსაღების საჭირო ყველა სხვა საშუალების შეგროვება და მშვიდობიანი მოსახლეობის გასაყვებლად გამოჩეკვა შეუძლებელი იქნებოდა, ერთის მხრივ ოსმალებს წინსვლის გზას უღობავდა, მეორეს მხრივ კი სომხების ინტენიური სოფლის მეურნეობა, ქალაქებში განვითარებული ვაჭრობა და ხელოსნობა თავის სამეფოს შუაგულში ან მის სამხრეთ პროვინციებში გადაქმნდა და ამით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საიმედო წინამძღვრებს ქმნიდა.

მეორედმოსვლა დატრიალდა. არარატის ველს შაჰის ჯარები შემოესივნენ, შემოესივნენ, ვინ იცის, მერამდენედ! დაიწყო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მამაბაპური საცხოვრისიდან აყრა და შორეული სპარსეთის უდაბურ ტრამალებში გადასახლება.

სპარსეთის დესპოტმა თვითმპყრობელმა იგივე სისხლიანი ღონისძიება, თუ შეიძლება იგი ამ მშვიდობიანი სიტყვით მოინათლოს, იმავე სისასტიკითა და შეუბრალებლობით, საქართველოშიაც განახორციელა, ოღონდ არა იმ განზრახვით, რა განზრახვითაც სომხეთს აცარიელებდა. მოუსვენარი ქართველობის სინსლის გაწყვეტა, მისი კვლის ერთხელ და სამუდამოდ წარხოცვა დედამიწის ზურგზე! — აი, რა იყო აქ მისი საბოლოო მიზანი. მაშინ დაიცალა სწორედ საქართველოს ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი კუთხე კახეთი. ასი ათასობით უმწყო ადამიანი, ქალი, ბავშვი და მოხუცი, თავიანთი საოჯახო საქონლითა და სარჩო-საბადებლით, ყიზილბაშებმა წინ გაირეკეს. მათი გლოვა და ზიჟი ცას სწედებოდა. ვინ იყო გამგონე და გამკითხავი! მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს და მიუვალ მთებში გაიხიზნა, რათა იქ პარტიზანული ომის ხანძარი აეგვიგრიებინა. აყრილი ქართული მოსახლეობის ადგილზე შურისმაძიებელმა შაჰმა თურ-

ქმნული ტომები ჩამოასახლა, სავსებით მოშალა ქვეყნის ეკონომიკა, ანუ ვენახები და ბაღ-ბოსტნები, დაანგრია საუკუნეების მანძილზე მოწყობილი და გამართული საირიგაციო სისტემა და ქვეყნის მარჩენალი ალაზნის ნაყოფიერი ველი მომთაბარე ჯოგების საზაფხულო საძოვრებად გადააქცია. ვინ მოსთვალოს, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი გულმხურვალე მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა უთანასწორო და უსამართლო ომმა!

უკეთესი დღე არც სომხეთს და სომხობას დასდგომია. სავაჭრო ქალაქ ჟულფის და სხვათა და სხვათა სომეხი მოსახლეობა, როგორც ქალაქ ისე სოფელ ადგილებში, მდგარ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეთ, თუმცა შაჰის მიერ ნაბრძანები იყო, ყველას, ვინც კი ურჩობას გაბედავს და უზენაესი ნების აღსრულებას ნებით ან უნებლიეთ წინ აღუდგება, ადგილზევე თავი მოჰკვეთეთო. გაუდაბურებისათვის განკუთვნილი სომხეთის ყოველი გოჯი მიწა შაჰს ერთობ ძვირი უჯდებოდა, მაგრამ ამას როდი დაგიდევდა, რადგან მიაჩნდა, რომ გაძალადებული ომის საბოლოო შედეგი მისი წარმართვისა და სასურველად დაგვირგვინების ყველა საშუალებას გაამართლებდა.

350 ათასი კაცის გადასახლება, როცა შაჰის ყოველ ჯარისკაცს ყოველი უწყინარი ბუჩქის უკან მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდა, მაინც ბევრად უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე აზიელ დესპოტს თავდაპირველად ეგონა. არანაკლებ რთული და სათუო საქმე სამშობლოს ძალისძალად მოწყვეტილი ასი ათასობით ადამიანის სპარსეთის სიღრმეში გადაადგილება იყო. ხშირად სრულიად უწყლო, ნახევრად უდაბნოში, როცა იქაურობას შუა ზაფხულის გაუსაძლისი ზეატი ხრუკავდა, მათ ფეხით ათას კილომეტრზე მეტი უნდა გაეგლოთ. ვინ გალევდა ამ გაუთავებელ გზას? ვინ მიიღწევდა აღთქმულ ადგილს, ამ საშინელ ცოდვის-აითხვაში უკვე სანატრელი რომ გამზ-

დარიყო? ცოტას თუ ვინმეს ასულდგმულბდა გულის სიღრმეში მოჭიპატე იმედი, რომ სული ბოლომდე შეორებოდა და ახალ ადგილზე, უცნო ცის ქვეშ, სამშობლოს მთა-გორებს, მასისსა და არაგასს სამუდამოდ მოშორებული ცხოვრებას თავიდან დაიწყებდა!

ერთ ვეებერთელა კოლონად დაწყობილი გადასახლებულნი, რომელთაც მრავალი ათასი უზილობაშისაგან შემდგარი შეიარაღებული ბადრაგი მიაცილებდა, 40 კილომეტრზე გაიქიმნენ, კოლონის სიგანე კი 15 კილომეტრს აღწევდა. მიდიოდნენ ასე უგზოუკვლოდ, დარსა და აედარში, დღისით და ღამით, ვის სად და როგორ მოხვედებოდა. მაგრამ ეს მას შემდეგ, როცა სისხლისაგან დაცლილ, გაძარცვულ და გადამწვარ ქვეყანაში, სადაც ამიერიდან გველსა და ღრიანკალს უნდა ეთარეშა, წინააღმდეგობა ასე თუ ისე შეწყდა და უცხოეთში გადასაყარავად განწირულნი თავიანთ მწარე ზვედრს შეურიგდნენ.

იმით შორის, ვისი შეუპოვრობაც სპარსელებმა ვერა და ვერ გატეხეს, ერთ-ერთი პირველები გარნი და გარნელები იყვნენ. ისინი თავიანთ მიუვალ ცოხე-სიმაგრეში გამაგრდნენ, ზეობის კლდე-ღრეებში შეიხიზნენ, სადაც ოდესღაც პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა და ბუნების ძალებისაგან თავს იცავდა და მტერს უკანასკნელი ბრძოლა გაუმართეს. დღე დღეს მისდევდა. გამოილია ტყვია-წამალიც, სურსათიც, თანდათან ვიწროვდებოდა ალყის რკალი. ის უზარმაზარი აფრკული პითონით ეკვროდა გარს ერთ მუჭა გარნელებს და მათ ყველა სასიცოცხლო სახსარს უსპობდა. რჩებოდა ერთადერთი და უკიდურესი გამოსავალი, რომ მტერს როგორმე უცხოეთში არ გაჰყოლოდნენ და ძვლები შამა-პაბის ფეხის ნადგამ მიწაზე დაეტოვებინათ — სიკვდილი! როგორ განსხვავდება ეს სიკვდილი იმ სიკვდილისაგან, უდანაშაულო ზალხების ცოდვით სინდის-დამძიმებულ ხორებზეშაჰ ქალიღედინს



სადღაც მესამოტომიაში რომ მოეწია! „ბევრი ქალიშვილი და ქალი, — გვიტყულობთ ერთ სოლიდურ საისტორიო ნაშრომში. — რომელთაც თავზე სამარცხვინო ლაფის დასხმას სიკვდილი ამჯობინეს, არბოდა მალალი კლდეების წვერზე. თვალებზე ხელებს იფარებდა და უფსკრულში ცვიოდა!“

ღირს, რაიმე დაუუმატო? გვონებ, არ უნდა ღირდეს. ჯობია, აქ „დავიდუმო“ და განზოგადებული დასკვნების გამოტანა მკითხველს მივანდო.

8

გავედით თუ არა ახალი საუკუნეების მანძილზე ხელახლა მოშენებული, მკვდრებით აღმდგარი, ვაშლისა და ატმის ბაღებში ჩაფლული გარნის ორღობეებიდან, გუდრონით მოგებული ფართო გზატკეცილი კვლავ ციციბო აღმართს შეუდგა. ქედის ზურგს ამჟერად მარჯვენა კალთაზე მოვექეციით და ერთბაშად შევედით სალი კლდეებით შემოზღუდულ ღრმა ხეობაში, რომლის ფსკერზეც მთის პატარა მდინარე აზატი მიედინება.

აზატი ქართველებსა და სომეხებს, ისევე როგორც ბევრი სხვა სიტყვა, ეს სიტყვაც საერთო გვექონია. არც მეტი, არც ნაკლები, უდაბურ ხეობაში ჩაჯარგულ, უკვადების წყალივით მოწანწვარე მდინარეს სახელად თვით თავის უფლება ქვია. აიაზმასავით შეების მომგვრელი მისი ანკარა წყალი ისე სანატრელი ყოფილა ამ უსიერ კლდეებში, საიდანაც მხოლოდ თავზე გობივით ჩამომხობილ ცას ხედავ და გასაქანი არსაით ჩანს, მკაცრზე უმკაცრეს ბუნებასთან შეჭიდებულ მამუარალ სომეხ კაცს იგი ყველაზე უფრო სათაყვანებელი სახელით მოუნათლავს, თავისუფლება დაურქმევია!

მიუხედავად იმისა, რომ ძირს, ქვესკნელში, ვიწრო ხეობის ფსკერზე მდინარეა, ქედის კალთაზე არც ხეა სადმე, არც ბუჩქი, ბალახი რომ ბალახია, ისიც არ ხარობს, ფეხს ვერსად იკიდებს, სიცოცხლის ნიშან-წყალი არაფერს ემ-

ჩნევა. დროდადრო გულგახეტილი ხელიკი გადაგვირბენს წინ, გზის ბირას ქვას ამოეფარება და სუნთქვისთვის ირებული იქიდან გვითვალთვალებს, მივდივართ თუ აქ ვაპირებთ გაჩერებას. სხვას სული არაფერს უდგია. ან ეს საცოდავი როგორ ძლებს აქ, საიდან სად დარბის საკვების საშოვნად და პირის გასასველებლად!

ღარიბთა და უპოვართა სარწმუნოების აღმსარებელი ბერები, ვიდრე ამ მოვიდოდნენ და აქაურობას თავიანთი მოღვაწეობის კვალს დაამჩნევდნენ, აზატის ხეობას, ეტყობა, ქვემოდან, არარატის მრავალპირნახული ველიდან შემოუდგნენ და აღმა-აღმა დიდხანს იარეს, რათა თავიანთი სალოცავის ასაშენებლად გარე და შინაური მტრისათვის მიუდგომელი ან ძნელად მისაგნები მყუდრო ადგილი გამოეძებნათ. მაშინ აქ არც გზა იპოვებოდა, არც კვალი, ამ სიმაღლეზე მწყემსებს ფარები და ჯოგები არ დაუდიოდათ, რადგან, გარდა წყლის ნაკლებობისა, გამუდმებული გვალვისაგან გადამხმარ მთებში საძოვარიც არსად იყო, მაგრამ თავიანთი პირველი სალოცავების ასაშენებლად და ამა ქვეყნიდან განსაღამოდ ბერები სწორედ ღეთისაგან და კაცისაგან მივიწყებულ ადგილებს ეტანებოდნენ, რათა ურჯულო მტერსაც დამალვოდნენ და სიცოცხლის დარჩენილი წლები ლოცვასა და სულის სარგო მოღვაწეობაში გაეტარებინათ.

ის პირველი კოლონისტები, ქრისტიანი სომეხი ბერები, ვინც აქ პირველად ფეხი დაადგა და უნაყოფო მიწას პირველი ბარი დაჭრა, ათას ეჭვისასი წლის წინათ ცხოვრობდნენ. აზატის სათავეში, სადაც ხეობა სამი მხრიდან წამოქანებული სალი კლდეებით იკეტება, მათ, მეუდაბნოეებმა, მეოთხე საუკუნეში საყდარი ააშენეს და სოფელ-ქვეყანას სამუდამოდ მოწყვეტილნი აქ დაეყუდნენ.

სომეხი ერის გამაქრისტიანებელი მეფე თრდატ მესამე, წმიდა რიფსიმესა და წმიდა გაიანეს წამებისა და წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ორმოში ჩა-

გდებისათვის თავადაც საარაკო განსაცდელი რომ გამოიარა და იქ, სადაც ხალხის სალოცავი წარმართული კერები ესვენა, ზენაარის ჩაგონებით იესო მაცხოვრის სადიდებელი ჭვარი აღმართა, ჭერ კიდევ ცოცხალია, თავს მხნედ გრძნობს და ძველი ცოდვები რომ გამოისყიდოს, წარმართული კულტურის ძეგლებს მუხარს ავლებს. ცოცხალია მისი დაც, ვინც გარნის წარმართული ტაძრის შემოგარენში საზაფხულო სასახლე აიშენა და აქაურობას მეფეთა „გამაგრილებელი ადგილი“ უწოდა. ეს ის დროა, როდესაც დიდ მწიგნობარსა და ღვთისმეტყველ მესროფ მაშტოცს სომხური დამწერლობის პირველი ასოები გამოჰყავს პერგამენტზე, რათა ამ დამწერლობით შემდეგ მრავალი სომხური სასულიერო და საერო თხზულება დაიწეროს და აგერ მეოცე საუკუნის მიწურულს იმავე პირველქმნილი სახით მოაღწიოს, რა სახითაც ათას ექვსასი წლის წინათ ერის მიერ წმიდანად შერაცხული მესროფ მაშტოცის ხელიდან გამოვიდა.

ისტორიის გზაჯვარედინია. რაღაც დიადი მთავრდება და სათავე ედება სრულიად ახალს, მუდამ ტანჯვით რომ იბადება და ვიდრე დაეჯეკიდებოდეს, ისტორიის ბევრი ოღოროლორ გზის გავლა უხდება.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში, როგორც კედლის წარწერები და სომხური ისტორიული საბუთები მიუთითებენ, განდგილთა პატარა სამლოცველო სახლის ადგილზე, ხალხური ტრადიციით უკვე წმიდა ადგილად რომ იყო მიჩნეული, დიდი სამონასტრო ანსამბლი აშენდა, რომელიც, მიუხედავად მრავალჯერ შებილწვისა, გაძარცვისა და აკლებისა, ჩვენს დღეებამდე ჩინებულადაა შემონახული, მოქმედ სასულიერო ცენტრად ითვლება და ტატივის, სანაინის, ახპატის, ახთამარის და სხვა სამონასტრო ანსამბლების გვერდით გეპარდი სომხური ეროვნული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავ შედეგს წარმოადგენს.

საიდან წარმოსდგა მონასტრის ძველ-

თაძველი სახელწოდება გეპარდი? მას სხენაირად აირივანქსაც ეძახიან. თუმცა სახელდება პირიქით მონდა მონასტრის ჭერ აირივანქი — მღერმის მონასტერი უწოდეს, შემდეგ კი გეპარდი დაერქვა იმის აღსანიშნავად, რომ აქ, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ინახებოდა შუბი, რომლითაც რომელმაც ლეგიონერებმა ჭვარზე გაკრული იესო მაცხოვარი განგმირეს.

თქმა აღარ უნდა, მაცხოვრის სისხლში ამოვლებულ შუბს სომხურ ეკლესიაში ზუსტად იგივე საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, როგორც გოლგოთიდან წამოღებულ უფლის კვართს ქართულ ეკლესიაში და ამიტომაც მოხდა, რომ ორივე ამ სასწაულის ძალით აღქურცილი რელიქვიის ადგილსამყოფელში ორი ერის უბრწყინვალესი ძეგლი, სომხეთში გეპარდის სამონასტრო ანსამბლი, ხოლო საქართველოში მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი აშენდა.

ვიდრე კლდეში ჩამჯდარ, თითქოსდა ერთი ვეებერთელა მონოლიტისაგან გამოკვეთილ სამონასტრო ანსამბლს ზედ წაადგებოდე, გზა დაღმა ეშვება და ახლა უკვე გამოცოცხლებული და აღტაცებული ხედავ, რომ მთის ბროლივით ანკარა და გამჟვირვალე აზატს, სათავეს შენს თვალწინ კლდეებში გამოხეთქილი წყაროებიდან რომ იღებს და ევება ხავსიან ღრღინებზე გადმოკიდებული გულში სიამის მომგვრელი ჩხრიალ-ჩხრიალით მოედინება, მოწყალება მოუღია, კალთა უხვად დაუბერტყია და თვალშეუდგამი ფრიალო კლდეების ძირში ნორჩი სიმწვანით მოხასხასე ოაზისი შეუქმნია. დიახ, ირგვლივ ოაზისია, სიცოცხლე დულს და გადმოდის! ველარც კი წარმოიდგენ, თუ აქედან რაღაც ორასიოდე ნაბიჯზე, მანქანა რომ თვალის დახამხამებაში გაგატარებს, ნიაღვრებისაგან უწყალოდ გადარეცხილ და გამუდმებული ქარებისაგან გამოფიტულ მთებს შიშველი ნექნები მოუჩანთ და აღარც კი აგონდებთ დრო, როდესაც სამყაროს გაჩენისას აქაც, ამ მთების კალ-



თებზეც, უღრანი ტროპიკული ტყე შრიალებდა და მთის ნოყიერ ბალახს კიუხებში ლალად მონავარდე ირმები და არჩევები ძოვდნენ.

მდინარის აქეთა ნაპირას, ხეობის ფსკერზე, გზა მთავრდება. აქ მანქანიდან უნდა ვადმოვიდეთ და მანქანა სხვა მანქანებისა და ტურისტული ავტობუსების გვერდით დავაყენოთ. პირს თავისუფალი ადგილის გამოძებნა. სერგოს მთელი თავისი შოფრული მოხერხების გამოძვლავნება უხდება. ტურისტული სეზონი ჯერ არ დაწყებულია და მანქანებისა და ავტობუსების ტევა მაინც არ არის!

ზემოთ, მონასტერში, ყველა, დიდი და მცირე, ერი და ბერი თავისი ფეხით უნდა ავიდეს, თუმცა გუდრონმოგებული ფართო გზატყეცილი კვლავ წინ მიგვიძღვის, კარიბჭესთან კი, სიოდანაც მონასტრის ტერიტორიაზე შედობარ, კარგა მოზრდილი ბაქანია. იქ, რა თქმა უნდა, შეიძლება მომლოდინე მანქანების სადგომი მოეწყოს.

მაგრამ არა! შენ თვითონ გსიამოვნებს, მანქანას რომ ძირს ტოვებ და მონასტრის კარიბჭისაკენ, როგორც შორი გზიდან მოსული პილიგრიმი, ქვეითად მიემართები. ამით თითქოს შენს პიროვნულ პატივისცემას და კრძალვას გამოხატავ იმ ხალხის მიმართ, ვინც შორეულ სისხლის წვიმების ხანაში ეს დიდებული კმნილება აავო და კეთილშობილ წინაპართა ფესვზე ამოზრდილ შთამომავლობას რწმენის ქვაკუთხედად დაუტოვა!

თეატრალურ ფარდასავით ტალღატალღა ჩამოშვებული რუხი კლდის ფონზე ვარდისფერი საღებავით მიხატულ მონასტრს, მისი წვერწამახული სარტყლოებით და გუმბათებით, გარს ქვითკირის მკვიდრი ვალაყანი არტყია. სწორედ ამაზე ითქმის, იმსიმაღლეა, ზედ ჩიტაც ვერ გადაფრინდებათ, მაგრამ ვაი რომ სიხარბითა და სხვისი მონაგრის უკანონოდ დაპატრონების სურვილით აღგზნებული სპარსელი თუ არაბი. სელჩუკი თუ მონღოლი ჯარისკაცი მაინც ახერხებდა აქამდე მოღწე-

ვას და თუმცა ზემოდან ისრების წვიმა მოდიოდა, ფანატურული მადლიერებით ქონგურზე მიძვრებულა და მოქმედებს შიგნიდან აღება პირუტყვულად აბლავლებული ურდოს შემოსაშვებად.

რამდენი პირისხლიანი მომხვედური, მეფე, სარდალი თუ უბრალო მეომარი, ვისაც ეგონა, თუ მონასტერი ფეხი შეედგი, სამუდამოდ ავშენდები, რადგან მონასტერში დაგროვილი უთვალავი სიმდიდრის, ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის მფლობელი შევიქნებით, დარჩენილა ხელმოკარული და პირში ჩალაცამოვლებული, რადგან ამეების ნაცვლად მონასტერში ჯერაც მელანშეუმშრალი ხელნაწერი წიგნები უნახავთ, რომელთაც ყოველდღიური ცხოვრების ამო ფუსფუსისაგან განმდგარი სომეხი ბერები იმღროინდელი მსოფლიოს კულტურული ენებიდან თარგმნიდნენ და საკაცობრიო აზრის მონაპოვარს თავისი ტანჯული და მარად გაუტყეხელი ერის სულიერ საკუთრებად აქცევდნენ.

გეპარდი სომხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურულ-სამეცნიერო კერა იყო და თავის ამ მაღალ წოდებას იგი საუკუნეების განმავლობაში ღირსეულად ინარჩუნებდა. აქ ფილოსოფიისა და ლოგიკის, მათემატიკისა და ვარსკვლავთმრიცხველობის, ისტორიის, რიტორიკისა და მედიცინის, სამხედრო ხელოვნებისა და სამართლის სახელმძღვანელო მოძღვრები, ვარდაპეტები მოღვაწეობდნენ, თავიანთ ღრმა ცოდნას, შინ თუ უცხოეთის კულტურულ-სამეცნიერო კერებში რომ დაეგროვებინათ, სიბრძნეს დაწაფებულ ახალგაზრდობას უშურველად გადასცემდნენ და შუა საუკუნეების ბნელეთში შემოქმედი ადამიანის სულის ახსნისა და აღორძინების ერთ-ერთ უპირველეს მოციქულებად გამოდიოდნენ.

რაც დრო და ხანი გადის, ის ისტორიული ქეშმარიტება, რომელსაც მრავალზე უმრავლესი ფაქტი ამაგრებს, დღითიდღე პოულობს მხარდაჭერასა და საყოველთაო აღიარებას. წარსულს

18211

ბარდება მალაღფარდოვანი მტკიცებანი, თითქოს საკაცობრიო პროგრესში ღირებული წვლილი მხოლოდ იმ მრავალრიცხოვან ერებს და სახელმწიფოს შეაქეთ, ვისი შიშითაც მალა ჩიტს ვერ გაუფრენია და დაბლა ჭიანჭველას ვერ გაუვლია. ელადის ცხოველყოფელი მაგალითი ბევრის მიტქმელია, მაგრამ მიუღლომელმა კაცმა, თავის მეგობარ პლატონს რომ ჭეშმარიტება უჩვენებია, აქვე ისიც უნდა გაიხსენოს, რომ ელად ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩნდა: თუ თავიდანვე არა, შემდგომ მაინც იგი კულტურული ერგბის გარემოცვაში მოექცა, ერების იმ კულტურულ გარემოცვაში, რომლის შემქმნელი და პირველი მებაირაბტრე თვითონვე იყო. იქნებ თავი დაეიდაბლოთ და ცოტა უფრო ღრმად ვიფიქროთ იმ ერების ისტორიულ ბედზე, ასეული და ათასეული წლის განმავლობაში საკაცობრიო ცივილიზაციის ავანპოსტზე რომ იდგნენ, თანამდგომი და ხელის წამშველბელი არაიენ ჰყავდათ, აურაცხელი მსხვერპლისა და სისხლის ფასად ქვიშაზე უმრავლესი ურჯულო მტრის ბარბაროსულ შემოსევებს უმკლავდებოდნენ, განახევრდნენ, გამესამედდნენ, მდულარეში ჩაგდებული ყინულის ნატხივით დაილივნენ და მაინც შეინარჩუნეს ეროვნული სული და რწმენა, შესძლეს შეექმნათ სხვათა და სხვათა შესაშური დიდი ეროვნული კულტურა და დღესაც, კვლავაც მოუღლელნი და აღმშენებლობის ექსტაზით შეპყრობილნი, მარადიულ ღირებულებებს ქმნიან.

სომხეთი და ათასწლეულების ქარსა და წვიმაში ნაწრთობი სომეხი ერი იქ არის, იმ პირველთა შორის, ვისიც ასე ბევრი რამ მართებს კულტურულ კაცობრიობას, და ამის ერთ-ერთი ხელშესაბები საბუთი გეპარდის სამონასტრო ანსამბლია იგი რამდენიმე შენობისაგან შედგება. მათ შორის თვალში საცემი და პირველია მალალი გუმბათითა და ზედ წამოდგმული კონუსით სიერკეში აჭრილი მთავარი საყდარი-კატოლიკე წმ. მარიამის სახელობისა,

რომლისთვისაც მომდევნო ეპოქაში კარიბჭე მიუშენებიათ, ^{საქართველოში} გამოკვეთილი საყდარ-მღვინე და სარკეთვე კლდეში გამოკვეთილი აკლდამა და სენაკები.

განივ განაკვეთში, ისევე როგორც ყველა ქრისტიანულ საყულტო შენობას, საყდარს ოთხკუთხედში ჩახატული ჭვრის ფორმა აქვს. ჭვრის ხარბების გადაკვეთას დიდ სიმაღლეზე ატყორცნილი კამაროვანი თალი დაჰყურებს, რომლის ყელის ეიწრო სარკმლებიდან საყდარში დღის ბუნებრივი სინათლე შემოდის.

გეპარდის ეს მთავარი ტაძარი, თანახმად კედლის წარწერისა, 1215 წელს აუშენებიათ, როდესაც აღმოსავლეთ სომხეთი, ანისითა და ყარსითურთ, საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოდიოდა და მას ტახტის უმადლესი მოხელენი, ლორეში მჭდომი ამირსპარსალარები, სომხეთში ზაქარიანებად წოდებული მხარგრძელები განაგებდნენ. კარიბჭე, სარკმელები, გუმბათის ყელი და მთელი სამხრეთი ფასადი დაფარულია ფილიგრანული ოსტატობით შესრულებული ორნამენტებით, რომლებშიაც ქრისტიანული ტრადიციისათვის დამახასიათებელი ვაზის ლერწისა, კლერტოებისა, მტევნისა და ბროწეულის შტოს მოტივები ქარბობს. ფარშეიანგებს ბოლო მზის საათივით გაუშლიათ...

გეპარდში ბლომად ნახავ სომხურ ეროვნულ კმნილებათ — ხაჩკარებს, რომლებიც გალავნის და საყდრის სამხრეთი კედლის გასწვრივ ჩაუმწკრივებიათ.

ხაჩკარი (ხაჩ — ჭვარი) ორიგინალური ეროვნული ორნამენტებით შემყული ქვა-ჭვარია, რომელსაც, როგორც წესი, რაიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად, ანდა დირსეული ადამიანის საფლავზე დგამდნენ. შემდეგ და შემდეგ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვისიმე დამსახურებასა და ღვაწლს ზომი-წონის ერთეულებით ვერ განსაზღვრავ და პატივსაც იმის მიხედვით ვერ მიაგებ,

ხაჩკარები თანდათან გაბზირდა და სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე რამდენიმე ათეულ ათასს მიიღწია, თუმცა დანიშნულება კი უცვლელი დარჩა: საფლავზე დადგმული ხაჩკარი საფლავის ქვაა, საზოგადოების თავშეყრის ადგილზე კი ობელისკი.

არსებობს ერთი საველდებულო პირობა ყველა მოქანდაკისათვის, ვისაც ქვის მონოლითისაგან ხაჩკარის გამოკეთა განუზრახავს: ცერზე დაყენებული და ორმოციოდე სანტიმეტრის სიმაღლის პოსტამენტში ჩასმული ბრტყელი ოთხკუთხედის შუაწელში ყოველთვის ჭვარი, ხოლო ჭვარის ქვეშ დროის უსასრულობის გამომსახველი წრე იკვეთება. სხვა მხრივ ხელოვანს სრული შემოქმედებითი თავისუფლება ენიჭება. არამცთუ თავისუფალია, ის ვალდებულიც არის, ხაზებისა და სიმეტრიული გამოსახულებების თავბრუდამხვევ მეჭლისში მხოლოდ საკუთარ წარმოსახვას მისდიოს. ამიტომაც განმტკიცებულა აზრი, რომ არც ერთი ხაჩკარი, თუნდაც ათასობით ნახო და ერთმანეთს პროფესიონალური ჩაყარკიშალებით შეადარო, მეორეს არა ჰგავს და ყველას სათითაოდ სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ღირსებები გააჩნია.

ხაჩკარების შექმნის ხელოვნება მართოდენ შორეული წარსულის ხელოვნება არ არის. არამცთუ უახლოეს წარსულში, გუშინ და გუშინწინ, ხაჩკარებს დღესაც აქანდაკებენ და ჩვენი თანამედროვე საჭრეთლის ოსტატები ეროვნული ხელოვნების ამ დარგშიაც სახელგანთქმულ ძველ ვარპეტებს ღირსეულ მეტოქეობას უწევენ.

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გეპარდის მონასტერი ზაქარიან-მხარგრძელებისაგან თავად პროშინათა საგვარეულოს უყიდა, იგი თავის სამვალედ გაუხდია და აქ ახალი მშენებლობა გაუჩაღებია.

სხვა საყდრებთან შედარებით გეპარდის ლეთისმშობლის სახელობის საყდრის ერთი არქიტექტურული თავი-

სებურება ისიც არის, რომ მისი მურთხე კედელი მთლიანად პიტალო კლდეშია გამოკვეთილი. სამშენებლო ნაშრომის მშენებელი ხელოვნების განვითარების სამშენებლო მასალის მარტო ამ თავისებური გამოყენებით როდი დაკმაყოფილებულან. მათ შიგ კლდეში, სხვადასხვა დონეზე, ხუროთმოძღვრული საოცრება — ორი საყდარი-მღვიმე გამოკვეთიათ. საყდრებს ზემოთ, მესამე სართულად, თავად პროშინათა სიძეაღეა მოთავსებული.

კლდეში ზღაპრული ოსტატობით გამოკვეთილ ერთ-ერთ საყდარს, რომელსაც მთავარი საყდრის კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთი მხარე უჭირავს, აქვს წარწერა. ამ წარწერის თანახმად საყდარი 1283 წელს აუგიათ. აქვე, შეზოლილ და სანთლის ნამწვებით გათხვრილ ტალანის კედელთან, ბინულია, რომლის ყინულივით ცივი და ანკარა წყალი თავის დროზე სასწაულმოქმედად ითვლებოდა და ახლაც ასეთად ითვლება.

ბინულის ზემოთ, კედელში, ჩასმულია პროშინათა საგვარეულო ღერბი, რომელიც მთავარი საყდრის სამხრეთ კედელზე მიშენებული კარიბჭის თავზეც მეორდება.

რა გამოუსახავთ ამაყ პროშინანებს თავიანთ ღერბზე? სიბრტყიდან რელიეფურად ამოხეწილ ხარის თავზე ორი ლომია ჭაჭვით გამობმული, ქვედა ნაწილში კი ფრთაგაშლილ, მოზონე მთის არწივს ბრჭყალებით კრავი უჭირავს...

არცთუ ისე ადვილად გასაშიფრი ალეგორიამ მით უფრო არასპეციილისტისათვის. ვის ან რას უნდა ამხაბიერებდეს ასეთ უცნაურ ურთიერთმიმართებაში გამოსახული ხარის თავი, რკინის ჭვარი და ჭაჭვით ხარის თავზე გამობმული ლომები? არანაყლებ რთულია ღერბის ქვედა ნაწილის შინაარსიც, თუმცა ერთის შეხედვით აქ ყველაფერი დღესაც ნათელია.

რა დროა? 1283 წელი გარდა თარიღისა, მონასტრის გაყიდვისა და ახალი მფლობელის ხელში მისი გადასჯ-

ლის ისტორიული ფაქტიც რაღაც ერთობ მნიშვნელოვანსა და ანგარიშგასაწევს მიაჩნებოდა.

რა უნდა მომხდარიყო? რად უნდა გაემეტებინათ გასაყიდად შუა საუკუნეების უძლიერეს ფეოდალებს, მხარგრძელებს, სომხეთში ზაქარიაწებად რომ იყვნენ ცნობილი, საქართველოს სამეფოს ამირსპარსილარებს, თავიანთი მამაპაპური საძვალე? ნუთუ დრომ უმუხთლათ და ოდესღაც, დიდი თამარის ეპოქაში, დიდების მწვერვალზე ასულნი ბოლოს ასე გლარიბდნენ და დაეცნენ? ნუთუ სამეფო კარის წყალობა დროთა განმავლობაში რისხვით შეიცვალა?

ყველა ამ საკიბობოროტო კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა იოლი საქმე არ იქნება, დაბეჭდვით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხეთიც და საქართველოც ამ დროს საშინელ გასაჭირში იყვნენ ჩავარდნილი: ჯერ ზორბეგშაჰა ჯალალედინის შემოსევით მიყენებული ჭრილობებიც არ მოეშუშებინა, რომ ქვეყანას ახალი სულთამბუთავი კოჭლი თემური შემოესია და ოდესღაც აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი, ამჟამად კი საფუძვლებმორყვეული სამეფო მიწასთან გასწორა.

თემური, ნაპოლენონ ბონაპარტეს მსგავსი ავანტურისტი, ვინმე უჯვარო კაცის შვილი იყო. თავდაპირველად შუა აზიის თათართა საამიროს დაქირავებულ ჯარში, იმდროინდელი ქართულით როჭის სპაში მსახურობდა უბრალო ათისთავად, შემდეგ კი მთავარსარდლობას მიაღწია. ერთ-ერთ ბრძოლაში თემური ფეხში დაიჭრა, სამუდამოდ დაჭოჭლდა და ამის გამო ლენგი — კოჭლი შეერქვა. მალე მან მთელი შუა აზია დაიპყრო, სამარყანდი სატახტო ქალაქად აქცია და თავი ემირად გამოაცხადა. დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობად დამარულ მონღოლთა ურდოებს, რომლებიც მალე საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყალზე შემოვიდნენ და აქ თავიანთი ილხანები დასვეს, თემურის სახით საშიში მოწი-

ნაღმდემე და კონკურენტ გაჟოუნდა.

ერეკლემე

1386 წელს, გეგუზდუქმან-მღვიმეების მშენებლობა იყო გაჩაღებული, თემურ ლენგმა თავრიზი აიღო, სწრაფი ლაშქრობა განაბორციელა, პირი ჩრდილოეთისაკენ იბრუნა და მალე სომხეთსა და საქართველოშიაც შემოვიდა. დაეცა ჯერ ნახიქევანი, შემდეგ გარნის ციხეც. აქედან არაბატის ველი-საკენ, ყოველი ახალი აოხრებისა და გამარტახების შემდეგ ხელახლა რომ მოშენდებოდა ხოლმე, გზა ხსნილი იყო ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა, ვისაც ხელში იარაღის აღება და ვერავი მტრის დასახვედრად გამოსვლა არ შეეძლო, დედაბუდიანა აიყარა, გაიხიზნა და თავი სასუნის მთებს შეაფარა.

თემურ ლენგი ერთ-ერთი უსასტიკესი დამპყრობელი იყო ყველა იმ უსასტიკეს დამპყრობს შორის, ვინც კი საქართველოსა და სომხეთის მრავალტანჯულ მიწას ოდესმე უნახავს. თავისი მხეცური მძევნეარებით, კაცთმძულეობით და სისხლის წყურვილით იგი თვით არაბ სარდალ მურვან ყრუსაც კი ავირბებდა, რომელმაც მეშვიდე საუკუნეში, საყოველთაო არაბობის შავ-ბნელ ხანაში, საქართველო დალაშქრა და თავის კაცობაშია ფანატიკოს ჯარისკაცებს ძუძუთა ბავშვების კალო აღეწვინა.

შემორჩენილი ლეგენდის თანახმად, თავისი შეუხედავობის გამო მთელ კაცობრიობაზე შემომწყრალ და შურისძიებით აღესილ თემურ ლენგს ბრძოლის ველზე მოპოვებული ათასობით მოკვეთილი თავი სამარყანდს გაუგზავნია და უბრძანებია, თავებისაგან მეჩეთი აეშენებინათ და როდესაც ააშენესო, მოგვიტხოვრობს ლეგენდა, თავად ამ მეჩეთში სალოცავად დაიარებოლო.

თემურმა რამდენჯერმე ილაშქრა სისხლისაგან დაცლილ საქართველოში, თავადაც დიდი მსხვერპლი გაიღო და სამშობლოს თავგამოდებულ დამცველთაგანაც ბევრი იმსხვერპლა, მაგრამ ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობა მაინც

ვერ შესძლო და უკან კუდამოძუებული დაბრუნდა. ყველა ამ შემოსევის დროს ბრძოლის უმთავრეს ასპარეზად სომხეთის დაბლობები, უღელტეხილები თუ საქართველოში გადმომავალი გზები და გზაწერილები იქცეოდა ხოლმე და რა გასაკვირია, თუ ადგილობრივი მოსახლეობა აუწერელ შევიწროებას, რბევას და ტანჯვას განიცდიდა.

სიტყვა „აუგიათ“, კლდეში გამოკვეთილ საყდარ-მღვიმის მიმართ ზემოთ რომ ვიხმარე, რასაკვირველია, ის სიტყვა არ არის, რომელიც შეიძლება კაცმა ამ კონტექსტში გამოიყენო. აგება, აშენება ხომ ქვის ქვაზე, აგურს აგურზე დადებას გულისხმობს, აქ კი, იმის მაგიერ რომ აშენებინათ, აეგოთ, საყდრის მთელი ინტერიერი მასიურ კლდეში გამოკვეთეს.

მოხელები კლდესთან ჭიდილს ზემოდან იწყებდნენ. ჯერ ამოკვეთდნენ ვიწრო, მრგვალ ხერელს მომავალი საყდრის ცენტრალური გუმბათის შუაგულში, ასე რომ კაცი შიგ ვაჭირვებით ჩატეულიყო, თანდათან ქვემოთ მიიწეოდნენ, წელშიაც თანდათან იმართებოდნენ და მონატები ქვები იმ ხერელით ზემოთ აჰქონდათ. ასე გრძელდებოდა დღითიდღე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, უდიდესი მოთმინებითა და რუდუნებით კვეთდნენ ისინი კლდეში საყდარს, ღვთის სახლს, კვეთდნენ იმ ნახაზისა და მაკეტის მიხედვით, რომელიც წინასწარ მოამზადეს. ასე რომ არ ყოფილიყო, სტიქიურად, წინასწარ დასახული გეგმის გარეშე მსგავსი რამ არ კეთდება. კლდეში გამოქანდაკებული საყდარი-მღვიმეები ქვაზე კვეთის იმავე მაღალი ხელოვნების დაღს ატარებს, რაც ხაჩკარებს და ჩვეულებრივი წესით ბალავარზე აშენებული ეკლესია-მონასტრებს თუ საერო ნაგებობებს ახასიათებთ.

ვინ იცის, დილაადრიან მღვიმეში ჩასულ და მუშაობაში გართულ ქვეთხუროებს, ბერული ულუფით გამოფი-

ტულთ და ღონეგამოლუქულ რაღდნჯერ ისე დაღამებით და თავზე დასთენებით, დღე-ღამის მარტყვლები ვერც კი შეუტყვიათ!

დააბიჯებ ახლა, ამდენი საუკუნის შემდეგ, საყდრის მაღალ ბჭეებზე, ასკქერი გუმბათს, სიერცეში რომ ლაღად ატყორცნილა, ხელით სინჯავ მკვიდრ სვეტებს და კამარებს, ზემოდან, ფრიალო კლდის უზარმაზარი სიმძიმე რომ აწევთ, პოულობ თაღის შუაგულში დატოვებულ ხერელს, საიდანაც დღის სუსტი სინათლე ჩამოდის და აქამდე რომ შენობის არქიტექტურული დეტალი გეგონა და არამცთუ განცვიფრება, გაოგნება გიპყრობს, რამდენი ღამ შესძლებია კაცის სასწაულ-მოქმედ მარჯვენას, თუკი მას წინ კეთილი ზრახვა და იდეალი მიუძღვის!

ვინ იყვნენ ეს საარაკო ოსტატები, ვისი ხელითაც აიაზმის წყალივით წმინდა აზატის კლდეებში უნიკალური საყდრები, აკლდამები, ტალანები და სენაკები გამოიკვეთა? მათი ვინაობა არ შემოუნახავს ისტორიას. ის ხანდახან, როგორც არა ერთჯერ დაერწმუნდით, საკვირველ გულმაიწყობას იჩენს. ჩვენ შეუცდომლად ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ისინი ამ მიწა-წყლის ღვიძლი შვილი სომხები იყვნენ და განა ეს ცოტაა? რადგანაც ეს ვიცით, მისასაღამე, არც ის შუა საუკუნეების სისხლის წვიმების დროს მოღვაწე ვარპეტები, პოლოსა, ხაჩიკა თუ ერვანდა დაკარგულან, კვლავ ცოცხალნი არიან და ცოცხალნი იქნებიან, სანამ დედამიწის ზურგზე სომხური სიტყვა გაისმის, სანამ თუმანიანისა და ისააკიანის მადლიანი სტრიქონი დაჩაგრული კაცის გულს საღბუნად ედება, სანამ ჟღერს კომიტასის დეთაებრივი მელოდია და სანამ წიწერნაკებერდის მთაზე, ქართულად რომ მერცხლის ბუდე ქვია, ყოველი წლის 24 აპრილს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული ერთსული და ერთხორცი ხალხის დაუსრულებელი ნაკადი არ შემწყდარა!

შეუძლებელია, გეპარდიდან ისე გამოხვიდე, რომ ზედ კარიბჭესთან, გალავნის კედელში ჩასმულ თეთრი მარმარილოს ფილასთან არ შეჩერდე და არ იკითხო, აქ რა წერია. ფილაზე ამოტვიფრული სომხური ტექსტი მოგვითხრობს, რომ მრავალი თავდასხმის, მიწისძვრების და სხვა ატმოსფერული მოვლენების შედეგად საუკუნეების განმავლობაში სამონასტრო კომპლექსი საგრძნობლად დაზიანდა და მისი რიგიანად შეკეთება-აღდგენა, რათა მონასტერს მისი პირველქმნილი სახე მიეღო, დიდძალ სახსრებს მოითხოვდა. ეს სახსრები გულთა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს, წარმომობით სომეხ ელუარდ მარტიკიანს, მას საჭირო თანხა წმ. ერმიადინისათვის შემოუწირავს და იქვე უთხოვია, იგი გეპარდის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციოდ გამოეყენებინათ.

ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის, ვაზგენ პირველის ნებითა და ლოცვა-კურთხევით ამერიკელი თანამემამულის მიერ შემოწირული დოლარები მადლიერებით იქნა მიღებული და დანიშნულების მიხედვით დაიხარჯა — ცოტა ხნის წინათ გეპარდს ერთობ ძვირად ღირებული და ინიერული თვალსაზრისით აუცილებელი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

— ნეტავი თუ ყოფილა ეს გულმხურვალე ამერიკელი მშობლიურ სომეხეთში? — გვითხე გვეორკ ზაჩატრიანს, როცა დაღმართი ჩავათავეთ და ანკარა აზატის პირას, მტირალა ძეწნის ჩრდილში მანქანაში ვსხდებოდით. — იქნებ არც ყოფილა?

— ძნელია თქმა, მე ზუსტად ვერაფერს მოგახსენებთ. — შეწუხდა გევორქი, რომ მისი აზრით ასე უბრალო რამ არ იცოდა. — მაგრამ ის კი შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ არც თვით ელუარდ მარტიკიანი და არც მისი მშობლები სამშობლოში არ დაბრუნებულან!

ბიჭი ხარ და ნუ ჩაფიქრდები! რა შეიძლება აიხსნას შეცნობილი გეგორიებით? რა არის ელუარდის მიზანმიმართული სამშობლო? რა არის ის ილუმინალი, გონებისათვის ჭერაც მიუწვდომელი ძალა, ადამიანთა დიდ თუ მცირე ჭგუფებს ერთ განუყოფელ მონოლითად რომ კრავს და ერთი ბედ-იბღლის სალტეში აქცევს? ვითომ ყველაფერი ავსხენით და ერთხელ და სამუდამოდ გაუარკვიეთ? ვისაც რა ნებავეს, ისა ბრძანოს, მე კი არა მგონია. ადამიანთა საზოგადოების წიაღში ღრმად ჩაფლული ეს საიდუმლოება ისევე რთულია, როგორც ციურ მნათობთა მიმოქცევის კანონები, დროისა და სივრცის უსასრულობა, იქნებ უფრო რთული და ძნელად მისაწვდომიც, ვინაიდან იგი სულის სფეროს განეკუთვნება და ვერ აიხსნება იმ ცნებებითა და კატეგორიებით, რომლებითაც ჩვენი, შემემცნებელი ადამიანები, მატერიალური სამყაროს ხელშესახებ საგნებს აღვნიშნავთ!

ქარივით ჩაეჭროლეთ უკან ორმოციოდე კილომეტრი, რაც ხეობაში მიკარგულ გეპარდს დედაქალაქისაგან აშორებს, მარცხნივ, სერზე დავტოვეთ აღრიანი გაზაფხულის სიმწვანით გამოცოცხლებული სოფელი გარნი, რომლის უკანაც ციციანო კლდის პირას თავის წარმართულ ფიქრებში ჩაძირული რესტავრირებული ტაძარი მოჩანდა, ელიშე ჩარენცის თალი, ჯანლით შებლშებურვილ არარატ-მასისს რომ ვაყუარებდა, უკან ჩამოვიტოვეთ ბიბლიური მთის კალთაზე შეფენილი კიდევ რამდენიმე სოფელი და ერთბაშად ტაფობში ჩაწოლილი ერცენის განაბირა საცხოვრებელ მასივში — ნორკში აღმოვჩნდით.

— არ დაიღალეთ? — უმცროსი კაცის მორიდებით მკითხა გევორქმა. — თუ დაიღალეთ, სასტუმროში მიგიყვანთ, „რაზდანი“ აქვეა, ვისადილოთ, ერთი ორი საათი დაისვენეთ და საღამოს ისევ განვაგრძოთ ჩვენი ოდისეა.

— ვატყობ, ბოროტად ვიყენებ თქვენს მოთმინებას და ამტანობას, —

გულწრფელად ვუბასუხე მე. — თავად დიდილეთ და თანაც სხვისი ხათრის გულისათვის რამდენჯერ შეიძლება კაცმა ნახოს ერთი და იგივე!

— რასა ბრძანებთ!.. — შორს დიჭირა გვეორქმა. — რამდენჯერაც არ უნდა ვნახო, ჩემთვის მაინც ცოტაა, მაინც პირველი ნახვია. აი, თქვენ რომ აღტაცებული ათვალერებდით გეპარსს, მეც სრულიად ახალი კუთხით დავინახე და ბევრი ისეთი რამეც აღმოვაჩინე, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდი!

— ყოჩად, გვეორქ! ისე ვერა ვთქვი, როგორც საჭირო იყო. ზუსტად მაგ სიტყვებით უნდა გეპასუხათ! არჩევანი ჩემზეა?

— რასაკვირველია!

— დრო ისე ცოტა გვაქვს მოზომილი, დასვენებისათვის, რა ვქნა, ვერ გამოიტეხია და ნუ დამემდურებით. მოდიეთ, განვაგრძოთ და, რაც შეეხება სადილს, ვინ რას გაგვიგებს თუ ვაზმად გადავაქცევთ?

— ნება თქვენია, მე და სერგო მზად ვართ, მხოლოდ სიამოვნებას და სიხარულს გამოვთქვამთ, როგორც სომხები, რომ პატივცემული სტუმარი ჩვენი სამშობლოს დირსშესანიშნაობებით ასე ცხოველ დაინტერესებას იჩენს. ხომ მართალს ვამბობ, სერგო?

— აბა, რა, — შოფერმა ხარის ქედით ღონიერი კისერი ოდნავ მოიღრჩვა და ცალი თვალით გამოშხედა. — გინდა, დილაზე გატაროთ, თქვენ მხოლოდ გაისარჯეთ და მიმართულება მიკარნახეთ. ბენზინი გვაქვს, გზა კარგია, გუნებაც მშვენიერი, სხვა რაღა გვირდა?! —

— მაშ, ახლა საით? — გვეორქმა ისევე მე მომმართა.

— კარგი იქნებოდა, თქვენი არქეოლოგების მიერ ახლახან გათხრილი ერებუნის ციხე გვენახა, ურარტუს სარკმელში შეგვეპერიტა, შემდეგ საყვავილე მალაზიაში ან ბაზარში შევსულიყავით, ყვავილები გვეყიდა და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს ეწვეოდით კომიტასის სახელო-

ბის პარკში. მაინტერესებს, ვინ არის იქ დაკრძალული და, ამას უკრძანებულებო როდი იქნებოდა, ყველამსწამარჩხმამს პირადი პატივისცემა გამოიხატა.

— ბატონი ბრძანდებით! სერგო, აბა, მოატრიალე შენი იორლა, ერებუნის ციხისაკენ მივდივართ!

ერევანში, როგორც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთმა უძველესმა დასახლებულმა პუნქტმა და არა სომხეთის დედაქალაქმა, ამას წინათ რომ დაბადების ორი ათასი შეიდას ორმოცდაათი წელი იზეიმა, ამას საფუძვლად ათასწლეულების განმავლობაში მიწის რამდენიმე ფენით დაფარული და აგერ ჩვენი დროის ისტორიკოს-არქეოლოგთა მიერ გათხრილი ერებუნის ციტადელის წარწერები დაედო.

ზეიმის დაუვიწყარ დღეებში, რომელმაც უაღრესად ფართო მასშტაბი და გაქანება მიიღო, ამ წარწერათა ასლები მეცნიერებმა ქალაქის ცენტრში, სიონისტორიო მუზეუმის წინ გამოფინეს და ყოველ მსურველს შეეძლო მათ გასცნობოდა.

„შეუბრალებელმა დრო-ქაშმა წარხოცა პირისაგან მიწისა ასირიის დედაქალაქი ნენვეია, — ვკითხულობთ ერთ-ერთ საცნობარო ხასიათის ნაშრომში, რომელიც ერევანში შევიძინე. — დაემხო დიდი ტროა, დაინგრა კართაგენი, ბედმა უმუხთლა ტიგრანაკერტს, დვინსა და ანისს, მხოლოდ ერევანს ხედა წილად ყველა განსაცდელი გამოველო და ჩვენამდე მოეღწია.“

• დიხაც რომ ამაყი სიტყვებია და საამაყოც ბევრი რამ არის!

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 782 წელს, ახლანდელი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არინ-ბერდის ბორცვზე წამოდგმული ციხე-სიმაგრეთა კომპლექსის ერთ-ერთ ქვაზე, მრავალი საუკუნის შემდეგ ისტორიკოსმა-არქეოლოგებმა რომ იპოვნეს და მეცნიერების საკუთრებად აქციეს, ჭკისმთლელის საქრეთელმა ურარტული ლურსმულით ამოკეთა: „ღმერთ ქალდეს დიდებით არგიშტიმ, მენუას ძემ, ეს მტკიცე ციხე-სიმაგრე აღაშენა ბაიანილის ქვეყნის

ძლევამოსილებისათვის მტრული ქვეყნების დასაშინებლად და მას სახელად უწოდა ერებუნი“.

ისტორიკოსებს მოეპოვებათ ამ ფაქტის დამადასტურებელი სხვა წყაროც, მატიანე, სადაც იგივე „არგიშტი, მენუას ძე“ თითქმის იმავე სიტყვებით, მაგრამ ცოტა უფრო ვრცლად და ბელეტრისტის მოშველიებით ციტადელის აგების ამბავს მოგვითხრობს, ეს წყარო „ერებუნად“ არა მარტო ციხეს, არამედ არგიშტი მენუას ძის მიერ დაარსებულ მთელ ქალაქს იხსენიებს. ქალაქი ერებუნი მე, არგიშტმა, მენუას ძემ, ქვეყანა ბიანილის ძლევამოსილებისათვის ავაშენეო, გადმოგვცემს ამაყი ხელმწიფე თავისი მემკვიდრის პირით, რათა მტრული ქვეყნები დამეწყნარებინაო. მიწა უდაბური იყო. სანამდე მე აქ მოვიდოდი, არავის არაფერი ავაშენებინაო. ქალაქის მშენებლობას რომ მოვრჩი, დიდი საქმე ვქენ: იქ ქვეყნების — ხატესა და ცუბანის ექვსი ათას ექვსასი მეომარი დავასახლეო.

აქ ბევრი რამ არა მარტო ჩემთვის, მოყვარულისათვის, არამედ თვით ძველი აღმოსავლეთის ისტორიის გამოცდილი მკვლევარისათვისაც უცხო და გაუგებრად გამოიყურება. შეუჩვეველ ყურს ერთობ ეხამუშება სახელები ქვეყნებისა, როგორც ბიანილი, ხატე ან ცუბანია. ვინ იყო ეს ძველი ხალხი, რომელთაგან პირველის — ბიანილის ძლევამოსილებისათვის, მისი „მტრების დასაწყნარებლად“ ციტადელი და ქალაქი ერებუნი აშენდა, ხოლო მეორეთა ჩარისკაცები, რიცხვით ექვსი ათას ექვსასი კაცი, არგიშტის ნებითა და ბრძანებით, ერებუნის პირველი მოქალაქეები გახდნენ? იყვნენ თუ არა ისინი სომეხთა მონათესავე ტომები, რომელთაც დროთა განმავლობაში, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ვანისა და ურმიის ტბების სამხრეთ ნაპირებიდან დაიხიეს?

ეს კითხვები, ალბათ, პირველად არ დასმულა. მაგრამ რადგანაც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ ერე-

უნისა და ერებუნის სახელწოდებითა იგივეობა ეპიქურიანულ ფაქტად სცნო, იმედი უნდა ექონოთ, რომ საიდუმლოებით მოცული სხვა გარემოებებიც ამოიხსნება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

გადმოცემის თანახმად, ციხე-სიმაგრე ერებუნი თავდაპირველ სიმტკიცეს და მნიშვნელობას სავაჭრო და სტრატეგიული გზების შესაყარზე ურარტუს დაცემის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებდა. ეს უძველესი და უდიდესი საფორტიფიკაციო ნაგებობა, გაცილებით ნავიანევე ვინძორის ციხე-დარბაზს რაღაცით რომ გაგონებს, არამცთუ მაშინ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, დღესაც ჩინებულად გამოიყურება და ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში ციტადელს მიწის სქელი ფენები ფარავდა და მისი კვითკირის კედლები ატმოსფერული მოვლენების დამანგრეველ გავლენას არ განიცდიდა.

არქეოლოგებმა, რომელთაც, ეტყობა, მთელი მილიონიანი ქალაქი ეხმარებოდა, გრანდიოზული სამუშაო შეასრულეს, მრავალი ათასი ტონა გრუნტი გათხარეს, გაიტანეს, იდეალურად მოასუფთავეს აქაურობა და ციტადელის თვალშეუდგამი კედლები, რომელთა შიგნითაც ქუჩაბანდებით დაქსელილი ქალაქი ერებუნი იყო გაშენებული, კვლავ სამზეოზე ამოიყვანეს. შემორჩენილია ქალაქის საერთო გეგმა, მისი საზეიმო დარბაზებით, საკულტო ნაგებობებით და სასახლეებით, რომლებშიაც, ალბათ, მეფე არგიშტი, მენუას ძე, და მისი შთამომავლები, აგრეთვე იმდროინდელი საზოგადოების უმაღლესი წოდების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

— უცნაურია — ვუთხარი გევორქს, როდესაც ფეხქვეშ განრთხმულ, აქაიქ მოციხდრო კვამლგადაკრულ ქალაქს ზემოდან დავცქეროდით. — ასე მგონია, სან ნიკოლოს ბორცვზე ვარ, სადაც ჯუზეპე გარიბალდის უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება აღმართული, დ:

რომს გავყურებ. მე იქ ვმდგარვარ, როცა მზე ჩადიოდა და თეთრი ქვის, თითქოსდა სპილოს ძვლისაგან გამოყოფილი ქალაქი რაღაც უცნაურად იყო განათებული. აი, დააკვირდით, მზე ახლაც ჩადის, გავარვარებულია, და ვარდისფერი ქვის ქალაქს სხივების ფენტასტიკურ აბლაბუდაში ხევეს. თავის უძლეველობასა და ყოვლის შემძლეობაში ღრმად დარწმუნებული მეფე არგიშტი უნდა იდგეს ახლა ჩვენს გვერდით და ვარდისფერი ქვის ქალაქის განუყოფელ მშვენიერებას ხედავდეს!

— მაბატიეთ და, ეგ თქვენი პოეტური მეტაფორაა, — გაიღიმა გვეორქმა და თავი გააქნია, თუმცა ვატყობდი, გულში მეთანხმებოდა, მაგრამ ბუნებითი თავაზიანობა ნებას არ აძლევდა, ეს რითიმე გამყლავნებინა. — რომამდე ჯერ შორია. ისე, რა დაგიმალოთ, ჭიუტი და უინიანი ხალხი კი ვართ და იმედს არ ვკარგავთ, რომ ადრე თუ გვიან რაღაცას ჩვენც მივალწევთ!

— ვისაც შეუძლია, თითქმის ცარიელ ადგილზე ნახევარი საუკუნის განმავლობაში დღევანდელი ერევანი ააშენოს, ამას მარტო ვისიმე სასიამოვნოდ როდი ვამბობ, გვეორქ, ასსა და ორას წელწინაში, თუ ტუმბი იგივე იქნა, რაშიაც ეჭვი სრულებითაც არ შეპარება, გაუგონარი ძვრებია მოსალოდნელი!

— ღმერთმა გისმინოთ! — გვეორქმა მხრები აიჩეჩა და ისევ გაიღიმა, მეტი აღარაფერი თქვა.

ურარტუს სამეფო, როგორც ცნობილია, თავისი საბოლოო დაცემის კვირბაღზე დამპყრობ სახელმწიფოთა ორმხრივ შემოტევებს განიცდიდა. სამხრეთიდან მას ასირიელები, შემდეგ კი მიდიელები აწვებოდნენ, ხოლო ჩრდილოეთიდან, დონის ტრამალებიდან და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებიდან სკვითები შემოიჭრნენ. ჯერ კიდევ ასირიელთა მძვინვარე მეფის, სარგონ მეორის, განუწყვეტელი თავდასხმებით ღონემიხდილი, პა-

ტარ-პატარა სამთავროებად დაყოფილ-დაქსაქსული ურარტუ მიდიელთა... დი სკვითთა ლაშქრობებმა, წელში საბრლოოდ გატეხა და, როგორც სახელმწიფომ, ჩვენს ერამდე 585 წელს ცოდილი სული თავის ღმერთს ჩააბარა. სკვითებმა აიკლეს, გაბარცვეს და მიწასთან გაასწორეს მისი მთავარიანი ჩრდილო რაიონები, ნაყოფიერ სამხრეთს კი, სადაც დამკეული ქვეყნის აღმინისტრაციული ცენტრები იყო განლაგებული, კაცობრიობის ისტორიის ასპარეზზე ახალი გამოსული მიდიელები დაეპატრონენ.

იქნებ ეს ძველთაძველი, ისტორიის მტვერწყაყრილი ამბები არც გამეხსენებინა და მკითხველი არ დამეღალა, ოდესღაც ცამდე ამალღებულ ურარტუს დაცემასთან დიდი სომხეთის სახელმწიფო გაერთიანების წარმოქმნა და არარატის ველზე ახალი სატახტო ქალაქების — ჯერ არმავირის, შემდეგ ერვანდაშატისა და არტაშატის, ხოლო მოგვიანებით დვინის აღმოცენება არ იყოს დაკავშირებული.

მეცნიერების მიერ უკვე გაზიარებული ჰიპოთეზას, რომ ურარტუსდროინდელი ერებუნი და ერევანი ერთი და იგივე ტოპონიმის სხვადასხვა სახეა, ისიც კვირს უკრავს, რომ ერევანი, როგორც სომხეთის თვალსაჩინო საეპქრო, კულტურული და აღმინისტრაციული ცენტრი, ყველაზე ადრინდელ საისტორიო წყაროში, სადამდეც კი მეცნიერებას დღესდღეობით ხელი მიუწვდება, მეშვიდე საუკუნის დამდეგს იხსენიება. 607 წელს სატახტო ქალაქ დვინში საეკლესიო კრება გამართულა, რომელსაც კათალიკოსი აბრაამი თავმჯდომარეობდა. კრების მონაწილეთა სიაში, რომელიც ისტორიკოს უბტანესის ხელით არის შედგენილი, მოხსენიებულია ციხე-ქალაქ ერევნის წარმომადგენელიც.

არსებობს მეორე სარწმუნო წყაროც: სომეხი ისტორიკოსი სებეოსი, როდესაც არაბთა ნახევრად ველური ურდოების შემოსევის ამბებს მოგვითხრობს, წერს, რომ 642 თუ 643 წელს

მათ ალყა შემოარტყეს ერევანს, მაგრამ ქალაქის დამცველები მტერს მაგრად დაუბედნენ, თავჯანწირვით იბრძოდნენ და ისინიც იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, აქაურობას გასცლოდნენ.

ისტორიის შავ-ბნელ ხანად ცნობილმა დიდმა არაბობამ საქართველოსა, ალბანეთსა და სომხეთში სამ საუკუნეს გასტანა. მსოფლიოს დასაპყრობად აღძრულმა არაბებმა მაშინ არა მარტო კავკასიის ქრისტიანული ქვეყნები დაიპყრეს, არამედ მთელი ჩრდილოეთ აფრიკა და ევროპის კონტინენტის სამხრეთი გადათელეს, პირინეის ნახევარკუნძულზე დამკვიდრდნენ და თავიანთი მსოფლიო სახელმწიფოს — ხალიფატის ცენტრად ანდალუზიის მეფეთა სატახტო ქალაქი სევილია გამოაცხადეს.

სევილიაში დღესაც შეიძლება ნახოს კაცმა აღმოსავლური არქიტექტურული ფორმებითა, შინაგანი ბრწყინვალეობით, ავეჯითა და გობელენებით განთქმული პედრო მრისხანის ციხე-დარბაზი, არაბთა ხალიფების მეფური რეზიდენცია. ეს თვალისმომკრელი ციხე-დარბაზი, შიგნით მოთავსებული ფერადი მარმარილოს აუზებით, შადრევნებითა და ყვავილნარებით, მასთან ერთად ბევრი სხვა სასახლე და სასახლეების მთელი ანსამბლები მავრიტანული სტილით არის აგებული, რასაც პირინეის ნახევარკუნძულსა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე არაბების, იგივე მავრების, ბატონობას უკავშირებენ და რამაც შემდეგ გავრცელება სხვა ქვეყნებშიაც ჰპოვა.

გარდა ესპანეთისა, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქიდან მოსული დამპყრობელი არაბები თავიანთ კანონიერ, ზენაარისაგან ბოძებულ სამფლობელოებად რომ თვლიდნენ და სადაც თავიანთ აღმშენებლობით უნარსაც ავლენდნენ, მათ არსად არაფერი აუშენებიათ. არ აუშენებიათ, რასაკვირველია, არც ალბანეთსა, სომხეთსა და საქართველოში, პირიქით, წვაედნენ და ანგრევდნენ, ქვეყნებს მიწასთან ასწორებდნენ და ურჩ ადგილობრივ მოსახლე-

ობას წარმოუდგენელი სისასტიკით უსწორდებოდნენ. სისხლენმკვდრელობის ბოლო არ უტანდა ქანამდე გაგრძელდა, სანამ კავკასიულმა ქრისტიანებმა ერთმანეთის მხარეში დღომით არაბთა ჯოჯოხეთური ბატონობის უღელი ქედიდან არ გადაიგდეს და თავიანთი ქვეყნები ნაწილ-ნაწილ არ გაათავისუფლეს.

არ იქნებოდა ურიგო აქვე იმის გახსენება, რომ განუწყვეტელ ომებში შედარებით დასუსტებული ხალიფატი ერთხელ უკვე დაპყრობილ და უკვე თავისად მიჩნეულ ტერიტორიებს ყველგან როდი თმობდა. ეს დათმობა იძულებითი იყო და ადგილობრივი მოსახლეობის შეურიგებელი ანტიარაბული მოძრაობით აიხსნებოდა, რაც აურაცხელ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. ევროპაში, კერძოდ, პირინეის ნახევარკუნძულზე, ესპანეთში, სხვათაგან იბერიასაც რომ ეძახოდნენ, მათი ბატონობა თითქმის შეიძინა საუკუნე გაგრძელდა და ესპანელი ერის კულტურულ ფიზიონომიაზე, ისევე როგორც აქაური ქალაქების გარეგნულ სახეზე, ამ ბატონობამ წარუშლელი კვალი დასტოვა.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ და ყველას დამსახურებისდა მიხედვით მივუზღავთ, მივალთ დასკვნამდე, რომ სომეხ-ქართველ-ალბანელთა ხმალიაუგებელი ბრძოლა შავი ჭირვით მოდებული არაბობის წინააღმდეგ საერთო-ევროპული ბრძოლის განუყოფელი ნაწილი და ამ ხალხების დაუფასებელი წვლილი იყო, რომელიც მათ რენესანსისწინა საკაცობრიო ცივილიზაციაში შეიტანეს.

10

— აქ სად გაეჩრდიო? — ვკითხვთ თანამგზავრებს, როდესაც მანქანამ სელა შეანელა, სხვა მანქანების უწყვეტ ნაკადში მოხერხებულად გაძვრა და რკინა-ბეტონის მრგვალი ცილინდრებისაგან შემდგარი შენობის გვერდით ტროტუარს მიადგა.

— თქვენ ხომ თქვით, ყვაილები ვიყიდით და აი, ჩვენც მოვედით! — მიპასუხა გვეორკ ბატონიანმა და კარი გამოიღო. — თუ შეიძლება, თქვენ აქ დაგველოდეთ, მე და სერგო ვაიქცევით და წუთში ყვაილებს მოვიტანთ!

— როგორ გეკადრებათ, — ვიუარე მე. — ჩემს მისატან ყვაილებს თქვენ როგორ იყიდით, ეგ რალას ემგვანება! ჭერ ეს მოთხარით, სად ვართ? იმდენი ვიტრიალებთ, ადგილი ვეღარ მოვიშვებ!

— ლენინის პაროსპექტიდან შემოვეუხეით, რადგანაც იქ მანქანების გაჩერება აკრძალულია, მით უფრო დგომა. უცნაური შენობაა, არა? — გვეორკმა შემამჩნია, მოდერნული სტილის კაპიტალურ ნაგებობას მუშტრის თვალთ რომ ავხედ-დავხედე. — თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. რაც გარედან არის, შიგნიდანაც იგივეა!

— ეს ცილინდრები, თუ ღმერთი გწამთ, რა დანიშნულებას ასრულებენ?

— ცილინდრებში ექსპოზიციებია მოწყობილი. დღეს, რაკი პანთეონში მივდივართ, დათვალიერებთ, ალბათ, ვეღარ მოვასწრებთ, ხვალ ან ზეგ კი, როგორც იტყვიან...

— შენანება, ასე უბრალოდ გვერდზე როგორ ჩავუაროთ. ეს იგივეა, თაროზე მეგობრის წიგნი დაინახო და, თუ არ იყიდი, ხელში მიიხეც არ აიღო და არ გადაფურცლო.

— გვეპატიოს დროის უქონლობის გამო!

— ეს სახვითი ხელოვნების ერთადერთი მუზეუმი?

— მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებისა, აკი მოგახსენეთ. სურათების სახელმწიფო გალერეა, ასე ვთქვათ, ჩვენი ლუვრი, — გვეორკმა გულიანად გაიციხა და თმაზე ხელი გადაისვა. — ლენინის მოედანზეა, საისტორიო მუზეუმის გვერდით. ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად ჩვენ იქ ვიქნებით. არავენ წასულა ჭერ ერეენიდან ისე, რომ სურათების სახელმწიფო გალერეა არ ენახოს. აქ, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, თითქმის სველი

ტილოები და სკულპტურული ძეგლები მოაქვთ, თანამედროვე ხელოვნების პირდაპირ მხატვრის ხელნაწერს ასე რომ, თუ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ერთგული დამთვალიერებელი იქნებით და აქ პერიოდულად ივლით, შეგიძლიათ თვალი მიადევნოთ, საით მიდის უახლესი სომხური ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა. ჩვენ ვამაყოფთ ამ ჩვენი ეროვნული მონაპოვით. ვიცით, ასეთი რამ ყველას არა აქვს...

მათ შორის არც ჩვენ, ქართველებს-მეთქი, კინალამ წამომცდა, მაგრამ თვით აღიარებაც კი არ შესიამოვნა და თავი დროზე შევიკავე. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს ვინა ჩივის, ხეირიანი, დროის ყველა მოთხოვნის მიხედვით ნაკარნახევი სამხატვრო გალერეაც ვერ აგვიშენებია, რომ ჩვენი მხატვრები, გარდასული დროისა თუ თანამედროვენი, პროგრესულ სარეცელზე არ დავაწვიოთ და არა მათი შემოქმედება მოვარგოთ საგამოფენო დარბაზებს, არამედ პირიქით, როგორც ყოველ კულტურულ ქვეყანაში ხდება, დარბაზები — შემოქმედებას.

— აქვე ახლოს ცენტრალური ბაზარია, ფეხით გავივლით. ყვაილების შეიქნა შეიძლება. ცოტა ვიჩქაროთ. უკვე გვიანია და შეიძლება დავეტონ კიდევ.

მა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ ერეენის ერთ-ერთი თვალსაჩინო ღირსშესანიშნაობა მისი ბაზრები იქნებოდა! ამას რომ ვამბობ, მე არ ვგულისხმობ თუნუქგადაკრულ დახლებს და ყოველივე იმას, რაც დახლებზე აწყვია და მუშტარს ელოდება. ვგულისხმობ თვით შენობებს, ვარდისფერი ტუფით აგებულ ახალ-ახალ ქარვასლებს, რომელთაგან თითოეული ქალაქის ამა თუ იმ მიკრორაიონის არქიტექტურული ანსამბლის განუმეორებელი ნაწილი და დამამშვენებელია.

ბაზარი შორიდან, თვალის ერთი შევლებით, შუასაუკუნეების დროინდელი მონასტრის გალავანს მიაგავს თავისი კარიბჭითა და მოსართა გადმოსადგომი ქონგურებით. ეს, ალბათ, სე-

ერთ პროფილია, რომელიც თანამედროვე ხუროთმოძღვრულ ქმნილებას ეროვნული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან ანათესავებს.

ბაზრის ფასადის გლუვ, მკაცრად შემოწერილ ოთხკუთხოვან კედელში, რომელსაც თავზე ლარივით სწორი, სამ საფეხურად დაკბული ლავგარდანი გადაუდის, მის გასწვრივ კი, კუთხიდან კუთხემდე, თითქოსდა აღულებული ფისის ჩამოსასხმელი სარკმელების მწკრივი გასდევს, უზარმაზარი კამაროვანი თალია დატანებული. თალის უკანა მხარე და ბაზალტის გამწვდომი კიბის თავში დაგებული ფართო ბაქანი უქანგავი ლითონისაგან დამზადებულ აუზრულ ვიტრატს ებჯინება. ვიტრატში ჩასმულ განიერ კარში ფეხს შესდგამ და ერთბაშად ბუნებრივი სინათლის ჩქერში ექცევი, რომელიც უხვად იღვრება საბოვანი მინით გადახურული ინტერიერის თაღებიდან.

ბაზარია თუ ტაძარი!

ფართო გასასვლელების აქეთ და იქით პარალელურად ჩამწკრივებულან სავაჭრო რიგები. დაბლები სავსეა ჭირნახულით და ხორაგით, ხორციით, ყველით, შინაურ თორნეში გამომცხვარი ლავაშით, კომბოსტოს, ქაჩხლის, კარტოფილის, ზაზვის, ნივრის გორგებით, მწვანილით, ზაფრანისა და პილპილის აცმებით. ახლა ვაშლს, მსხალსა და კომშს, ატმის, ქლიავის, ლელვის ჩირს, ქიშმიშს აღარ იკითხავ?

ესეც ვარდებისა და ყვავილების რიგი! რა ფერებია, რა ნახი სურნელი დამდგარა ირგვლივ! ცხოველმყოფელი მზისა და სევანის ტბის ნასაზრდოები მადლიანი არარატის ველი ამჟერად სიცოცხლის წვენით გაუღენთილი ვარდ-ყვავილების სახით გეცხადება და კეკლუცად სახელანაძული თავს გაწონებს.

წითელი თავსაფრით თმაგაყრულ აბაღაზრდა სომხის ქალს, ყვავილებს რომ ყიდდა, გვეორქმა რაღაც უთხრა ხმადამლა მშობლიურ ენაზე. კიდევ მოკვარი ყური ნაცნობ სომხურ სიტყვას „ვრას“, რაც ქართულად ქართულს ნიშნავს, მივხვდი, ამასაც რაღა-

ცას ეუბნებოდა ჩემს შესახებ და უნებლიეთ ყურები წამომეჭრებოდა გაიღმა, შუქიანი სახე ეგებებოდა. ქალს ღრუბლებიდან გამოსულმა მხემ დახედაო, შემომხედა, აზატის წყაროს წყალივით წმინდა, დაუღეგარ თვალბში სიხარულის ცრემლი აუციმციმდა და მე იმასაც მივხვდი, რომ გვეორქმა გამთქვა — ქალს ისიც შეატყო, რისთვისაც დამჭირვებოდა ცოცხალი ყვავილები და არჩევას ისე გულით შეუდგა, შიგ მთელი თავისი გამოუთქმელო აღერსი და თავყვანისცემა ჩააქსოვა.

მეყვავილეს რუსული არ ესმოდა. ვითომ მართლა ასე იყო, თუ თავს განზრახ იკატუნებდა, რომ მე ზედმეტი არაფერი მეთქვა?

— აშხენი გთხოვთ, ეს ყვავილები საჩუქრად მიიღოთ, — მის მივიერ მითხრა გვეორქმა. — წინააღმდეგობას ნუ გასწევთ და ჯიბეზე ხელს ნუ გაიკრავთ, მხოლოდ ყვავილები გამოართვით და მადლობა უთხარით, თორემ ეწყინება!

ცოცხალი ვარდების თაიგულს ერთი ყველაზე უფრო გაბარდნილი თეთრი ვარდი ამოვადრე, ქალს კრძალვით გავუწოდე და მადლობა ისე ვუთხარი. მან ვარდი ღიმილით გამომართვა, მკერდზე მიიღო, რაღაც მითხრა სომხურად და გვეორქს მორიდებულად ანიშნა, გადაუთარგმნეო.

მე გვეორქს შევხედე.

— გთხოვთ, კიდევ მობრძანდეთ, როცა ერევანში იქნებით, — მითარგმნა მან. — ახლა დიდი სალაში გადაეცით საყვარელ თბილისს და საყვარელ საქართველოს!

კინდამ ცრემლები გადმომცვივდა. თითქოსდა რომელიმე აღმოსავლელი ტირანის ტახტის წინაშე ვმდგარიყავ, გულაჩუყებული კარისაკენ უკან-უკან წავედი, რომ ვარდ-ყვავილების ტვერში დარჩენილი ქალისათვის ზურგი არ მეტკენებინა და მხოლოდ იქ მივტრიალდი.

— ეს საოცრებია! — ვუთხარი გვეორქს მანქანაში. — ბაზარში ვიყავი



თუ ეკლესიაში? ასეთი რამ მხოლოდ ეკლესიაში ხდება!

ბინდდებოდა, ქალაქში უკვე ქუჩის ლამპონები აინთო, როდესაც ორჯონიკიძის პროსპექტის ბოლოში კომიტაის სახელობის პარკს მივალწვით და მანქანიდან ისევ ვადმოვედით. პარკი გაჩახჩახებული დაგვიხვდა. ბავშვების ხეივანი და ქრიამული ისმოდა. ახალგაზრდა დედებსა და ბებიებს თავიანთი პაწაწინა შთამომავლობა გამოეყვანათ და მწვენიე გაზონებს შუა ბილიკებზე ნება-ნება დასაყირბებდნენ.

სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, „უოველთა სომეხთა“ უწმიდეს ადგილს, პარკის უკანა მხარე უჭირავს და ისიც ამ პარკის განუყოფელი ნაწილია, ცოცხლებს ეპუთენის და არა მკვდარებს. პანთეონი, როგორც ჩანს, დიდი ხნის დაარსებული არ უნდა იყოს, რადგან ყველა ღვაწლმოსილი მოღვაწე, ვისთვისაც აქ სამუდამო განსასვენებელი მიუჩენიათ, ჩვენი თანამედროვე და სომეხეთის ახალი აღორძინებისა და ამბღლების მოწმე და მონაწილეა.

აი, სახელგანთქმული ფერმწერი, ქართულ მხატვართა და საქართველოს ერთგული მეგობარი მარტიროს სარიანი! გუშინდელ დღესავით მახსოვს დიდი სახალხო დღესასწაული, რადაც მისი სურათების პერსონალური გამოფენა გადაიქცა სამოციანი წლების თბილისში. მარტიროს სარიანის სახელი დიდსა და პატარას პირზე ეკერა. გულმხურვალებ დავეწაფეთ ქართველები მისი ჯადოსნური ყალმის ნაოსტატარს. რამდენი რამ იყო აქ მშობლიური, ახლობელი, გულში ჩამწვდომი, თითქოს ყრობის ფერადი სიზმრიდან მოხმობილი! სარიანის ტილოების ხილვით გამოწვეული სიხარული და აღტაცება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ საერთო-სახალხო აღტკინებას, რაც ჩვენში ათეული წლების მანძილზე ძალად მივიწყებული და იძულებით ჩრდილში დაყენებული ლადო გუდიაშვილის სურათების პირველმა დიდმა პერსონალურმა გამოფენამ გამოიწვია.

ერთიც განუმეორებელი რამ იყო და მეორეც, ძნელია, რომელიმე დღესასეთი რამ კიდევ ელიტურული იყოს!

— იქნებ როგორმე გამოენახოთ დრო და სარიანის სახლ-მუზეუმი მოვიანახლოოთ? — მიჩურჩულა გევორკმა, თუმცა უკუდავთა საფლავებს შორის მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით და ჩემს გარდა მის ნათქვამს სხვა ვერავინ გაიგონებდა.

— მე ის გარედან უკვე ვნახე, ამ დილას, სანამ ქალაქს ეძინა, ავუარჩავუარე, მაგრამ შიგნით შესვლას და საფუძვლიანად დათვალერებებს, ალბათ, მთელი დღე დასჭირდება. როდის ვქნათ ეგ? თქვენ ოღონდ მოახერხეთ!

ე. წ. „ერთი მხატვრის მუზეუმი“ ერევანში ერთადერთია და იგი მარტიროს სარიანს ეკუთვნის. აუშენებიათ საგანგებოდ, როგორც ბინა და სახელოსნო, რომელიც შემდგომ მუზეუმად უნდა გარდაქმნილიყო და დიდ სომეხ მხატვარს თავაუღებელ შრომაში გატარებული ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელი წლები სწორედ ამ ვარდისფერი ტუფით აგებულ სამსართულიან სასახლეში გაუტარებია. აქ არის მისი მოლბერტი, ჩარჩოზე გადაჭიმული ტილოები, რომელთაც მხატვრის ფუნჯი არასოდეს აღარ შეეხება, მისი პალიტრა, მისი საღებავები...

დიდი გულისყურით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით შედგენილი სათანადო ცნობარები მიგვითითებენ, რომ სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში, რომლებიც შენობის სამივე სართულზეა განლაგებული, შეგიძლიათ ნახოთ მარტიროს სარიანის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქმნილება, თუ არ ჩავთვლით ასევე მნიშვნელოვან ტილოებს, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, ლენინგრადის რუსულ მუზეუმში, კიევის, ერევნის, თბილისის, დონის როსტოვის, გორკის, სარატოვის, პერმის, ვლადივოსტოკის, შუა აზიის დედაქალაქების სამხატვრო გალერეებში და კერძო პი-

რთა კოლექციებში რომ არის დაცული.

აი, თვით დიდი ავეტიკ ისააკიანი, აბუ-ლალა-შაარის ავტორი, კაცთმოყვარეობისა და ამალღებული გრძობების შთაგონებული მომღერალი, ვარპეტი, საუკუნის ერთ-ერთი ბრწყინვალე ინტელიგენტი, სომეხი ერის მამა და შესაიდუმლე. სად არ იყო, რა არ ნახა და გამოსცადა არც მეტეხის ციხე ლაქლებია, არც უცხოეთში გადაბეჭეწა და არც მატერიალური ხელმოკლეობა. ყველაფერი აიტანა, ყველაფერს გაუძლო, რადგან წინ სამშობლოს სანთელი ენთო და ერის უღალატო სამსახურის ეკლიან გზას ის წმინდა სანთელი უნათებდა. აბა, რა სიყვდილია ამგვარი სიყვდილი, ბოლოს რომ მაინც არავის ასცდება. შეიძლება, ავეტიკ ისააკიანი მკვდრებს შორის წარმოვიდგინოთ? ვერც ვერავენ წარმოიდგენს! ამიტომაც განისვენებს აქ, უკვდავთა სავანეში!..

სამშობლოს ბედზე ღრმად ჩაფიქრებული ელიშე ჩარენცი, სომხეთში აგრეთვე ვარპეტად აღიარებული კონსტანტინე გამსახურდიას განუყრელი მეგობარი, ქართულ მიწაზე დაბადებული დიდი სომეხი მწერალი და მოღვაწე, ვისი ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთქვამი ხალხში ანდაზასავით გავრცელებულა და რამდენმა საუკუნეშიც არ უნდა გაიაროს, პირველქმნილ სინორჩესა და გულში ჩამწვდომ უბრალოებას ყოველთვის შეინარჩუნებს.

ესეც ღვთაებრივი კომიტასი, სომხური პანგების ჯადოქარი, მშობელი ერის სიკოცხლისა და უკვდავებისათვის მზურვალე ლოცვის აღმუქუნელი! კომიტასი ერთ-ერთია მრავალ სომეხ მოღვაწეთა შორის, ვინც დედა-სამშობლოსა და მშობელი ერის მწარე ხვედრი პირადად გაიზიარა, ვინც პირადად ეწაშა და იმარტვილა და ვისაც სრული ზნეობრივი უფლებით შეეძლო ეთქვა: მე ვარ სომხეთი!

თავის დიდებულ შვილს, დამტირებელსა და ამამალღებელს, ვალში არც მაღლიერი სამშობლო რჩება. სომხეთ-

ში ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კომიტასი. ამქვეყნად მოუფიქრებელი უფიქრო კაცი ბედნიერებასაც ვერ მოიპოვებდა და იმ ქვეყნის საუკუნო გზაზეც მისი პანგი მიაცილებს. ამიტომაც ძალუძს სომხეთს, მთელი ქვეყნიერების გასაგონად ამყად თქვას: მე ვარ კომიტასი!

ალექსანდრე ტამანიანი, ერევნის ხუროთმოძღვარი, ვინც „მწვანეში ჩაფლული ვარდისფერი ერევანი პირველმა დაინახა“! აი, კიდევ ვის შეუძლია თქვას, არ წაიშლება ჩემი ძეგლისაგან მომავალი ბილიკო. რა წაშლის! ყოველის წამლევი დრო უძღურია იმათ წინაშე, ვინც თავისი ერის გულში სამუდამო სიკოცხლე დაიმკვიდრა!

არამ ხაჩატურიანი! არავის არაფერი შეეშალოს. ის ყოველთვის სომხეთის ღვიძლი შვილი იყო და გარდაცვალების შემდეგაც ასეთი დარჩა. ეტყობა, არა აქვს საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ სად ცხოვრობს, რომელ გარემოცვაში, ღამეს სად ათევს. მთავარია, მამულიშვილს გული არ გაგიცივდეს და სანამ ძეგრს, მხოლოდ სამშობლოსთვის ძეგრდეს.

პასპორტში რომ არ ჩაგვეკვირიტა და ეროვნება არ ამოგვეკითხა, განა ისე კი ვერა ვგრძობდით, ვინ იყო ეროვნებით გულზე ციცილის მომკიდებელ „გაიანესა“ და ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული „სპარტაკის“ ავტორი?

მახსოვს, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ვარტბურგში ვიყავი. ეს გახლავთ მეთორმეტე საუკუნის ფეოდალური ციხე-დარბაზი, ტიურინგიის ლანდგრაფების საზაფხულო რეზიდენცია ქალაქ აიზენაზში, სადაც იოჰან სებასტიან ბახი დაიბადა, პიორზელბერგის მთაზე. პალასად წოდებული ციხე-დარბაზის უძველეს საკონცერტო დარბაზში, სადაც ოდესღაც, შუა საუკუნეებში, რაინდთა მუსიკალური ტურნირები იმართებოდა, ამყამადაც, ჩვენს დროში, წლის ერთ გამორჩეულ დღეს, სიმფონიური და სოლო-კონცერტები იმართება და ის კონცერტები რადიოთი და ტელევიზიით მთელ გერმანიის და

ვეროპას გადაეცემა. ე. წ. „ვარტბურგის კონცერტში“ მონაწილეობის მიხედვად საგანგებოდ მოიწვევენ ხოლმე მსოფლიოში სახელგანთქმულ მესიტროს და კონცერტის შემდეგ მის სახელს სხვა დიდი მუსიკოსების სახელის გვერდით პალასის კედელზე ამოკვეთენ, რათა ეს ღირსშესანიშნავი ამბავი ისტორიას შემოუნახონ. აჰ, ვარტბურგის საკონცერტო დარბაზში, დირიჟორის პულტთან იდგა არამ ხაჩატურიანი. სომხეთის სასიქადულო შვილის სახელი მე იმ სიაში ამოვიკითხე, რომელიც რიხარდ ვაგნერთა და ფერენც ლისტით იწყებოდა...

უილიამ საროიანი, მეოცე საუკუნის დიდი ამერიკელი მწერალი ის ინგლისურად წერდა, საშობლოდან შორს დაბადებული შორსვე ცხოვრობდა, სიცოცხლე სხვის კარზე გაატარა, მაგრამ სომხეთის მოუშუშებელ ჭირლობას ყოველთვის გულით ატარებდა და ის არც არავისთვის დაუმაღავს, ამერიკელად გადაქცეულ ზოგიერთ ჩემს თანამემამულესავით არ გადაეწყვიტა „ვიოსი გორისა იყო“. ერთხელ თუ ორჯერ კიდევაც ჩამოვიდა, მოესიყვარულა ყოველივე შობლიურს, აქამდე მხოლოდ სიზმარში რომ ენახა, თვალი ძლივს მოწყვიტა არარატ-მასისს, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა, მერე კი, როცა ლოგინად ჩავარდნილმა იგრძნო, საამქვეყნო პირი აღარა მაქვსო, დაიბარა, სომხეთში წამსვენეთ, იქაურთბილ მიწას მიმაბარეთ და საუკუნოდ ვიცოცხლებო. საროიანი ბრძენი კაცი იყო და ყველა პოლიტიკოსზე უკეთ იცოდა, რომ ღვიძლი შვილის ერთადერთი გულითადი ჭირისუფალი დედა-სამშობლოა. მას, მარტოოდენ მას შეუძლია, გულით დაგიტიროს, საფლავი წრფელი ცრემლით გაგაღბოს, შენი პატიოსანი სახელის შებღალვა არავის დაანებოს. თუ გინდა, ქვეყნად საფლავი არ დაგეკარგოს, სამშობლოს ზურგი არ შეაქციო, ვინც რა უნდა თქვას და გიკვიროს, მის წყლულს მალამოდ დაედდე!

სომეხმა მამულიშვილებმა, აქაც და

საზღვარგარეთაც, განურჩევლად მსოფლმხედველობრივი მრწამსისა და ენის გამოიდეს, მწერლის უცნაურულ მხატვრობას აღსასრულებლად ყველაფერი იღონეს. მთელი ეპოპეა საროიანის ამერიკიდან ვეროპაში და იქიდან სომხეთში ჩამოსვენების ამბავი! იგი მთელი განათლებული მსოფლიოს თვალწინ, საროიანის ზეგარდმო ნიჭით დატყვევებული მილიონობით მკითხველის თვალწინ ხდებოდა. ასე რომ, მადლიანმა მწერალმა არამეტუ მარტო სიცოცხლით, სიკვდილითაც კი ერთხელ კიდევ განადიდა და გააბრწყინა თავისი სამშობლო ქვეყანა. მოდი და ამასაც სიკვდილი დაუძახე!

უკვე გვიანი იყო, სასტუმრო „რაზდანი“ კარი რომ შევადე, მოდურად თმამელებილ მკაცრ აღმინისტრატორს საღამო მშვიდობისა ვუსურვე და ნომრის გასაღები ვთხოვე.

თუ არ ვცდები, ესა და ეს უნდა ბრძანდებოდეთო, თავაზიანად მკითხა მან, როცა ხის ვეება მსხალზე გამობმულ გასაღებს მაწვდიდა. დიახ-მეთქი. თქვენ სახელზე ბარათიაო. რა ბარათი მეთქი? — გამიკვირდა და ცოტა არ იყოს შევკრთი. ქალმა თაროზე შემოდებული კორესპონდენცია გადაარჩია, სწრაფად იპოვნა, რასაც ეძებდა და წინ დამიდო. ბარათი სომხურად იყო დაწერილი. გვეორჭს მივუბრუნდი.

— ერთი წამით, — მითხრა მან და ბარათი გამომართვა. — აჰა, ვარდგესისაა, მე მწერს!

— რაო?

— სად დაიკარგეთ? — დაიწყო მან კითხვა. — დღეს ორჯერ გამოვგზავნეთ კაცი. კვალსაც ვერსად მივაგენით. აგრე შეიძლება? ხვალ დილიდან სტუმრები იწყებენ ჩამოსვლას. ველარ მოვიცილი. ბატონ რევაზს თხოვე, თუ არ დაიზარებს, შენთან ერთად დილას კი-ეშირში მობრძანდეს. დღის მეორე ნახევარში ამტარაკში შევხვდებით!

— ესე იგი, რაო? ჩვენს ხვალინდელ გეგმაში რაიმე არსებითი ცვლილება ხომ არ უნდა მოვახდინოთ?

— არავითარი, მხოლოდ დილას, ნა-

საუბრებს, კავშირში შევივლით, მოსაწყვევ ბარათს და საიუბილეო სუვენირებს ავიღებთ, შემდეგ კი თავისუფალი ვართ. დღის ბოლოსათვის ვარდგესი აშტარაკში დაგველოდება. ეს მისი მშობლიური ქალაქია. არა მარტო მისი, აშტარაკმა ძალიან ბევრი გამოჩენილი პიროვნება მისცა სომხურ კულტურას და მეცნიერებას!

— მაგალითად, კიდევ ვინ?

— ბევრი, ავი გითხარით. მაგალითად, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ამბარცუმიანი, ჩვენი დროის დიდი ასტრონომი.

— კმარა, ერთ ქალაქს როგორმე ეყოფა. შორია აქედან?

— რა, აშტარაკი თუ ბიურაყანი, სადაც ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიაა?

— არა, აშტარაკი.

— სამწუხაროდ, არა. სომხეთში ყარგა ხანია უკვე აღარ არის დიდი მანძილები. ერთი გაქანება და აქეთ არაქსის, იქით ახურიანის ნაპირზე ხარ! აშტარაკამდე ოცდაათიოდე კილომეტრი ძლივს იქნება, ნახევარი საათის სავალი გზაა, არა, სერგო?

— ზუსტად! ქალაქის ცენტრიდან ოცდაათი კილომეტრია. მისვლით, თუ გინდათ, თხუთმეტ წუთში მიგიყვანთ! ამ პასუხზე სამივეს გულიანად გაგვეცინა და ერთმანეთს მზიარულად დავეშვიდობეთ.

11

აშტარაკის გზაზე გასასვლელად სომხეთის მწერალთა კავშირის ან თეატრალური მოედნის მხრიდან მიმავალმა კაცმა მარშალ ბაგრაშიანის ფართო პროსპექტი მთლიანად უნდა აიარო, ვიდრე აივსებდეს, მარჯვნივ უნდა დასტოვო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის დიდებულ შენობათა თანავარსკვლავედი, სულ ახლახან რომ აშენდა და ქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს არქიტექტურულ ანსამბლად მოგვევლინა, აგრეთვე სომხეთის კომ-

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექრეტარიანის სასახლე, პროსპექტის საპირისპირო მხრიდან, მარადმწვანე წვეწარეულობით მოხასხასე ოდნავი შემალლებიდან რომ გადმოსცქერის, და ტრესტ „არარატის“ ლეინის სარდაფებთან ახვიდე.

ეს გრანდიოზული კაპიტალური შენობა, ლეინის სარდაფები, რომელსაც რამდენიმე ჰექტარი ფართობი უჭირავს რაზდანის კანონის გადასახედზე და მიწის ქვეშ გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე მიწაზე, პირველხარისხიანი სომეხ არქიტექტორებს, ქვითბუროებს და მოქანდაკეებს მრავალი წლის განმავლობაში უშენებიათ. მშენებლობა დიდი სამამულო ომის წინ დაწყებულა, შემდეგ ომს მოუსწრია, მშენებლები ფრონტზე წასულან, მის გასაგრძელებლად უკვე აღარავის ეცალა, იგი მხოლოდ ომის შემდეგ განაბლებულა და 1961 წელს ტრესტ „არარატის“ ლეინის სარდაფების სახით სომხეთის დედაქალაქს უძველეს კლასიკურ ფორმებზე დაფუძნებული კიდევ ერთი მონუმენტური შენობა შემატებია.

ადგილი, სადაც ამჟამად „სარდაფები“ დგას გამოცდილ სომეხ მეღვინეებს დიდი ხნის წინათ შეურჩევიათ, თავიანთი სახსრებით ძვირადღირებული წინასწარი სამუშაოებიც ჩაუტარებიათ და იმ დროისათვის ერთობ მარჯვე და ტევადი სარდაფები გაუმართავთ, სადაც არარატის ველზე მოწეული უტკბილესი ყურძნის ნაყური ლეინო და მსოფლიოში სახელგანთქმული საკონიაკე სპირტი ინახებოდა. ახალმა მშენებლებმა ძველი მიწისქვეშეთის რეკონსტრუქცია მოახდინეს, მოძველებული დანადგარები და გაყვანილობა ახლით შეცვალეს, ერთიორად და შეტად გაზარდეს ლეინისა და სპირტის მოსაკავებელი ჭურჭლის ტევადობა და ყოველივე ამას ზემოდან მრავალსართულიანი მონუმენტური შენობა დაადგეს, რომელიც არქიტექტურული თავისთავადობით შემდგომში ერევნის ერთ-ერთ ემბლემად იქცა.

ბევრი ვინმე განაცვიფრა რომის კა-

ტაკომბების მსგავსად დაქსელილი სარდაფების ხილვით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ახალი ერევის მშენებლები ძველი „სარდაფების“ ადგილზე მიწისქვეშა და მიწისზედა შენობების კომპლექსებს აღმართავდნენ. დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, რომელიც ერევანს ოციანი წლების ბოლოს ესტუმრა, აღტაცებული წერდა სარდაფების დამთვალერებელთა შთაბეჭდილებების წიგნში, გაცილებით ადვილი საქმეა, ფეხი არარატის წვერზე შესდგა, ვიდრე ტრესტ „არარატის“ ღვინის სარდაფების ლაბირინთებში არ დაიბნე და გზა სხვათა დაუხმარებლად გამოიგნო.

მიკვებები ბაზალტის მძლავრი კამარებით დაღარულ უკარფანჯრო კედელს, ნახევარკალად ამოზნექილ ლავარდანს ზემოთ, თითქმის სახურავქვეშ, ეიწრო სარკმლების წყება რომ გადაუდის და უნებლიეთ კედელში ჩასძულ შემორიალურ დაფასთან ჩერდება. რა უნდა ეწეროს? ნუთუ აშენების თარიღი და ამშენებელთა ვინაობა? არა! სრულიად სხვა რამ წერია: თურმე აქ, ერევანის ღვინის სარდაფებში, 1827 წელს, პირველად რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, დაიდგა ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის ცნობილ კომედია „ვია ჰეუსიანა“, რომელიც სცენაზე განხორციელებასაც თავი ააიღეს საიმპერატორო თეატრებმა!

„სარდაფის“ საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე, ადგილობრივი სცენისმოყვარეები სახალხო წარმოდგენების გასამართავად რომ იყენებდნენ, სომეხმა აქტიორებმა „ვია ჰეუსიანა“ წარმოადგინეს და ამით უაღრესი მადლიერება გამოხატეს მეამბოხეთა თანამგზავნობი რუსი მწერლის მიმართ, რომელიც კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან ერთად ნიჟიერ და შრომისმოყვარე სომეხ ერს მფარველად და კეთილისმყოფლად მოეგონა.

საიმპერატორო თეატრების მიერ უარყოფილი მამბილებელი ქმნილების და-

დგმით და ხალხში გატანით რომეხმა თეატრალებმა, რომლებიც საზოგადოების საერთო განწყობილებას გამოხატავდნენ, მეორეს მხარე, ანტიმონარქისტული იდეალები და სისხლში ჩახშობილი დეკაბრისტული მოძრაობის მიმართ თავიანთი პირუთვნელი დამოკიდებულება გამოთქვეს.

ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი იყო გაჩაღებული, მანამდე კი ომში დამარცხებული სპარსეთი იძულებული გახდა, თურქმან-ჩაის საზავო ხელშეკრულებით ერევანისა და ნახიჭევანის სახანოები რუსეთისათვის დაეთმო. კავკასიის კორპუსის სარდალმა ფელდმარშალმა პასკევიჩმა, გრიბოედოვის სიძემ — დის ქმარმა, ამ ამბავთან დაკავშირებით ერევანის გრაფის წოდება მიიღო. თურქეთმა ვერ გაუძლო რუსის ჯარების შემოტევას. პასკევიჩმა მას საუკუნეების განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით გამამადიანებული მესხეთის მხრიდან შეუტია და ვილაიეთის ვილაიეთზე ართმედა. ახლადშექმნილი სომხეთის ოლქის გუბერნატორმა თავადმა ალექსანდრე ჰევიანამ, გრიბოედოვის სიმამრმა, დიდმა ქართველმა პოეტმა-რომანტიკოსმა, სომხეთის წარსულით შთაგონებული ლექსის „გოჯის ტბის“ ავტორმა, ბაიაზეთი აიღო და ორთულიანი ფაშა ბუღული ტყვედ წამოიყვანა. დაეცა ახალციხე, ოდესლაც სამცხის ათაბაგ ჯაყელთა მიუდგომელი ბასტიონი, ბოლო დროს კი აგარიანთა მთავარი დასაყრდენი პუნქტი სამხრეთ საქართველოში. ქალაქში პირველი ფელდმარშალ პასკევიჩ-ერევანსკის ხელქვეით მებრძოლი ქართველ გრენადერთა პოლკი შევიდა თავისი ეროვნული დროშის ფრიალით და მამაბაპური სალაშქრო სიმღერით.

რუსეთის არმიის შეჩერება უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ევროპა თვალნათლივ ხედავდა, რომ „ჩრდილოეთის ხელმწიფეს“, უკეთუ საზღვაო გზებს კვლავინდებურად არ გაუხსნიდნენ, ხმელეთიდანაც, ანატოლიის მხრიდანაც თავისუფლად შეეძლო მცირე აზიაში შეჭრილიყო და აია-სოფიის გუმბათზე

აღმართული თურქული ნახევარმთვარე ერთხელ და სამუდამოდ დაემხო. ერთ-მორჩმუნე რუსეთის შემწეობით ფრთები ესხმოდა ქართველთა და სომეხთა საუკუნეობრივ ოცნებას, მტაცებელი ოსმალეთი, მათი დაუძინებელი მტერი და სისხლის მწოველი ვამპირი მიწასთან გასწორებული ენახა.

1829 წლის აგვისტოში კავკასიის კორპუსმა ოდესლაც დიდი სომხეთის სამეფოს ერთი უდიდესი კულტურულ-სამეურნეო და სავაჭრო ცენტრი, იმჟამად კი ანატოლიის მთავარი ქალაქი არზრუმში აიღო. ქალაქის და მისი შემოგარენის მთელი მოსახლეობა, ძირითადად ქრისტიანი სომეხობა, ზარ-ზეიმით შეხვდა თავის გამათავისუფლებლებს, კორპუსის სარდალი ფელდმარშალი პასკევიჩი, ურჯულო მტრის კლანჭებიდან მშობლიური ერეკნის გამომხსნელი, ქალაქში ხელში ატაცებული შეიყვანა. ტრაპიზუნდამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. აჯანყდნენ ქრისტიანი სომეხებით დასახლებული ახლომახლო სოფლები და ქალაქები. დაპყრა შურისძიების ნანატრმა უამში ისინი რუსის ჯარებს იწვევდნენ და წინ გულუბვი პურმარილითა და საეკლესიო ღროშებით ეგებებოდნენ.

ასეთირომ ჯერ არავის სმენოდა. იმპერიზმს ინგლისელები, ფრანგები და თურქთა სხვა ფარული და აშკარა ხელისშემწყობები დასავლეთ ევროპაში, ვისაც უამისოდაც ძლიერი რუსეთის კიდევ უფრო გაძლიერება და მის მიერ შავი ზღვის სრუტეების დაპატრონება კარგს არაფერს უქადდა. ეს იყო სწორედ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ, როდესაც საომარი მოქმედება შეწყდა და გუშინდელი მეომარი მხარეები, მეთვალყურე სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების თანდასწრებით, ადრიანოპოლში საზავო მოლაპარაკების მრგვალ მაგიდას მოუსხდნენ, რუსეთი იძულებული გახდა, მთელი რიგი ვილაიეთებისა, სადაც უკვე მისი საოკუპაციო ჯარები იდგნენ, კვლავ

თურქეთისათვის დაებრუნებინა და სერთაშორისო კონფერენციის მიერ მითითებულ ზღუდვებზე დაეხრა, რაც აღგილობრივი მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა ქრისტიანი სომეხების, გატყუას და ამოსაყლეტად გამეტებას ნიშნავდა.

არზრუმის ახალგათავისუფლებულ ვილაიეთს უშალ მოედო თავზარდამცეში ამბავი, რუსთელმწიფე უკან გაბრუნებას აპირებს და ჩვენ ისევე ფანატიკოსი ოსმალების უღელქვეშ ვრჩებითო.

რა უნდა მომხდარიყო ამხე უარესი? რაღა თქმა უნდა, როგორც კი კავკასიის კორპუსი აიყრებოდა და პირს სამშობლოსაკენ იზამდა, ჯაერის ამოყრის ბოღმით გულგასიებული თურქი ასკერები უშალ დაერეოდნენ ღვთის ანაბარა მიტოვებულ მშვიდობიან მოსახლეობას და ცოცხალს ერთსაც აღარავის დატოვებდნენ.

სხვა გზა როდღია იყო, დასაღუპად განწირული ადამიანები, ქრისტეს რჯულის აღმსარებლები, რომელთა საერთო რიცხვი რამდენიმე ასეულ ათასს აღწევდა, წინ უნდა გადალობებოდნენ საზავო ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის თანახმად უკანდახეულ რუსთა ჯარებს და ისინი აქედან არასდიდებით არ გაეშვათ.

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. რუსეთს, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისმცემელ რომელიმე სხვა სახელმწიფოს, არ შეეძლო, თავისი ხელმოწერით დადასტურებული ზავის პირობები არ შეესრულებინა. მაშინ არზრუმელმა სომეხებმა ფელდმარშალ პასკევიჩს საპატივეცხო პირებისაგან შედგენილი დეპუტაცია მიუგზავნეს და უმორჩილესად თხოვეს, ისინიც, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ, თან წაეყვანათ და რუსეთის მიწა-წყალზე საღმე დაესახლებინათ.

პასკევიჩმა მოუსმინა აზიამებულ ხალხს, ჩასწვდა ტრაგიზმის მთელ სიღრმეს, რამდენიმე კვირით გადასდო ჯარების გაყვანა და ფელდიეგერი იფრინა სანკტ-პეტერბურგს, სადაც სამე-

ფო კარს არზრუმელი ქრისტიანი სომხების მუდარას ატყობინებდა და თავის მხრივ მათი დაჯინებული თხოვნის შესრულებას სახელმწიფოსათვის სასარგებლო მიზანშეწონილ საქმედ თვლიდა.

სანკტ-პეტერბურგიდან პასუხს დიდხანს არ დაუყოვნებია. მისმა უდიდებულესობამ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა შეიწყნარა ფანატიკოსი თურქების მიერ შევიწროებული სომხების უმდაბლესი თხოვნა და მოწყალედ ნება დართო მათ რუსეთში გადმოსახლებულიყვნენ. გადმოსახლების ხარჯების გაღება, მილიონამდე მანეთი ოქროთი, და პირველ-ორ წელიწადს მოახალშენეთა მატერიალური უზრუნველყოფა იმპერიის საფინანსო უწყებას მიენდო.

რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა, უახლოეს მომავალში პოლიტიკურად არასაიმედო სექტანტი დუხაბორები აეყარა შუა რუსეთიდან და სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ განელაგებინა, რათა ამ გზით რუსული მოსახლეობის ბირთვი შეეკმნა და იმპერიის სამხრეთ საზღვარზე ერთგვარი უშიშროებაც უზრუნველყო. საქმის მოგვარებას ათ წელიწადზე მეტი დასჭირდა. 1841 წლიდან თავფარავნის ტბის მიდამოებში სახლდებიან რუსი სექტანტები — დუხაბორები და თან მოაქვთ თავიანთი მშობლიური სოფლების სახელები ტამბოვის, სარატოვის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს და სხვა გუბერნიებიდან. ბოგდანოვკა, ტამბოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოვ, ეფრემოვკა, როდიონოვკა...

საგულისხმოა, რომ კავკასიის კორპუსში ბევრი მესხი თავდაზნაური და უბრალო ყმა-გლეხი მსახურობდა, აი, იმათი შთამომავალნი, დავით აღმაშენებელმა ანისის დასაცავად რომ დასტოვა. მათმა უახლოესმა წინაპრებმა, ქრისტიანობა რომ როგორმე შეენარჩუნებინათ, იძულებით დატოვეს აქიურბა და თავი სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული საქართველოს სხვა კუთ-

ხეებს შეაფარეს. სამცხე-ჯავახეთი რომ კვლავ სამშობლოს შემოუერთდა და ეს ამბავი თურქებმაც უსურველად სცნეს, იმავე წლის დეკემბრის 3-ს ჩამოყალიბდა გადმოსახლების საგანგებო კომიტეტი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკის, გრიბოედოვის უახლოესი მეგობრის, თავმჯდომარეობით. შედგა დებულება, გადაწყდა, სად და როგორ მოეწყოთ მოახალშენენი, დააწესეს მიწის ნორმები, რომელიც კომლის თითოეულ წევრს ერგებოდა.

მთავარმართებელ ფელდმარშალ პასკევიჩის ისტორია ქება-დიდებათ არ იხსენიებს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აქვე ისიც ითქვას, რომ მისი პირადი ღვაწლი ასი ათასობით სომხის სიციოცხლის გადარჩენაში და მათს საიმედო დაბინავებაში ერთობ დიდია, ამ ღვაწლს მაღლიერი სომეხი ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს. პასკევიჩის სახელი სომხეთში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელის გვერდით იხსენიება, იმ დიდი რუსი მწერლისა და დიალომატის სახელის გვერდით, ვინაც თურქმანჩაის ზავის დადებისას ნამდვილი მოქალაქეობრივი გმირობა გამოიჩინა და არა მარტო დედა-რუსეთის, არამედ სომეხი ხალხის უდიდესი თავყვანისცემაც დაიმსახურა. ზავის პირობების თანახმად, რითაც რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლის ომი დამთავრდა, გარდა იმისა, რომ ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები რუსეთის სამეფო კარის განმგებლობაში გადმოვიდა, ირანს 20 მილიონი მანეთის კონტინუცია დაეკისრა. გრიბოედოვის დაუღალავი მეცადინეობით რუსეთმა უფლება მიიღო კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი პულოდა, ხოლო მისი ვაჭრებისათვის ირანელ ხელისუფალთ შეღავათები დაეწესებინათ.

ყოველივე ამის შემდეგ ვგონებ აღარც იყოს გასაკვირი, თუ შიიტ ფანატიკოსთა აღვირახსნილმა ბრბომ

არად ჩაადგო უცხო სახელმწიფოს სრულუფლებიანი მინისტრის დიპლომატიური ხელშეუხებლობა, ისარგებლა საკუთარი მთავრობის დანაშაულებრივი წაყრუებით, ბარბაროსულად დაარბია რუსეთის საელჩო, სადაც სხვა თანამემამულეების მხარდამხარ გრიბოედოვი თავს უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდა, მოკლა იგი და მისი უსულო გვამი თეირანის ქუჩებში თრევით შეურაცხყო. ღამით თეირანელმა სომხებმა შესძლეს ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილი გვამის პოვნა, მოპარვა და გადაამალვა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ დასცემდა ეს გაუგონარი ამბავი თავზარს ყველას კავკასიისა და მთელს რუსეთში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. ზეგარდმო ნიჭით ცხებულ შემოქმედს შინ, საქართველოში, თავისი პოეტური მუზა, მშვენიერი თანამეცხედრე, „წინანდლის ვარდი“, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო ელოდა, ხოლო სომხეთის მრავალტანჯულ მიწაზე მისი შეუპოვარი თავგამოდებით საუკუნეობრივი მოსისხლე მტრის კლანჭებიდან თავდახსნილი, მისი სულის საოხად სამარადისოდ მლოცველი სომეხი ხალხი.

სათაყვანებელი სიძის ტრაგიკული დაღუპვით ღრმად დამწუხრებული გუბერნატორის მიერ გაგზავნილმა მეურმეებმა გრიბოედოვის ნუსტს თეირანში ჩააკითხეს და იქიდან მალულად წამოასვენეს. მაშინ მოხდა სწორედ ბედის საოცარი დამთხვევა: რუსეთის აზრთა მპყრობელი ალექსანდრ პუშკინი, არზრუმს რომ მიემგზავრებოდა, მეურმეებს გზად გადაეყარა და პიიხა, რა მოგაქვთო. გრიბოედო, გულუბრყვილო მეურმეებმა რომ უპასუხეს, რადგან რუსად და სანდო კაცად შეიცნეს, პუშკინი გაქვავდა, მიხვდა, რომ მის გულითად მეგობარსა და თანამოაზრეს, საუკუნის ერთ-ერთ ბრწყინვალე დრამატურგს, ალექსანდრე გრიბოედოს, გრიბოედას, როგორც მის

სომეხი მეურმეები ინსენიებდნენ, სამშობლოს ღირსების დასაცვენად, თავი დაედო და ეს მათგანვე წყნულ შეხვედრა იყო.

ერევნის ცენტრში, ოქტომბერიანისა და ხანჯიანის ქუჩების შესაყარაში, ვრცელი მოედნის შუაგულში, მალალ პოსტმანტზე დგას ბრინჯაოს ალექსანდრე გრიბოედოვი, დგას ფიქრში წასული და თითქოს უღმობელ ბედისწერასთან მოკამათე, დგას, როგორც ერთ-ერთი ღვიძლი შვილთაგანი ერთსა, რომელმაც ათასწლეულების მძვინვარე ქართველები გამოვლო და, თუმცა მსხვერპლი აურაცხელი გაიღო, ყველა ქართველიდან, პირისაგან მიწისა აღგვას რომ უქადა, კიდევ უფრო ამაღლებული და უძლეველი გამოვიდა.

ნუ გაგაცივრებთ ნურც წარწერა, პოსტამენტზე რომ ამოუტვიფრავთ. იგი ზუსტად ისეთივეა, როგორც ტირანიისაგან სამშობლოს გამომხსნელ ჭუხეპე გარიბალდის ძეგლს ამშვენებს რომში, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ეს წარწერა კიდევ უფრო მეტის მოქმელი და შთამბეჭდავია: „ალექსანდრე გრიბოედოვს მადლიერი სომეხი ხალხისაგან“.

12

ტრესტ „არარატის“ ღვინის სარდაფებს რომ გასცდები, თუ გეზი აშტორაისაკენ გიღვეს, სადაც, მოლაპარაკებისამებრ, მე და ჩემი თანამგზავრი გევორკ ზაჩატრიანი დღის მეორე ნახევარში ვარდგეს პეტროსიანს უნდა შევხვედროდით, რაზდანიის ზეობის არცთუ ვიწრო კანიონი უნდა გადასჭრა და ქვის სამკამარიანი ხიდი ახტანაყი გადაიარო.

სომხური სიტყვა „ახტანაყი“ ქართულად „გამარჯვებას“ ნიშნავს და მარჩიელობა როდი დაგვჭირდება იმის მისახვედრად, რომ ხიდი სამაჟულო

ოქმის საბჭოთა ხალხის ძლევაშისილი გამარჯვების აღსანიშნავად აშენდა. ბაზალტის ქვის ღონიერი ბურჯები მას ღრმად ჩაუდგამს ხეობაში. მოაჯირს რომ გადაეყუდები და ძირს გადაიხედ-დავ, ვეებურთელა მწვანე ლოდებზე თავპირის მტკრევით მომავალი ბროლივით ანკარა, აქაფებული რაზდანი არტუთ ისე დიდი მდინარე გეგონება. ზამთრობით და აღრიან ვაზაფხულზე, ისევე როგორც შუა ზაფხულში, ის მართლაც ძალიან პატარავდება, მაგრამ, სამაგიეროდ, თოვლი რომ დნობას დაიწყებს, ცაზე რომ პირველი ელეა გაიკლავება, დაიჭუბებს და სამხრეთული შხაპუნა წვიმა წამოვა, მაშინ კი უზომოდ აღიდდება ხოლმე და კლდოვანი კალაპოტიდან ამოვარდნას ღამობს.

ხეობის აჩონჩხილ ფსკერზე და უსწორმასწორო ტერასებად დაკიბულ ციკაბო ფერდობებზე, სადაც კი შეიძლება სიცოცხლემ ფეხი მოიკიდოს, მანულის, ტირიფისა და თხმელის ბუჩქნარს უხარია. შიგადაშიგ ტოტებდაბურული ბებერი ქადრებიც შრიალუბენ. ყოველივე ამის მაკტერალს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს აფრიკის ან სამხრეთ ამერიკის გაუვალ ჭუნგლებში იმყოფები და ცივილიზებულ ადამიანს ჭერ აქ არც კი გაუვლია. სად არიან ტოტებზე კუდით ჩამოკონწილებული მკაკები? ან განრისხებულნი სპილოს კივილი რად არ ისმის?

რა თქმა უნდა, ერევენელი ქალაქმშენებელი არქიტექტორები რაზდანს და მის ეკოტოკურ ხეობას, ქალაქს ორ, თითქმის თანატოლ ნაწილად რომ ჰყოფს, თავის პირველქმნილ სახეს განზრახ უნარჩუნებენ, რითაც კონტრასტს აძლიერებენ და ადამიანის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, ის, რაც მან ბუნებაში შეიტანა, ახალ კვარცხლებზე აჰყავთ.

რაზდანის ხეობა ერევენელთა და სომხეთის დედაქალაქის სტუმართა ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია. აქეთ მოიჭარიან ფეხით, მანქანებით,

საქალაქო ტრანსპორტით, რათა თავარა ზაფხულის სიცხე-პაპანჯებებში სული მოიბრუნონ! რა სეზონებზე შეუდრება ამ დროს მდინარის გრილ შორევეში გადაშვებას, ან ანკესობას მის ნაპირებზე. მე შენ გეტყვი, ჩრდილი საძებნია და მზე შეგაწუხებს! რაზდანი გულუხვი, მაღლიანი მდინარეა, მისი თევზი დიდხანს არ გალოდინებს, ანკესს უმაღლ, სულწასული სტუმრის ხართით მაინც წამოეგება და ჰაერში ქარქაშიდან ამოწვდილი სატეგარივით გაიფლავებს.

ხიდი აბტანაკი, როგორც უკვე ითქვა, სულ ახლახან, ორმოციოდე წლის წინათ აშენდა, მაგრამ მე ის მაინც რატომღაც მომავლის ხიდი მგონია. ამ ხილზე მომავალი ათასწლეულების ადამიანებმა უნდა იარონ, ისევე დატკბენ ოთხივე კუთხივ გადაშლილი წარმტაცი სანახაობით, როგორც ჩვენ, მეოცე საუკუნის მიწურულის ადამიანები დღეს ვტკბებით და თან განცვიფრებაც გამოთქვან, რომ ასე შორეულ წარსულში, ჩვენ რომ ეცხოვრობდით, ასე დაბეწილი გემოვნებით, ასე მკვიდრად, ასე საშვილიშვილოდ ვაშენებდით!

აბტანაკიდან სწორედ რომ განუშორებელი სანახაობა ეშლება კაცის თვალს. მწვანეში ჩაფლული ვარდისფერი ერევეანი, მისმა დიდმა ხუროთმოძღვარმა ალექსანდრე ტამანიანმა ოცნებაში რომ დაინახა, აქედან თითქოსდა ხელისგულზე მოჩანს და მანძილებიც, ქალაქის ამათუ იმ წერტილს რომ გაშორებს, როგორღაც დაპატარავებული გეჩვენება.

— ეს ტბა არის თუ ხელოვნური წყალსაცავი? — ვკითხე გეოგოგს და მდინარის მიხვეულ-მოხვეული კალაპოტის გასწვრივ მზის სხივებზე თვალისმომჭრელად მოლაპლაპე წყლის სარკე დავანახე.

— ჩვენ ზღვას ვეძახით და თქვენ რაც გენებოთ ის დაუძახეთ, — სიცილით მიპასუხა მან. — ნამდვილად კი წყალსაცავია, რაზდანის წყალს არარატის ველის მოსარწყავად ვაგროვებთ, მაგრამ ხელს არავინ გვიშლის, რო-

გორც ყველა ზღვა ან თუნდაც ბუნებრივი ტბა, სხვა დანიშნულებითაც გამოვიყენოთ!

— ლამაზი კია. აქაურობას თითქოს ზღვა აკლდა და აი, ისიც! ეს რა შენობაა წყალგაღმა, კლდეზე?

— სვეტებიან-კამარებიანი? კონიაკის ქარხანა გახლავთ: თუ მეხსიერება არ მალატობს, 1952 წელს აშენდა. მანამდე კონიაკებს არარატრესტის ღვინის სარდაფებში ვამზადებდით. საკონიაკე სპირტის შესანახად და დასაძველებლად იქ მუხის უზარმაზარი კასრები იდგა.

— ნუთუ ახლა სხვაგვარი ტექნოლოგიით ამზადებენ?

— მაგას ვერ გეტყვით, არ გახლავართ არც კონიაკის მუშტარი და არც მცოდნე, მხოლოდ ის ვიცი, რომ სომხური კონიაკი თავისი სიძველითა და კეთილშობილური თვისებებით ერთერთი საუკეთესოა მსოფლიოში. თუმცა გამიგონია, რომ ამ მხრივ არც ქართული სამარკო კონიაკები ჩამორჩება ვისმე!

— შე კი რა მითხრა ერთმა ფრანგის ქალმა, ლიდია დელტმა, პაუსტოვსკის ფრანგულად მთარგმნელმა, რომელიც ოდესღაც, ახალგაზრდობაში, მატისის მღვინის მოვალეობას ასრულებდა და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში გვესტუმრა, გუდიაშვილის და მისი სურათების ნახვა უნდოდა.

— საინტერესოა, — გეგორქი სმენად გადაიქცა.

— კონიაკი ერთი პატარა სოფლის სახელია შამპანშიო. ეს სასმელი პირველად იქ დაამზადეს სრულიად შემთხვევით და სახელადაც სოფლის სახელი უწოდესო. მე, როგორც ფრანგი პატრიოტი, პროტესტს ვაცხადებ, ვინ მოგვით ნება, თქვენს ბრენდს საფრანგეთის სამარკო სასმელის სახელი რომ დაარქვითო. აბა, წარმოიდგინეთ, შეიძლება, საფრანგეთის რომელიმე ღვინო თქვენი ხვანჭკარის, ტივის ან წინანდლის სახელით მოენათლოთო? ეს ხომ იმ გეოგრაფიული რეგიონების სა-

ხელებია, სადაც მათივე სეზონი ღვინოები მოყავთო?!

— ღვინის წინაშე, განათლებული ქალი ყოფილა მაგროს როგორი თუ შემთხვევით? განა შეიძლება, რაიმე და მათ შორის კონიაკი შემთხვევით დაამზადო?

— ვილაც ფრანგმა ბერმა ღვინის სარდაფში კუთხეში მიგდებული, ღვინისა და კაცისაგან მივიწყებული მუხის კასრი იპოვნა. ნეტა რა უნდა იყოსო? გახსნეს, დაუნოსეს — სპირტია! გემო გაუსინჯეს და...

— გასაგებია, არქიმედმაც ხომ ასევე უბრალოდ აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულების კანონი!

— ქვემოთ, ვხედავ, „რაზდანის“ სტადიონია, 70 ათას მაყურებელს რომ იტევს. იქვე ახლოს, თუ თვალი არ მატყუებს, რესტავირებული და ჩინებულიად მოვლილი საყდარი მდგარა. ეს ადგილი, ეტყობა, ნასოფლარია, ისე საყდარს ვინ ააგებდა!

— არა, ნასოფლარი ნამდვილად არ არის. ჩემს პატარა ბიჭობაში ტრიალი მინდორი იყო. ბურთის სათამაშოდ გამოვდიოდით ხოლმე. არც საყდარია ძველი და რესტავირებული. სულ ახლახან, 1976 წელს ააშენეს. არქიტექტორ ისრაელიანის პროექტის მიხედვით!

ააშენესო? თვალები შუბლზე ამიციკვდა.

— რა თქვით, გეგორქ? მართლა ამბობთ თუ შეხუმრებით?

გეგორქმა წყნარი, თვინიერი თვალებით შემომხედა, ვერ გაეგო, რას ვეკითხებოდი.

— თქვენ თქვით, რომ საყდარი ახალია, რომ ის 10 წლის წინათ ააშენეს?

— დიახ, აგრეთ.

გამახსენდა, რა დღე დაადგა ღვინის მორწმუნე ლაღო გუდიაშვილს ქაშუეთის საკურთხეველის მოხატვისათვის, რამაც შემდგომ, დრო რომ გავიდა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა, ბევრი რამ შესძინას მის ისედაც დიდ სახელს.

გეგორქი ჩემი კითხვის დაზუსტებას

ელოდა და მეც ჩემდა უნებლიეთ ენაზე ესლა მომადგა:

— მერე ამას ხელისუფლების ნება-რთვა არ უნდოდა?

— არა მარტო ხელისუფლების, ქალაქის მთავარი არქიტექტორისაც, რადგანაც ერევანში უბრალო ქვასაც კი ვერ დასდებ, თუ ის გენერალური გეგმით არ არის გათვალისწინებული. ეკლესია ჩვენში დიდი გავლენით სარგებლობს. ხელისუფლების ორგანოები თავს მოვალედ თვლიან მის ნებასურვილს ანგარიში გაუწიონ. წმ. სარქისის საყდარი, ისევე როგორც სომხეთის არქიტექტურის ტერიტორიაზე გაბნეული ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, მოქმედია. დიდ სასულიერო დღესასწაულებზე აქ საზეიმო წირვა-ლოცვა იმართება, თვით უწმიდესი კათალიკოსი ვაზგენი წირავს...

— სომხეთის მიწაზე ჩემი პირველი ყოფნა, გუშინ საღათისადაც ვეუბნებოდი, სწორედ სასულიერო დღესასწაულთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ თითქმის მეოთხედმა საუკუნემ გაიარა. უწმიდესი ვაზგენი ახალი ნაკურთხი იყო. დღესასწაულზე თავი უამრავმა ხალხმა მოიყარა. ბევრი, აღზნობა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც ჩამოვიდა დღესასწაულზე დასასწრებად, რომელსაც, ჩემი მიხედვით, საერთო-ეროვნული მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე რელიგიური. როცა ამას ვამბობ, სომხური ეკლესიის თავისებურ ბუნებას ვგულისხმობ. რელიგიის ისტორიის ცოდნაში თავს ვერ გამოვიდებ, ვინაიდან ეს მეცნიერების მთელ დარგია, რომელსაც სასულიერო სემინარიებმა და აკადემიებში ასწავლიან, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რომ, გარდა ქრისტიანული რელიგიის გრიგორიანული ფართისა, კიდევ მოიპოვება თუ არა დედამიწის ზურგზე სხვა ეროვნული რელიგია, მაგრამ გრიგორიანობა რომ ეროვნული რელიგიაა, იმაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

— საინტერესოა. წარმოიდგინეთ, მე იმაზე წინათ არ მიფიქრია. მაშ, თქვენ

ამბობთ, რომ გრიგორიანობა, ანუ გრიგოლ განმანათლებლის მოძღვრება, რომელიც ახალი სარწმუნოებრივი პრინციპული მოციქულება სომხეთში შემავალია და მთელ სომეხ ერთან ერთად მეფე თრდატ მესამეც მოაქცია, ეროვნული და არა კოსმოპოლიტიური ქრისტიანული რელიგიაა და ვინც გრიგორიანობას იწამებს. ანუ ვინც გრიგორიანული ტიპიკონით მოინათლება, იგი ეროვნებითაც სომეხი უნდა იყოს?

— რა თქმა უნდა, გვეორკ. ეროვნული რელიგიის შექმნა, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ეროვნულ თავისებურებებზე მორგება, უტყუარი იარაღია ასიმილაციის წინააღმდეგ საზღვარგარეთ. სომხური ეკლესიის მამები ამას ადრევე მიხვდნენ და მეექვსე საუკუნეში რომ ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება მოხდა, ეს გარემოება, ჩემის აზრით, თუ ყველაზე უწინარეს არა, მთლად უკანა რიგში არ უნდა მდგარიყო. დოგმატურ თუ სარიტუალო წერილობანებში, რაშიაც საეკლესიო განხეთქილება გამოიხატა და რამაც შემდგომ ორივე ერისათვის ერთობ საზიანო ფართო ხასიათი მიიღო, გულახდილად რომ ვითხრობ, მე ვერ ვერკვევი, მაგრამ მთავარი როლი, ჩემი ღრმა რწმენით, აქ მაინც პოლიტიკამ ითამაშა. როგორ? ქრისტიანობის სომხური სახეცვლილება, თუ გნებავთ, სომხური რედაქცია — გრიგორიანობა, რომელიც მართლმადიდებლობას გამოეყო და დომოუციდებელი ეკლესიის სახე მიიღო, სომხებს იცავდა მართლმადიდებლური ბიზანტიის რელიგიური ანექსიისაგან, სარწმუნოებრივი აღრევისაგან, რაც სომეხი ერის მშობლიურ ენას — სომხურს ეკლესიიდან გამოდევნივთ ემუქრებოდა და, ამგვარად, თვით ერის ყოფნა-არყოფნას დიღემის წინაშე აყენებდა. შემთხვევით როდი იყო, რომ ბიზანტიის ხელდებულ დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო ბერ-

ძნელი ენა ბატონობდა, ვიდრე საქართველოს გამაერთიანებელმა შეფემ ბაგრატ მესამემ მეთერთმეტე საუკუნეში ქართული მიწების შემოკრება, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს აღდგენა არ დაიწყო და მცხეთის საპატრიარქომ ქართველი ერის მშობლიური ენა ქართულ ეკლესიასაც ლეთისმსახურებისათვის ერთადერთ სავალდებულო ენად არ გაუხადა. აი, ამ შორი გზის მოვლას ასცდნენ სომხები თავიანთი ეროვნული რელიგიით, გრიგორიანული ქრისტიანობით!

— გამოდის, რომ ჩვენი წინაპრების გადაწყვეტილებას შორს გამიზნული გამართლება ჰქონია!

— ჰქონია და აგრე? ბიზანტიის დაცემის შემდეგ მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოდის მართლმადიდებელი რუსეთი, რომელიც თავს ბიზანტიის სულიერი კულტურისა და სახელმწიფო ორგანიზაციის მემკვიდრედ აცხადებს. ის არ მოილტვის კავკასიის ქედს გადმოღმა, რათა ერთმორწმუნე ქართველობა გადაყლაპოს, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთის მხრივ შიიტური სპარსეთი და მეორეს მხრივ სუნიტური ოსმალეთი კარგავენ წონასწორობას. მარტო იმის გამო, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელია, ის ერთმორწმუნე რუსეთის აგენტად და პოტენციურ მტრად მიაჩნიათ, რომელსაც ყოველთვის შეუძლია გააღოს არაგვის კარი და „ჩრდილოეთის თეთრი ვეშაპი“ ამიერკავკასიაში შემოიშვას!

— მაგ მხრივ არც ჩვენ ვიყავით უკეთეს დღეში, გრიგორიანობა მაინც და მაინც ვერაფერში დაგვეხმარა!

— შეიძლება პარადოქსად მოგჩვენოთ, გეოგოგ, მაგრამ მე მაინც გაუბედავ და ვიტყვი: სპარსეთი და ოსმალეთი ებრძოდნენ სომეხ ხალხს და არა გრიგორიანულ რელიგიას, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტს. სხვა იყო

ქართული მართლმადიდებლობა, რომელიც ორივე მტაცებელს უკველში რუსეთის ცარიზმის ტყველად ჩაქვედობდა. ხომ ცნობილია, ახალციხელ ქართველ კათოლიკებს, აგრეთვე იმათ, ვინც ქართველთაგან სომხური წესით, გრიგორიანად მოინათლებოდა და ეკლესიის სათანადო დავთარში სომხად ჩაწერდნენ, ფანატიკოსი თურქები სარწმუნოების საფუძველზე არაფერს ეჩიოდნენ, მხოლოდ მართლმადიდებელთა სისხლი სწყუროდათ, რადგან მათ ერთმორწმუნე რუსეთის მიერ შემოგზავნილ მსტოვებელ თელიდნენ. ახალმა დრომ ახალი პრობლემები წამოატივტივა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გამოცხადდა, ავტომატურად გაუქმდა სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქთა ტახტიც. ერთ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ერთი მთლიანი სახელმწიფოს ფარგლებში არ შეიძლებოდა ორი მეთაური ჰყოლოდა. ამიტომაც ქართველი კათალიკოსების აღდგინა რუსული ეკლესიის წარმოგზავნილი ეგზარხოსი დასვეს, ჯერ ქართველი, შემდეგ რუსი და ათასხუთასწლოვანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ათასიოდე წლის წინათ გაბერძნებას რომ ძლივს გადაურჩა, მას დაუქვემდებარეს. რა მოხდა სომხეთში, როცა ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა? ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქების ტახტს ვაგლახად არაეინ შეხებია, ვინაიდან ეს სხვა ეკლესია იყო, ეკლესიურად სომხეთი რუსეთს არასოდეს არ შეერთებია და, ამგვარად, სომხური ეროვნული ეკლესიის მეთაური ეკლავაც თავისი სამწყსოს სათავეში დარჩა. მართლაც ძნელია და შეუძლებელიც, ამ ისტორიულ ფაქტს და რეალურ ძალას ანგარიში არ გაუწიო. უკან მიმაქვს ჩემი წელან-

დელი უადგილო გაკვირება. მოგვიანო დროის ქართველი მეფეები რომ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის კარზე თხოვნა-ვედრების წიგნებს აგზავნიდნენ, ქართველ დიპლომატებს თითქმის ყოველთვის თან მიჰქონდათ სომხეთის კათალიკოს-პატრიარქთა მღაბალი წიგნიც, რომლითაც ისინი, მთელი სომეხი ხალხის სახელითა და ლოცვა-კურთხევით, იმასვე ევედრებოდნენ ძღვევამოსილი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს, რასაც ერთის მხრივ თურქეთისა და ირანის და მეორეს მხრივ კავკასიელ მთიელთა განუწყვეტელი შემოსევებით გულგაწყალებული ქართველი მეფეები. აი, რა შემკვიდრებოდა ერგო, ჩემო გეგორქ და სერგო, უწყმიდეს ვაზგენს, ვისი ტახტიც ისევე მუდმივია, როგორც თვით სომხეთი, მიუხედავად იმისა, გეწამს თუ არა მე და თქვენ წვერებიანი ღმერთი! ახლა საით გვიდევს გზა?

— მე და სერგო ვფიქრობთ, გავიქრათ არარატის ველზე მსგავსად ტარიელისა, ამტარაკში არ შეეჩერდეთ, რადგან დღის ბოლოს ისევე აქ მოგვიწევს მობრუნება, მოვინახულოთ სარდარაპატის ბრძოლის შემორჩალი ოქტომბერიანის რაიონში, მანამდე კი პატარა სოფელ ოშაკანს ვესტუმროთ. თქვენ, თუ არ ვცდები, არაფერს გეუბნებათ ეს სახელი?

— ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდებ.

— სოფელ ოშაკანში ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხული მესროფ მაშტოცი დაიბადა, სომხური დამწერლობის შემქმნელი, დაკრძალულიც აქვეა, მშობლიურ სოფელში, სადაც ყრმობა და სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა!

მოდით და ნუ შეგიპყრობს განცვიფრება და აღფრთოვანება! ვის, რომელ ხალხს დედამიწის რომელ ნახევარსფეროში ახსოვს თავისი დამწერლობის შემქმნელი, შემქმნელი დამწერლობისა, რომელმაც, ვიდრე მომდევნო

ეპოქებში საბოლოო სახეს მიიღობდა და ჩამოყალიბდებოდა, ვინ ქმნის დღის, რამდენი გარდაქმნა-გადახალისებია გაუიარა! მაგრამ აქ, სომხეთში, არა მართო იციან და ახსოვთ თავიანთი უპირველესი კულტურტრეგერის ვინაობა, საფლავიც კი ხელშეუხებელიც შემოუნახავთ, რათა მომავალმა თაობებმა მოწიწებით მუხლი მოიყარონ სამშობლოსათვის, მშობლიური სომხური ენის უყვადეებისათვის უმაგალითოდ გარჯილი მამულიშვილის ხსოვნის წინაშე და მისი ცოცხალი ნატი, გზა რომ არ დაებნეთ ცხოვრებაში, ყოველთვის თვალწინ ესვენათ.

დედამიწის ზურგზე ხომ სულ თოთხმეტი დამწერლობაა. მათ შორის ერთი სომხურია და დანარჩენი ცამეტი-საგან იგი, ალბათ, იმითაც განსხვავდება, რომ მაშტოცის ხელიდან გამოსვლის შემდეგ არავითარი გრაფიკული და შინაარსობრივი ცვლილება არ განუცდია. დღევანდელი სომხები ამჟამადაც ზუსტად იმ დამწერლობით სარგებლობენ, რომელსაც შორეულ მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, მესროფ მაშტოცის დროს იყენებდნენ.

კარგია ეს თუ ცუდი? მე, რასაკვირველია, ვერ გამოვდგები მსაჯულად, თუმცა იმის თქმის უფლებას კი მაინც მიეცემ თავს, რომ, რაკი ცივილიზაციის შემდგომმა აღმავლობამ მაშტოცის მიერ შექმნილ დამწერლობაში არავითარი ცვლილების მოხდენა არ მოითხოვა, მაშასადამე, ეს დამწერლობა იმთავითვე შეიცავდა საკაცობრიო აზრის გამოსახვის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.

გავედით თუ არა ქალაქიდან, უშალ სანიმუშოდ მოვლილი, დახულ-დაძლიანტაყებულო, შალეებზე გაკრული ვენახების თვალუწვდენელ მასივში მოვხვდით, რომელიც სადღაც ჩვენს წინ

იწყებოდა და შორს, არარატ-არაგასის მთების ძირას მჭრელ ბურუსში წყდებოდა. ვენახის საგაზაფხულო სამუშაოების ალო იყო და მიუხედავად შაბანაქება სიცხისა, სარწყავი არხებით სწორ ოთხკუთხედებად დატვირთულ ზეარში ჰრელი ხილამანდით თავწაგრული ქალები და კაცები მუშაობდნენ. ვინ სხლავდა, ვინ თოხნიდა, ვის წალამი გაჰქონდა, ზუსტად ისე, როგორც ჩემს მშობლიურ საქართველოში. ყველა საქმით იყო გართული, ყურადღებას არავინ გვაქცევდა, არა და გინდოდა გაჩერებულობა, ამ კეთილი ხალხისათვის, დღე და ღამ რომ მიწას ჩასცქერიან და ქვეყნის სიმდიდრესა და ღოვლათს ქმნიან, კეთილი სალამი გეთქვა, გეკითხა, რით ცხოვრობენ, რა უპირთ, რა უღბინთ, რაზე ოცნებობენ, რას მოელოან...

კეთილსინდისიერად დაგებულ გზატკეცილს შეაგულში ფართო გაზონი გასდევდა, როგორც ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ავტომაგისტრალებზე, მოძრაობა ცალმხრივი იყო და ბლუილბლუილით მიმავალი მსუბუქი და სატვირთო მანქანები საბურავების ერთფეროვანი გრუხუნით კეცავდნენ მას. მარცხნივ დარჩა მეწამორა, ერევნის ატომური ელექტროსადგური, რომლის რეაქტორებსა და დამხმარე კორპუსებს, ადმინისტრაციული თუ მომსახურე პერსონალის საცხოვრებელ მრავალსართულიან სახლებს ხელისგულივით სწორი ვაკის ათობით ჰექტარი უქირავთ.

გასაგებია, რა მწარე გულსტკივილით თმობდნენ ნაყოფიერ მადლიან მიწას მეწამორელი მგვენახეები, როცა უდიერმა ბულდოზერებმა შეილივით ნაზარდი და ნასათუთარი ვახის ამოძირკვა დაიწყეს, მაგრამ რას იზამ, თავს ზევით, რომ იტყვიან, ძალა არ არის, დროის გარდაუვალ მოთხოვნას საით გაექცევი! ადრე იქნება თუ გვიან, კაცობრიობამ უნდა მონახოს ენერგეტიკის ახალი წყარო, ვინაიდან ის წყაროები, რომლებითაც აქამდე საზრდოობდა, თითქმის უკვე დაშრა, უმნიშვნელო

ნელო მარაგს—ლა ვეპოტინებით, ცივილიზაციის მიღწეული მშენებლობები კი შეუძლებელია, თუ ენერგეტიკულ შიმშილს თავი ვერაფრით დაეაღწივთ. გაჩერდება უკლებლივ ყველა ძრავა, ჩაქრება ყველა ნათურა, ჩაქვდება ყოველივე, რაც აქამდე მუდმივი და თავისთავადი გვეგონა.

გახლეჩილი მშვიდობიანი ატომი, სითბური ენერჯის უახლესი წყარო, რომელიც, თანახმად ფიზიკის კანონებისა, ნებისმიერ ენერჯიად გარდაიქმნება, უკვე ჩამდგარა სომხეთის სახალხო მეურნეობის სამსახურში. რესპუბლიკის ელექტროენერჯის გამომუშავების უმეტესი წილი, მიუხედავად „თეთრი ნახშირით“ მდიდარი სომხეთის პიდროელექტროსადგურების ქსელის შედარებითი სიმძლავრისა, ატომურ ელექტროსადგურზე მოდის და ამ შხრივ სომხეთის წილი კავკასიის ენერჯოსისტემის საერთო ბალანსში უაღრესად მნიშვნელოვანია.

— რა ვქნათ, ვერა და ვერ მივეჩვიეთ, — გამოტყდა გვეორქვი. — ყოველ წამს გვახსოვს, რომ ეს აქ დგას, დენტით სავსე კასრზე უარესი, მაგრამ უამისობაც რომ აღარ შეიძლება? ღმერთმა დაგვიფაროს, რაიმე მოხდეს!..

მართლაც და... თაობა, რომელსაც ჩვენ ყველა ვეკუთვნით, ისტორიამ ალტერნატივის წინაშე დააყენა — ან, ან... რომელი ვინდა აირჩიო? მაგრამ ეს რიტორიკული კითხვაა, ვინაიდან სინამდვილეში არავითარი არჩევანი არ არსებობს: ადამიანმა უნდა დაიმორჩილოს და მოიშინაუროს ატომი ისე, როგორც ოდესღაც, საკაცობრიო ცივილიზაციის კვირახალზე დაიმორჩილა და მოიშინაურა ძალლი და ხარი, როგორც მოიშინაურა და თავის ნებისყოფას დაუქვემდებარა ყოველივე ცოცხალისათვის ერთობ საშიში ცეცხლი, წყალი და ელექტრონი..

არ გუვლია ნახევარ საათსაც, ქვალორლით მოფენილ სერს გადავადექით და მაშინვე დავინახეთ რაზდანიებარ კლდოვან კალაპოტში ვერცხლისწყალივით ჩაღვრილი მდინარე კასახი.

წყალგაღმა, შემოღლებულ მარჯვენა ნაპირზე, სუბტროპიკულ სიმწვანეში ნაირფერი სახურავებით გამოშორალი ქალაქი ამტარაჟი გადაიშალა. იგი არც-თუ ისე დიდია, თუმცა არც სიპატარავე ეთქმის. ძველ არქიტექტურულ ნაგებობათაგან, გარდასულ ეპოქათა ეშხა და ლაზის რომ გაგრძობიანებენ, რომელთა უმრავლესობა დიდი და მცირე ზომის საყდრებია, თითქმის აღარაფერი დარჩენილა. სამაგიეროდ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ქალაქური ყაიდის მრავალი ახალი შენობა აუგიათ, განსაკუთრებით უკანასკნელ ოც-ოცდაათ წელიწადში, ტუფის პერანგში ჩაუსვამთ და სომხეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაწინაურებულ რაიონულ ცენტრად ითვლება, ლამაზ-ლამაზი სწორი ქუჩებით, თეატრით, კულტურის სახლებით, ხილებით და პარკებით დაუმშვენებიათ.

ერთ-ერთი საშთალიანი, შედარებით ვიწრო ქვის ხიდი, სიძველისაგან აქაიქ ხავსი რომ მოსდებია, მეცამეტე საუკუნისაა. იგი უკანასკნელად მეჩვიდმეტე საუკუნეში შეუკეთებიათ, იმხანად, როდესაც სისხლისმსმელმა შაჰ-აბასმა 350 ათასი სომეხი თავისი კაცთმომოძლე მიზნების აღსასრულებლად სამშობლოდან აპყარა და სპარსეთში გადაასახლა. ვინ იცის, იმ უბედურთა ერთმა, ნაწილმა ამ ხიდზედაც გადაირა და შემდეგ აღარც აღარასოდეს მოსწევია მშობლიურ მიწა-წყალზე ფეხის დადგმა.

ქართულ თარგმანში ამტარაჟი კოშკს ნიშნავს. მის ამ სახელწოდებას ყურადღება ჭერ კიდევ სომხური სიძველეებით დაინტერესებულმა და მათმა დიდმა მცოდნემ აკადემიკოსმა ნიკო მარმა მიაქცია. მარის აზრით, ტოპონიმი ამტარაჟი ძველისძველია და იგი წარმართობის ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. ახლანდელი ამტარაჟის ადგილას უნდა მდგარიყო კოშკიტაძარი, წარმართული სალოცავი, მიძღვნილი დრაკონისადმი. ძველ რომა-

ულ რუკებზე, რომლებიც კარგა ხანია მოიძიეს, თანამედროვე ამტარაჟის ადგიერ იხსენიება შტრანგლერი ქალაქი ლათინურად გველშაჰ-ქალაქად შეიძლება ითარგმნოს.

რით აიხსნება ეს გარემოება? იქნებ უფრო იმით, რომ შოაფლიოს დასაპყრობად აღძრულ რომაულ ლეგიონებს ამტარაჟმა თავი გველშაჰის ქალაქად დაახსომა? ეს მით უფრო ადვილი შესაძლებელია, რომ მთელი ოთხასი წლის განმავლობაში, პირველი საუკუნიდან მეხუთე საუკუნემდე, როდესაც სომხეთს მეორე დინასტიის მეფეები არშაიდეები მართავდნენ, აქ ომი და სისხლისღვრა არ შეწყვეტილა. ერთის მხრივ სასანიდთა ირანი და მეორეს მხრივ ძლევამოსილების უმაღლეს წერტილზე ასული რომი თავს არ იზოგავდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში უპირატესობა მოეპოვებინათ. სომხეთისა და იბერია-კოლხეთის მიწა-წყალი, როგორც დიდი ხნის წინათ, კიროსისა და ალექსანდრე მაკედონელის შეტაკებების დროს, არა ერთჯერ ქვეყლა ორი მძევნარე ვეშაჰის — ირანისა და რომის სამკედრო-სასიციცილო შეზმის ასპარეზად.

საუკუნობრივ ომებში, გამუდმებულ ძარცვასა და ტყვეებაში, ქვეყანა თანდათან დასუსტდა და გაღარიბდა, მოიშალა ეკონომიკა, დაქინდა ვაჭრობა, ცენტრიდანულმა ძალებმა, სომეხი დიდგვაროვანნი — კამსარაჯანები, ბეგრატუნები, არწრუნები და სხვები და სხვები რომ წარმოადგენდნენ, თავიანთი შინაგანი უთანხმოებით ძირი გამოუთხარეს ცენტრალიზებულ სომხურ სახელმწიფოს, რომლის სათავეშიაც სრულიად სომხეთის მეფე იდგა, და იმდენს მიაღწიეს, რომ იგი პატარა-პატარა სამეფო-სამთავროებად, სანახარაოებად დაიანწევრეს. ფეოდალი ხომ ყველგან ფეოდალია. მართო გულუბრყვილო ვაი-პატრიოტებს ჰკონიათ, რომ მისი სისხლის მონათესავე ფეოდალები სხვაგვარები იყვნენ, სხვებს არა ჰკვანდნენ, თვითმპყრობელ მეფეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულობ-

დნენ, რომ ფეოდალს ლაღატი, ხე-ჩოსებრ თავისკენ მითლა, სოციალური მრწამსიდან კი არა, თითქოს მისი ბიოლოგიური ბუნებიდან, უფრო კი ეროვნული წარმომავლობიდან მომდინარეობს.

სწორედ ამ უკუღმართმა დებულებამ წარმოშვა დიდი უთანხმოება ამ სტრიქონების ავტორისა რუს მწერალ, წარმოშობით თბილისელ სომეხ ვერნიშევიან, რომელმაც ზაქარია მხარგრძელისადმი მიძღვნილი თავისი რომანი „ამირსპასალარი“ ისტორიული სინამდვილის მეცნიერულ ანალიზს კი არ დააფუძნა, არამედ ობიექტური ფაქტების ობიექტული ახსნის ვიწრო ბილიკს დაადგა, ეპოქა გაბზარულ სარკეში აჩვენა და ფართო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. უაღრესად საყურადღებო და საგულისხმოა ამასთან ისიც, რომ მოსკოვში, სამხედრო გამომცემლობაში სტ. ზლობინის რედაქციით და წინასიტყვაობით დაბეჭდილი ეს წიგნი სომხურად არ თარგმნილა და არც სომხეთში და არც სადმე მის ფარგლებს გარეთ სომხურად არ გამოქვეყნებულა, რაც ქართველი ხალხისა და მისი ინტელიგენციის მიერ სათანადოდ იქნა შეფასებული და დაფასებული.

„ცენტრიდანული ძალები, — ვწერდი მე მაშინ ვერმიშევის რომან „ამირსპასალარისადმი“ მიძღვნილ ვრცელ წერილში „რაც მტრობას დაუნგრევია“, — ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. დაეით აღმაშენებელმა სწორედ ამ დიდი უბედურების აღსაყვეთად აღმართა მახვილი და ქვეყნის ცენტრალიზებული ხელისუფლება პარტიკულარიზტული ტენდენციების დაქვეითებისა და მოსპობის გზით განახორციელა... თავისი ისტორიული მისიის შესრულების დროს ბრძენი მეფე მსხვილ და თავკერძა ფეოდალებს ვერ დაეყრდნობოდა. ასევე იქცეოდნენ სხვა ფეოდალურ სახელმწიფოთა მმართველებიც: შაჰ-აბასი, კარლოს დიდი, ფილიპე მეორე, ივანე მეოთხე...

დაეითს ყველა ღონე უნდა ემზარა თავისი ძლიერი ფეოდალური ძალების ტეზად, მათთვის სახელმწიფოს ტეზად ხალხის თვალში, რათა ამ გზით წინ წამოეწია და ცენტრალიზებულ ადმინისტრაციაში დაეწინაურებინა მდამიო წარმოშობის ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც ჭერჭერობით არაფერი გააჩნდათ, გარდა მომავალი კეთილდღეობის იმედისა“.

სადაც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყოს, რა ჩვეულისა და სიმბურვალის სისხლიც არ უნდა ჰქონდეს, ფეოდალი იმის ფეოდალია, რომ საკუთარ სამფლობელოში თავი პატარა მეფედ მიაჩნია, იქნებ დიდადაც, და უშვალ სიცოცხლეს გაწირავს, ვიდრე ამაზე უარს იტყოდეს.

387 წელს ნახარათა შინაგანი შეუთახმებლობა, სიხარბე და ფეოდალური მიხტომ-მოხტომა, როგორც ხალხების ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა, საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ სრულიად სომხეთის სამეფო დაეცა, ცენტრალიზებული სახელმწიფო დაირღვა და მისი ტერიტორიის ერთი ნაწილი სასანიდურმა ირანმა მიითვისა, ხოლო მეორე ნაწილს გაუმაძღარი რომი დაეპატრონა.

ფილოსოფოსები, ვარსკვლავთმრიცხველები, საფორტეფიკაციო ნაგებობათა ინჟინრები, მემატიანენი და გეოგრაფოსები თან ახლდნენ ლეგიონებსა და კოპორტებს. ასე აღმოჩნდა რომაულ რუკაზე აშტარაკიც, რომის აზიური პროვინციის ერთი პატარა, მოუსვენარი, მტრისათვის ძნელად მისიანდო ქალაქი, ქალაქი-გველეშაპი...

აშტარაკისათვის ლათინური სახელის შერქმევა იქნებ უფრო ადრეც, რამდენიმე საუკუნის უწინარეს მოხდა? „პარალელური ბიოგრაფიების“ ავტორს პლუტარქეს და სხვა რომაელ ისტორიკოსებს უნდა დაევეითხოთ. პლუტარქე ანტიკური ქვეყნების აპოლოგეტი იყო, ამ კულტურული სამყაროს გარეთ მას არც არაფერი ეგულებოდა, რასაც შეეძლო ამაყი რომაელი პატრიცის ყურადღება მიექცია, მაგრამ პონტოსა



და სომხეთის მეფეების, მითრიდატე ეპატორისა და ტიგრან დიდის ცხოვრების აღწერას მაინც ვერ ასცდა და მათი სახელები, საქმენი საგმირონი, როგორც სულმნათი რუსთაველი იტყობდა, სხვა უაღრესად გამორჩენილ ისტორიულ პირთა სახელების გვერდით, „პარალელურ ბიოგრაფიებში“ შეიტანა. ეს რომ ასე არ ექნა, დიდი რომაელი სარდლები, მრავალგზის ტრიუმფატორები, ლუკულუსი და პომპეუსი, მრავალი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით რომ ეომებოდნენ მითრიდატე-ტიგრანის კოალიციას, ერთადერთ ძალას, რომელსაც ძალუდდა მონათმფლობელური რომის ექსპანსიას აღმოსავლეთში წინ აღდგომოდა, ისტორიის გარეთ უნდა დაეტოვებინა და ხანგრძლივი ომის კოლოზიები, თავის შექსპირს რომ ელოდება, კაცობრიობისათვის სამუდამოდ დაეკარგა.

თუ არ იმარჯვე და სიმტიცე არ გამოიჩინე, უსათუოდ წაგძლევეს ცთუნება, იმ შორეულ, ჩვენს ერამდე მომხდარ ამბებსაც ჩაულრმავდე, გაიხსენო უმავალითო ტრაგიზმით აღსავსე ბედი გმირებისა, მაგრამ ეს მეტისმეტად შორს წაგვიყვანს და მეც სხვა გზა აღარა მრჩება, მოძალებულ ცთუნებას უნდა გაუფელავდე.

ზემოთ ნათქვამს ერთს მაინც დავუმატებ: ვინც ამ პატარა წიგნის მკითხველთაგან მცხეთაში თუნდ ერთხელ ყოფილა და ქვეითად, მანქანით თუ მატარებლით სარკინიგზო სადგურის მახლობლად გაუვლია, ვინმე აუცილებლად დაინახებდა მტკვრის კალაპოტის ვიწრო ადგილს, სადაც წყალქვეშ ხილდათ მიმსგავსებული რაღაც ქვითკირის შენობა ილანდება. ვიდრე ზემო ავჭალაში ოციანი წლების მიწურულს ამიერკავკასიის პირველ პიდროელექტროსადგურ ზაპესს ააშენებდნენ და ტურბინებზე მისაშვებად აქ წყალი დაგუბდებოდა, ამჟამად წყალქვეშ მოხვედრილი ხიდი არა მარტო კარგად ჩანდა, ძველ მოვალეობასაც მშვენიერად ასრულებდა, მდინარის მარჯვენა და

მარცხენა ნაპირებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ერქვეშული

ქვეყნის წარსულის სამშენებლო საქმეებზე ისე ჩაუხედავი კაცი აბა როგორ წარმოიდგენ, თუ ეს ქვის ხიდი, რომლის მსგავსი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი შემორჩენილა, უხსოვარ დროს, ორი ათასზე მეტი წლის წინათ არის აშენებული და მისი აშენება რომაელთა ლეგიონების მცხეთაში, იბერიის დედაქალაქში, შემოსვლას უკავშირდება.

ლეგენდაა თუ ნამდვილი ამბავი? ჩემი ხელობის კაცს გაუჭირდება ამ კატეგორიულ კითხვაზე დამარწმუნებელი პასუხი გასცეს და სათანადო ისტორიული საბუთებიც მოიტანოს, მხოლოდ ერთი უტყუარი ფაქტის აღნიშვნის უფლებას დავიტოვებ: საგუბრის სიღრმეში ჩარჩენილი უძველესი ხიდი თუ ნახილარი დღესაც რომაელი სარდლის პომპეუსის სახელს ატარებს და თავს გარდასულ დროთა გამოუცნობი შარავანდელი ადგას!

აი, ოშაკანიც, ბალ-ვენახებით გარს შემორტყმული ტიპური სომხური სოფელი, რომლის მკვიდრთ, რაჯი მსახვრალი მტრის შემოსევისა და ქვეყნის აკლების შიში უკვე დიდი ხანია აღარ არის, აქაურობის მოსაშენებლად, სიციოტლის ასაღორძინებლად არც ნიქის ძალა, არც უნარი და არც თავულებელი შრომა დაუშურებიათ. რა იქნებოდა, იმ დროსაც რომ ასე ყოფილიყო, როდესაც ოშაკანისა და სომხეთის დიდი შვილი, შემდგომში წმიდანად შერაცხული მესროფ მაშტოცი, სომხური დამწერლობის შემქმნელი, ამ ქვეყნად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რა სიმალეებს და მასშტაბებს მიიღწევდა მაშინ სომხური ცივილიზაცია, როგორი იქნებოდა მის მიერ შეტანილი წვლილი საკაცობრიო კულტურაში!

მესროფ მაშტოცის სახელობაზე 1879 წელს აგებული ბაზილიკის ტიპის კარგა მონრდილი საყდარი სოფელ ოშაკანის შუაგულში, ოდნავ შემალელებულ ადგილას, მოედანზე დგას.

საყდრის კარიბჭე დღემოდამ ღიაა და ნიშებში სანთლები ანთია. საყდარი, რაღა თქმა უნდა, მოქმედა, წირვალოცვა და ბავშვების ნათელა აქ არც არასოდეს შეწყვეტილა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, აქეთ მომავალ ბილიკს ბალაბი მანც აროდეს გადაუვლის, ერის უბირველესი წმიდანის სამარადისო სამყოფელი ყოველი მხრიდან მოზღვაებულ უამრავ ხალხს იზიდავს.

თუ გსურს, სომხეთს, სომეხ ხალხს გულწრფელად და უანგაროდ პატივი სცე, მოწიწებით თაყვანი ეც მესროფ მაშტოცის საფლავს, ვინაიდან ამ დიდი სწავლულისა და მამულიშვილის სახელი სომეხი ხალხის სინდის-ნამუსს, მის მშობლიურ ენას, დამწერლობას, სულიერ თავისთავადობას, მის მიერ მოწამებრივად დაღვრილ სისხლს განასახიერებს!

ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად სომხეთში ისე არავენ ჩამოვა, ოშაკანი რომ არ მოინახულოს და საყდრის საკურთხეველის გვერდით ძირს, სარდაფის სართულზე არ ჩავიდეს, სადაც ნესტიან აკლამაში ათას ექვსასი წლის წინათ დამარხული მამულიშვილი კაცი განისვენებს. უკანა კედელზე ჭარი და სომხური ანბანია ამოკვეთილი, ორი რამ, რისთვისაც ამ ქვეყნის ყოველი ღირსეული შვილი საუკუნეების განმავლობაში საკუთარ სიცოცხლეს წირავდა!

ჩვენ რომ ჩავედით, ვეებერთელა საფლავის ქვაზე მინდურის ყვავილების რამდენიმე თაიგული იდო. ვინ იყო აქ დღეს ჩვენზე ადრე? ვინ მოიტანა ეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები? ჩემებრ სტუმარმა თუ განსვენებულის მადლიერმა შთამომავალმა, მესროფ მაშტოცის დამწერლობაზე რომ გაიზარდა, მით სამყაროს ყველა საიდუმლოს ეზიარა და თავისი ერთი მუჭა სამშობლო სულაც არ ებატარაებდა, რადგანაც, კარგა ხანია, ის ჭეროვან მეტოქეობას უწევს „დიდ მდინარეთა ნაპირებზე დაბადებულთა“, იმათ, ვისაც გვარ-ტომის მრავალრიც-

ხოვნობა აყოყობებს და სხვათა დარჩენა-დამცირების გუნებაზე უყენებს!

— რას იტყვით? უნდა დავუთხროთ მკითხა გვეორგმა, როდესაც საყინულესავით ცივი აკლამიდან ამოვედით და კვლავ საყმველის მჭრჭალი კვამლით დაბურულ, თაფლის სანთლებით განათებულ საყდარში აღმოვჩნდით. — ხომ შთამბეჭდავია?

— არამეტუ შთამბეჭდავი, — მხურვალედ ეუბასუხე მე. — შთამაგონებელიც! შე ვხედავ დროთა კავშირს. აქ თითქოს არავენ არ მომკვდარა, სიცოცხლის ერთი მთლიანი, უსასრულო ჭაჭია!

— ვერ დაგიმალავთ, ძალიან მიხარია, ასე რომ ამბობთ!

— სხვები კი არ ამბობენ? როგორ შეიძლება, სომხეთში, ამ ბიბლიურ და ამავე დროს უალრესად თანამედროვე ქვეყანაში იყო, ყოველივე ის, რაც ჩემი თვალით ვნახე, ნახო და ენა-პირი დაიდუმო! პირიქით, მე სულ სხვა გრძნობა მეუფლება, მინდა, გული ხურჩინივით ყველას თვალწინ გამოებერტყო, როგორც ერთი ჩვენი პოეტი იტყოდა და, რაც შიგ თვალმარგალიტი დამიგროვდა, ქვეყანას დავანახო!

— ღმერთმა გაგახაროთ! ეს, ჩემი აზრით, აღამიანების და მთელი ხალხების ურთიერთობის ერთადერთი გონივრული გზაა. უნდა ვეძიოთ არა ის, რაც გვაშორებს, არამედ მხოლოდ ის, რაც გვაახლოებს. ჩვენი წინაპრები, თქვენიც და ჩვენიც, ყოველთვის როდი მისდევდნენ ამ შეგონებას. ამით ვილაც მესამე ითბობდა ხელს, თან გულში იციხოდა, თქვენ არ გეწყინოთ, კაცმა რომ თქვას, უგუნური არც ერთი არ არის და ასე წინდაუხედავად როგორ უსხამენ წყალს საერთო მტრის წისქვილს.

— რა არის საჭირო, ეგ რომ არ მოხდეს?

— მე თქვენი აზრი უფრო მაინტერესებს, თუ უზრდელობად არ ჩამომართმევთ. ვიცი, ბევრი გიფიქრიათ.

— საკუთარი თავივით უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. არასოდეს არ უნდა

დავიყვანოთ ჩვენი ურთიერთობა ობი-
ვატელის აზროვნების დონემდე. ეს
ურთიერთობატივისცემასაც მიგვაჩვენებს
და აღარც ხელი დაგვიწყებს ქაველს
სხვის ბოსტანში კენჭის გადასაგდე-
ბად!

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეგ საკმა-
რისია?

— საესებით! ცივილიზებულ ერებს,
ათასობით წლების განმავლობაში ერ-
თმანეთის გვერდით რომ ცხოვრობენ
და უამრავი რამ საერთო და განუყო-
ფელიც აქვთ, სხვაგვარად მოქცევა არც
უნდა შეეძლოთ. მაგრამ ვინ უნდა გა-
აყეთოს ეს? ვინ უნდა დაანგრიოს ხე-
ლოვნურად აღმართული ბარიერები?
საქმეში ჩახედულმა მწერლობამ! საქ-
მეში ჩახედულმა მეცნიერებამ! უპირ-
ველეს ყოვლისა საისტორიო მეცნიე-
რებამ! გასაყეთებელი და მოსაგვარე-
ბელი ბევრია, გაცილებით მეტი, ვიდ-
რე მე და თქვენ შეიძლება გვეგონოს.
საქმეს ყოველთვის არამკითხვ მემამბე
ვაი-პატრიოტები აფუჭებენ, აი, ისინი,
ყოველ გზაჯვარედინზე რომ გაიძახიან
გაუმარჯოს ყოველსავე ქართულს ან
ყოველსავე სომხურსო, რას ქვია, ღმე-
რთო კი მომკალი, „ყოველივე ქართუ-
ლი“, ანდა „ყოველივე სომხური“,
თუნდაც რუსული, ფრანგული, ინგლი-
სური? ნუთუ ისეა საქმე, რომ „ყოვე-
ლივე“ იდეალური და მისაღებია? თუ
დაიკვირებინახათ, არამკითხვ ვაი-პატ-
რიოტი მუდამ იმ ერის საქმეს აფუჭებს,
რომლის მოსარჩლედაც სრულიად
გულწრფელად გამოდის. დავვიფაროს
ღმერთმა ასეთი მოსარჩლისაგან! მას
ყოველთვის ერთი მიზანი ასულდგმუ-
ლებს: როგორმე პატივმოყვარული სუ-
რელით აისრულოს და ბოროტების სა-
თავე არა საკუთარ ეროვნულ სახლში,
არამედ საღაუტო ცხრა მთას იქით ეძე-
ბოს. არა და, სანამ ცხრა მთას იქით
ჩხრეკას დაიწყებდნენ, თუ თავი მა-
რთლაც გონიერ კაცად მიგაჩნია
და სიმართლის თესლის გახარე-
ბა გაინტერესებს, ჯერ საკუთარ სახ-
ლში მიიხედ-მოიხედე. ეშმაკს არ
ძინავს, იქნებ გაწყრა ღმერთი და... მე

ჩემდათავად ოპტიმისტური პუნების
კაცი ვარ, თუმცა გაუწყობიერებულ-
ტიმისტიობა ყოველთვის განაწილებს
ნად ვერ ჩაითვლება, და მჯერა, რომ
ერთმანეთისადმი გულწრფელი, უეშმა-
კო, ძმური, ნათესაური დამოკიდებუ-
ლების წყალობით შეუძლებელს შეეძ-
ლებთ. მაგალითი ძალზე ბევრია ჩვენს
დროშიაც და უახლოეს წარსულშიაც,
რაც ამ იმედის საფუძვლიანობას ადა-
სტურებს. თქვენ რას იტყვიან?

— საჭირო იქნება, ალბათ, ჩვენი
ემოციები ცოდნაზე დაეამყაროთ!

— მეც მანდა ვარ, გვეორკე!

— ვიცო, რომ აქა ხართ. გეთანხმე-
ბით, პრობლემის სხვაგვარად გადაწყ-
ვეტა, თუკი ეს პრობლემა არსებობს,
და რომ არსებობს, ამაზე ორი აზრი არ
არის, შეუძლებელია!

— მაშ, წავედით სარდარაპატისაკენ?

14

სარდარაპატის ბრძოლა 1918 წლის
22 მაისს დაიწყო და ოთხად ოთხ
დღეს, 26 მაისამდე გაგრძელდა. ამ
ბრძოლის მნიშვნელობას სომხეთის
ყოფნა-არყოფნისათვის, მიუხედავად
დროში დიდი განსხვავებისა, ხშირად
ავარიირის ბრძოლის მნიშვნელობასთან
აიგივებენ ხოლმე, ბრძოლისა, რომე-
ლიც დიდმა სომეხმა მამულიშვილმა
სარდალმა ვარდან მამიკონიანმა გადა-
იხადა 451 წლის 26 მაისს ჩრდილოეთ
ირანში. ვარდან მამიკონიანი სასანი-
დური ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ
სომხებს ედგა სათავეში. ამ ბრძოლა-
ში, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე
ითქვა, სომხები იძლიებენ, სპარსთა
ჯარების რიცხოზობიდან უპირატესობამ
თავისი გაიტანა, ბრძოლის ველი ური-
ცხვი გვაშით მოიფინა, თვით შემარ-
თებულმა სარდალმაც თავგანწირვით
მებრძოლ თანამემამულეთა მწარე
ხედვრი გაიზიარა, მაგრამ ამავე
უთანასწორო ბრძოლამ სპარსეთი
და მთელი მაშინდელი მსოფლიო
დაარწმუნა, რომ სომხეთი არ იყო
ის ქვეყანა, რომელიც ქედზე დად-

გმულ შონობის უღელს იგუებდა და ტირანიისაგან თავის გამოსახსნელ შემდგომ ბრძოლაზე ხელს აიღებდა.

მოსისხლე მტერთან ამ ტრაგიკული შერკინების შემდეგ უკვე თოთხმეტმა საუკუნემ განვლო, ავირილის ბრძოლის პერიპეტები კი დღესაც ისევე ცოცხალია ხალხის ხსოვნაში, თითქოს იგი გუშინ თუ გუშინწინ მომხდარიყო და დღევანდელი, ჩვენი თანამედროვე სომხების მამებს თუ არა, პაპებსა და პეპერებს მაინც გადაეხადათ. ამის დასტურია ყალყზე შემდგარ საომარ ზეარდაგზე ამხედრებული, მტრის ურდოების შესაძურად იერიშზე გადასული ვარდან მაგიკონიანი, რომლის გრანდიოზული ბრინჯაოს გამოსახულება 1975 წელს აღიმართა ერევანში. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა ცხოველყოფილობა საყოველთაოდ ცნობილ უბრალო ჭეშმარიტებისა, რომ სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი გული მანამ ძვრს, სანამ თვით ეს სამშობლო არსებობს, ხოლო თუ სამშობლოს უკვდავია უწერია, მასთან ერთად უკვდავია თავდადებული შეილის სახელიც!

1918 წლის გაზაფხულზე სომხეთში და მთელს ამიერკავკასიაში ერთობ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ამიერკავკასიის სამივე ძირითადი ერი, მას შემდეგ რაც რევოლუციურ რუსეთს გამოეყო, ჯერ სეიმში გაერთიანდა და ფედერალური რესპუბლიკის დაფუძნების წინამძღვრებს წაეპოტინა, შემდეგ, შინაგანმა უთანხმოებამ რომ თავი იჩინა, თითოეულმა მათგანმა ცალკ-ცალკე, მენშევიკურმა საქართველომ, მუსავეტისტურმა აზერბაიჯანმა და დამსჯურმა სომხეთმა ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თავისი ეროვნული მთავრობა აირჩია. რუსეთი სამოქალაქო ომის ხანძარში იყო გახვეული. ინტერვენტები ოთხივე კუთხივ მიიწვედნენ ქვეყნის გულისაგან და მის ალყის მარყუევში მოქცევას ლაშობდ-

ნენ. ბრესტში საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. რუსეთის დელეგაციას, რომელსაც სათავეში ჩაუდგინა უდგა, მითითებული ჰქონდა, როგორმე გერმანიისთან ომის შეწყვეტისათვის მიეღწია და, თუ გარეშობა მოითხოვდა, დროისა და რესურსების მოგების მიზნით, გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო. იგულისხმებოდა, რასაკვირველია, ტერიტორიული დათმობები.

კაციქამია ნიანგივით ქეიშაში ჩაფლული, მსხვერპლის მოლოდინში განაბული თურქეთი ამასდა ესწრაფვოდა, რათა ამიერკავკასიის, უბირველეს ყოვლისა კი სომხეთის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, და ქეიშიდან ამოძვრა, ჩრდილოეთ საზღვრებისაკენ კბილებამდე შეიარაღებული დაიძრა და გასულ საუკუნეში რუსების მიერ წართმეული ყარსი აიღო.

მაისის ოცს თავზარდამცემი ხმა გავრცელდა მთელს სომხეთში: თურქებმა სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეს, არარატის მიდამოებში არაქსი გადმოლახეს და პირდაპირ ერევანზე მოდიანო. შეძრწუნდა ყველა, ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. თუ ეს ხმა მართალი იყო და თურქებმა არაქსი მართლაც გადმოლახეს, არაქსის ნაპირებიდან ერევანამდე უმოკლესი გზით ქვეითი ჯარისათვის სულ ორი-სამი დღის სავალია, ცხენოსანი ჯარი კი მას ბევრად უფრო ადრე დაფარავს.

ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა გარეგინმა, გვირად ოვსეფიანმა, წმ. ეჩმიადინის საკათედრო ტაძარში პარაკლისი გადაიხადა, ერსა და ბერს საღვთო ომისაგან მოუწოდა, თავადაც საომრად აღიჭურვა და ბრძანა აეტეხათ საგანგაშო ზარების რეკვა ყველა საყდარსა და ეკლესიამონასტერში, რათა ქუღზე კაცი, ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, სარდლობის მიერ მიჩენილ ადგილზე შეგროვილიყო.

რეპაზ ინანიზმილი

სამაგიდო რეპულებიდან

ხომ ადვილია, — გადმოიღე რვეული და ჩაწერე, რასაც ფიქრად გაივლებ? ადვილია, რა თქმა უნდა. მაგრამ ზოგჯერ დადგება ხოლმე დღევები, თვეებიც კი, სტრუქონი რა არის, სტრუქონსაც კი ვერ ვიწერ. ამოდ ვეძებო ხოლმე მაგიდისთან ქედდაბრილო, ამაოდ ვაწვალებ კალამს... მაშინ ქვეყანა თითქოს განათებულია ყოველის მხრივ, თითქოს დაეარტული აქვთ ზრდილები საგნებს, არის სიმშრალი, სიმშრალე, და არაინ მოითხოვს არაფერს...

შერე, როდის-როდის, პატარა საადრო ღრუბელივით გაიყვანება ზრდილი, ჩაფიქრდება ქვეყანა, ჩაფიქრდებიან საგნები, თითოეული ფოთილი რაღაც კონკრეტული სტრუქციით დაიწყებს თრთილვას, ერთი ამოიღებს ხმას და აყიყინდება უამრავნი. მაშინ უკვე — მოასწარი და ჩაიწერე. სწრაფად, სწრაფად, რადგან უკვე იყო, რომ ამ დღეებს, ადრე თუ გვიან, ისევ მოჰყვება მშრალი ნათელის, მაგრამ მუნეი დღეების წყება.

უქარა. რაღაც შიშვე სიბრაღლით გამახსენდა ო. მე მყავს გაპირებებაში ხმის გამცემები — ზემო დარღული ხეები, ჩემი დათესილი ყვავილები, ჩემგან დაეიდებული წყალი. რას? უნდოდა ყოფილივი მხერობულა... აზრთა, მრავალთა აზრთა...

ახლა მეჩვენება, რომ იგი მიბოყებს მრავალსართულიანი სახლებით შემოგმანულ ცარიელ ქუჩაში, სრულიად მარტო, ჭიარა, და თანაც ისეთი გამომეტყველებით, ან უკვე გისცდა ის სახლს, სადაც მიდიოდა, ან ასე უნდა იაროს გამუდმებით.

კაცი ხანში შედის. ხანშია შესული მისი დაკრძალული მუდღელეც, აღარაფერი აინტერესებს ქალური, მთელ დღეს მიფუშულ-მოფუშული დაღის, სწყველის თავის ბედს, შეიღებს, რომლებმაც „არ გაუმართლეს“. კაციც ველარაყისში ხედავს ისეთ თვალებს, რომელთა გულსათვისაც სიცოცხლე ღირდა. გული აღარ უდგება შინაც. ქდება ავტობუსში ან ტროლეიბუსში, მიყუწულია ფანჯარასთან და გაიფურება ვარეთ. ვარეთ ლამაზია, გასაოცრად ლამაზია ყველაფერი — სახლები, მათი ფანჯრები, ხეები, მთები, ბუჩქები, ბავშვები, ძაღლები, კატები. ისეთი ლამაზები, როგორებიც არ ყოფილან არასოდეს. და კაცი თავს იშვებებს — ეს სილამაზე თუ მოიძებოს მსხვერპლს, — მის აღარ არსებობას ქვეყანაზე...

თ-ი სხვათ-ი პოეტია, იმ რანგის პოეტი, რომელმაც თქვა: შენ, ნისლო, ადგი მთას წადი, თავზე რას შეხერხებო. მისი მიწა და ადამიანები ერთი სიცოცხლით ცოცხლობენ.

კვლავ — ღვანან შთები და იცდიან, ღვანან პატარა სალოცაეები და იცდიან, ღვანან ადი-
შანებოც და იცდიან. რისთვის იცდიან? თუნდაც მარტო ამისთვის — რა ვაქნებენ შედეგად?

ზიზღილი მისი

...იგი ამბობდა:

— ეინ სობის სიძველეებს ვუღმოდგინედ? უშიფრესად ის, ვისაც თავისი წარსულის
გახსენება არ სურს. ვინ დაანგრია ჩვენი ძველი ტაძრები, სიმაგრეები, ბიდეებიც კი? სწო-
რედ იმათ, ვისაც წარსული ჰქვიათი ჰქონდათ.

კვლავ იდიდებული იორი სიზმარში.

ჩვენი სახლის გასწვრივ, წალშიანს ძირამდე, ორ კილომეტრზე მაინც — აზნეილ-და-
ზნეილი ტალღები, სატრიალოები, ვარჯაია შორეულები, ნაბუქებივით ავარდნილი შებენი,
ბერძენები, თქორი...

სულ აქვთ კადვე, ჩვენს გვერდსთან, დგაფენით ამოვარდებიან წყლის უზარმაზარი
ნაფლეთები და დაშლილი, დამსხვრეულნი მიბრიალებენ ფერდობზე.

როგორია? შედამ ამ მფრთხიან ზღვაში ვარ გასასვლელად

— ერთ რამეს გვითხვით, ბებო, და არ გეწყინოთ, რა!

— რაი მეთხვ, შეილა.

— სევედილისა გეშინიათ, თუ არა.

— აბა, შემომხედ, მე უნდა მემშინოდეს იმისი, თუ იმას ჩემი?

რას ვეძებ თქვენს ნაწერებში? რამდენად მაღალია მათში პოეტური სული, ნამდვილი
პოეტური სული, რომელიც ისე თრთის, თითქოსდა, სადაცაა გაიხსნება ეს და გამოჩნდება...
არამწვენიერი შტეი, რომლის არსებობას ყველა გრძნობს, მაგრამ კაცთა მოდგმიდან ჟერ
არ დაუნახავს არავის.

შის ამოსვლა და ჩასვლა ერთნაირი მოვლენებია ბუნებისა. ვაგვანათა მზემ, ინათა,
ინათა, ინათა და ჩაეფარა დედამიწას. როგორც ამოსვლისას, ასევე ჩასვლისას ერთნაირადაა
ამოიზღულა ჩვენივე უხილავი დისკოდან სხივები, მაგრამ რაოდენი განსხვავებაა დილისა
და საღამოს სხივებს შორის. რამდენად ნორჩია, ცინცხალია, ჟანსალია დილის შის სხივი
და რამდენად ყუბი, დაძაბუნებული — საღამოსი.

ვინ თქვა პირველად — „დაღლილი მზე“? რამოდენა გული ჩანს ამ სიტყვებში ადამი-
ანისა!

ისე ეს — კონკრეტული პიროვნებისაგან მიმიზნებელი ღრმდებითი ლექსები. დარწმუნ-
ებელი ვარ, ასეთ ლექსებს ვართად წერენ პოეტები და საშარეულოს სიმშრეალოთ საბე-
აღეწილი მათი ანჩხლი ცოლები.

„იდიოტის ცხოვრება“. უოველი პასაფი ფინალური სცენებისათვის დამახასიათებელი
წყვეტილი სულტქმით არის დაწერილი — თითქოს წამიც და გაჩერდება ძარღვებში სისხ-
ლი, გათავდება ყველაფერი...

ასეც დიემართა აეუტავავს.

არ შემიძლია, რაღაცნაირად ჩემსად ხარ ვაქციო შემიწყვეის ერთი წერილი:

„2 ივლისი, 1950 წ.“

ირტერ მაიზენერს.

ფანეა ვახია

ჭვარტასო ბანო მაიზენერს!

ჩემი დაცოცა ურია (ურსულა) თქვენს სკოლაში სწავლობდა და ახლა ჰევის მტრის ცხოვრობს, — თუკი ეს უკანასკნელი ფაქტი საქმეს არ ეხება. პირველი ომიდან რომ შინ დაებრუნდი, ურია ყოველ საღამოს მე მელიდა, — იქდა მესამე სართულზე რამდენიმე წუთს ბინის კიბეზე და იქ ეძინა. ჩემს მისვლას აუცილებლად იგებდა და იღვიძებდას ურდამდე. ურდამდე კი, ძალიან ცუდია, კაცი რომ მარტო სვამსო, ამიტომ, სანამ მე არ დაწვევბოდი, ისიც ჩემთან ერთად რამე რბილ სამაშვლს სვამდა. დამაწვევდა და მაინც ჩემს გვერდით რჩებოდა, ლამით რომ მარტობა არ შეგტანდა. სინათლეს არ ეკებობდით. მე რომ ღრმად დამეძინებოდა, მაშინ თუ გამორთავდა. თვითონ თითქმის არ იძინებდა. გამეღვიძებოდა თუ არა, სინათლეს მაშინვე ამინებდა. ზომ ზედებით უკვე... რა მშენებერი გოგონა სწავლობდა თქვენს კოლეჯში?

ისე ცუდად ვიცნობთ დასავლეთს, გვეგონია, რომ ანომალიაა ასეთი სათნოება მათთვის.

...რა თქმა უნდა, განუსაზღვრელად დიდია დავით აღმაშენებლის ღვაწლი. მარტო ის რად ღირს, თბილისი რომ დაუბრუნა საქართველოს. მაგრამ დარჩენით ამას, რაიც გნებავთ, უდღესწერა თუ სხვა რამ, მხოლოდ თამარს კი ჰედა წილად ნაბრძოლზე, აღმშენებელზე უდიდესი სულიერი მოსავლის აღება. საბელმწიფო საზღვრების ზრდა და თუნდაც შენება ვერ კიდევ არ ნიშნავს ერის დიდებულებას. მთავარი სულიერი კეთილნათნობების გამოვლინებაა. თამარის ეპოქა კი სწორედ ამგვარი სიკეთითა და სიწველით სუნთქავს. თამარს რომ არ ექცია ბრძოლებით მონახვევი საუნაწინა დიდ სულიერ სიმდიდრედ, ოციოდ წელწადღი მონაგობები მაინც მოვიდოდნენ, და დაერჩებოდით ხმლის ყარგ მხმარებლებად, საქმიანებადაც, მაგრამ არა რუსთაველის პატრონად, რუსთაველი ჩვენი ერისთვის ყველაზე მაღალი, ფასდაუფებელი ღირებულებაა.

— თქვენ მწერალს არ გაეხება — მერხნება უტოს ტომის ქალი.

— აბა?

მხრებს იჩეჩავს ღიმილით.

— ვეტერინარს?

— ოი! გითხარით უკვე?

თერთმეტი წლის რომ გაეზდი, უკვე თბილისში ეცხოვრობდით, დღევანდელ მონტიანის ქუჩაზე, ელდეს მიერულ პატარა ქოხში. ჩვენს მაღლა ზღმა იყო, სახლის პატრონს მოქაყედა მწვანელი, ედგა მზესუმზირაიც, სიმინდიც. ბაღიდან იწყებოდა გორა. იმ გორაზე ასული ეხედავდი შორს წასულ ბორცვებს და ჩაღრმავებებს. ჩაღრმავებებში მინახავს თეთრად ჩაწოლილი ნისლი, ბორცვებზე — გაბრწყინებული თრთული და კორჩხი. ისხდნენ შუბლ-შეკრები რადაცის მომლოდინე ყვაევიც. და სულ მეგონა, რომ ერთ-ერთ ჩაღრმავებაში იყო ცისფერა ტბა, მთლად პატარა, მაგრამ ძალიან ღრმა ტბა. ის ტბა სავსე იყო თევზებით. ფიქრებში და სიზმრებში ვიყავი შემწვანებულ ნაპირზე და ანეკით ვიჭერდი ფარსხალა გრილ თეთრ თევზებს...

მერე დაეკარგა ვრძნობა იმ ფიქრისა და სიზმრისა. დღეს ის ადგილები სულ დასახლებულია. მაგრამ ჩემში დღესაც ისევე არსებობს ის ტბა, როგორც ორმოცდახუთი წლის წინათ. გადატეხილ ძირტყბილასაც კი ეხედავ მის ნაპირას.

ბ ე ბ ი ა — შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ს: ი ც ე ლ ქ ე, ი ც ე ლ ქ ე. გაახარე ეშმაკი. ზომ გვეხნება, — აბტი, დაბტი, ბიჭუნა აბტი, დაბტი, რომ ან ხელი მოიტებო, ან ფეხი. ჩვენ ნუ გავიგონებ ნურაფერს, უვლას დაგვითმე გულუბი, დედასაც, მეიც, პაპასაც. გაახარე ეშმაკი. დაგვოცე ჩვენ ყველანი, რომ არავინ გუყვდეს და წაგატყნოს იმ ეშმაკმა თავის შვილებთან. იმათ კიდევ, ეშმაკის შვილებმა, გათამაშონ თოჯინასავეთ. გადაგადონ და გადმოგადონ რქებით აქეთ-იქით. აგადონ მაღლა და ჩამოგადონ. დიდი ეშმაკი კიდევ იქდეს და იცინოს შენზე. გინდა ევა? მაშ მადი და ისევ იცელქე. აბტი და დაბტი. ნუ გუგონებ ნურა მშობლებს, ნურა ყველ ანგლოზებს, წამწამებზე რომ გასხდენ და შენი დაძინება უნდათ. ნუ გუგონებ ნურავის, აბტი და დაბტი, გუგონე ეშმაკს...



...ქალი იყო დაღლილი, იფურცებოდა დაღლილი სხეულით. როცა კაცმა ანტიმისი... ტყუილი ხელი და უხარია, ძალიან, ძალიან მიუჯარხარო, ოღონდ, სულ ოღონდ...
 ზე და კიდევ უფრო მეტი უნიათობა ზედგა ხელზე.

...იგი ამბობდა:

— მე თქვენყენ მოედვარ ზენაარსის ცრემლმოყოლილი წმინდა სამთლით, რომელსაც ნიავი მიქრობს და უმუდროვებ, როგორც შემოძლია. ამიტომ არის ჩემი ნაბიჯები უსწორმასწორო, გაუბედვარი, წუვებილაც კი.

— თქვენი სპექტაკლის პერსონაჟები ჰუმანიტარულ სტრუქტურებს თამაშობენ ტრაგიკულ სიტუაციებში. ეს კი ცნობილია, უფრო მაღალი რანგის იდეალიზირება ადამის მოღვათა შესაძლებლობებისა, ვიდრე რომანტიზმს ახსიათებს. თქვენ გვერთაო, რომ ამოღენა ძალა შესწევთ უბრალო მოკვდავთ? ანდა თუ შესწევთ, აშვარი „სვლებით“ დააღწევენ თავს წუთისოფლის მარწყებზე?

ჩემი ოთახს უკანა ფანჯარა ღიაა. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მზემ გამოანათა. ფანჯრის აქეთ-იქით ბუჩქნადასული იასამნები დგას, იასამნების წინ — ვარდები. ვარდები სადაცა უნდა აყვავდნენ, წითლად იღებებიან მსხვილ-მსჭვილი კოყრები. ცოტა უკან ორი ტანწერილი მზე უმზიარა აყვავდაცებული. მზესუმზირებს შორის დიდი გულთეთრი კატა ზის და ფილოსოფოსის სიღინჯით მიუფრებს მუ. წყა, დიკარგება, მერე ისევ მოვა, ისევ დაქდება და მიუფრებს, მიუფრებს. მე ვწერ. უფირს ეს კატას?

მოქანდაც ბი მეუბნება: ჩემი სოფლიდან ათას ცხრაას ოცდაათიდანა ვარ წამოსული, უფრო სწორედ — გამოქვეყნული. ახალგაზრდა ვიყავი, ქაფქაფა, რაღაცა ისეთი ვიქვი, არ მოეწონათ უფროსობას, დაქერა მიმინდომეს და გამოვიქვეცი. ახლა აღარც დავდივარ, აღარც არაფერია ჩემი სოფელში, მაგრამ სიზმრებში სულ იქა ვარ, იქა ვარ და შინ არ მიშეებენ. არც მებობლები მიშეებენ, არც დედაჩემი ჩვენს სახლში. აგერ ცოვად მომიკვტავს კარს და ზურგიით მოაწეება შიგნიდან. მე ვეღები ხრიოც გზაზე და ყმწვილივით ვტირ.

გუშინ დაიკძალა დიდად საბრალობელი გ. ა. იყო ლაპარაკი, რომ მამაცურად მოკვდა, წარბი არ შეუხრია სიყვადლის წინაშე. საფლავზეც კარგი სიტყვები ითქვა, თავისებური შეჩობრი იყო გამოშვლულებისა, ცრემლს დერიდა უამრავი მშვენიერი მანდილოსანიც, და მანინ სულ ვეფორბოდი: არაფერია იმაზე კარგი მიცვალუბულისათვის, ორიოდე კაცმა მიაცილოს სასაფლავის მუდრო კეთხეში, რაღაც წაბებტუნოს თავისთვის სამოსგაქვეცდმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალუბული მიწაში, იქვე წაუტვიონ თითო ჰქეა და წავიდნენ საქმე-მორჩენილები თავ-თავიანი გზებით. ცოტა ხანში შეშხმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი.

ასეთი ბედნეგრები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი.

ხალხი მოყრძალუბით ვაქცევა თავისი რჩეულების ხსოვნას.

რჩეული იყო ღუკა — შესახედაობით, სახლით (ახლა ის სახლი ძალიან პატარაა ახალ სიბუბეს შორის), კართი, სოფელში გატანილი სიტყვით. რჩეული იყო მისი მუდღეც — კეთილი, ფაქიზი სულის მადლა. რჩეულინი ჰყავდათ ერთმანეთს მიყოლებული შეილებიც — შოი, გაბო, და ზაზა, ტანადები, ხელგამომავალი, სახენათელი. ქერა შოი და გაბო წავიდნენ ომში, მერე — ზაზაც. სამივესი გმირულად დაღუპვის ცნობა მოვიდა ფრონტიდან. ღირსეულად, კაცურად მოკვდა ქერაც ისევ ქარმაფი ღუკა, — შავადმიზნულებულ სიძინდში, მზეზე მბრწყინავი თობის გვერდით. მშვიდად, გაუბოროტებულად მიიძინა მადლაძე, — სულ სამ დღეს იქვე დარჩნო, გვერდზე ეწყო ბიჭების სურათები.

მაგლას ქალებს მერე ფრთხილად გამოხურეს მათი სახლის კარი, დაადეს კლიტი, —



აქნებ რომელიმე ბიჭი გამოჩნდესო, და ის დიდი განგაიანი კლიტე ადევს დღესაც, ოცი წლის შემდეგ.

ჩაბუტბუტული ფანჯრიდან რომ შეგნით შეიხედავ, მოჩანს შევ გამოვხეივანდებოდა ჩანს სამოკაირი და ფეხიანი ლამა, ადელზე მიყრული ეანგისფერი დაღუნული ფოტოსურათები, მავლიაზე — ბელადა და ჭიქა. მავლიასთან — სამი გადათეთრებული სკამი, კუთხეებში — ყუთები, ქვაბები, კოჯა. გზოშიც არაფერს ახლავს ზქლს, წვერები შეხმობიან ვაშლებსა და ნუშებს. ჩაწეულია ჩანჭრევაზეა ღარიანი კრამიტის საბურავი. უძრავობის ამაღლებების მოსდები, შეგნით და გარეთ, ყველაფერს. და ეს ზღუდებულობა, ეს მოყრბილუბულობა კიდევ უფრო დიდი ჭმუნვით გაცემშავს გულს, ვიდრე ყუშმბართ აფეთქებული საბლი...

ღისის ტბა. უბერავს ძლიერი ქარი. ტბის ტალღებს დაუმზერვეია აქეთა ნაპირის ყინული, ის ნამსხვრევები აწუღებთან და აწუღებთან მიწის, დვას ვაბბული ჩხრალღი. იქით ნაპირას, ლაქაშებთან, საიდანაც უბერავს ქარი, ყინული მთელია, ღისისა და წოდორეთის ზემოთ დღეს თოვლი, მთები შებურღლია მყვრივი ჭუფრი ღრუბლებით, ტბაზე კი მზეა ჩა მონათებული, ცივი მზე. გაშიშვლებული ვერხვების აენწეროებზე სხედან ვვაგები და ჭიუტად ეგებებთან დახუტული თვალებით ქარს.

მოიყვანა მალაშა სასიამოვნო გარეგნობის ქალმა 8-9 წლის ბიჭი. უფურებდნენ ტბას, ტალღების თამაშს. შესცივდათ, ადგამდნენ. ქალი იცინოდა წამოფარებულ საყელოში, წავიდნენ. გაიქცნენ.

მე ვიდექო კიდევ არაგა ხანს.

მერე მეს წამოვედი. შინ მოვქებნე და წავიციებე ი. ბუბინის „მადრიდი“.

„ციხარა“: „გურამ ჩიქვლიშვილის ხანმოკლე მოღვაწეობა წინამორბედი ლიტერატურული ეპოქის შემოქმედებითი იმპულსებისაგან დასული ტენდენციითა უარყოფის გზას უკავშირდება...“ „მოთბრობაში „უსასველო უფლისციხელი“ ერის ისტორიასთან ერთად დამარბული სულიერი სიგანძურისათვის თვალის გადაყვებასა და წარსულის სურათების გაცნობიერებულ ქმედებაში გადასვლას პროცესისა დახატული“...

როგორ არ შეგიაყრობს სევდა როგორ არ უნდა მომკიდო ზელი ასე მებტყველი და არ აქვენო: ეს ზეა, ეს საბლი, ეს მესერა, ეს წვალი, ეს ზალახი...

დაქრალვა. ტანქული, შებოტილებივით მკაცრად თეშეაყვებული ქართველი ინტელიგენტი ქალები. მალღდან დამგალობთ შაშვი. უნდათ, და ისიც კი ვერ გაუბედავთ, თვალებით მოქებნონ ის შაშვი.

ველაფრის ლექსად ქვეა როგორ შეიძლება, ძმებო!

...იგი ამბობდა:

— აი, ყველაზე მვეთრად რა უნდა ჩაუნერგოთ პატარას: ლოკინში რომ წეები, თუ წუთით მაინც შეგიაყრობს ფიქრი, — საღღაც ვილაყას სიყვ, საღღაც ვილაყას ენატრება ლოკინი, საღღაც ავადმყოფი ფრინველი ანკალავს ზეჩქის ძირას, ანდა ცხოველი წმუტრნით ილოყავს ჭრილობას, — უკვე ნამდვალი ადამიანი ხარ.

ო, ეს გზის პირის ბებერი, ქმუხი, ნაყჩვანი და ტოტბნალეწი ხეები! რამდენი უნაზავთ, რამდენი სიმკაცრე! რა შეჭირვებულება მათი სხეულებში მავრამ სული მაინც რანაირი ზეინით აღის ბოლმე ზევით. ნახეთ გაზაფხულზე მათი ფოთლების მზისფერად ამღვლეა კვირტებიდან, უმწვენიერესა სიყოცხლე!

მამა და ქალაშვილი

ოქტომბრის მიწურულის მზის ქვეშ, ნასთველის მოთენთილ ფერებში, უსაქმრობით მიყრებულ სოფლის პატარა საღვურზე, თახთახით, ერთოვით ჩერდება ცისფერი ელექტრომატარებელი. გზის იქით, წითელსახურავიან საბლთან ყვითლად ჩაგვბებულ აყავიებიდან გამოდის ყავარქენსდაფრდნობილი თეთრი ბერიაყი — ბუთრი ფრიალა ქუდიო, თეთრი დამ-

ვეხული ხალხით. წამოღწეული, თვალბზებელმორდილებული იყურება მატარებლისაკენ. გამოვი შევოსანი ტანწორი დედაბერიც. ისიც ხელს იმრდილებს, ის თითქოს უბრალოდ უბრალოდ ხისმოყვარეობით. მატარებლიდან კი მათვე წაე ტანსრული, კარგადრაცხული. მისი ხელისაგან ოდნავ გვერდზე გადახრილი მიდის, მიაღივლივებს მზისფერ თმას, მზისფერივე კაბის თხელ კალთებს, ღიმილს მიიფენს წინ.

ბერიაცი თვალებიდან იცილებს ხელს, ენერგიულად სწევს შალა და იმ, შალა, აქანებს, აფართოლებს. ასევე აქანებს ხელს მატარებლიდან ჩამოსული ქალიც.

მატარებელი კი მიდის.

დედაბერი შალააწვეულ ხელში ევიდება ბერიაცს, რაღაცას არივებს. ბერიაცი უფრო ენერგიულად იწვევს ხელს, ადვილზედაც კი ხტის, ისმის მისი ხმა:

— აივე!..

ესეც სიზმარი:

საღამოს შწებრში, ხშირად შემომდგარ შვე კვალში, შვე შალა სიმინდებში, საშინელო ჰმაერთი, ყვლოთფგლოთით მიმორქელოდა სპილოთა და მარტორქათა შვეი ლაშქარი. ქშუონდნენ, ბრაილებდნენ, ლეწავდნენ ყველაფერს. აღამიანები ვიპლავბოდით ჩაღრმავებებში, იქაც ძაღვაგებდა მიწა. იღვა ეეება, ხშირტორტება, ცადაგრავნილი ჩვენი კალის ვენახის კაალი და აწყდებოდა აქეთ-იქით, გაეშეებული იგერიებდა ქარიშხალსა და ნადირთ. იგელო იყო ვრა-თადერთი ჰვენი იმედო, ჩვენს მავივრად ის იბრძოდა, ის შეპბლაოდა შალა ღმერთს.

შეღვესე კრელი უძილურს უთქვამს — დარდის სავალი გზა-ბილიცი ვარო.

ჩაყდები საღამო ხანს „ბირთაზე“ გამოსულთა შორის და ვისმენ სანიადაგო სოფლურ მასლათებზე. კაცები ლასარაკობენ დალილინი, უეშოციოდ, ქალები — პირიქით, გზნებით, გაკასხებითაც. კაცები იყურებთან თითქოს სადაც შორს, უსასრულობაში, ქალები — აბლოს, დიდი-დიდი თავისი ეზოს, უბნის ან სოფლის ფარგლებში.

გაიღვებდა, დაიქუებდა გაზაფხულზე სამხრეთისკენ და ბეზიამეში ნინო შვებით გადიწერდა პირყვარს, — ყავებთისკენ ქუბს, გაადარდება, საქართველოს პური აღარ გაუჭირდება, შვილო.

ჩანს, არ გამქარალა ჩემში ჩვენი წინაბრების შემაჭირებელი ფიქრი, — არავითარი ინფორმაცია ისე არ მიხარებს ვულს, როგორც ისა რომ ჩვენს ქვეყანაში პურის კარგი მოსავალი მოდის.

ეწვია კახელ სიმაშრს სიძე. სიმაშრი ქვევრში იფდა, რეცხავდა. ამოვიდა, სიძეს გადაულოცა კრახინის სარკები. სიძემ ვაიყვირა: — შე ქვევრის გარეცხვისა რა ვიცი, კაცო! — მაგას რა დიდი ცოდნა, უნდა, შერლო — მიუგო სიმაშრმა, — ჩადი და უბახუნე. შე შენ გეტყვი, სხვათა ადგილებში გადახეულ-გადმობხალო!..

სწვევია სონა ძალის ჩვენი ძალი ბოთა, ზის აივანზე, ხელებში შეკუტრებს სონას. სონა რაღაცას ნაყვს ფილში და თან ბოთას ელამარაყება:

— რას მიზიხარ და შემომყურებ თვალბზებელმორდილით აგე, ჩვენი ციგანა, ვაიდა დილას, წაუძღვა საქონელს ტყეში და ეხლა იქ არის კობრად, დასეირნობს და დაბტის თავის ნებაზე, თანაც საქმეს აკეთებს, საქონელს არ უშვებს ფლატებებისკენ. შენ კიდევა ჰგდინარ ეგრე მუქიოდ. წადი, ვენახებში მიიწე ვადადი, ან ღორე იქნება, ან ქათამი, გააგდებ, სუ ეგრე უნდა იყდე და ისუქო ფერადებო აი, ჩაიტბტე შენა, ეითომც არ გესმის ზემო ლამარაგი. ძალიან კობრად გესმის ყველაფერი, მაგრამ გარყვნილი ხარ, გაფუტებული, უქნარა, და ეითომც არ შესმასო არაფერი, ზიხარ და უსინდისოდ შემომყურებ ხელებში. კარგამ პატრონმა უნდა ჩამოხბას წყელი და დაგიდოს თუდაფირა, მაგრამ პატრონებოც შენა გვეანან, არ უნდათ თავი ატოიონ რამეზე. აი, ჩაშვი, კუდაც რომ არ აყენებ, ისევე შე შეფერები...

გარკონული

ბიზნისური

სოფლიდან დაბრუნებულ, იქორ ამბებს ვუვყავი შეიღწეულმა: ბიზნისურმა
 — გავიღო გუშინ იქრის კალაში. შეპომხვდა ჩემი ნაცნობი შელა. მივესალმეთ ერთმანეთს, მე ხელის აწევით, ის თათის სურთან შიტანით. — როგორა ხარ-შეთქი, შელაკუდო კაცო? — კარგად, კარგად, ცოტა ფეხი ა მტყვით. — რატომ, კაცო! — კუნლის ეკალი შეშერტო, კუნლის ეკალი ხომ ძალიან ფინთია, გამოვიცალა, მაგრამ მაინც მტყვით. — ნუ გეშინია, გავიღისაშეთქი, — ვანუგეშე მე. — გამოელის, ამა რა იქნებაო! წაიღია პატარაზე ცოტა კოქლობით და მომიბრუნდა, — შეიღწეულები როგორა გუფისო? — იცნობ-შეთქი ჩემს შეიღწეულებს? — როგორ არ ვიცნობ, საღამოს, აივანზე რომ ვაბშობთ, მე მესერის იქოდან გიჭეროინებთ და ვიცი, თქვენ რომ ეხევეებით, ჭამეთ, ჭამეთო და ისინი არა ჭამენ. ერთი ჩემმა შეიღწეულმა გაბედონ ეგეთი რამეო! სხვა დროს რომ წამოხვალ კალაში, ისნიც წამოიყვანე, ერთი რამე უნდა ეაჩვენო. — მე მაქვენამეთქი, მელუკაე, ძმობილო. — არა, შენ არა, პატარებს ეაჩვენებო ამა, კარგად მოიქეცით, დედა არ გაბარაზოთ, რომ შეორე წასვლისას თქვენც წაიყვანათ. ის მელია ალბათ ყოველ დღე დაგველოდება. შეიღწეულმა შეიღწეულ თანა ჰუფის. სხედან კობტად და გამოქუტრებენ ჩვენს გუფს...

ბიჭები მისმენენ და მერე როგორ! გადმოკვირებაზე აქვთ თვალები. შოდი და ნუ დაუწერ ამთ ცხოველებზე.

სასაფლავის მახლობლად მცხოვრები ოთხი წლის ბიჭი, რომელმაც ნახა შეიღწის საფლავზე შოტირალი დედა, შერბის სახლში და შეშინებული შესძახს ხან ერთს, ხან მეორეს:

— ის ბავშვი კარგი იყო და მაინც მოკვდა ის ბავშვი დედას ყველაფერს უგონებდა და მაინც მოკვდა ის ბავშვი თაფლივით ტბილი იყო და მაინც მოკვდა გესმითო!...

ტყე-დიდი ცეცხლი. ცეცხლთან შეღწეულები, ტყის მცველები და ჩვენ. ერთი ტყისმცველი ყვება ტყით ხელში:

— სპარსელებმა, თათრებმა რა, ვაზს ხო სპობდნენ, შოლიანად უნდა მოეპოოთ, საცოკო ვაზს დანიშნაბდნენ, პატრონებს თავებს სჭრიდნენ. დაადებინებდნენ თავს კუნძუ და მიდი. ვაჩრეს მიწის პირიდან ეს ლეთის მცენარე, ჩვენი გამბარებელი, კაცებისა. ბოლოს ერთ კაცსლა უპირეს. იმასაც დაადებინენ კუნძუ თავი, მაგრამა, სანამ თავს მოსჭრიდნენ, იმ კაცმა ერთი გრძელი ვაზის რქა ჭამად შეშოირტვა შარვალზედა და, რო დამარხეს, როგორ დამარხავდნენ, ხო იცით, ორ ხარისპირზე წაუერიდნენ მიწას, დამარხეს, რქამ გაიხარა მიწაში და ისევ ამოვიდა ქვეყანაზე დალაკცილი ვაზი, ისევ დაისხა დიდ-დიდი მტევნები ჩვენი შტრების ვიბრზე. ძალიან ვიბრობა იცის, ვენაცვალეთ დაბრეცო ძირში ვაზსა, ძალიან...

დედაბერა:

— ქალისთვის, შეიღწე, შეუხედაობა კიდევ არ არის ისეთი უხედაობა, როგორც უნიჭობა. უნიჭო ქალი თავის სიცოცხლეში ვერ ისწავლს ვერც ქსოვას, ვერც ვერცას, ვერც რიგიანი კერძის გაკეთებას, ვერც ვერაფერს ქალურს. მთელი სიცოცხლე კი სულ სტევეზე იქნება გაბუტული, თითქოსდა ისინი იყვნენ დამნაშავენი მის უმჯინსობაში.

პარალ-მასში ჩვენი მინდვრები გაედენთილი იყო ქინძის სურნელებით, მაისის ბოლოს ავადვებოდა პერი, იუნისში მწიფდებოდა მარწყვი. ამთ სურნელებს რა შეედრება ქვეყნად! სად არის, სად წაიღია ყოველივე ეს? სად წაიღია ვანის მზესახანი, კურდღლაობა, ზღვა-საითი ღელე! უფრო ბერი ხომ აღარ მიმოაქცევა ნიაზე ადრინდებურად! სადღა ისმის მწყურების „ქვიტირო“, ან მშვიდი მწყურჩიტების ჭყრიალი, ან ლურჯი ყაუაუების ყაუაუ! პერბილიდებმა მოსპეს, მანქანებმა დაფრთხეს, ბოლმა ჩაახშო ის სიღამაზენი და სურნელებანი, მშებო!...

რა კარგი საქმე გეკონდა პატარობისას სოფელში! ვასცევიდებოდა თუ არა ფოთოლი ხეებს, დავიწყებდით საფლავის ტრას. ეჭრდით იერის კალაში წითელი ტირიფისა და ჩოქლა ვერხვის უწმინდეს წველებს, თუ ყვიოვლ ტირიფს ზადავეცრებოდიო, იმას ხომ არავფერ სჭობდა. მაგრამ ყვეთელე ტირიფი ძალიან იშვიათად იხრდება ველურად, ის უმთავრესად ვილაკებს უდგით ვენახის ბოლოებში, ღობის ძირებში. საფლავს „ხელებად“ ვერავ-

დით, თითქმის ბელი ორი-სამი მუცა იყო, დიდებისა — უფრო დიდები. მოვარკვებდით რუ-
ოცათ „ხელს“ (დღეს ორი „ხელიც“ რომ მოგვეტრა პატარებს, ესაუ კარგი იქნებ და ჩვე-
ნარჩადლით მიწაში. იქ იყო მთელ ზამთარს, კირჩხვლებში, თოვლში გაზაფხულში, ცივიც დღე-
კაენებისა, ამოვლებდით, — ისევ მთლად ნელს, უფრო დარბილებულს, — წაიღებდნენ
დიდები ვენახში, ჰყვალდნენ ვაზებს მიწისკენ დახრილები და გვიკებდნენ მარჯვენას, — ვ.
თქვენს მარჯვენებს ვენაკაულთ, ბიჭებო, რა საყვალეი მოგვიტრათ, რა საყვალეიო ჩვენ, პა-
ტარა ბიჭებს, ეს ქება ძალიან გვიანმოვუნებდა. თითქოსდა გუშინ იყო. ვენახების ბილიკები
შეშფაანებულია, კაცები ჰყვალავენ, იქიდან ილოცებიან, ჰვენ კიდევ უღაგართ იმ მწვანთან
ბილიკზე, გაზაფხულის მწეში, და ვიღიმებით მორცხვად. მერე გაერთიანართ...

5. ა.-ს ნამზობიდან

აი, მე კიდევ რა მახსოვს მთლად ნათლად. გაზაფხულია, კარგი, თბილი დღე. ჩემი და
და ჩემი სიბუ საბოსტნის ბარავენ. მე პატარა ვარ, ჩემთვის ვიზიჩქნები, კომპოსტის ძირებს
ვგაღვ, დავევიდები, ვიწვევ, ვიწვევი, უცებ ან მოიგლოყება, ან მოტყდება და გადაყვარდება
უკან. — დანებე თფი, გოგო, შეგ ძირებს რა დაგლოყავა უწყლომ მე თავს არ ვაწებებ. მაშინ
დამიძახა ჩემმა სიბემ, — მოდი აქო. მივედრ. გაშალა ღურჯი წინსაფარი ძირს, ამოიღო ბა-
რით ერთი დიდი ბეღტი, დადო იმ წინსაფარზე, გაახვია კობტად და მიიბრა, — ჩადი აგერ
ქვემოთ, სოლომონა ძიაა, ახვენ და ჰყოზე, — ამ მიწაში ვაზი იხარებასტოქო წავედი სულ
სირბილათ, მივედი სოლომონა ძიასთან, ვახვენე მიწა, ვასინჯა, თითებით გაზილა, დაყნოსა,
შბრები ააჩუჩა, — მე ვერ გეტყვით, შეჯლო, აგე ქვემოთ მოღრეკილია, იმას აჩვენეთ, იმას
აუტოლებდალ ველოდინებო. ჩავედი იმ მოღრეკილთანაც, ვახვენე მიწა. იმანაც — სრისა, სუ-
ნა, დააფენდავა, დაფშენა, ბოლოს მიიბრა, — მე მეძნელებდა რამის თქმა, აგე, შეილო, ზე-
მოთ ლომადე მუშაობს, იმას აუტანეო. წავედი, ძლივს ავედრ, ვახვენე იმ ლომადესაც ის მი-
წა. იმანაც დიდის თაქდაჭერით სინჯა, ფშენა, მერე მიიბრა, — კეიოურს უნდა აჩვენოთ, —
აველვალავა, გაიხვდა. — ჰო, კეიოურიც აქა ეოფილა. დაუყვე ვერე ბილიკს, კერანჩხების
იქით რომ ვახვტა, დაინახავო. წავედი. შემომხვდა ჩემი მეზობელი პელია, ერთი ძალიან კა-
პას ქალ. — საღ მიხვალა, გოგოო. ვუთხარო, საღაც მივედიოდი. — მომეცი ეგ მიწა აქოო.
გამომართვა და მოსრიოლა, დაბერტვა წინსაფარი და მომაწოდა, — ამოდენა გოგო ხარ,
რით ვერ უნდა მიხვდე, რომ გამამიწუნებენო. „გამამიწუნებენო“ და ავტებე ტირილი და რა ტი-
რილი გულგახტოქილები ჩამოცვიოდნენ ჩემი და და ჩემი სიბე. იცინოდნენ, იცინოდნენ... მე
კიდევ ვგორავდა.

ოო, ნეტავ იმ დღეს, გენაცვალეთ შეჯლებო, რა ადვილად და გულისმობობით შემეძლო
ტირილი, ნეტავ იმ დღეს...

ერთი ფშველი ქალი მიყვებოდა: მამა ავადმყოფი მყავდა, შეშის მოტანა რომ დაგვეი-
რდებოდა, დედა ურმის კოფოზე მამას დასუამდა, საბრეს იმას დააჭერინებდა და ისე გავი-
დოდნენ სოფლიდან. ტყეში დედა სჭრიდა შეშას, ას უდებდა ურემზეც. მამა ცოტაზე თუ
წააშველავდა ხელს. რომ გამობრუნდებოდნენ და სოფელს მოუბლოცდებოდნენ, დედა საბ-
რეს ისევ მამას შისცემდა, თვითონ დიდ მანძილზე ჩამორჩებოდა, ეთითმდა მარტო მამას მო-
ქონდა ოქაბისთვის შეშა.

მიანახავს, რა ენით უთქმელი მწუხარება ეხატა ბოლო წლებში დემნა შენგელიას —
„ბათაქეისა“, „ციციკისა“, „ოროველისა“ და „მორდუს“ ავტორს. მე მაშინ მიაოცებდა ეს
მწუხარება.

..და მაინც — მწერალი უფრო უნდა წაგავედეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე და-
დას და წაღულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ქირ-ვაარა-
მისა, თვითონ სიმშვიდით რუგვშს უნდა უნერგოდეს სულატყეებულებს, ათობდეს შეცი-
ებულთ, აყურარებდეს, მიწისკენ ეწეოდეს აზღვეებულთ, აპარამებულთ.

შევეურებ ჩემი ბავშვობის საოცნებო პედიას სერს. როგორ მენატრებოდა, აესულოფი
სულ მალდა და გადამხვდა იქით როცა ეს შევიძელ, უცე წამოზრდილი ბიჭი ვიყავი, მგ-
რამ მაინც მამოფრად განვიცადე მთებისა და ტყეების სიზრავლე. აბლა, დიდი ხნით ვაწო-

რების შემდეგ, დაპატარავებულად, გაღუუტულად, დაბეჩავებულად შეტყუება სერა მისად ნაღველი აწვეს, შტაბი ნაღველი, ყველაზე საშინელი ნაღველია შორის. ეტყუებულნი

— ვისა, ვისა, მავთი მივეც გოგო? პურს რომ საგანებოდ მლაშეს ნაღველი მსხვერპლს ბევრს დაგვალვინებს და მალე დავძლებითი მავთი გასამბური გოგო შევს მე?!.

აი, რა. მკვირხლად, რა მოხდენილად შეტყუვლებს საბა: „ერთი აქლემი და ერთი ვირი, და დაღვრული, დაშობილდენ და პატრონს გაეპარენ“.

„თავრიდან მოხანს ვახუნებელი, ვამბარი თამბაქოს ფოთლისფერი თუნუქის წვეტიანი საბურავები. მალდებიან, დაბდებიან, პირამიდებივით იზღარბებიან და საღდაც ქუჩას ბოლოს ცალკაღველებიან“.

აქ რადგან სწორი, მხატვრული თვალსაზრისით ზუსტი არც „ვამბარი თამბაქოსფერი“, — ათათასში ერთი კაციც კი არ გაიფიქრებს, მწვანე თამბაქოზე ლაპარაკობენო, თუ ვინმე იტყვის „თამბაქოსფერი“. არც ეს — „პირამიდებივით იზღარბებიან“, — სად, რანაირი პირამიდები შეიძლება იყოს ერთმანეთში ჩაბლართლი? სიტყვა „ხლართვა“ ხომ უწყსრიგო მრუდეებს გულისხმობს? პირამიდები შეიძლება ერთმანეთს კვეთდნენ, თუ ჩაბლართებიან, მაშინ პირამიდობა აღარ ეთქმით! არც ეს — „ქუჩის ბოლოს ცალკაღველებიან“. ზენ ხომ ფანჯარასთან ედგაართ და იქიდან გადაეფიქრებოთ წინა პლანზე „ჩაბლართელ“ სახურავებს, სად იყო აქამდე ქუჩა? ან „საღდაც“ დაუცალკავებია რა აღქმა?

არასოდეს არ უნდა დაგვაფიქედეს, მაღალმხატვრულობა მაღალი დონის სიზუსტეა მხოლოდ.

„არ გეჩვენებთ, რომ მოხუცებზე, ბავშვებზე და გიფებზე წერა ერთგვარ სპელდაციად იქცა? დღეს უკვე ძნელია მათი შეშველობით შეახსენოთ კაცობრიობას საუკეთესო თვისებები... დღეს ხალხზე უნდა ვილაპარაკოთ, ხალხზე ერთად აღებულზე, ხალხზე ერთად თავშეყრილზე, ხალხზე ერთად გალიზიანებულზე“...

ხოლო თუ მწერლობა მატოვებს ბავშვებს, მოხუცებს და უმწიოებს, იგი მოსწყდება მიწას, ვათარცა ანთეოსი, და დაეარჯავს თავის კეთილშობილურ ძალას.

იამონელები, დიდი ცივილიზაციის და კულტურის ხალხი, დღესაც აღტაცებული მოყრდამებით ხრიან თავს აყვავებული აღუბლების წინაშე, როგორც ათასზე მეტი წლის წინათ. მათ ეს არ „მოხებრდიათ“, და არც აღუბლებსაგან მოითხოვენ სხვა რამეს, გარდა ჩვეულებრივი ნაწი ყვავილებისა, არც თავიანთი თავისაგან — უბრალო ადამიანურ მგრძნობელობაზე მეტს.

„რევან ინანიშვილი... გვიბოლავს ის დიდი სიბო, ადამიანური სიყვით, რაც მწერალმა სტრიქონებს გაყოლა, მაგრამ ზოგჯერ ჩნდება ფიქრი, რომ მან თავის დიდ შესაძლებლობას თითქმის განგებ შეაკეცა ფრთები — უარყო, როგორც წმინდა ეპიკური, ისე კონცეფციურა პროზა — უარყო გმირი — დიდი ვნებების, წუხილის, ოცნების ხატი... ამის დაწერისას კრიტიკოსს წინ ედო „უფსკრული ქალაქი“. ეს პატარა მოთხრობაც კი უცონცეფციო ყოფილა მისთვის. უთუოდ უკონცეფციოა ტავტოვს ლექსიც:

«На песчанном белом берегу островка в Восточном океане, я не стирая влажных глаз, с маленьким играю крабом».

ზნიერი ქალი — გუნებაგადაწყვალებით:

— ძუბუ-მკერდს ვერ უპოვი, ქალი, მაგან რა სიმშვიდე უნდა ჩამოგდოს ქმარ-შვილში!

თავმჯდომარე:

— ხე, იცი, როგორც არის წყლის საქმე ზვეთან. ყველამ საუთხად გაიყვანა, წყალს კიდევ — კლებულობს და კლებულობს. ხანდახან კვარაობით ვეღარ აღის ზემოთხანდაც უამრავი მამულს მამულს დაღის ვაბა, ვეღარღებ, — ნუ გავით მოშვებული ონკანებზე დასაწყისსადაც, პასუხისგებაში მიგვემთ, მაგარამ ვინ მიგდებს ყურში დღისითაც რომ დაეცეტილი მოგაბეწონ, ჩემ სენს დაიყარან ხოლმე შორიდანაც, დამით მოშვებენ სულ ბოლომდის და მიდის ზვე-ში თქრიალით. რათა ახლა, არ იკითხავ? რა ჩამოცივდესრო გამოვიდნენ, შეუშვირონ კვიტა და ცივი დალიონ. ერთი კვიტა წყლისათვის ას ვედრო წყალსა დვრიან, მეტს. ერთმანეთს ვერაფერს ეუბნებიან, არ უნდათ, რომ ერთმანეთს აწყენინონ და მომადგებიან მე, — თავმჯდომარე ხარ, თუ რა ჩემი ფეხები ხარო მართო მე კიდევ რომელ ერის მიეწვდები, კაცო! გავიგვრავებელი ხალხი ხე გავიგვრავებელია, აღიანთ ბებერი ხე იცი, მართო თვითონდაც, შინ, თანაც თითონაც ნახევარი აშუშუკა დარჩენილი, ონკანი უყვინია, აი, დღისმხანებრიანი. ჩაივილი, მოუთქრიალებს წყალი, შივლა მე დავყებამ, ვერცხვი, — ბებო, სოფელს წყალი უქრის, ზემოთხანდაც წვეთ-წვეთი ენატრებათ, ნუ გაქ გამოუღმებთ მოშვებულიმეთქი! გიყურებს აესე, ოდნავგაღრევილი, არც ხოს გეუბნება, არც არას. ამოვივლი და, რასა ეხედავ, ისევ მოუთქრიალებს, თანაც უფრო მეტად. დავუკებაც ისევ, ახლა დავემუტრები კიდევ, დაგაფარებ-მეთქი. ისევ არაფერს ამბობს, არც არაფერი ეტყობა სახებზე. ჩამოვივლი ნაშუადღებზე და ისევ მოუთქრიალებს. აბშიც აუყვინადი, — შენა-მეთქი, მამა-მუნებ-მეთქი?! მამინ რა? მეუბნება, გაიგე?! შილში რაა დამწყვეთელი წყალი, მეცოცება, შეილოთ, ცო-ლო, წყალით გეხსის, კაცო! მე არა ვარა-მეთქი ცოლო, დღედაღამ რომ ვაყვლები-მეთქი, ბე-ბო?! შენ შესაყოლი რა გაქ, მშვენიერადა გაქ გადამრგვალებული კისერიო! ოთხმოცისაზე მეტისაა, კაცო, ტვინი კიდევ — ფიი... საითა აქვს მღერცილი, გაიგე!

ვერც დაჯარაშებ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს. — ზემი სამი შეილი შავისთვისა წვანან რუსეთის მონღერაბშიო? — თუპარაღდება თვალები. გამოებრუნდი და წამოვივლი საუთხარ თვის წვევლითა, მეტი რა უნდა შექნა...

ძალდა ვარ ქვეული და ძალდაც არაივნი მაგდებს. კისერი კიდევ — რა, დამადგებთთვე მაქ ეგრე, აბა, დედაჩემსა ჰკითხეთ, თუნდა დედაჩემსა, თუნდა ძალდაჩემსა...

გეშინდა ბერები აყელდნენ აქვე, ზვენიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით, კვი-რასკოველის ვორახზე. კიოღნენ ყოჩაღად, რამდენიმე ვართად. წუხელაც აყელდნენ, ოღონდ ებლა ლამუანის ვორახზე. რამდენი ხანიც, აღარც ზვენი და აღარც ძალღებს ტურების კივილი არ გავაჯვინია. დავიფდნენ ძალღებში. ზვენი კი რაღაცნაირად ვზეიმობდით, რაღაც იყო ძა-ლიან კარგი ამ ტურების კივილი. მაინც რა, ყველაფრის განწყობებელი ინტელექტუალებიო? დედაჩემსა კვლავაც ცოცხლობს თავისი მრავალფეროვანი ტრიაბულით.

პოეტები, მათ შორის ჩემნაირი პროზაიკოსი პოეტებაც, ყოველდღიურად იტანჯებიან ერთი რანს შევარძნებით: წუთებად და წამებად ათვლილ ზვენი საუკუნეში ისინი ვერ შე-შაობენ სტაბილურად, გვეშინან, დადიან, დავალიობენ, და მხოლოდ მაშინ მიეცდებიან სა-მუშაო მაგიდის, როცა შხა ლექსი, ანდა ნოველა ჩაწერასად მოითხოვს.

სულ სხვაა რომანისტი. რომანისტი დილით დანიშნულ დროზე დგება, მიუხედავად მაგი-დის და შეუდგება თანაზომიერ მუშაობას. ყოველდღიური ნორმის შესრულება მას კარგ ხა-სითაზე ამოუფებს, ეპოქის რიტმში ზის.

სრულიად გამორჩეული სახეებიც აქვთ ქრიაში რომანისტებს.

ზის ქობსდაყრდნობილი ოთხმოცდაათის წლის გლეხაიც და მოკატებული თითის მიშ-ვერით ამბობს:

— აი, ჯერ ხომ ბაღლია ეგა, შეიძლება ისეთი სიტყვა გვიოხრას მაგანა, არც დავიხოც-ნეთ, არც დავრჩეთ. დრო არის ეგეთი და იმბიტომა. წინათ როგორ გაბედავდა მაგოდენა ბი-ტი უფროსებთან ხმის ამოღებას, სუ კედელზე იყვნენ აყრდნილი.

გვარაში, მწერალთა საბღის სასაფილოში, ზვენი მაგიდის აბლოს ადგილი მიუჩინეს პო-ლონელ ცოლქმარს. კაცოც ხნეირი იყო, ქალაც, მაგრამ ქალს ახალგაზრდულად ეჭირა თვეო, ახალგაზრდულად ეცვა, — წელში ძალიან გამოყვანილი კაბა, მობდენილად მაღალქუსლიანი

ფესხამელი, — ახალგაზრდული სიყვარული დადიოდა, თვალეზი თითქოს სულ სიხარულით უბრწყინავდა. რუსულს ცოტა შეყვინებით ლაპარაკობდა, ამიტომ, თუ ვინმესთან გამოლაპარაკება სურდა, ვითხოვოდა, — გერმანულად ზომ არ შემძლია მოგმართოთ, ვინაშნაღა და შეიძლება გვიანში შევიდეთა იდგა და მწერალთა სხელი თითქმის მთლიანად დონდავით მშენებლებს ქონდათ დათმობილი.

პოლიტელები ირი დღის ზამოსლნი იყვნენ, რომ ცოლი ჩემთან მოვიდა და მიიხრა:

— თქვენ ზომ ქართველი ხართ?

— დიახ, ქართველი.

— პოეტო?

— არა, პოთხაიოსივით.

— რატომ პოეტო არა? როგორ შეიძლება, ქართველი იყოთ და პოეტო არ იყოთ აი, მე პირველად ვარ საქართველოში, ძალიან მივეაჩხვარება ჭადრაკი. თქვენც, ალბათ, რა თქმა უნდა. სულ მივიჩრდა, ვინ არიან ეს ქართველები, რატომ უაფთო უნივერსისი მოჭადრაკე ქალები ეს ირი დღეა დადივარ ქუჩებში, თვალეზი ვეუფრებ ქალებს, და თუ ვამჩნევ, რომ ლამაზი, ჭკვიანური თვალეზი აქვს ვინმეს, ვაჩერებ, ვეკითხები და ყველანი მომიგებენ, დიახ, ქართველები ვართო. ახლა უკვე ცხადია, რატომ გვაფთო ჭადრაკის დედოფლები, მაგრამ ეს კი ძალიან მაკვირს, თქვენ რომ პოეტო არა ხართ, როგორ შეიძლება, ამდენ მშვენიერ თვალეზს ზედადვით და პოეტო არ იყოთ, ეს დღეშეგებელია, ეს არ გებატეებით, არავითარ შემთხვევაში... მე თქვენთან საქმე აღარა მიქვს.

და წაიფთა, წაგოგმანდა მომხიბვლელი ღიმილით.

მშვენიერი ნათქვამი — „მომხმარებელთა პოეტო“, „მომხმარებელთა მწერალი“. მრავალი უნივერსისი კაცო კი ხშირად ამ „მომხმარებელთათვის“ მუშაობს.

თქვენ გაშრობებთ დღეშეგებელი ხაზები ჩემს მოთხრობებში. მე, პირიქით, კმაყოფილი ვარ. არ არსებობს წრეზე უკეთესი სისრულე, წრე კი ირივეს შეიცავს, როგორც აღმავალ, ასევე დაღმავალ ხაზებს.

მე არავითარი მუსიკალური განათლება არ მიმიღია. შეიძლება სწორედ ამიტომაც საშინელი სიმძაფრით განვიცდი მას — მგზავრივით, რომელსაც შორიდან ესმის იღუმენტებით აღსავსე მშვენიერი ხმები და არ კი იცის, ვის თუ რის მიერ, რა მანქანებით გამოიყვანება ისინი.

სოციალური — გოგარები აღარ დავთესე წელსა, ეს ვანია მაინც აფთო არი, კვდება და ელამ უნდა ჭამოს-მეთქი.

ვანია იქვე ზის და ცულის ტარსა სოლის ნელ-ნელა.

— ეც სახლი ზო გაღვსე, ეხლა თავში ქვა ირტყას შენმა კმარმა, დავანებოს თავი. შენ დაქვე მინ და იყავი თბილად.

— ჩვენ რა ქონება უნდა გვიქონდეს, ქალო, ჩვენს განჯინაში არყის ბოთლი არ დაწყნარდება, განუწყვეტლივ ყანვლობს.

მშვედებიან ნაცობ-მეგობრები და მეუბნებიან, რომ ძალიან მოეწონათ ჩემი „ბლუცები“. ერთ-ერთმა ისიც კი თქვა, პატარა მოთხრობების შედევრიაო. მე ვიღობი და მივეუბნებ — ესტრადია და მეტი არაფერი-მეთქი. მათ, რა თქმა უნდა, ეს თავმდაბლობად მიაჩნიათ, მე კი გულწრფელი ვარ. საქმე ისაა, რომ ე. წ. „დღელოზრივი იუმორით“ ძალიან ადვილია მოთხრობის შექმნა. დღევანდელ მწერლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჭერ კიდევ აქვანტი ცა-

გარეული წერდა ამ ხერხებით ბრწყინვალედ. გახსოვთ, მისი „ავეტრას მონოლოგი“ — დღევანდელ-
 თბამზე რომ წაიხილა ავეტრას ძმაცხეზით და იქ რომ მწვემსი დაადგათ თავს, — ჩვენ მარ-
 ტო ცხრანი ვართ, ის ერთი გივი ჩობანია“...

გარეული
 ბიბლიოთეკა

ჩუ თებერვალს თოვა დაიწყო. ცხრანში უკვე დიდი თოვლი დადო. თოვა ათშიც. გუშინ,
 თორმეტში, გამოიღარა. წუხელ ყინვა იყო. დღეს, თორმეტს საღამოს კიდევ უფრო მყინ-
 ნავს. ისეთი თოვლი დღეს, აღბათ, ორ კვირას არ გადნება. ჩვენს ქვრამზედა ვინახე სტვენია
 (სნეგირი), რა სახელია ეს „სტვენია“, არ სჯობია „მეთოვლე“, „ზამთარა“, ანდა „დრუნჩი“,
 როგორც ჩვენთან ეძახიან? რა მშვენიერი სურათი მახსოვს ი. კურანოვის შოთხრობიდან:

«Снегирь сидит на липе в синем небе. Дремлет, как боярин».

„მასხის მაგერად ხელი წამელო, 11 გრადუსიან სიცივეში კარში გამოყვანა და გამა-
 ხედა იქ მხოლოდ თოვლის არხნით (ხევით. რ.ი.) ჩამოღესალი და ქანღახვეული მთები
 მოხანდნენ ცახედ მიკრულები, თითქოს გოლიათები თავისავით საკირველ დედანს მკერდზედ
 საწოვნელად მიშვევიანო“. ეს ვაჟია. აი, ასე შევქლო დანახვა და ხატვა მას!

კ... რამ პოლონეთში მიდიოდა, ოთხმოცდარვა წლის უქარმელი დოტა მამა ახარებდა:
 — ახ, კარგად დააკვირე, შეილო. იქ ერთი ადგილია, სუ ჩვენს ამხარისა ჰეყს, ცხვირ-
 წამოწველი გორაც არის და პატარა ტბაც იქვე. ნემუნტის ომში რომ ვიყავი, ამ ტბის პი-
 რას ვწოლილვარ და თავი შინა მგონებია, ამხარის ბალახებში.

ვლკავარ და ვადავტერი ჩვენს ქალებსა და იორს. ისევ მწიანელ გამოიფურება ვეღლა-
 ფერი, მაგრამ შინც რაღაც დაცოტავებულად, ვლარინებულად მეჩვენება მიწა, მობეზულა-
 დაუ კო ვერ შექლო მან ჩვენი, შეილების, დამურება, დავინება, და ჩვენ გაიჭვეით, გვი-
 ფანტენით აქეთ-იქით. ზოგნი ახალ მიწებსაც კი ვეძებთ სამყაროში.

ის კი შინც გველის, აი, ასე, შორიდებულად...

ადრე, სანამ ახალგაზრდა ვიყავი და კარგად არ ვიცოდი, რა იყო ნამდვილი მწუხარება
 და ნალელი, მეჩვენებოდა, რომ ელვგური ლექსები და სიმღერები გამოგონებული იყო პო-
 ეტებისა და კომპოზიტორების მიერ. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვგრძობდი, რომ ყოველივე ამას
 უბრალო ადამიანთა სული ამოთქვამდა ქვეთინთა და ბღავლით.

გაოცებული ვარ — რამდენი კარგი ლექსი იწერება ბოლოხანებში. მაგრამ ვიღას სჯერა
 მათი, ვინღ უღრმავდება, ვინღა სუნთქავს მათით.

თუ ჩამკვირვებობართ, რას ნიშნავს კახური — „რაიო“, ანუ „რაიციო? ეს ორი სიტ-
 ვვა კედელზე შეაჩრია, რომელსაც ცერცეს შეაჩრიათ ზოლმე. ეკოთხები მოწიფეს, — რატომ
 არ ისწავლე გაკვეთილი? მოგიგებს, — რა ვიცი! ეკოთხები შეიღეს, რატომ არ მოიტანეს
 შეკვეთილი წამალი? მოგიგებს, — რა ვიცი! ავადმყოფის ცოლიც კი, ავადმყოფი რომ კვდება
 და წულის მიმწოდებლად არ დახედავს არავინ, ბოლოს რომ შეგმინავს, — მაშ ვერთელ შა-
 ინიც არ ღნდა შემოგებდათ, იქნება უკვე მოკვდიო? ცოლი მიუგებს, — რა ვიცი! მოკვდება
 ვინმე და იქაც, — რამ მოკლაო? — რა ვიცი! არ იცის კი არა — რა იცის! და ეს წყრომითი
 პასუხი კი არ არის, ჯიბრით ნათქვამი კი არ არის, კანს ზემოთ იოლად გადასატარებელი სა-
 გვეშური, რომელიც გამოიშუშავა ხალხმა ათასობით ავბედობის წლებში.

ვდრნალ „დიღის“ თანამშრომლები ვიყავით სახავშეო ხალში. ბავშვები გიტაცებით გვი-
 ამბობდნენ, როგორ უფლიან ცოცხალ კუთხეს — ვეფილებს და თეეზებს. შე გამოსადე-

ლად ვაითზე, — როგორ იქცევიან, თევზებს როცა სძინავთ? უმეტესობას დაბნეულად ვაღი-
 ლინა. ერთმა პატარა ბიჭმა კი უჩინადად წამოძახა, — თევზებს როცა სძინავთ, ჩვენც ვეჭი-
 ნავსო.

ზინა ლინა

მე სულ საიდანღაც მოვდივარ და იქაურ ამბებს ვთბობ. აი, ახლაც, კახეთიდან დაბ-
 რუნებულს, მტკუნება: სხედან ზრის პირებში აზრდილებად ქცეული ქალები და იცდიან, —
 ეოქვა შათი ქალობისა, შათი მეოქავებობისა.

„აქტიბულში ამოდინ ორნი — ბიჭი და გოგო. ბიჭიც ლამაზია, მაგრამ გოგო — გამო-
 რჩევით. გოგოს აცნა მალაღ შეხართ ტანზე შემოტმისილი ელვაგანტერი შავი კახა, ძალაღ
 მალაღქუსლიანი ფესსაემელი, თმა — შეკრებული აქვს ვაფურად, ხაზი ესმება მალაღ, პატარა
 მაყრიუ კედას. ფანჯრიდან ზღაყს ზრის პირებში ბარებით მომუშავე ბიჭებსა და ეციუნება.

— მაგათ დაბარულში რამე მოვა?

— რატომ? — ეკითხება ბიჭი.

— შეხედე, როგორ არიან გალაყუნლები.

— როგორ არიან?

— ბარზე ლაღად უნდა იდგან, წიღამარხული.

— რა იყო შენ?

— როგორ არ ვიცი, სოფლები არა ვარ? ბარის მეტი რა მკაცვბია ზელში.

ყველას აშკარად მისკენ გაურბოს თვალი.

— ახლა რომ ჩავალ, არდადეგებზე, ბარს არ დავიჭერ, როგორ გგონია შენ?

ჩვენ ნაყლებად გვყარა სიღამაზის ძალისა. ეს იმიტომ რომ ვერ ვასწრებთ, ჩავწვდეთ
 ნამდვილ სიღამაზეს, ძალაღ „დაკეებულემა“ ვართ, რაღაც უფრო მნიშვნელოვანებით.

თქვენ ლიტერატორი ხართ. თქვენი სარბიელი წიგნიდან წიგნამდე მანძილია. ეს მწერა-
 ლი იყო, ნამდვილი მწერალი, და როცა უინულოვან წყალზე უნდა დაეწერა რამე, თვითონ
 მისდიოდა, თვითონ დგებოდა ამ უინულოვან წყალში და თვითონ იჭრიდა უინულებს ფეხებს.

წავიკითხავ აბზაცს და წამიღებს ფეჭი, წავიკითხავ ასევე ცოტაოდენს და — ისევე ფეჭი
 აღარ არის წინ იღვშალებით მიმზიდველი ვრცელი ველი, რომლის იქითა ნაპირისაკენ მივის-
 წრადიღი შეუსვენებელივ. ახლა სანახავი და საფეჭრალი ერთ იღვიღზე მდგარსაც უამრავი
 მყვს.

ვერ ვიტან კაცს — სხეები რომ ხმაურობენ და ის, აშკარად თავშეკაცებული, დუმს. მე
 იგი მავონებს კეკლუსს, კამის კალთები რომ სულ მალაღ აქვს აწეული, ემანდ წინწყალი არ
 მომეტხოსო რამე.

მარაბდა. ყაფაჩობები. ერთ იღვიღას, გადაბნულ სანერგეში, უამრავი ერთად.

— ვილასს ვანგებ არ უხლია ხელი — აღტაცებით წამოძახა ლ-მ.

მე — მაინც ვლუბაკემა — წყალი გადავასხი მის აღტაცებას:

— ვანგებ კი არა, გუთანი ვერ მოუყენებიათ ნარგავებისთვის ჰორამდე.

ცუდი დუმილით მიმასტეა ლ-მ.

რატომ აღარ არის ფში ღრმა და მტკი, ტყე დაბურული და იღვშალი, ველი მზის წყე-
 თებითა და ცვარ-ნამით სვეს, ხილი ჰაეროვანი და ჩაბადგებული? ნუთუ ეს არის სამყა-
 რის რეალისტური აღქმა?



ჩვენი მწერლობის დიდი ნაწილი ცუდად შეტყვევებს. მოზღვაებულნი, კარ-
ქაზში, პროვინციალში, ვერობეიზში, ტემპერამენტით, ფლავიანტინობით, მწვე-
თად ასის ქართული მოქალაქის — დარბაზის, კვიანი, განათლებული, თავდაპე-
რილი მოქალაქის ხმა.

არდესაც ეს ერთგან ვთქვი, შემომაჩვენეს თ. მე ერთხარი, ქალაქელობა და მოქალაქე-
ობა ერთმანეთში ნუ გერევათ-შეთქი.

სიცივე ბევრს გევალებს, დაუნდობლობა, პირიქით, გათავისუფლებს. უმეტესობას ეზა-
რება დავალებულის აღსრულება, აქედან გამომდინარე უჩვენიათ თავი შეათარონ დაუნ-
დობლობას. იქნება ამ უკანასკნელთა ამოლოცაიყ.

დღეს, 25 თებერვალს, ჩვენს ქვემოთ, ტაშენტის ქუჩაზე, საოკრად ღამაზად, გატაცებით გა-
ლობდა გაბოლილი, ტუქუიანი სკინია. მე ვიცი, იგი შაჰიანი დასამოყვარულოდ უბნობს მდებდს.
რისი იმედი აქვს, ნუთუ შარტო სიმღერისა, ამ შურთან შაწანწალას, მთელ შემოდგომას და
ზამთაჰს, უმოაგრესად მიწაზე რომ დაწანწალებს ეწლი, რაღაც იღუმალ ფიქრებში ჩაძი-
რული!

კვლავ ვნახე ჩემი სანუკვარი სიზმარი — მაღალი, ნათელი, წაბლისფრად და თეთრად
გაბრწყინებული თოვლიანი მწვერვალები. საიდან ქმნის ამ მწვერვალებს ჩემი სული ისინი
ხან ჩრდილოეთით დგანან (მაშინდანი), ხან აღმოსავლეთით და ხანაც სამხრეთით — მშვიდნი,
საოკრად ამალგებულნი, ბედნიერნი. ხანდახან მივლივარ კიდევ მათგან, მაგრამ ვერასოდეს
ვერ ვალწვე მწვერვალაშდე. მხოლოდ ერთხელ ავედი თოვლებამდე, უნიუღებამდე. შერე რა-
მდენიმე დღეს სულ მესმოდა ნათელი ყინულების მსბერავის ხმა.

შენი იდამიანები სულ ერთმანეთს ექიშებიან, ერთმანეთს ებრძვიან, მზად არიან კბილე-
ბით გადაუღადრონ ერთმანეთს ყელ.

მე იდამიანები უმწვერვალად შეჩვენებიან, ძლიერნიც და სუსტნიც. ჩემთან არავენ იმარჯ-
ვებს არავისზე. მთავარა, გაიმარჯვო საერთარ თავზე.

ვეკითხები ბაზარში ერთს:

- რა ღირს შენი ვაშლი?
 - ხუთი ღირს მაგრამ, მე სამს ვაფასებ.
 - რა კეთილი ყოფილხარ, კაცო!
 - ჩემი ცოლი სულ სანთლებს მინთებს ქრისტესავით.
 - გვეუდრება კიდევ?
 - კი. შენა გნახე კუბოში გამოწყობილი!
 - შერე, კაცო, შენ სახლს კარი ირა აქვს? გააღე კარი, გააგდე გარეთ და აღარ შემოღშეა.
 - აჰ! ეგ რომ ვქნა, სხვა ვილა მომცემს ქალს, მით უფრო — ახლა, ამ შუა ზამთარ-
ში, ყველას თვითონ სჭირდება თავისი ცოლი.
- აქეთ-იქით მდგარ მოეპურე ქალებსაც არეულად უბრწყინავთ სახეები.

ქალი და კაცი. ხედებიან ერთმანეთს ტყბილად, ტყბილად, თუმც ერთიც დაღლილია და
შეორეც, არაფერი არღვევს მათ სიტყობას... თურმე ყოფილან სიჭიროში.

ქემინვევი — ქვერტითი, მაგრამ შტაკულდ დისციპლინირებულნი აღარავითარი — ძველი
მთხარბელობისა. სულ იგონობა, რომ ქვეყნად უკვე არსებობს კინო.



აი, რა შიამბო ნიკა აგიაშვილია.

იოსებ ნონეშვილს, უმარჯობისას, აღიარებენ ქვედა ერთი უსინათლო ბავშვიანად. თვითონ ბატარას და სუსტს, იოსებს, ზელჩაიდებული დახვადა სოფლიდან ჩამოვყვანილი ეს ბებია ხან ერთ ექიმთან, ხან მეორესთან. სულ თვალწინ მიდგას, როგორ ახვადა ტრამვაიში, ტრაღიკულში. ბევრს ეცადა, ოპერაციაც გაეკეთებინა, მაგრამ სინათლე მაინც ვერ დაუბრუნა ბებიას. მერე ბებია მოკვდა. იოსებს, ნამდვილად შეიძლება თქმა, ქვეყანამ უპატირონა.

შარშან კი ასეთი სიზმარი ენახე: ჩასვიდებოდა იოსებს თავისი ბებია, თვალისწინდარუნებულა, გახარებული და მოხვადა ქვედა რუსთაველზე, მერე მსართულთა ქუჩისკენ დაუბიეს... აი გავიდა ამ დღიდან რამდენიმე კვირა და იოსები გარდაიცვალა.

ზოგ: რაღაც ამრეზით უყვრებენ ჩემს „კახურ სამუღალმოს“. მე კი რას ვფიქრობ: ეს მეწიქველის ნამბობი ნამდვილი ხალხური ტრაგედია ზელოვნების ძალზე. კარგი თბრობის სურვილი, ღამაში, არტისტული აზრის მოყოლის სურვილი, კაცს გააწიკინებს საკუთარ ცოლსაც კი.

მოდეს, მოზივის, მოიზავთება აღიდებული იორი. ვდგავარ გამილილ თავთხელში. ელავენ, თრთან, ჩუჩუნებენ ჩვერალეები, ტალღები. და ისე მიზარია, თითქოს ათასობით უცხო ფრანველი შემომგალობდეს აქეთ-იქიდან. ცოტაც და მომხვებვიან და გრამიშულით წამიღებენ შალა.

აქ, უჭარბის ცოტა ზემოთ, ჩამონაშალ კლდეებში ბინადრობენ ყორნები. მივდივარ. ვუყვრებ ხოლმე დერბინდით. ფრენენ თავისებური ფრიალით თუ ფრანგურაშით. ყრანტალებენ, ჩაქანებთან კლდის უბეებში და ავარდებთან შალა. თუ სხედან, საყოფელეზივით აქანავებენ შიშიმე ნისკარტებს. სულ ცოტა მიწილზე კი, — ნახევარი კილომეტრით არ იქნება, — ვღია მანქანა შივრ გატანილი ძაღლი და იარაღები ეყარება, არც ნადირი, არც ფრანველი. ნუთუ ყორნებმაუ შეეცვალეს ცხოვრების წილი? რაღაც საგონებლებით კი აქეთ ხოლმე აბრუნებულა თვალები ცისკენ!

...იგი ამბობდა:

— რუსი გოგო რომ ზღვაში შედის, შევა, შევა, ნერვი არ აუტოვდება სახზე. ქართული გოგო, — შეეწინააღმდეგება თუ არა წვეთები ფეხებზე, — ღიო! — შეაქანალებს და გადმოხტება უკან.

იოსებია:

— ღონდ ხარკი ნუ მოვივა და ჩვენი თამარა ყველაფერზე თავს მიქნევს, ყველაფერზე თანამა. ამ ზამთარს, ცუდად რომ ვიყავარ, დაესხედით და ვიანგარიშეთ. მე რომ მოვეყვლე-მეთქი, გენა, თამარ, შენა კახა დაგვირდებო შეგი, მოსახვევი, ტუფლი, ჩულკი, პერანგი. მოდი, ისევ შენ მოკვდი პირველად. მე რა — ეს თუქის ქველი შევი, შარვალიც შევი, — ერთი — ხალათს შევადებინებ სამშურთან საღებავში და მორჩება, წავალ ამ ხალათით იოლას-მეთქი. იანგარიშა, იანგარიშა თამარამ, — თან კომპოზიტოს მწინლსა სდებდა, თან ანგარიშობდა, — და დამეთანხმა, კარგი, ეგრე ექნათ, ქერ მე მოვეყვდე, მერე შენ მოკვდიო. ეცოლება ვინმეს ეგეთი ცოლი? იალაი არ არის მაგისტვის — კი ოცდასამაინეთიანი გაყვითი?!

ღამაზე ქალი ისეა დაფაცვებული ფიქრებით თავის ირგვლივ — დაფაცვებული აქვს, რომ გვერდით მოხვევა ქმარი.

ტრილეაბუსში:

— აქამდე მომიცვლებოდა სხეების რემონტების მავრებელი ჩემი თანამეცხვარე სონია. საწყალი, — სხვები რომ გაპრიალებულ მუხებში და წაბლებში სვამენ თავიანთ ბინებს, მე მანეთიანი შალაერი ვერ გამიყვარა. დმართმა უშველოს ჩემს მაცხოვრებლებს, ისინი მყვანან მსხნელად. ქერ ხუთ წელიწადს ერთი ცხოვრობდა ბღენში, წელიწადში სამჯერ მაინც ჩრე-

ბოლო წელი მომდევნო და ხელიერთობიანად მოაქცეოდა კედლებს. მერე ერთი მთელი გადმოვიდა, იმას კიდევ კერძოდ ჩამოვლიდა. დაიწყო სირბილი მთელ სახლში, — ხალხი, ეს სახურავი პარტი ჩემი ხომ არ არის, დამეხმარეთ, შევაცუთებინოთო, ყურის სარკვევით უთხოვია. ისიც ადვილად და რა ქნა, — საცა წყალი ჩამოსდის, ჩამოხვრტა და ჩამოხვრტა. მერე ვითომ ვაჯვრდებო, ვარ ერთ ამბავში, ჩემზე უარეს დღეშია ჩემი სონია, მთელი კარს არ გვიღებს, გულისკვლეში კი მიხარია, ბიჭო, ჩემი ბინის ჩამოღებულობას იმათ ვაბარებ, ბიჭო, ჩემს მალა მაცხოვრებლებს. სინამდვილეში ჩემი ხელფასით ჩემონტის გამკეთებელი ვარ, ბიჭო! ნეტავი პური ვაჭამო სულ ჩემსკენ მოხერხებულ და მომიხიზვით პარხედაფრენილ ჩემს ბავშვებს...

მონატრება ზაფხულის სიყვარული

...მერე თოვლი მოვიდა, წვირი-წვირილი, ბზირი, მშრალი თოვლი. ითოვა, მთელ ღამეს, არ გაღვიძლია წამით, თითქოს ჩქარობდა ქვეყნის ამოცხებას.

ღიათ თითქმის მუხლამდე იდო, ხეები შებურუსებულვებს ჰგავდნენ, — მშრალი თოვლი აქა-იქ თუ ჩერდებოდა ტოტებზე. მთები აღარ ჩანდა. ავიღე ნიჩაბი და დავიწყებ გზის გაყვალვა სახლის კიბიდან კუტარამდის, აქეთ-იქით ვერდი თოვლს. ცოდან ჩამოშავალი წვირი-წვირილი მკრრავი ფიფქები თითქოს მიბრაზდებოდნენ, მესვოდნენ და მკბენდნენ სახეში. მე მაინც მივკვალავდი. მერე უცებ გამახსენდა, რომ ჩემს მეტი არაფერი იყო სახლში. გავჩერდი. რა აზრი ჰქონდა გზის გაყვალვას? ისეთი უნათობა ჩამიღვია სხეულში, ნიჩაბის ტარს დავეყრდნე ბარჯით დაღლილი გულგაყოფით და ვიდევამ ასე, მიწას ჩაჩერებულდი. ფიქვები ისევ ვაბრაზებულენი მესვოდნენ თავ-კისერზე.

შენ იყავი პირველი მწერალი ქვეყნეზარებაზე, შენსკენ იშვრდეს ყოველი გამვლელი თოვს, — ავირ ის ავირ ის! შენ იყავი უმდიდრესი, უხედნიერესი ამ სიმდიდრით. მე მირჩვენია, უნებობდე უფლებ ვაგონის ფანჯარასთან და, როგორც ირგვლივ ვუვლას, რაღაც პატარათა ცნობისწადილი მდგას თვალუბში.

— ქმარი მოტყუდა, თავისი ქალობის ჩამხარებელი, რათ ვკვიროთ, რომ ვგრე უხმოდ გამწარებული იყოს, შეიძლება, — და წაიფიდა დაღუნული წაჩაშტადა პატარა შეიფთობისილი დედობერი.

— ღაიწოს, დაიწოს სიყვარულის მომგონი, — მოსთქვამდნენ ქალები სიონის ავტობუსში, ერთი ფშაველი ქალი იჭდა — შავი, შავადმიმხმარი, მწვანე ფოთლებიანი თოვლიანი წინდის მქსოველი — იმან თქვა:

— რე ლამაზობთ სისულელეებსა. სიყვარული რომ არ იყოს, ხო ჯოჯობებზე მეტად აქ გუჟირდება ადამიანსა. როცა ძალიან, ძალიან გვიჭირს, რო აღარა გვაქ სულის მოთქმის სახსარი, სიყვარული მაშინ მოდის და გვანათავისუფლებს ტანჯვისაგან.

უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთმა ქალმა შვა ვაფა-ფშაველია!

ახალბოძველი ა. კ. ი. მიყვება

— შავისი პაპა ჩემი ნათლია იყო. აქ მომნათლეს თქვენ სოფელში, მაგათ ძველ სახლში. ხუთი რე ექვსი წლისა ვიყავი და ვუდაფერი მახსოვს, ბნელაში მოვიდა შემოკრამოცილებული ზღვდელი — თვითონ შინელი ვეცა, თქმის ქრდი ეხერა, წვიმდა. — ჩამოიღო ის მე-შოკი, შიგ ეწყო — ანაფორა, ოღარი, კუნძული, ქრდი, საცეცხლური. ამოიღა სწრაფად, შიშინად, ჩაიყვია ამოღა საცეცხლური, ჩამდენეს წყლიან ტარში, მკბო მირთინი მაგარი თითით მღვდელმა, მერე გაიშავა სუფრა. მღვდელმა ისევ შემოკრი ჩააწყო თავისა რამერე-მეხბი, დასხდნენ: ამისი პაპა — ჩემი ნათლია გაბუა, იმისი ძმა კოლა მღვდელი და ერთი მუხობელი. ცოტა შეხასიათდნენ და დაიწვეს სიმღერა, მღვდელი მღეროდა, იმის ნახვას არაფერა სჭობდა. გადაგდებულა ჰქონდა თავი გვერდზე, თვალემა კიდევ დახტული და, — ბერი კაც ვარ რე მომღვალაო — გმინავდა პირდაპირ. მერე მაინც მოკლეს ის საწყალი, პირველსავე კაბდოს ქვეშ მოხვია, რომ წამოტყუეს ვგეტებს ზელი ერთობიანდა.

ცის ქალაქი

(კონა)

არ ვიკნებოდი მამა, სურვილი არ მახსოვდეს შენი.
წერილებ, ვწუხვარ, იოლად ვერ ვივიწყებ დანაპირებს.
ასე იყო ნათქვამი: წამეყვანე მალა, შეგვეხედა —
ეგებ მოგწონებოდა თეთრი, ცაში გაკიდული ქალაქი,
ეგებ ეკობნა აქაურობისთვის, დაერჩენილიყავით.
დარდი ნუ გაქვს, დაგვიხედება (დაპირებული იყო),
აშენება არ ჭირდება, მთავარია, მივადგეთ, ვნახოთ.
უკვდავების მაძებარს, გულგატეხილს, მოტყუებულს —
მითხარი — სხვას, უკეთესს, რას შემოგთავაზებდი.
რომ არ გაგიკვირდეს, მერე რომ არ მისაყვედურო,
წინასწარ გიხსნი, გიხატავ, გაფრთხილებ — რა მოგველის.
იცოდე, იმ ქალაქს მიწასთან არ ექნება რაიმე კავშირი,
არც იმ ცასთან, ახლა რომ შემკრთალი შევეყურებთ.
ვარსკვლავებს კი დავინახავთ: კრიალას, ციმციმას,
წითელს — სისხლისფერსაც, როგორც ადრე დაგვინახავს,
მაგრამ განლაგება, ქარგა სხვა ამოვა, არა ისეთი,
მიწის თავბოლოდან ანდა შუაწელიდან რომ ჩანს,
სხვაგვარი იქნება დაღამებული ამოუვსები სიციარელები:
ადვილი შესაძლებელია, მზეც არ იყოს ის ძველი მზე,
ჩვენ რომ ასე მივეჩვიეთ — ვეჩვენებით, ვემალებით.
გასაყვირია — რის გარშემო იკვრება ყველაფერი —
რა აძლევს სიმკვრივეს, ფორმას, გარშემოწერილობას:
ქვას, ძვალს, თვალის გუგას, ჩამოკიდებულ ვაშლს...
ამაზე ფიქრს ვერ აყვებით, სხვა გვაქვს საზრუნავი.
არ ვეძებ, შენს გარდა არცვინ შეყოლება თანამგზავრი.
შეიძლება ჩაიქცეს მრავალცოდვილი, ხორკლიანი ბურთი,
რაზედაც ახლა ვდგავართ, მაგრამ იმ ნათელ სიბრტყეს,
მე რომ ხელდახელ მოგიხაზავ, გწამდეს, არაფერი მოუვა —
უბრწინელ, გაულწმეველ ეთერში აქვს გადგმული ძირი.



რაც თავი მახსოვს, ყოველ ბიჭზე უფსკრული იხსნებოდა, ამდენად, აზრი დაკარგა სიმბოლის, გადავარდნის შიშმა ატყვევებდა სულერთი იყო, მოწყვეტილები, სად გადავიჩეხებოდით. ბიზნისი მთავარ აქამდეც უნდა გვესწავლა ცის გზა, მივეჩვენებთ მიწას. ასე შეიძლება გაზოზინდეს ათასი წელი (მეტეც), სახლი ჩაქცეულ მღვიმედ გვექცეს, ღამემ დაიტანოს. მოვლენ ჩვენნაირი ლანდები, მოგვანათებენ შუქს — ავიმღვრევით ნაირფერა, დაღვრემილ სტალაგმიტებად... ნელა წაიწვეს გამოღრუნებულ ქვაბულში მტირალი აღმართი. ბევრად უარესია, შემზარავია — ჩვენი არსებობა გვერდიგვერდ გაწოლილმა, საბრალოდ მოკუნტულმა ჩონჩხებმა დადასტუროს, დაგვადგეს ჰილისქუდიანი, გაოფლილი არქეოლოგი, ვისაც არაფრად ენალვლება ჩვენი ნაქროლი სისხლი, წყენა და სიხარული. ვერც წარმოიდგენს — ყბებზე თუ ძარღვები გვასხდა. ამიტომაც ვამჯობინეთ — გავცლოდით აქაურობას. არ ვიფრენთ, სხივებად ავქანდებით, ავსარილდებით, გადავიხრებით, არ მივეახლებით ბრაზიან მზეს. გაგვახსენდება ჩვენებრ ნატანჯი მამა-შვილი, ბერძენები, აღმურჩიანი, მახედაგებული კუნძულიდან აფრენილები. სიცოცხლედ დაუქდა თანატოლს შენსას მამის ურჩობა, მამისა, ყველა ცხრაკლიტულს წამში რომ გალანდავდა, ხამანწკის წკრილა თალებში აფრენდა ფიჭვს, ერთყა კუნთები ანთებული. მე იმას როგორ შევედრებო. ჩვენ სანთლის ფრთებს, შოლოშილს, როგორ დავენდობით, ნაღვენთი ცხელი არ აგვიწვავს აწითლებულ ბეჭებს... არ გამწირავს შენი ლაგამამოდებული სიჯიუტე, არ დაქანდები კისერამობრუნებული, ქარდარტყმული... დამხობილს, მკერდგაგლეჯილს, ღვთის შემწეობით, არ მომიწევს შენი დაზოკილი ტანის დატირება. მერწმუნე, არას გირჩევ სანანებელს, წასაგებს, ჩვენ სახელზე დიდი, უცნაური ბედია მოქსოვილი. დასანანი კია, ვერ ხვდები (ვერც ვერასოდეს გაიგებ) მარტო შენს გამო რამდენი წამება გადაიტანია. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმეს გამადლიდე, გაყვედრიდე. თვითონაც ბევრჯერ წაგიკითხავს, გირწმუნებია: „არავინ იცის ძე გარდა მამისა და არც მამა იცის ვინმემ გარდა ძისა“.

ნუ გავაქცუხნებთ ბრძენის ნათქვამს, დავუჯეროთ, უთქმელადაც შეგვეძლო გვეოდნოდა ერთმანეთი... აქ სხვადასხვა გვაქვს თავსატეხი — შენ წუხხარ, რა გალევს ამხელა ცხოვრებას, მე თითებს ვიჭამ — როგორ გავწელო საცოდავი ათი წელიწადი, დაბერებამდე, გრიგალის დაბერვამდე რომ დამრჩენია.

II

ჯერ არცერთ სულიერს არ განუზრახავს, რასაც ჩვენ ვეზომებით, შევეჭიდებით. ძნელია დაუსაზღვრავ სივრცეში ქროლვა, ფარფატი,



არაინ იცის, რა რისხვას გამოტყორცნის უძირო ცა,
 რა ჩაგებებს უსასრულობაში მიშტერებულ თვალს.
 რამდენი ცრემლი დაგვეკირდება, რამდენი ლოდინი,
 ვიდრე შემოისალტება ვეება, თეთრი გალავანი.
 გალავანში სახურავწამახული მრგვალი კოშკებია,
 მთელ წრეზე — თორმეტი, ყოველი კოშკის წვეროზე
 თითო ნიშანია ამოჭრილი, ღერძის ირგვლივ ბრუნავს.
 კედლის დაყოლებით (გვერდებზე) ჩამწკრივებულია
 წერწერა, თლილი სახლები, თვალის საამებლად ნაშენები —
 ახლოახლო სულდგმულის კაქანება არსად ჩანს.
 დაკუთხულ, წითელსახურავიან თეთრ კოშკებს
 შემოსჯარვია — უხმო, უსხეულო, წელშეუქანებელი —
 შადრევნებად ასროლილი კვიპაროსთა სილუეტები.
 გალავნის გაფეთქილი შესასვლელიდან, აწეულ სიღრმეში,
 სადაც ჰორიზონტის გაბაცებული ხაზი ისვენებს,
 გამოჩნდება თეთრ კლდეში სიგრივე ამოღარული,
 ნახევარწრედ შეღრმავებული ნიშები, უკარებო,
 ღიად ამოღებულ დარბაზს ორმხრივ რომ დაჰყვება.
 ღრმულებს შუა ამდენადვე (სანახევროდ) ამობურცული
 და ამდენივე (ექვს-ექვსი) სვეტია, თითქოს ქვის
 დაღუმებულ ორღანოს უშვარდე. ფრიზის თავზე (ცენტრში)
 ლურჯი, ქოლგად გაშლილი გუმბათია, ოქროსბუნეიანი.
 იმ ბურთულას ჩრდილი არასოდეს არსაიდან ადგება;
 ყველაფრის ამსხლექი, დამაბრმავებელი, გამუდმებით,
 ყოველი მხრიდან ელავს. საერთოდ, იქ, ჩრდილი
 არაფერს არ ეცემა, არაფერი არ მეორდება.
 სასახლის წინ კოლონადებით (ორი დიდი მწკრივი)
 მორკალელი მოედანია; გზის მაგივრობასაც იგი სწევს.
 დაშვებულია ქვის ფარდებად დატალღული ფასადი,
 ამართულია თვალწინ ქათქათა, უსუნთქველი კედელი,
 მოჩვენებითია სიმტკიცე მათი, სიმაღლე, სიფართე —
 მტერის ამღვრეულ ღრუბლებშია ბურჯები გამჭდარი...
 მთავარია სიერციხის მოზღუდე, შეკვრა, დამაგნიტება,
 დადგენა ცენტრის; მრუდების, ტეხილების შემოვლება,
 დაცილებული წერტილების ფიგურებად გარდასახვა,
 გონებაში ამოქარგვა; იშლება, ლაგდება კრისტალები.
 ფორმები რაა? მტვერი შეკუმშული, დაწნებილი.
 დაშლია გარდა, არის სხვა ძალაც — შემბოჭი, შეშკრავი...
 ეიკით, ბოლოსდაბოლოს ყველაფერი ტემპერატურაა,
 გავარჯარება — გადნობა, გაცივება — ყალიბში ჩასმა,
 ერთიდან მეორე მდგომარეობაში გადასაცვლება.
 ქვის სახლია თუ სიბნელეში წამოყვდებული მთა,
 ყველაფერს, ყოველს ტემპერატურა უნარჩუნებს სახეს.
 ლოდების ძელებზე ამოსული, გამეჩხერებული ტყე,
 სადაც ერთ ღროს პანი ატირებდა სალამურს,
 შესაძლოა აჩხრიალებული ზღვის ფსკერზე მოექცეს...
 ასე იყო, ასე იქნება, ქვეყნად არაფერია გასაკვირი.
 გახსენებ ისევ, რატომ არ გვიკვირს — ეს მიწაც



ღრუბელივით რომ არ ფხავდება და არ ვცვივით
 ოკეანედ გადაჭიმულ, თავზარდამცემ სიცარიელეში,
 ეს დაბზრიანებული, წყვილიადში გაქანებული ბურთი,
 გამტკვერების შემთხვევაში, გაიშლება, გაფოფინდება,
 ბევრად მეტ ადგილს დაიჭერს (მერე რა!) მშრალი,
 ქსოვილივით გაყიდებული — არ ეყოლება დამნახავი.
 ამის გაფიქრებაზე, წარმოუდგენელია — არ შეეწუხდეთ.
 რა ძალა აკავებს აბრჭყვიალებულ მტერის სვეტს,
 მსუბუქად მბრუნავს, ირიბად გაწოლილს ჰაერზე...
 (ვიცით კი, რომელი ციდან დაეშვა, რა დიწიწა?)
 ნაწილაკებს (თვალით უხილავს) სხვადასხვა წონა აქვთ.
 აქ გადამწყვეტია ნაერთისა და შედგენილობის სხვაობა.
 ყველაფერიდან ჩანს: სამყაროში არ მოიძებნება სიმბარე,
 რომლის დაშლა, დაქუცმაცება არ შეიძლებოდა. ასეა მტვერიც:
 არ დათმობს მოუღლეულ უნარს — ოდესმე შეიკრას, გამთლიანდეს,

III

მახსოვს გადათეთრებული, მხურვალე კონცხი.
 ექვსი წლის იყავი იმ აგზაგაზრდად შაფხულს.
 მე მარნარილოს ჩათვლემილ ლომს დაუდემ გვერდზე:
 შენ ზედ მოაქეცი, გაგაფრფოლა, შეეზარდე,
 დედაშენმა ხელი მოიჩრდილა, სვეტის გვერდით დადგა,
 დავატყვევეთ მდულარე წაში, სურათი გადავიღეთ.
 მახსოვს, როგორ გამეყინა თითები იმ აღმურში —
 მაშინვე ვიგრაძენი — ორივეს ქვად ძეცვა მოგველოდა.
 რადგან გაფრდი, არ უნდა მოგვედო, ბეჭაჭერ გითქვამს.
 მეც ხომ ამაზე წუხილმა გადამიყოლა, მეც მინდოდა —
 წლები არ მომმატებოდა, ერთ წერტილზე გავყინულიყავი,
 ის კი აღარ ვიფიქრე, შიგნიდან რომ გამოვინგრეოდი.
 ერთადერთი საშველი გაცლა, აქაურობის დატოვება იყო.
 იმ წრეში ყველაფერი შეჩერებული, დამთავრებულია;
 აღარავითარი სახეცვლილება, გაზრდა და განვითარება.
 ეშმაკს, ავთვალს მხოლოდ ასე შეიძლებოდა ავრიდებოდი.
 უფრო ჭეშმარიტს ვერც ვერაფერს მოისაზრებს ცა.
 არავის შერჩენია ჯერ დროისგან განდგომა, გაქცევა,
 ისჯება ყოველი, რამაც დაყოვნება განიზრახა,
 არავის სცალია იმდენი, მხოლოდ შენ დაგაჩერდეს,
 ვერც გამთლიანდება შერა ჭრელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი.
 ვიცით ესეც და, მაინც, საწყლები, არ ვიშლით ჩვენსას.
 წავალთ, მოვექცევით უძრავ წრეში უცხო წერტილები,
 აღარ შეგვეხება ტრიალი უამთა, ციკლი გამოთვლილი.
 არვინ მოგვიკითხავს, არავის დავაკლდებით სათვალავში...
 ვამბობ და მაინც რალაცის იმედი მაქვს, ვიტყუები,
 არ დაეფიცავ, ძნელია დგომა ფსკერგამოცლილ ნაგზე.
 ბოლოსდაბოლოს, რაა მესიყრება, ჩვენი გამწირავი?
 უთვალავ ადგილას გასვრეტილი, გადაკერებული მილი,
 თქიშინით რომ გასდის დახვეული, თხელი ფაფა (ტენი).



დავიწყება, თავიდან დაწყება, ისევ დავიწყება და ასე...
 ხეს ხე უნდა ახსოვდეს, კაცს — კაცი, კატას — კნუტი,
 ქვამ ქვა უნდა მიიკრას, აგორაოს და წაუბიძგოს.
 მამა, შვილი, შვილიშვილი, იმის შვილი და ამ უკვე,
 როგორც წესი, მენხიერება გადაღლილია, ისვენებს.

IV

დაცხრა, იქ აღარ დადგება შენი ნერვების დამგლეჯი,
 შენი მკვლელი — გაზაფხული, ვერ აგიშლერებს სისხლს,
 იმ სიმალღეზე ძნელად თუ აღწევს მისი ყინი და ცოფი;
 დიდი, დიდი, მარმარილოს კუნძი აატიროს, დაფოთლოს,
 ვერ შეიწოვს ცვარს ქვაში ჩაქრული, ურწყავი ფესვები.
 გვექნება სისწრაფე ბნელში ამოქანებული სხივის,
 შეგვიძლია არ გავტოვდეთ, ისე მოვწყდეთ, გავექანდეთ.
 საღ დაიძირება წეროების აყივლებული ქარავანი,
 ვერცხლის ძაფებით დაბლანდული გრანიტის კალთები...
 ვინ იბილოს მოოქროვილი ნაკუწები ღრუბლის —
 გაწეწილი, აბრჭყვიალებული სადაფის ბურბუშელა...
 უველაფერზე შემჩნევა — როგორ მიკიროს გამოთხოვება.
 ვისაც ცოდვები მოეჭიდა, მზეს ვერ გაუსწორებს თვალს.
 შენსას ვერ ვიტყვი, შე ორი ცოდვა მაინც წამყვება,
 მიწიდან გამოყოლილი; რაც იბარტყა, ტოტები შეიბა
 და დაისხა თიქნიანი თხის ცურებივით გატიკნილი,
 დამშუშხავი, შხამიანი მტევნები, იმას არ ვთვლი.
 თამამად შეიძლება მტყიცება — ჩვენ რომ მხრები,
 ხელებგამოსხმული ბეჭები ამოგვიზარდა, ის ქალაქიც —
 ცაშაა გაფენილი, ყორემოვლებული, აყირავებული...
 გააჩნია — საიდან უმზერ შემტბარი, ღაქენათევი.
 დასაფრენად დაფერდებული თვითმფრინავიდან თუ გახედავ,
 ტვინი გადაგიბრუნდება, ყინული დაგივლის ტანში.
 უკვე გამოობის, გვიახლოვდება ქარბორბალა,
 როცა თავ-ფეხი, მკერდი, გრილი ხელისგულები
 ცახცახა. ნამიანი ვარსკვლავებით გვექნება მოჭედილი.
 ისეთივე არაფერი მოგვინდომებია, შეშურდეს ვინმეს:
 „სათანჯველად ჩნდება კაცი, რომ ცად აშალდეს მერე...“
 გაიფიქრეთ, კიდეში მიწურულებმა ვიცით —
 რითი ვინუგეშოთ თავი. ჩვენდა საოხად თქმულა:
 „თუ მოხდა და მიწიერი სახლი ჩვენი, ზორცისა,
 დაირღვა, ზომ გვაქვს ცათა შინა ხელთუქმნელი,
 ღეთის მიერ აშენებული სახლი, სამარადისო...“
 აღრე თუ გვიან, უნდა გამოგვეცვალა სამოსელი,
 არ დაგვტოვებენ შიშველს, ჩვენ ახლად ვიშობით.
 ჩვენზე ცოდვები სხვები, მიწაზე მყოფნი იქნებიან, —
 ელვარე ნათელიდან წყვდიადში ელით გადასროლა.

V

მესმის ხმა ჩემი: ცეცხლის რკალს აშტრიალებს
 თალი მაღალი და ანთებული. აჰა, გამოჩნდა —



კარიბჭე ღია, ცა — თვალისმომკრებლად ღურჭი,
 ვალავის სალტე — დაუჭერებლად თეთრი, დაშაბრმავებელა,
 არცერთი ხაზმოვლებული, ცალკე დატანებული ქვა, ყველაფერი მთლიანობაშია ნათელი, ნაკეთი...
 არ მოქუხს კამკამა, ლოდებზე მოდგაფუნე მდინარე,
 არ დაგვიღობს აბედივით ენას. ჩახეხილ ყელს,
 ყენჭივით ახტება, გაგორდება გამშრალი ნერწყვი...
 წივივები ვაზის ქერქივით მექნება დახეთქილი.
 ბზის ტოტებს ნედლს, არავინ მოფანტავს გზაზე,
 არც აკანკალებული პალმის შარავი გაიშლება,
 შენ არც სახედარი მოგერთმევა — მორჩილი, აღკაზმული,
 არ გაიწყარუნებს სიჩუშეში ოქროს ნალები,
 არ შეძრავს პაერს დამხვდურთა ყიყინა ეინიანი.
 ან რა საჭიროა, ჩვენ ხომ ზმარს გამოვერრდეთ.
 გავცდებით თუ არა შესასვლელს, კედელი შეიკვრება,
 გამოლიანდება, ნაბზარიც აღარსად დაეტყობა,
 ბედს გაქცეულები, ქვის ალყაში მოვექცევით...
 იწვალა რამდენი, ვინც ჩვენ ერთ მდინარედ გვაქცია.
 უბრალო პირობითობაა ჩვენი გათიშვა, დაცალკეება,
 ასე ვივლით ულევ შუქში გავლებულები, მოვლილები.
 შუაგულ მოედანზე მივიხედ-მოვიხედავთ, შევჩერდებით.
 კრიალა ცა ვერცხლისწყლით იქნება გადაღესილი,
 ვერ დინარჩუნებს სხეული სითბოს და არც ეციება.
 არც შუადღე, არც საღამო; ნათელი უცხო, მოუღლევი.
 უსურვაზივით დაგვხვევა სურვილი შენი, უსურვილობა,
 დაგვიხდება სიუხვე მეფეს — დახვეებული თვალშარგალიტი.
 იბნევი, სად გინდა გააბნო წყალობა ამდენი...
 ხელშარცხნივ, ზელის გაწვდენაზე აწითლებულა დასავლეთი;
 არსად წერო. მოჩერებულია ქლიალა, ჩაუვალი მზე
 (ის არა, სხვა) და ირიბად გვაფენს სხივებს.
 თვე გავა, თვალს არ დააზამხამებს მნათობი.
 თვის თავზე, თითქოს გამურული ბროლი დაგვამხესო,
 უეცრად დაბნელდება. იწყებენ ჭიატს ვარსკვლავები.
 არ იძვრის არცერთი. მთვარე არ ეკიდება ფარად,
 არ შემოგვანათებს ძროს, სპილენძის აღანძულ ლოყას.
 არ ბაცდება ბნელი, საშველი არ აღგება გათენებას.
 თანდათან იღლება, გიჩლუნგდება გაცება, მოუთმენლობა.
 ვიყურებუბთ ერთი თვე (ჩვენი გამოთვლით) და მერე
 გადნება ღამის ხვერდი; გადაკრიალებულ ეკრანზე
 ერთი უძრავი კადრი მეორეს შეცვლის, შავს — თეთრი...
 მოედანი, სადაც შევჩერდებით, მოსარკული თვალის.
 თავებგადამბული სვეტების გასწვრივ, ორივე მხარეს.
 ქვაში ჩასმული, ქვისავე ხეებია ჩარიგებული.
 გვალვა ვერ დაგვატყდება იქ, არაფერია დასაჭკნობი;
 არა მკონია, ფუხე კირად იქცეს დაბუგული მარმარილო.
 მერქანზე, ფოთლის სიდიდესა და მოყვანილობაზე,
 ნაყოფზე შეიძლება ცნობა — რომელი ხე ქცეულა ქვად
 (აღრე რა იყო, ამას ველარ მიწვდება ჩვენი გუმანი).



ფერებში სამი ჭარბობს: თეთრი, მორუხო, მოშავო...
 მასალაც სამწარჩო: მარმარილო, ნეფრიტი, ბაზალტი...
 ერთმანეთს ენაცვლებს: ბზა, დაფნა, მუხა, ზეთისხილი, ბიზლიჩინა...
 ლელვი, ბროწეული... ზედ ფრინველები დასკუბულან:
 შაშვი, კოდალა, გერიტი, მტრედი, გუგული, ჩხიკვი...
 შეკრევილ ვარჯში ჩახატული, თავბოლოშემობრუნებული.
 ფოთოლი, ნუერი, ბუმბული, ჩიჩახვი — უქმი, გაქვავებულია.
 ხელით ჩვენ არაფერს შევებებით (უმაღვე გაქრება);
 რაც არის, იმას მხოლოდ თვალი შეგვიძლია შევავლოთ.
 იქ არაფერი არ ხარობს, ნაყოფი არ მწიფს,
 კრიკაშეკრულია, და არც ლებდა. ასე ამჯობინე.
 ასე გაქვავდებით თანდათან ერთხელ გამოტანილი
 და ყინვადაქრული, დამზრალი კოკორის დარად, გაშლა,
 ფურცლების დაფენა რომ არ ეღირსება. გაივლის
 (რა შეაკავებს) ათასი წელი, მეტიც და ორივენი
 სვეტებად ან გაქვავებულ ხეებად გადაექცევიან;
 ფესვების წილ — საძირკველი, ქვა ქვას შეხორცებული.
 ტოტების ალაგას — სოკოს თავი, ჩაწნულ-ჩაგრებილი,
 ნაცვლად შრიალისა — ღუმილი მშრალი, გაუთავებელი.
 სსწაულია — რასაც ცივი, ჩამკვდარი ძირი იგრძნობს,
 გაზაუბულის მოწოლა იქნება. ხრიოკ, დახლაკინოლ ტანზე
 მარილი გამოყონავს, აცრემლდება, ლაქებს დაღეჭავს...
 ამას დაერქმევა გაკვირტვაც, ყვავილობაც, დასხმაც...
 ბევრია ესეც. დაფერდეთ, ვიქმართ სიცოცხლის ნიშატი.
 ბზარიც რომ იპოვოს, ბალახს არ ექნება სურვილი —
 ამ გადაპრიალებულ სითეთრეზე ამოიწვეროს, შეიარხეს.

VI

რად გინდა წვიმა, ნამი, სახურავს თუ არ დაედინა,
 თუ გაქრა ჰერშივე და განიბნა მარცვალ-მარცვალ...
 დაიწყველოს წყალი, რომელიც გესხმება და არ გასველებს,
 ცივად, გველივით დასრიალებს რეზინის ყვითელ კანზე —
 ვერ ატანს სისველე გასანთლულ, ამოგლეხილ ფორებში...
 ან ეს მზე რა მზეა — ანათებს და არაფერს ათბობს.
 მოედნის ბოლოს სვეტებისა და ხეების რკალი ვიწროვდება,
 იხსნება ყელი. მოგუმბათებული სასახლისკენ მიმავალი,
 გზად, იწით და აწით, ფართო, შემალღებულ მოაჯირებზე
 მარმარილოს აფაფრული, თეთრი ლომები თავადერილი.
 ოდესღაც შამბნარს მოარღვევდნენ, უღიტინებდათ —
 ნადირის, შეტრუსული ისლის სუნი. შედგებოდნენ,
 ჩაისხლულ თვალებს მოავლებდნენ გაშლილ სავანას,
 ზომავდნენ მანძილს, საძოვარზე გამოსულ მსხვერპლს,
 ხმელ ლერწმოვანებზე დაათრევდნენ ფოჩიან კულებს...
 მერე სწყუროდათ, მღვრიე, ამოსილულ გუბებს ნთქავდნენ.
 ახლა ცემენტშემხმარ ქაფრებივით მოუჩანთ ენებში.
 არ შეატაკებთ მოწყენილებს ჩვენი გამოჩენა.
 უკვე აწლოა ამოჭრილი, გამონათებული ოთხკუთხედი —
 დარბაზი ღია, უკარებო, საჩვენოდ გამზადებული...

(დაგმანული რომ იყოს, შეგიძლია აკლამად ჩათვალო),
 შუაში უქრობ ლამპარად ამოზიდული საკურთხეველი თანაბრად
 ბრდღვიალებს სამი კედელი და კერი —
 შუქი შეუქანებელი, არც იკლებს, არც მატულობს.
 მარცხნივ და მარჯვნივ, კედლებთან, ქვის ტახტებია,
 დაბალფეხება, მოსასვენებელი (შენ მუდამ ძილს ნატრობდი).
 არაფერზე არ დაგვეცყოფა, იმხელა გზა რომ გამოვიარეთ,
 ოფლით არ დაგვეცვიარება გადაფითრებული სახე;
 ოფლი სისხლში იცის — ქაფიანმა, აჩქეფებულმა,
 ჩვენ სომ ლანდები, გაქვავებული ლანდები ვიქნებით...
 ვიქნებით, თუკი ჩვენს ყოფნასაც ყოფნა დაერქმევა.
 ბეჭებგანირს სასახლეს, როგორც მთელ ქალაქს, ვეება,
 თეთრი ქვის ვალავანი ზღუდავს. იმ პიტალო კედლამდე
 ოცდაათიოდე ნაბიჯია, დასახევი, შესახედი მანძილი.
 მარცხნივ, დასავლეთით (თუ გადინებდავ) ცეცხლის ტბა დღღს,
 მარჯვნივ, აღმოსავლეთით — შავი მტვერი იშმუშნება,
 სამხრეთით (აქედან ამოვექანეთ) ჰაერის ლურჯი უფსკრულია.
 რა მიევაგო მწირმა, როგორ ვთქვა ქება მისი, რომელმა
 „გაფინა ჩრდილოეთი არარას თავზე და დაქვიდა მიწა არარას“.
 ჩრდილოეთის კედელს ზღვა ულოკავს ჩაყარგულ ძირს,
 მორგვალბულ ზურგზეც მოისმის გააფებული ხეთქება:
 იმ საზარელ ტორტმანს ჩვენ ვერასოდეს დავინახავთ,
 ზევით ვერ ამოანთქრევს ბრახს თეთრად გაგრებილი ტალღა,
 შეფეებს ვერ მოგვაყრის; აზიდული ზღუდის ვადმოდმა
 მარილის ნამცეცები ცვივა, ციმციმებს, ხრამუნობს.
 დროდადრო მაინც ამოაღწევს წყლის ნამიანი ქშული,
 გაგვასენდება: ჩვენ იქ ნამყოფი ვართ, გვინახავს —
 ოკეანის მუცელზე ამოყრილი, გადარბენილი კუნთები.
 ამაოა გნაისი, ამოძახილი დასაღუპად განწირულთა,
 ჩვენ ვეღარავის ვერ მივეშველებით, ნიფარები,
 ყურის ძარღვები ჩაგვეკირა; აღარ გვიფეთქავს.
 ამ ქალაქს ბევრი არაფერი ექნება საერთო მიწასთან.
 ვთქვათ, გადნა მწუხარე პლანეტა, ფერფლი დაარბია,
 (ჩვენ რას გავიგებთ), ის მაინც იწყრილებს ცაში,
 შერჩება ჩაყიდული, სხივდაუწვდენელი უფსკრულები,
 სულერთია, რომელი მათგანი დაგახრჩობს, სად ჩაეფლობი.
 გამჩენმა ნუ ქნას, ცეცხლის მდინარემ გადაუაროს
 ცოდვილ დედამიწას; ძვლები დაიწივლებენ ჩვენი...
 დაგვაბრძავენებს ფრთიანი ანგელოზის ზელში ჩამდნარი ეღვა.

VII

შენ წუხდი — აღამიანს კუტი, ნაწლავი, სადინარები აქვსო;
 გზარადე ლობობა, დაშლა, გახრწნა. ნულარ გედარდება —
 არ გაიკარებს ჰაერს მუცელი მკერივი, გამომშრალი.
 გესიკვალულებოდა აღგომა და ასეც მოხდა, გაგიმართლა,
 ყველაფერი ისეა მოწყობილი, შენ რომ გეაშება;
 გაწვები მიცვალბულივით ცივა, ცვილისფერ ფიცარზე —
 დარეტიანებული, ფაცერში მოხვედრილი თევზი...



თუ არ დაგვიარა წადილმა სუსტმა, არც კი შეიარხევი, თავმოქმედებული, ძილით და ღვიძილით დაძძინილი. შენ იშობი — ზორციელი, შვილი არ მინდა გავაჩინო, ცოდვის გადიდება იქნებაო. შენსავე თავზე გითქვამს — რას ვჩნდებოდი, ჩემთვის ყუფილიყავი, მძინებოდა. ესეც ავისრულდა თითქმის, შეიბორკა სურვილი ჩაკლული. ვის უნახავს, გახარებულიყოს ლოდზე დაცემული თესლი. მოვიკუნტებით. ბრმა, გვერდებდანაოკებულ ქუპრებს შემოგვეგრაგნება შებოლი, ობზოდებული გარსი. არ გინდოდა დანახვა მუცლით ნაშობის, ვერც იხილავ; ნაბიჯი არ გაჭახუნდება არავისი გატყევილ საჩუკზე. არც ჩვენ გავიღებთ ჩქამს, დილის ნისლივით ვისრიალებთ, ისე გავჭანდებით, ადგილიდან დაძვრა არც დაგვეჭირდება. ტერფი არ გვექნება ნამდვილი, რაზედაც დავაბიჯებთ ისიც საეჭვოდ ილიციციებს, რამ უნდა გამოსცეს ზმა. არ გიყვარდა მოფერება, ისეც ნალველს ამოფეარები. კიდევაც რომ გადაგისვა ხელი წაქანებულ შებლზე, ნერვი არ შეგიტოკდება, აღარ მეტყვი, მომცილდიო. ბოლო წამს, ბოლო ამოსუნთქვას არ დაადგება საშველი, აღარ გაიწოვება ჩემი სიცოცხლის დარჩენილი ნაფლეთი, ცივი, გადანამქრული სისხლის ქროლვას რომ უნდა ჩაეჭრო. ეს კია, არ ვიწუხებთ, ამბავს არავისას დაველოდებით. ხანგამოშვებით ქარი ესტუმრება ჩვენს მყუდრო სამყოფელს (ღამე იქნება ამ დროს, ქვის დაღარულ მღვიმეებს დაუვლის), დაიწყებს დნობას მომცელავი, სულის ამომცელი ღუღუნი, ფლეიტის ექვსი ლეროდან დაღვრილი, ჩუმი, გადამბული; ქვა უხდა იყო თვითონაც, იმ კენესას რომ გაუძლო. ეხუმრები ამოდენა სიმშვიდეს, დუმილს, განურჩევლობას, წამლადაც გვინდოდეს, არანაირი ტკივილი არ გავვიხსენებს, არავისგან გამოგზავნილი არავინ მოგვეკითხავს, ესაა შხოლოდ — გაგვიჭირდება გამოხატვა წყენის, სიზარულის, მადლობისაც. დარჩენილები (თუკი საერთოდ შენიშნეს ჩვენი წასვლა) გაკვირვებული დარჩებიან — სად გადაიკარგნენ საწყლები, განა ქვე არ შეეძლოთ გაჭრობა (სწორიც იქნებიან). თუ რამ საყვედური დავცდა, მზად შექნება პასუხი: არ გეჭერებოდა, გეცოტავებოდა, შეილობა მიწის, შიგანი ჩახმა, ღრუდ გვაქცია, ჩახმახზე შეგვაყენა, გეცოდნოდა უნდა, რას გეჩადდა მიწიდან მოწყვეტა. ასე იოლად რას დაგვეხსენებოდა უკანდაუხვევლი, ფეხმოუცვლელი, სულის დამფლეთი შეგონება, წინაპართა უძლეველი სიბრძნე: „მიწა თავისას ითხოვს!“ ყოველთვის გვახსოვდა დროის ერთი უცნაური თვისება — იგი ტყუანის, იმდენად კუმშავს მომხდარს, გადატანის. პრილში არ გამოვიჩნდებით, რომც დაგვაკვირდეს ვინმე. დრო ჩქარობს (ჩვენთვის), მიიმსხვრევს გზად ყველაფერს, მიიხვეტავს და არსად ეჩქარება (თავად), გუბდება, იპარება... ლანდებს განდევნილებს რიგრიგობით დამალავს, გამოაჩენს. ჩვენს ხასიათს, გარეგნობას ბევრით ვეღარაფრით შეცვლს —

ჩემი თავი ხვალში გახუნებულ დღესავით თეთრი დარჩება,
 შენი — ღამისავით შავი, ასე ჯობს, ეს უფრო შეშვენის
 შენს ფიქრებს, შუბლს, კუპრივით აღუღებულ ნალექებს
 აღარ დაგვეჭირდება უფრო, შეჩვეული კითხვა: რა დროა?
 ვერ იტყვი: მარტო დარჩენილი უფრო ცოდვია თუ ორნი-
 იქ სწორედ ორნი ვიქნებით, ერთმანეთს შეჩერებულნი,
 ყოვლისგან თავდახსნილები; სხვის ბედზე სხვამ იზრუნოს,
 არავინ გვინდა, სხვის — არავის, ერთმანეთს დავინახავთ.
 დრო იყო, სხეულს ნებაზე ვძრავდით, ტან-ფეხს შვიქნევდით.
 ნეტა ამ დროს... რამდენჯერ მოგვენატრება ცხელი მზე,
 ვინ აზომავს, რამოდენა ბედნიერებაა მზეში სიარული,
 რამდენის ჩამხმარი, თან ჩატანილი, დამარბული ოცნება.
 ცოდვილნო, აქედანვეა საცოდნელი: ნურავინ დაიჭადხებს —
 დაბრუნდეს, თავისით გამოაღწიოს უსურვილოთა ქალაქს.
 გიყურე, ველარ დაერჩი გადაკეტილი ამედის ანაბარა;
 ეს იგივეა, ხრამის თავზე დამპალ ტოტს მოეჭიდო,
 ანდა, მდინარეში თავქვე დაქანებულმა, ხავსი მოპოტნო...
 ამიტომ ვეცადე, ქვაში ჩამეტოვებინა სახე, ფესვი შენი.
 ვალდებულნი ვიყავი გამეფრთხილებინე, დაღლილი ხარ,
 თავი მოგაბეზრა ამდენმა დარიგებამ; არცა აქვს აზრი
 აყრას და გადაკარგვას ჩვენსას. უფრო დავიღლებით.
 შენ ვერც კი დაიტეგ, იმხელა საიდუმლო მინდა გაგიმზილო, —
 არ აეჭვარდეთ, ეგებ არც დაგვეჭირდეს ასე შორს გამგზავრება —
 იმდენი არაფერი შეიცვლება, შენ აქ... ა რ ა ხ ა რ ი ს ე დ ა ც-
 ესაა, რაც გითხარი, დარჩენაც, წასვლაც შენთვის მოშინდვია.

• • •

სალამოვდება.

კანტიკუნტად სახლში მიდიან
თოხგადებული გლეხკაცები ახლაც, ვით ძველად.
ამ თოხს და მიწას არაფერზე არ გაჰყიდიან,
რადგან ეს მიწა უწყრიათ მათ ბედისწერად.
სალამოვდება. ეს სოფელი თითქოს ბაღია.
რაღაცას ჩივის

ჩვილის დედა —

ძროხა ბლავილით...

და მოცელილი — სარეველას რომ ეძახიან, —
არისტოკრატი, უსარგებლო ტირის ყვავილი...

• • •

მე მახსოვს შენი ნაწყენი გული,
შენი ცრემლების წყვილი ენძელა.

მახსოვს იმედი გადაბუგული,

ბედნიერება რომ არ ეწერა...

სიცოცხლე ბეუტავს,

ვით ნაკვერცხალი,

გულში ალებად რომ ენთო წინად...

ვიღაცამ მოჰკლა გული-მერცხალი

და... დაიტირა მაისის წვიმამ.

სულ იქვე

არის პატარა რამ სოფელი თბილისის გვერდით,
ჰქვია თბილნარა (თუმცა თხილი იქ არ შინახავს).

ვით ყველგან, იქაც, —

ვინც კი ჩნდება და კვდება ბედით,
სოფლის ლამაზი სასაფლაო გულში იმარხავს.

და იმ პაწია სასაფლაოს გვერდით

ბეტონის

უღგას ვიღაცას სრა-სასახლე (ლხინად თუ ჰირად)...

შიგ გაიქროლებს სამი ცხენი და ფაეტონი...
და ეს...

სულ იქვე... —

იმ პაწია საფლავის პირად



• • •

რამდენი დღენი გარდასულან და საღამონი...
ახლაც წარსულის გრძნულ ფარდებს არხევს საღამო...
იმქვეყნად სუფევს ბავშვი მეფე — ტუტანჰამონი
და დედოფალი ეგვიპტისა — ანხეს ანამონ.

სამშობლოს მთები რატომ მახსოვს სხვისი მთებივით...
ან ჩემს აწმყოში რატომ მახსოვს სხვისი წარსული...
უცხო მინდვრები საყვარელი ქალის თმებივით
რად მახსოვს ომის. მკრობის ცელით გადაპარსული...

მწამს, სიყვარული გაიმარჯვებს პურის მთესავი,
კვლავ ვანაცოცხლებს მკვდარ უდაბნოს ღმერთი — ეროსი!
ქველია ჩემი მზისთვის ლოცვა — ეგვიპტესავით
და ყველა მეფე-დედოფლისთვის საქართველოსი.

მანცო..

მანც ვაშენებთ!.. არვის დაფუთობთ
ჩვენ... სიზიფოსის ამ ძვირფას ლოდებს!
რომ მოდგმას ისევ კერა გაფუთბოთ,
კერა... მიმქრალი ოდეს და ოდეს...

მანც... თუმც ვიცი, ადრე თუ გვიან
ტყდება იმედი მყიფე ბროლისა...
ცას მიბჭენილნი აწ სადა ჰვიან
ზიგურათები ბაბილონისა!

• • •

წვიმს...

მიხარია...

მუხათწყაროში

ირწყვება ჩემი ბავშვი ნერგები.
დაღლილი სულის ბაღ-საწყნაროში
დარჯულ ყვავილებს ფეხქვეშ ვეგები.

ხან მსურს, თავს ვკითხო — რა მოგდის,
სულღო,

მწვანე ფიჭვივით რომ იბარდნები...
თითქოს ხის ფეხზე ამოგდის სურბო
და ტყის პანივით კვლავ იბადები!

6. ზ.-ს



როდესაც მღერის მეგრელი ცირა,
სიტყვაზე — ნანა ბელქანია,
აგერ, ზამთარია და აღარ ცივა —
სამყარო მზეა და მზექალია.

როდესაც მღერის მეგრელი ასული, —
მღერის უძველესი სევდა,

მღერის სიხარული ძველად
სატრფო, ქალიშვილი, დედა.

და მღერის სამება... საიდან მოხვედი,
საიდან მოდიხარ, ლამაზო ცირა!
მწიფე ხარ ზღვისფერი, მზისფერი
კოლხეთით
და... მთვარის ფორთოხლები გცვივა...

• • •

დამსიზმრებია... ფერნაცვალები
ჩემი გაჩენა გაჩენის წინათ...
უმანკო დილა შენი თვალების
და შენი თმების მაისის წვიმა.

როცა თვით ვიყავ ხმალი ნალესი,
ჩემს ხმალს არ ჰყიდდი ჩემი მტრის
ხმალში

და მე არ მყიდდი ვაჭრულ აღერსით
და არ გითრთოდა ლალატი ხმაში.

დამსიზმრებია მე ცხადში უფრო,
ვიღრე ბრმა ძილში,
ბოდვით,
ციებით,
რომ როსმე ჩემი ჰყვაოდა კუბო
შენგან დარგული ცრემლთა იებით...

პორანა ჯაჭვლიანი

• • •

მთელი წელია არა ჩანს ლექსი,
მთელი წელია ვდუმვარ და ვფიქრობ.
გადამავიწყდა სიტყვებს ალერსით,
რომ მოუხმობდი, ვარკმევედი
სტრიქონს.
გადამავიწყდა, ხელის მტევანი
დახრილი კალმით რად ათბობს
ფურცელს,
ვერ გამახსენებს ალბათ ვერაინ,
ლექსი რომ ჩნდება და გული უცემს,
და როგორც ბავშვი ხელში რომ აგვყავს,

ჩვილი, უფორმო და მაინც ჩვენი.
ის კი ავადმყოფს, ხეიბარს, საპყარს
გვანუგეშებს და უზომოდ გვშველის.
ან რა შეებაა, როცა ის მოდის,
მერე ამ განცდას ისე ვიგონებთ,
როგორც სიზმარში დაკარგულ მოტივს,
ან დავიწყებულ ძვირფას სტრიქონებს...
მთელი წელია არა ჩანს ლექსი,
მთელი წელია ფიქრებთან ვდაობ...
ალარც სიტყვების მუსიკა მესმის,
ალარც სინათლით იესები, ცაო.

• • •

დამიჯერე, ისევ გათენდება!
ოღონდ სურვილი შეგჩრჩეს —
მზის ნათელი რომ იხილო;
ოღონდ ამ მთის წვერს

გადააცილე დაღლილი მზერა
და, დამიჯერე, ისევ გათენდება!..

მარადიული ჩვევები
არასოდეს გვღალატობენ!..

სიმშვიდის მორენება

მე მშვიდად ვუმზერ ჩემს სიბერეს!
შენ როგორ ფიქრობ;
თავს არ ვიტყუებ,
თუ სარკის წინ მაინც ვთამაშობ?
ის კი საღამოს დაქანტულს და უკვე
დამაშვრალს.
არც მხედავს იქნებ?

მე მშვიდად ვუმზერ ჩემს სიბერეს,
წარსულის ხაზებს,
ერთ დროს სხივიან
თვალის ოვალს, დახრილ ნაოჭებს,
დღეს მათი შუქი აღარავის აღარ
აოცებს,



და ვრჩებით ასე.
მე მშვიდად ვუშვებ ჩემს სიბერეს!
და გაზაფხულიც,
როცა სიანციოთ

შეასკდება ხეებს კვირტები,
სარკეში სახეს კვლავ ვეკვრებდებოდი
და დაზატრული — ზიზღიერი თვალებს
მე მშვიდად ვუშვებ ჩემს სიბერეს.

ფრაგმენტი

თვალეზი ისმენდნენ
შენს ბოლო სიტყვებს
და დამავალი მზის სიმბურველით
იმზირებოდნენ.

გადასულიყო დიდი შუადღე,
შუადღე ჩვენი სიყვარულის,
რომლისგან იშვა საღამო —
მშვიდი, უსაბო და უჩინარი.

• • •

შენ დამესიზმრე!
მაგრამ სიზმარშიც
ისეთი უცხო იყავი ჩემთვის,
თითქოს ვხედდებოდით დიდი ხნის
შემდეგ,
მანამდე მხოლოდ ბარათებს გწერდი.
შენ ჩემს წერილებს,
როგორც მკვდარ ჩიტებს
მიჩვენებდი და მაშინვე ხევდი,
და ასე დიდხანს,
დიდხანს და კიდევ

ისეთი უცხო იყავი ჩემთვის.
მე შემეშინდა,
და როგორც ბავშვი
ატირებელი გაერბოდი შენგან,
მაგრამ შენს თვალებს ვხედავდი
ყველგან,
ქუჩაში, სახლში, ხეებზე, ცაში.
მერე დაღლილი ვიდექი სადღაც
და ვიხსენებდი შენს სიტყვებს საშიშს...
მაინც შენს თვალებს ვხედავდი
ყველგან —
ქუჩაში, ცაში, ხეებზე, სახლში...

• • •

გახსოვს, მე გწერდი მცირე ბარათებს,
გახსოვს, გითხარი, რომ მიყვარები...
ახლაც იმ შუქით გამოანათებს
წლები, დაღლილი მღვრიე ქარებით.

შენ კი შორსა ხარ. როგორც საყდარი,
ვცარიელდები ბედს მინდობილი...
თუ გამიხსენებს — ისევ ავდარი,
თუ მომინატრებს — სევდა — დობილი.

— — —

ვაჟა შივაშვილი

პატარა მოთხრობები

კურალა

ყვავილები რიყზე ღია ქოლოსფერი იყო. წყალგალმა მთები — მუქი შაბიამნისფერი. ზემოთ მოჩანდა ბრჭყვიალა თეთრი მყინვარები. ყვავილები და მთებიც ჯერ კიდევ სველი იყო ნამისაგან და ფერები — ისეთი სუფთა და კრიალა, როგორც ახლად დადებული საღებავი.

კურელამ ექსპონომეტრი ამოიღო, დახედა, აპარატი დააყენა და ამ დროს ჰიუზებზე გადმოვიდნენ ყომრალი ღრუბლები და ყველაფერი უფერული და ულიმლამო გახდა. კურელამ ღრუბლებს შეხედა და თქვა:

„მალე გადავლენ. მოვეუცადოთ...“

ჩვენ, კურელა და მე, ქვებზე ჩამოვსხედით და თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მზე გამოვიდა. კურელამ ფერად ფირზე გადაიღო ქოლოსფერი ყვავილები და მთები და მერე ჩავედით ამლაში.

ამლაში კურელას რამდენიმე ხედი უნდა გადაეღო. ეს ხედები სჭირდებოდა ტიხონოვს. იგი წერდა პოემას „სერგო მთებში“.

კურელამ თქვა, ტიხონოვი ჩემი ცოლის საუკეთესო მეგობარიაო, რომ გაიგო, აქეთ მოვდიოდით, სურათების გადაღება მთხოვა. ტიხონოვი ნამყოფი ყოფილა წინათ ამლაში.

გურამი ბებერ გარსიასა და ბანჯღელიან ხეთისოსთან დარჩა ახიელაში.

ისინი ლუდსა სვამდნენ ოჩიაურების ხატში.

არხოტში ათენგეობა იყო და მე ვფიქრობდი: ეხლა დაგვინახავენ დავითო და მაისტელი და ადვილად ვეღარ წაუუვალთ მავათ ხელიდან.

ამლაში არც დავითო დაგვინახავს და არც მაისტელი. საერთოდ არავინა ჩანდა. აჭა-იქ ბანებიდან კვამლები ამოდიოდა და რომელიღაც ქვენოდან ისმოდა მოგუდული ღრიანცელი და თითქოს სიმღერაც: „აააააიი, ბეჩავ გოთაო!...“

კურელას მანდამაინც არც უნდოდა ვინმეს შეხვედრა. გადაიღო დაბარებული ხედები და მერე ავიყვანე ამლის ხატში, დიდი ფიჭვების ძირში რომ დგას.

ხატში ხევისბერი ბერდია დაგვხვდა. შიგნით შეგვიყვანა, ცეცხლთან დაგვსხა და არაყი და ლუდი დაგვალევიანა. კურელამ არაყი არ დალია. ლუდი დალია და მგონი მოეწონა. მე არაყიც დავლიე და ლუდიც.

„ეგ არის, ცოლი რომ მოუყვდა?...“ — მკითხა ბერდიამ.

„პო...“

„წნა, საწყალი...“

ბერდიამ კურელას ცოლის შესანიღობარი დალია.

გადავეუთარგმნე.

კურელამ მადლობა უთხრა და თვი-

თონაც დალია შესანდობარი. მეც დავლიე.

მერე ვიჭექით ჩუმაღ. დაიწყო წვიმა. მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით ეცემოდნენ სიბებზე. მთელი ხეობა უცებ ამოივსო ნისლით. ხატში კიდევ უფრო ჩამობნელდა. ქერში, თავებზე, სამოცი ჯიხვის თავრქა ეკიდა. სამოცივე უზარმაზარი იყო და მთლად გამჭვარტლული. ვუხუტრებდი და ვფიქრობდი, რამხელა ხარები იქნებოდნენ ამათი პატრონები...

კურელას დავანახვე ჯიხვის რქები. შეხედა, თქვა: „აჰა!..“ — ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მერე მკითხა:

„ესენი მთლად ქრისტიანები არ უნდა იყვნენ?..“

„ნაწილობრივ შერჩენილი აქვთ ძველი წარმართული რწმენები. აი, მსხვერპლს სწირავენ...“ — და ცოტა ვუამბე ხეთიშვილებისა და წმინდა გიორგის შესახებ...

ჯიხვებზე აღარაფერი უკითხავს. აშკარაა, რომ კურელა საესებით გულგრილია ნადირობისადმი. კურელა ტურისტია.

როცა წვიმამ იკლო, დავემშვიდობეთ ბერდიას და წამოვედით. ბერდიამ კურელას თავისი ძველი ქურთუკი ათხოვა. როცა ამაღ უკვე მოსახვევს მი-

ეფარა, წვიმამ ისევ დაუშვა. წვიმამ მოხურულ კლდეს შევეფარეთ და მშრალ ქვიშაზე დავსხედნენ.

კურელამ მიაბო, *საქართველო* იტალიაში ერთი წელი უპასპორტოდ და მერე დაწერა წიგნი „მუსოლინი უნიღბოდ“. გერმანიაში ნაციისტების გამარჯვების შემდეგ პარიზში გადავიდა. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ იატაკქვეშეთში იყო, „მაკი“-ში. მერე ლონდონში გაასწრო. ბოლოს მოსკოვში იყო ომის დამთავრებამდე...

„რამდენჯერ გადაჩენილა...“ — გავიფიქრე.

წვიმამ ისევ იკლო და წავედით. მაგარი, ჭარმაგი, თეთრთმიანი და მსხვილნაკეთებიანი კურელა, ამ ძველ ქურთუკში გამოწყობილი, მავონებდა რომელიღაც „ტელმანოველ“ მუშას „დეფას“ ფილმებიდან.

ახიელი რომ გამოჩნდა, მის უკან აღარც ჭიმლის ხევი ჩანდა, აღარც ცირცლოვანი. ნისლით იყო ამოტენილი მთელი ხეობა...

გუშინ ცირცლოვანის ხევი, უღელტეხილს ქვემოთ, დავმარხეთ კურელას ცოლი ელზიდე. მას თავი ჰქონდა ქვაზე გაჭეხილი. ნაჭდევი თითის სიმსხო იყო. ქალი კარავში შევახვიეთ და დავმარხეთ კლდის ძირას. საფლავი წერაქვით ვერ გავთხარეთ, მთლად ტინი იყო და დინამიტით ავაფეთქეთ...

ხევსურები საქობეში

ხევსურები ისხდნენ საქობეში. ცეცხლზე საკლავი იხარშებოდა.

დილიდან სვამდნენ ლუდსა და არაყს. ეხლა დაბერილები ისხდნენ და ხორცი ეჩქარებოდათ.

საქობეში, მიწის იატაკზე, საკლავის თავები ეყარა. შეწირული კურატის თავზე ბებერი, თავდაკეპნილი გარსია იჭდა და ყალიონს აფშუქუნებდა.

„ბალო, ლუდ მაიღ.. რაი ცუდად

ესხედვართ, ხალო!...“ — შეუღრინა გარსიამ დასტურ ხეთისოს.

ხეთისომ ლუდიანი კოდიდან ჩხუტი გაავსო, შუაში ჩაუდგა ჩამომსხდარ მამაკაცებს.

„სვიანი ლუდია!..“ — თქვა გარსიამ დღეს მეაფედ.

„სვიანი, სვიანი...“ — დაუდასტურეს მსუყე ხმით აძიამ და ბეწინამ.

საქობეში ჩამობნელდა: გარეთ ისევ დაიწყო წვიმა...

ამ დროს მოაწია სწორედ ხირჩლა გოგოჭურმა. თიანეთში გადასახლებული თავის ხატს მაინც არ ივიწყებდა და ახლაც ძღვენი მოართვა. ცხენზე ხურჩინი იყო. ერთ თვალში თოხლი იჭდა, მეორეში ციკანი და ხავეწიანი ნაზუქები. უნაგირზე ათი წლის ბიჭი შესკუპებულიყო. დიდი ყვითელი თვალეები ჰქონდა, ქორის ლაპივით იყურებოდა...

ხირჩლას გამოეგებნენ: „მახველ მშვიდობით!“

მოიკითხეს: „ცხვა როგორა ხარ, ... ხო კარგადა ხართ...“

ხირჩლამ შესახვეწი უთბრა ხვეისბერს.

ხვეისბერმა დაილოცა. დალიეს არყები ხირჩლას მოტანილი ტიკიდან.

აინთეს სანთლები, ხვეისბერმა თოხლი დაითრია, შუბლი შეუტრუსა.

ციკანი მარტო დარჩა და დაიბნა.

წვიმა.

მერე — „მიყ...“ *არაღმეცხე და ხისაყენ გაიჭეა შეხაჯაჩემქაქქაქ*

პატარა ბიჭმა ზურგზე ხელი დასტაცა, უკან გამოათრია, ლაჭებში ამოიჩარა და გაირინდა...

„გწყალობდასთ...“ — დაიწყო ჭიბვის გაშაგებული რქებით ახორხლილი ნიშისაყენ პირშექცეულმა ხვეისბერმა და ბუბუნით, დუდღუნით გააბა ლოცვა.

ციკანს დათბა და გაირინდა. თვალი მიეღულა. კარგი იყო ბიჭის ლაჭებში შეფარებული დგომა...

ბიჭი გააბრუა ხვეისბერის ბუბუნმა. მონუსხულივით მიაშტერა დიდი ყვითელი თვალეები. ლაჭებში გრძნობდა ციკნის თბილ სხეულს. ბიჭსაც სიამოვნებდა ციკნის სითბო...

მერე ხვეისბერმა ლოცვა დაამთავრა, თოხლს ყელი გამოსჭრა და სისხლი ნიშაზე მიანთხია. მერე შემობრუნდა და ციკანი დაითრია...

გახსენება

...გახსენდა დიდი ბნელი ოთახი, რომელსაც მაღალი, ჩაშაგებული, დაბზარული ჭერი და უზარმაზარი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრის რაფა იმსიგანე იყო (კედლის უსაშველო სისქის გამო), რომ ქუჩაში გადასახედად ზედ უნდა გაწოლილიყავი... არეულ-დარეულობა: დაბალი, ფართო ტახტი ბნელ კუთხეში, თურქული აბრეშუმის სუზანეთი დაფარული, ზედ მიყრილი დასოორსვლილი ტანსაცმლითა და მუთაქებით. დალაქავებულ, დაჩიქნილ შიშველ კედელზე შავი ხის ძველებურ ჩარჩოში ჩასმული ოფორტი — გრძელცხვირა შოპენის პორტრეტი. ტახტთან დაბალი, მრგვალი, სადაფით ინკრუსტირებული სპარსული მაგიდა. ზედ ტელეფონი, „ოგონიოკისა“ და „ნედელი-

ას“ ნომრები, „BT“-სა და „მარლბოროს“ ცარიელი დახეული კოლოფები, მონიკლებულზარიანი უბეში მალვიძარა საათი, ყავაჩამზდარი ფინჯნები, გარნერისა და ტელონიუს მონკის ყდაშემოხებული ძველი ფირფიტები და უბრალო საყურეებისა და ბეჭდების მთელი ბლუჯა, რომელშიაც ერთიორი კარგი ვერცხლის ნაკეთობაც ერია... იქვე, მაგიდის გვერდით, იატაკზე იდგა იაფფასიანი რადიოლა და უყარა, ზოგი დაგლეჯილი და ზოგი მთელი, ქალის სხვადასხვანაირი ფეხსაცმელის გროვა. აქედან ზოგიერთი ნაწილობრივ ტახტის ქვეშ იყო შეჩოჩებული, ეტყობა, ფეხით სცადეს მათი შეწყება, მაგრამ აღარც დაუხედავთ, ბოლომდე შეიწია თუ არა... ოთახის მეორე კუთხე სასახლესავით უზარმაზარ, შავი ხის

ნახარბივე ჰურჭლის კარადას ეკავა, მერე ეკიდა შავივე ხის ჩარჩოიანი გრძელი სარკე და მის თავზე ისევ ასეთივე ხის სქელი თარო. თაროზე იდგა საოკეანო ორთქლის გემის დიდი მოდელი, რომლის გემბანზე უამრავი პატარა კაცუნა ჩანდა. აქ იყვნენ საზღვაო ოფიცრები და მატროსები, კრიზოლინიანი დამები და კატელოკიანი მოქალაქეები, არისტოკრატები, ბურჟუები, ზანგები, გენერლები, ბავშვებიც კი, და ყველაფერი ეს გაკეთებული იყო შემაწუხებელი სიზუსტით და ბეჭითად იყო შეღებილი პრიალა ლაქის საღებავებით — საუკუნის დასაწყისის გერმანული ხელობის ნიმუში... სარკეში მოჩანდა მტერიანი წიგნებით დატენილი თაროები. თაროების თავზე კი — ჭეირნის წყვილი რქა — აღმოსავლური, ნატიფი გემოვნებით შექმნილი უძველესი იარაღის მაგვარი, მჭრქალი, ღრმა გიშრის ფერისა...

და ის, ვისი გულისთვისაც აქ მოდიოდა ზოლმე... ტყავის დიდ საგარძეულში ფეხებიანად მოკალათებული ფიგურა — შავ ბურძღიანი კაბა, წითელი მარჯნის ყელსაბამი, წვრილკოჭებიანი, სხარტი ფეხები, ბრტყელი, სწორი, სიფრიფანა მხრები და მოულოდნელად მძიმე, სავსე მკერდი... ამ მკერდის სიმძიმისაგან, თუ მისი დამალვის სურვილით, თხელი მხრები მუ-

დამ აწურული და ოდნავ მოხრჩოლი ჰქონდა... მომრგვალო სახე, მოკლე სწორი ცხვირი და დიდი ტუჩები... მბილოსძვლისფერი კანი, ცალ სლოკზე ოდნავ დაკენკილი, ნაყვავილარის მაგვარი, გაუგებარი ნაიარევი და საკვირველი თვალები, ფართე, ყვითელი, მოხატულ გუგებიაში, უცნაურად ცეტი გამოხედვით. თვალები, წამდაუწუმ რომ ბრწყინდებოდნენ მღვრიე ვნებით...

ეს ცეტი, მხურვალე გამოხედვა პირველად ტროლეიბუსში ნახა. უკანა კარებთან ყმაწვილების ჭგუფმა ძიძგილაობა ატეხა და ყველამ იქით მიიხედა. თვითონ არ მიუხედა და მაშინ პირველად დაინახა ეს სახეცა და ეს თვალებიც, რომლებშიაც იმ წუთასვე ამოიკითხა ვნებიანი ინტერესი და მაშინვე იგრძნო, რომ ცეტი მზერა იმას კი არ უყურებს, რაც ხდება, არამედ ის, რაც ხდება, მიზეზად გამოიყენა, რომ კარგად დაეთვალეირებინა ახალგაზრდა ლამაზი სხეულები...

და ამ მზერამ ისე გააღიზიანა და გამოიწვია, რომ ვეღარ მოაშორა თვალი და როცა იგი ტროლეიბუსიდან ჩავიდა, თვითონაც ჩაჰყვა, თუმცა ჭერ ვერ მოეფიქრებინა, რას მოიმოქმედებდა...

შემდეგ კი ეს ცეტი თვალები და მათი თავდაუქერელი მზერა უბედურებად და მუდმივ სადარდებლად ექცა...

ლადოს ჩანაწერებიდან

გადაარჩინა

იმ დღეს დილიდანვე ხელი მოგვეცარა. დაღლილნი და ცარიელნი მოვბრუნდით ჟანდარის ტბიდან, მატარებლის მოსვლამდე იქვე დუქანში გადავედით... ალიზით შეთითხნილი და კირით შეთეთრებული ვიწრო სორო იყო. ერთ ბოლოში საძაგელი ლურჯი საღებავით შეღებილი დახლი იდგა. დახლში ეწყო მურაბის დამტვერილი ქი-

ლები, თევზის კონსერვები და დიდი გროვა „ბალიშა“ კანფეტებისა... დახლს გადაღმა იდგა დიდი ლუდის კასრი, პატარა მაგიდაზე — სამოვარი და გათლილი ჭიჭები, სინზე დახორავებული. კედლის თაროებზე ასევე დამტვერილი კონიაკისა და ლიჭიორის ბოთლები...

მედუქნეს შავი, გაუპარსავი, ორმაგი

ლაბაში და გადმოკაცლული თვალები ჰქონდა, ფაფუკი, თანთალა მუცელი, გრძელი, რბილი, ბალნიანი მკლავები, ასევე გრძელი ფეხები და დიდრონი, განიერი თქმოსთავები...

შვიცივით საკმელი, პური და ხმელი თევზი ჰქონდა მხოლოდ. უკან, პაწია სამზარეულოში, ხაროში იხარშებოდა...

გამოვართვით ხმელი თევზი, პური და ლუდი. პირველი ტოლჩა გურამმა აქვე დახლზე გამოცალა და მედუქნეს ჰკითხა:

„აქ სულ ასეთი მოწყენილობაა?...“

„რათა, გენასვა?!.. ეხლა სკვა დროა, სამთარია. აი, საფხულში...“

შუაში თუნუქის ღუმელი იდგა. ღუმელი ენთო და ჩვენ, შეციებულ-დასველებულები, მის გვერდზე დავლაგდით. გურამი მაშინათვე შინაურულად მოეწყო: ჩექმები გაიხადა, სველი წინდები გვერდით სკამზე მიადგინა, ღუმელზე პურის ყუები დააწყო გასახუხად და თევზის ფუქვას შეუდგა...

„ბიჭო, ამსაც უხდება გავიცებება, ეს ხომ ტარანია...“ — გამახსენდა მე და სამი-ოთხი ტარანიც ღუმელზე დავაწყვე...

დუქნის პირდაპირ, ლიანდაგთან, ბულდოზერი რახრახებდა, ადგილს ასწორებდა. კაფანდარა, დალეული, გამაზუთებულ კომბინეზონიანი შემანქანე თავდაუზოგავად ეჯაფტურებოდა ბერკეტებს, საშინელი ჭლაცა-ჭლუყითა და წყვეტებით, დიდი გაჭირვებით ატრიალებდა მანქანას აქეთ-იქით. ჩუმიდ ვლრღნიდით თევზებს. გურამმა ასანთი ამოიღო და ბუშტების შეწვას შეუდგა...

მედუქნე თვალმდაპყვითი მისჩერებოდა ბულდოზერს. მერე თეძოების რხევითა და მუცლის თანთალით გარეთ გავიდა, დოინჯშემოყრილი დადგა. შემანქანეს სთხოვა, ერთხელ დუქნის კარებთან დაწუმებულზედაც გადაევილო.

„საფხულში იმოთენა ქოლოა...“ — თქვა მან.

ბულდოზერი შემოტრიალდა და დუ-

ქანზე წამოვიდა. უცებ მოაშვეია მიწა, რახრახით ზედ წამოაგდო და მთლად ჩამოაბნელა. მთლად მთლად ფანჯარასა და მანქანას შორის კაცი აღმოჩნდა. თვალი მოკვარი, როგორ გადაიზნიქა თვალმდაპყვითი მედუქნე, იმ კაცს თავისი გრძელი, რბილი ხელები სტაცა და გამოათრია...

ეს მაწანწალა იყო. უფერული, გახუნებული, გამომშრალი, ლენჩი სახე ჰქონდა. ეგონა, რომ ბულდოზერს გადმოასწრებდა, მაგრამ ვერ გადმოასწრო. იდგა და არაფერზე არა ფიქრობდა, სახეზეც არაფერი გამოჰატვია. მედუქნე ბოლოკვით გაწითლებულიყო, თვალები კიდევ უფრო გადმოჰკაცლოდა, მთლად თანთახებდა. მაწანწალას ანჯღრევდა, კისერში ურტყამდა და აგინებდა...

შემანქანე მუხლუხაზე გადმოძვრა და თავს აქნედა. მედუქნე ყვირილითა და გინებით უხსნიდა, როგორ გადააჩინა ეს კაცი...

მერე მაწანწალა დუქანში შემოაგდო, ჩვენ გვაჩვენა. მუცელი კიდევ უფრო უთანთახებდა, დოინჯშემოყრილი იდგა და ყვიროდა:

„ნახე?!.. ეს შთლახი როგორ კინალამ სავარდა?!.. მაშინა შოდის, ესეც მოსვრება!.. უუჰ, ამისი!..“ — და კიდევ წაჰკრა მუქლუგენი. მაწანწალას სახეზე ისევ არაფერი აღბეჭდილა. იდგა და მიშტერებოდა კონიაკის დამტვერილ ბოთლებს... მერე პირველად შეხედა მედუქნეს და ხელით ზომა აჩვენა, ცოტა დაშისხიო — ანიშნა...

მედუქნეს ჯერ კინალამ თვალები გადმოუცივდა. მერე რატომღაც უსიტყვოდ მიიღო ეს წინადადება. დახლის ქვემოდან პორტვინის ვახსნილი ლიტრიანი ბოთლი გამოიღო, მაწანწალას ერთი ჩაის ჰქიქა დაუსხა, თავისთვისაც დაისხა. მერე ჩვენკენ გამოიხედა და დასასხმელად წამოვიდა, მაგრამ ორივემ ერთად შევაჩერეთ:

„არ გინდა!.. არ დავლევთ...“

მაწანწალამ ჰქიქა გამოცალა და ტუჩები მოიწმინდა. ჰქიქა დახლზე დადგა



და ისევ ისე გამოვჩნეული იდგა, სანამ შედუქნე თავის ჭიქას სვამდა...

გურამი შედუქნეს უყურებდა და როცა იმან ცარელა ჭიქა დაიღვა და თვალებდაწითლებულმა გამოიხედა, ჰკითხა:

„რალას სცემე?..“

„რა?..“ — ვერ გაიგო შედუქნემ, გაკვირვებული მოაჩერდა.

„გადაარჩინე, ხომ კარგი, მაგრამ მერე რალას სცემე?..“ — ღიმილით უყურებდა გურამი.

შედუქნე დაიბნა. სახე გაუფითრდა და დაუგრძელდა. თვალები აქეთ-იქით

დააცეცა. მზერა ასევე ღიმილს დახუდებულ მაწანწალაზე გაუჩერდა. უცებ წამოკარბლდა და ადრევე წაიქცა.

„ცადი, ცადი.. გეთი.. ფაშოლი...“ — თან ორივე ხელით ბუზივით აუქშია. მაწანწალა უსიტყვოდ გატრიალდა და წაფრატუნდა. შედუქნე ბუზლუნდულდუნით გაძვრა სამზარეულოს ვიწრო კარში, ქვაბები აახრიგინა, ხარშოს ჩამჩა ამოუტრია...

მისკენ აღარ მიგვიხედა. გურამი მიამბობდა გასულ ზაფხულს დომბაის ალბინისტურ ბანაკში გაცნობილ გოგოებზე...

უღელტეხილი

იმ ადგილიდან, სადაც ცისფერთვალებმა საბონა ხანჭლით დიეებს ჰკვეცდა, გზა არყის თხელ ტყეზე გადავიდა. მერე გავიარეთ მაღალუწყნიანი ველური მიხაკებით მოფენილი ლურჯი მდელო და ხევში ჩავედით. ხევი თოვლით იყო ამოტენილი, ძველ, შავ თოვლზე მივდიოდით ზევით. თოვლს სინესტე ასდიოდა და მთლად გავიყდინეთ ნესტი. ჩვენი ყველაფერი ცხენზე იყო და ახლა უკვე აღარ ვიცოდით, როდისღა შევხვდებით ცხენსა და იმათ...

იმათ ჩვენი ნათქვამი ფეხებზე დაიკიდეს, ითავენებეს და სულ სხვა მხარეს წაიფინენ... გურამი ამბობდა, იბოდილალებენ, ცხენს გააუბედურებენ და ბოლოს ისევ უღელტეხილში გამოვლენ, აქ სხვა ვარიანტი არ არისო... მაგრამ ხომ შეიძლებოდა, სადმე მთელი ღამით განხერხილიყვნენ?.. ორივე გაცეცხლებული ვიყავით. მე ვიგინებოდი, გურამი — არა... რახან მე ვიგინებოდი, იმას ეჩვენებოდა, რომ ჯობდა თვითონ ჩუმად ყოფილიყო. მე რომ ხმა არ ამომეღო, მამინ მას მოუხდებოდა გინება... ბუნდოვანი იმედი გვექონდა, რომ უღელტეხილს გადალმა, ქვევით,

შეიძლება მეცხვარეებს წაგწყდომოდით...

მერე, უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ, სწრაფად ჩავსრიალდით თოვლის გრძელ დაფაზე. ქვევით გრძელი, დაკიდებული ნაშალები იწყებოდა და მე სასწრაფოდ გავაგრძელე დაშვება. დალამებას ცოტალა აკლდა და როგორმე საძოვრებამდე უნდა ჩავგვესწრო, იქნებ ვინმე მწყემსს შეგფარებოდით...

ნაშალების თავიდან უეცრად ჩამორეკა შერთხმა და მერე გააგრძელა ზარის წკრიალივით. ავიხედე და ვხედავ, გურამი დამჯდარა. მეც დავმუხრუშდი...

„რას შვრები?..“

„უნდა მოუუცადოთ...“

კინალამ გადავირიე.

„ვისა?!.. გაგაფდი?.. ყველაფერი მიაგათა აქვთ... ჩვენ თუ არავინ შეგვხვდა, სიცივით უნდა დაიბოცოთ...“

„არც ერთმა პრიმუსის დანთება არ იცის... ამ ფერდობზე ცხენსაც გადაჩეხავენ...“

ამას გინების კაი ნიაღვარი მივაყოლე. რამდენიმე წუთს არ გაეჩერებულვარ. გული მაინც ვერ მოვიოხე. გუ-

რამი ჩუმად მისმენდა და იკრიჭებოდა...

საათნახევარი ცდის შემდეგ, როცა სიცივე საბოლოოდ გაგვიჭდა ძვალ-რბილში, უკვე უსიტყვოდ წამოვარდი ქვემოთ გასაჭევად და ამ დროს, ზემოთ, თოვლის დაფის თავში, შავ კლდეებში გამოჩნდნენ... ძლივს მოაფოხრიკებდნენ ცხენს, ქაჩვა-ცემითა და ბლაუჭით...

გურამმა უკანვე აიარა იმოდენა თოვლის აღმართი. არაფერი უთქვამს, ისე გამოართვა აღვირი და ფრთხილად დაიწყო ცხენის ჩამოყვანა...

გურამი ხმას არ იღებდა და მეც პირზე შემაშრა ლანძღვა-გინება. პირდაღებული ვუყურებდი, რა მოხდებოდა... არაფერიც არ მოხდა, გურამმა ცხენი ნაშალზე ჩამოიყვანა. ისინიც მოახლოვდნენ. დაღლილობისა და წვალებისაგან აზრდაკარგული, გამოლაყებულნი სახეები ჰქონდათ. ვიგრძენი, რომ ამ სახეების გულგრილად ყურება არ შეეძლო. ცხენს ჩემი თოფი ჩამოვხსენი. ჩამოვხსენი ჩემი ზურგჩანთაც და სვიტრი, „შტორმოვია“ და შალის ქუდი ამოვიღე. ეს ყველაფერი ზედ ჩამოვიცივი და თოფიანად გადავედი თებზე, იქითკენ, საიდანაც შურთხმა დარეკა.

ხრიალით მივდიოდი ნაშალზე, ფეხი ყოველ ნაბიჯზე ცოტა ეფლობოდა. ფეხქვეშინდან მიცურავდნენ ქვები და

ნამსხვრევები, ერთმანეთზე ხტოდნენ და მიგორავდნენ... მზის ბთლო... სხივები შიგ სახეში მაჭყიტებდნენ... მთელ ფერდობზე იწვა გრძელი, ოქროსფერი, ნათელი ზოლები და ასეთივე გრძელი, შრუშე ჩრდილები. მერე მზე ჩაქრა და ქარმა ბინდის ნაგლეჯები მოიტანა...

ამ დროს სულ ახლოდან წამოფრინდა დედა შურთხი და მიჰყვა ოთხი დაზრდილი ვარიბა. ვუყურე, სადაც ჩასხდნენ, მერე ჩავედი ჩანგრეულ კლდეზე. აქა-იქ ქვებში ქუჩის გახუნებული კონები ეკიდა და ქარი მის ხმელ ღეროებს აცმაკუნებდა... ის ადგილი დაკვირვებით დავათვალიერე. არაფერი განძრეულა. ვიცოდი, რომ ისინი ზემოთ გაიქცეოდნენ, მაგრამ უკვე ბნელდებოდა და შეიძლება იქვეც ჩაწოლილიყვნენ. ქვებში არაფერი იყო... მერე დავინახე ისინი, როცა შავ ლოდებში გადავიდნენ. დავიწყე ძალიან ფრთხილად ასვლა, მაგრამ შემნიშნეს და ზრიალით აიშალნენ... მანდამაინც არც მნდომებია მათი მონადირება. ვიდექი და ვუყურებდი იქედან, როგორ შლიდა ბანაკს გურამი... ისინი მისავეთებულნი გაშხლართულიყვნენ ცხენიდან ჩამოხსნილ ზურგჩანთებზე... ვგრძნობდი, რომ ბოღმა ნაწილობრივ დამიცხრა და ახლა ვუცდიდი, რომ მთლიანად გამჭკარლიყო და მივბრუნებულიყავი... მეჩქარებოდა გურამის მიხმარება...

შენს გვერდით მღვდომი ადამიანი

შენ იცი, იცი, თუ რა ხდება
იქით, სულ იქით, მთების მიღმა,
სამყაროს მიღმა — შენს გვერდით მღვდომ ადამიანში?

შენ იცი, როგორ ფიქრობს იგი,
ან რაზე ფიქრობს,
ან თუ ფიქრობს საერთოდ, იცი?
იცი, მისი თვალების მიღმა,
როგორ ფეთქავენ მძაფრი განცდები,
გრძნობ მისი აზრის და ლოგიკის მიმართულებებს,
იცანი სხვისი არსებობა,
იცანი შენით, სულ სხვა, უცნობი?

რა მანძილია ნეტავ ჩვენს შორის?

ვესალმებით და ხელს ვართმევთ ერთიმეორებს,
მაგრამ დაფიქრდი და მოკასუხე:
რა მანძილია ნეტავ ჩვენს შორის?

ოი, ოი, რამდენ რამეზე შევთანხმებულვართ,
რა წარმატებით ვხმარობთ ბაასში ისეთ სიტყვებს,
როგორიცაა: სიყვარული, ერთგულება, თუნდაც გაგება?
მაგრამ სანამ ხმას ამოვიღებთ, გამძრკვიე:
რა მანძილია ნეტავ ჩვენს შორის?

ხედავ, ჩვენს შორის ბეწვიც ველარ ნახულობს ადგილს,
ერთ სხეულად გადავქცეულვართ,
მაგრამ შენ მაინც გულაბდილი იყავი, სატრფოვ:
რა მანძილია ნეტავ ჩვენს შორის?

ერთად მივდივართ,
მხრებს ვუსწორებთ,
მივიბიჭებთ ერთი და იმავე მიმართულებით,
მაგრამ ძვირფასო შეგობარო
გამომიტყდი სიმართლეში:
რა მანძილია იმ ადგილამდე,
სადაც შევხვდებით ერთიმეორებს?

ქილისპირული



ქართული
წიგნების
კავშირები

გამორთე დენი,
შენ ახლა დაიძინებ.
ხვალინდელი დღე
მშვიდობიანი იქნება!
ხვალინდელი დღე
იმედით იქნება სავსე!
ხვალინდელი დღე
ბევრს გაირდება!
მთავარია —

ოცდაათი იცოდე გაზარება,
თორემ ხვალინდელი დღის
იმედი ნუ გექნება —
ოცდათხუთმეტმა წელმა
ეს შეგაგნებინა.
ჰოდა, გამორთე დენი
და დაიძინე.
ხვალინდელი დღე
მშვიდობიანი იქნება...

ზაზანიანის ვაღლი

საოცარი წინსვლაა:
ოცდახუთი საუკუნის შემდეგ
პატიოსან კაცს
ფლოსტებსა და ტახტთან ერთად
აბაზანაც შეიძლება ჰქონდეს,
რომელშიც დღეში ორი საათით
თბილი წყალი აჩუხჩუხდება!

ვის უნდა ვუმადლოდე ამას:
პროგრესს, თუ მშობლებს?
თავიანთ თავზე რომ აიღეს
ჩემი წილი გართულებები;

მათ ხომ, ოცდაათ წელს შენახული
უანგარობა დასთმეს!

მე ახლა განცხრომაში ვარ და ვფიქრობ:
როგორ ვასწავლო შეილს
უმცირესით დაკმაყოფილება,
რადგან საოცრად ვუფრთხილდები
ჩემს პატიოსან სახელს,
რომლის შელახვა სრულებითაც არა
მსურს.

მაგრამ რა ვუყო მის წილ
გართულებებს?

უნდა შეხვიდა

ცეცხლში თუ შეხვალ —
სულს გამოიტანი

ასეთ დროს
მთავარი
ხელშესახებია.

ოდენ ხელები
იღარ გჭირდება.

არც საკუთარი თავი.
შენ თვითონ ხდები
მიზანი!



პერსპექტივა

მართალი თქვი:
ხომ გახარებს
ბოროტების
მარადიული შესაძლებლობა?

პირველ
უსამართლო სილას
თითქოს
მუცლიდანვე ელოდი.

მიიღე სილა?
დაისაჯე
უმიზეზოდ?

კარგად
დამალე
მეორე ლოყას

შენს წინ იშლება
მშვენიერი პერსპექტივები
მოქმედებისთვის.



ალექსანდრე ბაბური

თოვლი...

ზ-ს

მორჩა, აღარავეინ მოვა,
აღარა აქვს აზრი ლოდინს.
ქარს მომდგარი დიდი თოვა
დიდთოვლობის... თოვლი მოდის...

თოვლმა დაგვაშორიშორა,
(ტრელ ოცნებებს გვაგვდით როდის!)
მორჩა, აღარავეინ მოვა...
თოვლი მოდის... თოვლი მოდის..

სტუმარი

გამიღებთ, თუ არ გამიღებთ,
ქარებთან ვდგავარ, აზლოს ვარ...
ჩემს თვალებს — ცოცხალ თარიღებს
ვერ გამოაღწევ, ახსოვხარ.

ძაბილს მოვდევი გულისას,
ამ გზაზე საგზლად მცირედი
მომყვება ყუა პურისა,
უფრო კი — შენი იმედი.

საწუთრო იყო დამლონე,
ჩემი ცა ხანჭლით მოგზაზე...
რწმენა ხან ქარს გაეაყოლე,
ხან ჯერებად ვქარგე ჩოხაზე.

მწედ ციდა გული ვიკმარე
სული — ელვაში ჩავტიე..
მოვრჩები — თუ შემიყვარებ,
სიცოცხლეს თუ მაპატიებ.

• • •

დღეს თუ ტრამალის ქარებს მიაფრენ
ჩომ სცემლი ტორებს ერთხელ ჩემს
ქარზეც,

აღვირ-ავეშანის მკვეთრი კიაფით
მზის დასაწევად მეც ხომ შეგკაზმე.

წახრილი ჩრდილი ედგა უნაგირს,
ჟამს მიგველავდით აედარში, დარში

და მარჯვე მხედრად თუ ვერ ვივარგე,
შენი ერთგული ხომ მაინც დავრჩი!...

შემოგვეცვითა გზები ხენეში,
ცა გადახრილიც ერთად ვიხილეთ...
...ახლა გარბიხარ ხსოვნის ტევრებში
და ჩემს ბავშვობას მიაჭინებინებ.



გმადლობთ, საქართველო!

სიცოცხლე სამამდე ვიდრე ითვის
იცრის სულისფერი ტატნობს.
გმადლობთ, საქართველოვ, თამარისთვის
გმადლობთ, საქართველოვ, გმადლობთ!...

ძმობა ძმური ვიცით, ეტირით ძმისთვის,
კრემლი სულის ყინულს ადნობს.
გმადლობთ, საქართველოვ, ტყევილისთვის,
შენთვის ტყევილისთვის გმადლობთ!...

ცხრა და მთვარისდარი ასულისთვის
ცხრა ძმა მზექაბუჯი დარდობს.
გმადლობთ, საქართველოვ, წარსულისთვის,
შენი წარსულისთვის გმადლობთ!...

ყველა ზართა ქრეოლა ალალ მისი,
ვისაც ბედის ზიდვას ანდობ.
გმადლობთ, საქართველოვ, არაგვისთვის,
გმადლობთ, საქართველოვ გმადლობთ!...

გქონდეს მშვიდი ზვალე სიმღერისთვის,
ისე ჰუვავილობ და ვარდობ
გმადლობთ, საქართველოვ, ცისფერისთვის,
შენი ცისფერისთვის, გმადლობთ!...

სხვა ნათელის მადლი გაქვს უთქმელის თქმის,
მზე ჩქერად დაგედის თუ გვათოვს.
გმადლობთ, საქართველოვ, რუსთველისთვის,
გმადლობთ, საქართველოვ, გმადლობთ!...

ყველას მოგვაკითხავს ყამი მისთვის,
თავს მამულს ვუნთებთ თუ ვართობთ...
გმადლობთ, საქართველოვ, სამასისთვის,
კიდევ ცხრა ძმისათვის გმადლობთ!...

გული დამწვარია ნათელისთვის,
გქონდეს გზასავალი ფართო.
გმადლობთ, საქართველოვ, ქართველისთვის,
ქართველობისათვის გმადლობთ!...

შენი გზა

ეს შენი გზაა, სხვა გზით არ გელი,
ამ გზით მოხვალ და ამ გზით გიპოვნი.
ამ გზას შერჩება წლებით ნაგვემი
სიკვდილ-სიცოცხლე — ორი სტრიქონი

ეს შენი გზაა, სული დახლილი
 ექოდ ჩაივლის დღეებს გაუმზელს...
 შენ ამ გზით ივლი ჩემი, დაღლილი,
 არც დაბრუნდები, არც გადაუხვევ.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

არსაკიძე...

ყველა ლოდინი მარცხდება კართან,
 შორი ძახილის ათასი წელი
 დაღლილი სულით ჩუქურთმებს ვქარგავ,
 კედელს ვაშენებ მოჭრილი ხელით.

თაღებში ვამწყვდევე ძახილს და ექოს,
 ღიმილს და ცრემლებს, ტკივილს და ლოდინს,
 რომ შენს თვალებთან შეხვედრად მეყოს
 მზე, ნაგროვები მადლით და ცოდვით.

შენსკენ მოვდივარ, თუკი მოვალწევ
 შენს ტკივილამდე, თუკი მომელი...
 რომ წარმავლობას, რაც გულზე მაწევს,
 ვარისხო ზარი სვეტიცხოველის...



მოთხრობები

ნანა ჯვარანაშვილის რამდენიმე მოთხრობა კი დაბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ უკერძოდ ისე დაიღუპა, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი დაჩნდა. როცა ამ შეტად თავისებური ახალგაზრდა ქალის მოთხრობებს გაეცანი, ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა ცდამ, თავისებური ხელწერისათვის მივგნო, აგნებდა კიდევ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დრო და ჯაფა დასჭირდებოდა, სანამ მნიშვნელოვან რამეს მიადწევდა. ამის იმედს იძლეოდა მისი დიდი სიყვარული ლიტერატურისა და ღრმა, უშუალო ცოდნა ამ მასალას, რის შესახებაც სწერდა. სოფელ პარტყოფში ცხოვრობდა, მეტწილად შობლებთან, ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ბუნებრივად იყო შეჭრილი მისი მოთხრობების მხატვრულ ქსოვილში, აღამაინთა პორტრეტების ხატვისას დიდ მნიშვნელობას იძლეოდა დიალოგს, მისი გმირები თავისებური და განსხვავებული მეტყველებით გამოირჩევიან. ამაში უფრო დაერწმუნდი მანამ, როცა მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ოჯახი მოვიძიე და შრომებშია ფაქიზად შენახული მისი ნაწერების წაკითხვის საშუალება მომიცეს.

საქმიან ნაყოფიერად უმუშაუნია, ყოველ მოთხრობაში ჩანს მომავალი სანტიტრესო მწერალი, ზოგ გამოჩენულ მოთხრობას კი, რომლებსაც ამჟამად ვთავაზობთ ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია, ვფიქრობ, კმაყოფილებით შეხედება მკითხველი საზოგადოება.

ლადო სულაბაძე

ნიკა

შებინდდა. მთებზე ჭირხლი ჩამოყარა. ციოდა. ოთახში, სადაც სამი მამაკაცი სუფრას უსხდა, თბილოდა.

— უნდა მიირთვათ, არ უნდა ლაპარაკი! — ოჯახის უფროსი, ნიკა სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

კაცები საკმელს მიუტრიალდნენ.

— ნუ დამზოგავთ, თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ!..

ნიკამ ჭიქა ასწია, სველი უღლაშები

მოიწმინდა. შოთას და სესეს სიყვარულით შეხედა.

ლამაზი, ჭაღარა კაცი ეთქმოდა ნიკას, სისხლსავე და ოდნავ მსუქანი.

— მე რომ ტრაქტორი და ბულდოზერი მოვიყვანე, — თქვა სვენებ-სვენებით ნიკამ, — რიყეში სინკარების ჩასაწყობად, დავიშვალა და შევები საქმეს, ტრაქტორისტმა მითხრა, ეგრე არ არიო, ვისმე დაუძახე ერთ-ორ კაცს

კიდევ და ჩემი დედაცაი თქვენთან გამოიქცა...

ნიკამ ცოტახანს შეისვენა, დაფიქრდა.

შოთამ და სესემ ჭამა შეწყვიტეს. შოთა ასანთის ღერით წინა კბილებს იჩიქნიდა, სესე ჩანგალს ათამაშებდა.

— წამოვიდა ე ჩემი დედაცაი და, თქვენც მოხვედით... რომელ შეზობელსაც ჩვენთვის კარგი უნდოდეს, გაუმარჯოს, რომელსაც არა, ეგრე იყოს თავის სიბოროტით!

— გაუმარჯოს! — ჰქიქები ასწიეს შოთამ და სესემ.

ნიკას ცოლი, თამრო, სახემოლეულ-ლი, შუახნის ქალი გახურებულ ღუმელს მისჯდომოდა და ჭმარს გაფაციკლებული უსმენდა, ემანდ, არაფერი გამოშვებაროს.

— ჭერ ზევით ამოვედი, — წამოიწყო ახლა თამრომ და სანდომიანად გაუღიმა კაცებს, რამაც მთლად შეცვალა ქალი, — შენთვის უნდა დამეძახა სესე, შენმა გოგომ თქვა, შოთა ძიანთა არი, სახლსა ლესავენო და ახლა შოთასთან ვავიქეცი. ღმერთმა გიშველოთ. მართლა იქ იყავით. თქვენს საქმეს მოსცდით და დაგვეხმარეთ.

— კაცო, — თქვა სესემ და სკამზე შემობრუნდა, თამროსაც კარგად რომ გაეგონა, — შეზობლობა ეგეთია; ჩვენც საქმეზე ვიდექით, მაგრამ შენი უფრო საშური იყო, ავიღეთ ხელი ჩვენი სამუშაოდან და თქვენთან წამოვედით.

— ეგრეა, — დაემოწმა მშვიდად შოთა, — ჩემი გალესვა მოიცილიდა, მაგრამ შენ რომ ტრაქტორი გყავდა მოყვანილი, იმას წინ ვერავენ დაუდგებოდა, უნდა მოთავებულებო ეგ საქმე.

— ღმერთმა გიშველოთ, — წაიტუტუნა ისევ თამრომ.

— დიდი საქმე გამოკეთებინეთ, — ენას ურევდა ღვინისაგან ნიკა, — თქვენ რომ არა...

ჩვეულებრივ ცოტას სვამდა ნიკა და ეს მაგარი წითელი ღვინო, რომელიც

იმიტომ დალია, სტუმრებს თანამესუფრობა გაუწიო, თქვენსავე...

— ეგვა შეზობლობა ეგეთია შოთამ.

სესე მდუმარედ იჯდა. საკუთარ ჰქიქას მიშტერებოდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი ასწია და მასპინძელს გაუცინა.

— ნიკა, ძან დაგზაბარალა შენ იმ წყალმა, დაგიბრიყვა.

თამრომ ტუჩები მოწრუბა.

— არაფერი შეგვანარჩუნა. გადმოვარდებოდა ფერდობიდან და წაგვილევდა მამულს. ლობიოს სუ ჩარეცხავდა, ნიორი ხო აღარა ჩანდა.

— ეე, — ისევ ურევდა ენას ნიკა, — მოსავალი აღარა გვაქ. უნდა გავიღეთ ბაზარში და ვიყიდოთ.

— ძალიან დაგიბრიყვით, ძალიან, — თქვა ისევ სესემ.

— ფერდობზე, ბალახს ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერა ნახე, ერთიი-ნად მოცელა, — თვალეები შესაბრაღისად აუწყულიანდა ნიკას, — საქონელი დამეშშო.

სესე იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას.

— ეგ რად გინდა, თქვენთან რომ არ გადმოვარდნილიყო ი წყალი, ჩვენ წავივლებოდა.

ნიკა ისე მიაშტერდა, თითქოს ვერ მიხვდაო, მერე თქვა:

— ი წყალი სუ თქვენთან წამოვიდოდა.

შოთა და სესე ძმები იყვნენ. ნიკას სახლის გასწვრივ, ქვევით, გზის პირზე ცხოვრობდნენ და ნათესავადაც ეკუთვნოდნენ ნიკას.

— შენ ე სინკარები კარგი მოიტანე, — თქვა ღინჯად შოთამ, — რიყიდან აღარ გექნება შიში.

ნიკას სახლი ისე იდგა, რომ ერთ მხარეს რიყე ჩაუღიოდა, მეორე მხარეს ფერდობი. ფერდობის იქით გზა გადიოდა. ნიკას სახლს იალნოს მთა გადმოჰყურებდა. დიდი ნიაღვრების დროს, მოვარდებოდა მთიდან წყალი და დაეშვებოდა გზაზე. გზიდან კიდევ ნიკას ფერდობზე და მამულზე; რიყეც საშიში იყო ნიკასთვის. წყალმა ეზო და

გზა ჩამოუჭრა, მალე სახლს მოადგებოდა, კაცს სხვანაირად რომ არ ელონა, ადგა და სინჯარები მოიტანა. რიყზეც ჩააწყო ჯებირად და ფერდობზეც. დღეს დიდი მუშაობა ჰქონდა.

— სამი კიდეც მიკლია, — თქვა ნიკამ, — ემანდ, გზასთან უნდა ჩავეყო და მეყოფა. ამოვაჭრევიანე. მარტო მოტანა და ჩაწყობა უნდა.

— კარგი ქენი რომ ამოჭერი, — თეფში გასწია სესემ, — აე, შოთამ ეგრევე მიაყუდა ბეჭობს. მოვარდა წყალი და სუ ჩიკორივით დააბზრიბლა, ქვევით ჩაიტანა.

— ნიკა, — წამოიწია სკამზე თამრო, — მოიხედე, ე წყალი სინჯარებს არ გადაუვლის?

— რას ამბობ, ვერ დაგინახავს!

— არა კაცო, მაგამდე რა უნდა წყალს!

ძმებმა დასტურის ნიშნად ერთმანეთს გადახედეს.

— კარგად შამოწმე, — იცინოდა სიხარულით ნიკა, — ეგეთი საქმე გვაკეთეთ, წუნი არ დაედება.

— შენ იცი, — თქვა თამრომ.

ისიც გახარებული იყო. დიდი ჭირი მოიშორეს. გაზაფხული მოვა და როგორი გაბმული წვიმებიც გინდა იყოს, აღარ ეშინიათ. წყალმა ახალი ჩაყრილი ალვისხეები ძირფესვიანად მოთხარა, გზა ჩაბრამა და აღამიანს ველარ გაუვლია... ახლა არა უჭირთ, დაისვენეს.

თამრომ კაბამუხლებზე ჩამოიწია და ისევ კაცებს მიაყურადა.

— მიირთვით, არ დამერიდოთ, — იძახდა ნიკა.

კაცებმა ერთხელ კიდეც გადაიღეს კერძი.

— ერთი კარგი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მანამდე, ჩემი დედაკაცი კიდეც შემოგვიმატებს რამეს.

— ეხლავე, — წამოიკაცა მორჩილად თამრო, დაბალ სკამზე ჯდომისგან მუხლები დაბუყებოდა, — თქვენ მიირთვით და, იქნება, რომ დაგვეპატიუნეთ, არც მობრძანებულებიყავით.

— რატომ, კაცო?!

— ჩვენი ოჯახებისთვის ველარ ვიცით, — თქვა მობოლდუშეტი, — შოთამ, — დილას გავდივართ, დაქვადვით დღის შემოგებრუნდებით.

ნიკამ ჭიქები შეაესო.

— აღარ გინდა, — ხელი დააფარა თავის ჭიქას სესემ. თვალები ჩამუჭებოდა და ფერმკრთალ სახეზე შეაცრი და მტკიცე იერი ელო.

— მაიკა, რა უნდა ვთქვა, თქვენ არ იცით! — საუბარი სხვა თემამდე გადაიტანა ნიკამ, — ჩვენი მშობლები რომ არა, ჩვენ არ ვიქნებოდით...

ნიკა ლაპარაკის დროს ცოტას ჭოშინებდა. ასე მოსდიოდა, როცა დაღევდა ხოლმე.

— თქვენს მშობლებს გაუმარჯოს, — ნიკამ ძმებს ჭიქა მიუჭახუნა, — ჩემი მშობლები შეიწყალოს, დედაკაცო, შენი მშობლები შეიწყალოს!

— ეგრე იყოს! — თქვა სესემ, — წასულები შეიწყალოს, ცოცხლებს გაუმარჯოს!

— ეე, მშობლებს დიდი ამაგი აქვთ! — თქვა შოთამ.

— მე რომ ჯარში ვიყავი, — გაიხსენა ნიკამ, — ჩემს ცოლზე ხშირად დედაჩემი მწერდა წერილებს. ვენაცვალე დედაჩემს, კარგი აღამიანი იყო.

— მაშ ცოლი არა გწერდა? — იყითხა ეშმაკურად შოთამ და ნიკას ისე დააშტერდა თითქოს პირველად ხედავსო, ხმა კი ისეთი უჩვეულო ჰქონდა, გეგონებოდათ ხუმრობს და ეს ხუმრობა თვითონაც სიამოვნებსო.

— ისე, კანტიკუნტად!

ნიკამ ჩაახველა და თავისი გრძელი წამწამებიდან ცოლს ჭურდულად გადახედა.

თამრომ ერთხანს დაიმორცხვა, სახე აულაპლაპდა, მერე ფუჩუნით თქვა:

— უი, თვალი კი დაგიდგა, — და ხმაძალა, — თვალები ამომილამდა შენს ლოდინში, უეჭველად ქაღალდი უნდა გამომეგზავნა?

— აქაც ომი იყო, — თქვა სესემ, — სად ეცალა ხალხს წერილებისთვის.

— მერე, ე ჩემი ქალი მუშაობდა. მე იქიდან სამი მედალი ჩამოვიტანე,

ამან ორი დამახვედრა, — კუპკუპებდა ტპილად ნიკა.

— ეგეთი მუშა ვიყავი, რო, — დაიკვება თამრომ. უცებ კეკლუცობის ფინმა წამოუარა.

— მუშაობდი? — იკითხა დაეკვებით შოთამ.

— მაშ, ბრიგადირი ვიყავი.

— ყოჩაღ! — გაუკვირდა შოთას და ჩვეული ცნობისმოყვარეობით შეხედა.

ნიკა რატომღაც გაღიზიანდა. მოიწყინა. წამით ცოლს მიაცქერდა. ქალმა თვალი მოარიდა და ნიკამაც, ახლა უკვე გულგრილად ჩაიციანა.

— მოდი, რაკი ი უბედური დღეები გავიხსენეთ, — თქვა ნიკამ, — ჩვენს ჭარიკაცებს გაუმარჯოს, დღესაც ღობედ რომ გვიდგანან და მშვიდობას დარაჯობენ.

სესე ხელეზგადაკდობილი უსმენდა. ოდნავ მობუზულიყო. მისმა თვალებმა მოულოდნელად დაკვესეს და ნიკას ჰკითხა:

— ნიკა, ეგ ხელი იქ გაიფუჭე?

ნიკამ ნაიარევ ხელს მეორე ხელი სათუთად გადაუსვა. გვერდიდან ცოლის მზერა იგრძნო და ხმა დაურბილდა.

— მაშა, კაცო. იქ დაივიკერი!

შოთამ გალიპლიპებული ჰქია ჩაბლუჯა. ხმაში მასაც თრთოლვა შეეტყო. ნიკას ნაიარევ ხელს ირიბად გაჰხედა. გამხდარი, მოგრძო სახე აქა-იქ აფორაჩებოდა. დინჯად და ხმადაბლა ლაპარაკობდა:

— ჩემი ბიჭი ჯარში რომ მიდიოდა, — თქვა შოთამ, — გული ამიდულდა, ეგ არი და აღარ დაბრუნდება-მეთქი. ხომ მშვიდობაა. მოდი, ჩემი შვილის თამადობით, ჭარისკაცებს გაუმარჯოს.

— ეგრე იყოს, კარგად იყვენ, — გამოსცალა ჰქია სესემ და ძირით მაგიდის კედელს დაჰკრა.

შოთას გაეცინა. სესე უსიამოდ შეიშმუშნა. ლენინო მოჰკიდებოდა.

ნიკა წამოდგა. ცარიელი დოჭი აიღო. ოდნავ ნაბიჯარეული მივიდა კარამდე.

— ნიკა, არ გინდა, — წაიტანა შოთა, — უნდა წაივლიდე!

— რა გეჩქარება, — უსუფთა თეფშები ჩამოარიგა თამრომ, — რა შორს თქვენა ხართ.

— რომ გეუბნები... — შოთამ მაჯაში წაავლო ხელი ნიკას და თან აყვია.

— დაჯექი შენ, დაჯექი! — ნიკამ ძალით დასვა შოთა.

— რა ჰირვეული ყოფილხარ, — ჩაიჭირქილა სესემ. თვალები ასწითლებოდა.

„ეგ რომ დალევს?!“ — გაიფიქრა თამრომ და ჰმარს ტუსტუსით გააყვია გარეთ.

შოთა და სესე მარტონი შერჩნენ სუფრას. ნიკას ჩაფიდან ლენინო გადმოჰქონდა დოჭში.

თამროს გააცრეცილ სახეზე მოზღვივებულ აზრთა ცვალებადობა ეხატებოდა.

— ნიკა, — თქვა თამრომ, და მაშინვე თვალებში ცნობისმოყვარეობის ცეცხლი აუკიაფდა, — უთხარი კაცო შოთას, ი ცხვრები გაგვირეკონ, უფროსი შვილია და მამა დაუჭერებს.

ნიკამ მრავალმნიშვნელოვნად ახედა. ეტყობოდა, რალაც გადაწყვეტილებას იღებდა.

— მაგის დროა ეხლა?

— უთხარი რა! აბა, ვინძლო, არ უთხარი?!

ნიკა ოთახში შემობრუნდა. დოჭი მაგიდაზე დადგა. თვალები ებლიტებოდა. ძმებმა მასპინძელს შეხედეს და აღბათ იფიქრეს, წასვლის დროათ.

თამრომ კარები ხმაურით შემოაღო. გამწყრალი იყო ჰმარზე.

„რა ენალელება, ხვალ რომ საქონელი გამოკეტრილი ეყოლება... ყველაფერი ჩემი თავში სახლელია“.

ასე ფიქრობდა თამრო და ასეთი ფიქრით იქარვებდა დარდს და ნალველს, როცა, კაცებმა გაკვირვებით გადახედეს.

— დაითვერი? — გაეხუმრა ნიკა, წარბები შემართა. შემწყვარი ქათმის ნაჭერი გადაიღო და შოთას მიუბრუნდა. თვალის გუგები დაეიწროვებოდა

ნიკას და ვისაც არ უნდა შეეხებოდა, ხელადვე მიხვდებოდა, რომ რალაცაზე გამწვარებით ფიქრობდა.

— კაცო, შოთა, კი არ გეწყინოს და მამაშენს ცხვრები რომ აღარ მიუღდის, თუ აქამდე ერთ მანეთს ვაძლევდით სულში, ეხლა ორს მივცემთ.

ნიკას სახე გაფითრებოდა და მკეცდრის ნილაბს უგაგდა.

— მამ, მამ, — უმაღვე კვერი დაუჯრა თამრომ. ხმა მკვეთრი და მკვახე ჰქონდა. მალალი ქალი იყო და ეხლა ფეხზე მდგომი უსაუნზმო დღეზე გრძელი ჩანდა, — კარზე არი და შორს ნუ გაგვარეკინებს, როგორც დაჰყავდა აქამდე, ეხლა მოვეშატებთ!

— ნიკა, — ცოტა შეჭოკმანდა შოთა, შეწუხებული სახე ჰქონდა, დიდრონ მრგვალ თვალებს დაფიქრებით ახამამებდა, — აღარ შეუძლია კაცო, დაბერდა. ჯანი აღარ მოსდევს, რა უნდა დაემდღურო?

— ეე, დაგვიბერდა მამა, — შეჭმუხნული წარბები გაშალა და თვალები ამოიშშრალა სესემ.

სესე უმცროსი შვილი იყო და მშობლებთან ცხოვრობდა.

თამრომ იფიქრა, თუ ჩაეცვიდრი, იქნებ დაეიყოლიო კიდევცო, და აღარ მოეშვა:

— სხვებისა რომ დაჰყავს? — შეპარა და ქმარს ცერად გახედა.

ნიკა გაჯავრებული ჩანდა. სიბრაზე უცებ მოერია.

„აწყენდა, წითელთუმნიანებს რომ მივიართმევდი!“

— საქმე ესეა რომ, — თქვა გაგრძელებით შოთამ და მარჯვენა ხელი ნერვიულად მომუტა, — მამაჩემმა ჩემს დასაც უარი უთხრა, არავისიც აღარ დაჰყავს. მარტო თავისები ჰყავს და რამდენიმე ჩემი.

მის მეღერ, დაბალ ხმაში უღრმესი გულწრფელობა იგრძნობოდა.

— მე ერთ აზრზე ვარ, — იცინოდა თავის მოსწრებულ სიტყვაზე სესე, — ავდგეთ და ცხვრები გავვიდოთ. იმ კაცს სამწყემსო აღარაფერი ეყოლება. არა სჯობია ესე?

შოთამ მხარზე ხელი ჩამოაღო ძმას. ორივენი ნიკას მიჩერდნენ ერთმანეთს.

— მერე, ვინ დამარჩინოს? — ჰკითხა სახტად დარჩენილმა ნიკამ, ისე, რომ სესესთვის თვალი არ მოუშორებია.

— კაცო, რა უნდა გამოიჩინო მგე ცხვრებს, — გაცეცხლდა უცებ თამრო, — არცა ყიდი და არაფერი. ბევრი-ბევრი ე მატყლი გავპარსოთ, დანარჩენი?

— მამლებს მაიგებენ და ბატყებს გაყიდი. სუ გაწყვეტა არ იქნება, ოჯახია!

— აი, ესეა საქმე და რა ვქნათ ნიკაჯან ოთხმოცი წლის კაცს რაღა მოეთხოვება. უნდა დაეასვენოთ, მამა!

შოთა ლაპარაკის დროს ისე უცნაურად აცმაყუნებდა ტუჩებს, თითქოს პირში ცხელი საქმელი უდევსო.

— რა ვიცი, გაწყვალდი კი და, — ჩაიღუღუნა ნიკამ. იმედი გადაუწყდა. ფიქრი მორევივით დაუტრიალდა თავში. სახე კი ავდრის ღრუბელივით მოლუშოდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში. კაცები, თავთავიანთ ფიქრში გართულნი, მღუმარედ მისჩერებოდნენ სუფრას. თამრო ისევ ღუმელს მისჯდომოდა. კაცები ხან რას იტყოდნენ, ხან რას და ქალი ხელს არ უშლიდა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე რალაც უხერხულობით გაივსო.

ღუმლის ზეწარი კარებზე კაკუნმა ჩამოხსნა. თამროს სახე გამოუტოცხლდა. თავი ისე მკვეთრად წამოსწია, კისერი ეტკინა. კარს მიაყურადა. მერე წამოდგა. კარი ფრთხილად გამოაღო და სიბნელეს გაჰხედა.

მშვენიერი თბილი ღამე იყო. აღარ ციოდა. აქა-იქ ვარსკვლავები ბუტბუტდნენ ცაზე.

ღერეთანში პატარა გოგო იდგა. თავზე დიდი შალი მოეხურა. თამრომ ძლიერ იცნო. ოთახში შემობრუნებულს. ნიკამ კითხვით შეხედა:

— რა იყო?

თამრო უხერხულად აიწურა. ძმებს დაბნეულად გადახედა.

— სესეს გოგოა, პაპა ძალიან ცუდად არი და მოდიითო.

კაცები მაშინვე წამოიშალნენ.

— რაჟი პაპა ავიდ ყოფილია!..

სახე მოკმუხნოდა ნიკას. გულჩვილი იყო და თავს იკავებდა, ცრემლები არ გადმოსცივივინოდა.

ძმები ჭიშკრამდე მიაცილა.

— აბა, კარგად იყავი, ნიკა!

— კარგად. პაპა მაგრად იყოს, ყოჩაღად!

ნიკამ სიბრაზე და წყენა, როგორც გაუმართლებელი ფუფუნება გვერდზე გადადო და კაცებს სიბნელეში გაუღიშა.

— ეე! — აღმოხდათ ძმებს და ორობეში გაუჩინარდნენ.

ნიკამ მრუმე ღამეში კაცებს თვალი გაადევნა, რომლებიც ოღოროზოღორო გზაზე პურის ყანასავით მიირხეოდნენ. მერე ხელების ფშვენტით, წელში ოდნავ მოხრილი შემობრუნდა სახლში. თამრო მაგიდასთან ფუსფუსებდა. კაცს რაღაცა უნდოდა ეთქვა და ცოლს გვერდით ამოუდგა.

— არაო, ხომ ვაიგე! — თქვა ნიკამ.

ამ გახსენებამ ხელახლა გაამწარა კაცი. თავჩაქინდრული იდგა, თითქოს კისერში უნდა დაჰკრანო.

— ეგეთი ნაწლავებდასაწველები არიან, მაგასაც ვნახავ, თუ სხვისას არ გარეკავენ, — გაკაპანდა უცებ თამრო.

— შენ რამდენიც გინდა ილაპარაკე... აგე, კაცი ცუდადა ყოფილია!

— მიაში — აღმოხდა შეუბრალებელი ურწმუნოებით თამროს.

ნიკა კიდევ უფრო გაბრაზდა. ძარღვები გამოებერა შუბლზე. სახე აუჭარხალდა. იქვე მოცელილივით ჩამო-

ჯდა. მოთმინებიდან გამოიყვანა წინათ ისეთი მშვიდი და მერყილე ქალის წყრომამ.

გინჯლირთხვა

— მკამელიც მოკვდომია ცხერებს, ჩვენ კარგად ვიყოთ. მაგის დარდი არა მაქ!

— შენ, ვიცი, არა გაქ დარდი!

თამროს ძალზე დანაღვლიანებული სახე ჰქონდა. მერე იგრძნო, გულს-წყრომა დაუცხრა და კმარს მიუტრიალდა, რომელსაც, სკამზე მოხერხებულად მისვენებულს, გრძელი ფეხები გაეშალა და თანავგრძობის გამომხატველი ხმით ჰკითხა:

— გულში რამე ხინჯი ხომ არ დაგრაჩა დღევანდელ საქმეზე?

ნიკამ თავი გაიქნია. მუსიკასავით ჩაესმა ცოლის ხმა.

— რომ გამახსენდება, დღეს რა მადლიანი საქმე გავაკეთეთ...

ეს სასიხარულო ფიქრი იყო ნიკასთვის. თამროს გაელიშა. მოჭუტული თვალებით ღმობიერად დაუწყო ყურება კმარს.

— გიხარია?

— მარაა! — მიუგო მხნედ ნიკამ და შეუძმჩნევლად ჩაიციწა.

— ეგრეთა, — აღერსიანად უთხრა თამრომ, — გაგებარდება, მაშ, რისთვისა ვმრომობთ!

ნიკა ცოლისაკენ გადაიხარა. უნაოჭო სახეზე ნაცნობი ღიმი დასთამაშებდა... პირდაპირ შესცქეროდა ქალს ღრმად ჩამჭდარი, შავი თვალებით და საოცრად დამშვიდდა, როგორც დამშვიდდება ხოლმე კაცი დიდი ტკივილების შემდეგ...

მთვარე უკვე ამოსულიყო და ხეები მის ფონზე ჩამუჭებული ჩანდა.

1976 წ.

მარტია

ქალმა ილღია შეშა შემოიტანა, გაჯავრებულმა ბუხართან დაყარა და მკლავები ჩაიბერტყა.

„თვალი მოსთხარა იმ ტყეს. ცარი-

ელი ფუტურთა. აპრილდება და ჩაიწვება“.

წელში გაიმართა. ალიონს ინტერესით გახედა.

მერე კაცს შეუტია:

— აღარ ადგები, კაცო?!

კაცი თბილი ლოგინიდან ზღაზუნით ადგა. ჩაიცვა. გრძელი, ალესილი დანა აიღო და ეზოში გავიდა.

გოგომ გვერდი იცვალა.

სველი ბალიში მოხვდა ლოყას.

— ტირილით რას გავხვდები. ეთხოვ, იქნებ არ დაკლანი?!

— დაწეჭი, შეილო!

„ამათაც თავიანთი დარდი აქვთ. შენ, რამდენიც გინდა, იზღუტუნე“.

— აედგები, დედი! უკანასკნელად შევხედავ ჩემს ლამაზ მარტიას. ხელს გადავუსვამ თივთიკივით რბილ მუცელზე. დიდ, წყლიან თვალბში ჩახედავ.

— ესაა სიცოცხლე, შეილო. მეტი კი არაფერი. იყო და აღარ იქნება. აღამიანებიც ასეა. ცუდს ნურაინ გააკეთებს, თორემ, ყველა წასასვლელი ვართ.

— ცუდი, ცუდი იძახი, დედი! განა ეს კაცები კარგს აკეთებენ? სიცოცხლე მოუწარაფეს ჩემს მარტიას... რა კარგი იყო გუშინ, მარტია. ნახირიდან მობრუნებული ამაყად შემობაყუნდა ეზოში. შეეგებე. ხელები ამილოკა. თავით ტანზე გამეხახუნა. მარტია! მარტია!

ქალი გულზეთქებით მივარდა გოგოს. დამშვიდება სცადა.

— ნუ, შეილო! შენი საცოდობა მომკლავს. სულ ერთთავად თავს დაგაგანებ: მარტია! მარტია! აგე, ხორცს გაეყიდით და უშობელას გიყიდით, ნუ!

გარეთ, ეზოში კაცები ერთ ამბავში არიან. მასხრობენ. თან კაცურ საქმეს აკეთებენ. საწყალი მარტია!

კაცი ოთახში შემობრუნდა.

— რა იყო, დედაკაცო?!

— არაფერი, კაცო!

გოგომ სველი, მუდარით სავსე თვალები შეანათა კაცს.

— ოღონდაც არ დაგეკლათ, მამი. ოღონდაც. რას გიშლიდათ ჩემი მარტია. ჩემი ლამაზი, მარტია. უუ! უუ! კაცმა თვალთ რაღაც ანიშნა ქალს.

ჩაახველა. კაცებს თანჯრიდან გადახედა.

— შე მამაძილო, ^{ერეკლე} ^{მეჩუქვარე} უშობელას გიყიდით ხალიან უშობელას.

— აგე, ხომ გითხარი, შეილო. რატომ არ გჯერა, — თქვა ძალზე შეწუხებულმა ქალმა.

— გიო! — დაიძახეს გარედან, — აბა, მოვრჩით და დაეჭრათ?!

— დაჭერით კაცო, აბა! — და მერე ქალს: — დედაკაცო, ბუხარი გაჩაღე?!

— ვერა ხედავ, რო.

კაცმა ხორცის რბილობი შემოიტანა და ხელში შეათამაშა.

— ივარგებს არა, დედაკაცო?

ქალმა შეხედა და ჩაეცინა.

კაცი განზრახ ოხუნჯობდა. უნდოდა გოგოსთვის გულიდან ჭავრი გადაეყარა.

— პა, ყაბუღსა ხარ, შეილო?!

— რისი,მამი?!

— აი, უშობელას გიყიდით-თქო, რომ გითხარი.

„შენ ისევ პატარა გგონივარ, მამი, პა?!“

გოგომ ჩუმად შეუტრია მამას. ხმა აღარ გაუცია. სულით და გულით, მარტიასთან იყო. მაღალკანკა, კვიანთვალემა მარტიასთან. ეზოში ჩაუტუტქდა კაცებს, მარტიას დანაწილებულ სხეულს შექალაღდა.

— კაცებმა უკვე აქნეს შენი ხორცი, მარტიავე. ნაჭერ-ნაჭერ დასჭრეს და ხეზე დაჰკიდეს. ჰყიდიან. კიდევ გიყიდითო უშობელას. ის შენ არ იქნები, მე შინც მარტიას დავარქმევ... მარტიას!

— მას არ უყურებთ, კაცო? — თავები გადააქნიეს კაცებმა, — ერთი ბეწოა და რამხელა აზრი აქ: ის შენ არ იქნები და მე შინც მარტიას დავარქმევო. გიო, მოგესწრო გოგო და ესაა, კაცო.

— მამა, მამა! — თქვა გიომ.

წუნილი



ცის ტატნობზე ძლივსღა ბეუტავდა ჩამავალი მზე. უფორმო, სქელ ნისლს, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო, თითქოს მთლიანად შთაენთქა მისი სხივები.

...ისინი მაგიდას უსხდნენ, იქვე კართან, კედლის გასწვრივ. ქალი ქმრის სამუშაო ხალათს აგვირისტებდა. კაცს სამი ჭიქა ჭინძმარაული ჰქონდა გამოცლილი.

— შენ არა გშია? — ჰკითხა კაცმა ქალს.

ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— შენ იცი, აბა! — უთხრა კაცმა, კვლავ შეივსო ჭიქა და მწყურვალევით ერთბაშად გადაჰკრა. მერე ჭამა განაგრძო.

ქალი გაშტერდა.

— რაო, რას ამბობს ეგ შენი საყვრელი? — ჰკითხა კაცმა ისე, რომ ზედ არ შეუხედავს, იმის შიშით, ვითუ ეს დახრილი თვალები აღიმართონ და მომაჩერდნენო; კაცს ოღნავი ღიმილი ჰქონდა გადაკრული სველ ტუჩებზე.

ნამდვილად ემსახურეთ თქვენს საღბს. ჩვენს
დედას და საპასუხისმგებლო გზაზე რაც ნაყ-
ლები სისხლი დაიდვრება, მათ უყურეთო იქნება
საღბისათვის.

ალექსანდრე ვაშაძემ და მისმა თანმშლებმა
პირებმა მალე დაჯეტოვეს.

ოქაბის წევრებმა ის დამე თერთად გაათე-
ნეს.

პავლე იმავე წლის შემოდგომაზე უყრანის
ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში აღადგინეს
და სწავლა განაგრძო.

4

1924 წლის ზაფხული ბევრებმა დედაუღიოს,
სოფელ წირქვალში გაატარეთ. წირქვალი
ქ. კიათურიდან 7 კილომეტრითაა დაშორებუ-
ლი. ამ სოფლის მკვადრნი ძირითადად კიათუ-
რის მაღაროებში მუშაობდნენ. მცირეოდენი
სამსავ-სათვის მიწა, პატარა ვენახის ნაკვეთი
და კიათურის მარგანეცო იყო მათი ცხოვრების
წყარო. მძიმე შრომა ჰქონდათ ქართველ მაღა-
როელებს. დილით ადრე შედიოდნენ რამდენიმე
კილომეტრზე მაღაროში და იქიდან მხოლოდ
საღამოთი გამოდიოდნენ. ამის შემდეგ შედიო-
რვა კილომეტრი უნდა ევლოთ, რომ დამე საქუ-
თარ საზღუში გაეთითათ. მიუხედავად ასეთი მძიმე
შრომისა, მათი შთამომავლობა კიოწაგანი,
მზარული და ენაკვიმია ახალგაზრდობა იყო.
ბაბუა ლუარსაბი, მისი ორი ძმა — ბიჭია და
დომიტრი ვურულები და მათი შვილებიც ასე
ცხოვრობდნენ.

შაბათ საღამოს მაღაროებიდან დაბრუნებულ
სოფლის ახალგაზრდობა მოიცოლებდა მარგა-
ნეცოს შავ მტვერს, საფულდაფულად გასუფ-
თავდებოდა და სადღესასწაულოდ გამოწყობი-
ლი სათემო მოედანზე მოიურბოდა თვის. აქ ამა-
რებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერები და მრავ-
ვალნაირი გასართობი ხანასობა. ამ დღისათ-
ვის სოფლის გაცოცხლები ვრულდასმით ემზად-
ბოდნენ. რამდენ მომავალ ოქაბს ჩაურთა სა-
ფუძველი აქაური საღამურისა და დარჩის მზა-
ზე! შეტრებებს არც ხანდაზმული აკლდებოდ-
ნენ მთლმე. ისდნენ ისინი უბემორთბმულნი
ერთ წრედ და, ვინ იცის, რაზე არ საუბრობ-
დნენ, დროდადრო მათი სიცილიანობის მოწ-
ღვებებულად ატყდებოდა მთლმე; მოხუცთა
მეორე საარსებო პურს ხალხური იუმორი წა-
რმოადგენდა. თემობა გვიან დამით მოავრდ-
ბოდა. მთვარაან დამეში შეტრებულნი ზანტად

იწლებოდნენ, ერთმანეთის დაშორება თითქოს უჭირდათ კიდევ. კვირა დღეს შაღაროს უყვლა მუშა ბაღ-ვენახებში შრომობდა.

ცხოვრობდა სოფელი რაბმულად, საინტერესოდ და ნაყოფიერად.

2

1928 წელს ჩემი ტოლი თანაკლასელები კომკავშირელები გახდნენ. საჩხერის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანს მეც გადავეცა განცხადება კომკავშირში მიღების თაობაზე. მან მომიწონა ეს ნახიჯი და გადმომიცა წიგნების სია, თუ რა უნდა წამკითხა, დაამარჯვა როგორ უნდა მოვეცუთოყუა, როდესაც ბიუროს წევრები კითხვებს დამისვამდნენ. მაშინ ახალგაზრდებს შორის გავრცელებული იყო სახელმძღვანელო „კომუნისმის ანბანი“ და მეც მას ჩავუჭქე. გავიდა კარგა ხანი და არ გამოიძახეს. ერთხანს მაიმედებდნენ — შენს განცხადებას მალე განვიხილავთო, შემდეგ კი ბიუროს მოსახრება გადმომიცეს: მაშაშენი ადრე ვაპარო იყო და ჭრჭერობით ვერ მიგადებო, უმჭობნი იქნება განცხადება უკანვე გაიტანონო. კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ძირითადად ჩემი ამხანაგები იყვნენ და მათი ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება გამიკვირდა. შემდეგში ისინი მარწმუნებდნენ: ჩვენ არაფერ შუაში არ ვუყავით, ასეთი გადაწყვეტილება მაზრის კომკავშირის ხელმძღვანელმა წერწუბიმ გვიჩინა: კლასობრივი სიფხაზდე არ უნდა მოვადუნოთ, მომავალი კომკავშირელი წინასწარ რევოლუციური ცეცხლის აღში უნდა გავატაროთ.

მაშა 1921 წლიდან მსახურობდა, თან მევენახეობას ეწეოდა. 1926 წელს ს. ჩიხის ვახოს საწერტე ამხანაგობის წევრი იყო. მაშასთან ერთად ამ კოლექტივში მუშაობდნენ ჩახელი მევენახეები — იაკობაშვილები, ჰილაძეები და ოხაიშვილები. მათ ვახოს სადედე და საწერტე ს. ჩიხის ბოლოში მდინარე უყირადას პარას ჰქონდათ, რაქისა და იმერეთის რაიონებდათის ათი ათასობით ვახოს წერტე გამოუყვადო. მაშა არასოდეს ზავსდენ არ უყოფიდა. მას იმდროინდელ მდგომარეობას თითქოს ჩემთვის ხელი არ უნდა შეეშალა, მაგრამ წარსული? წარსულს ვინ შევცვლიდა!

სკოლაში ეს ჩემი ამხავი რამდენიმე მასწავლებელმა მტკაუნეულად მიიღო. მარჩიეს — თქვენს ნათესაებს, ჰველ ბოლშევიკებს, ვაშაშებს და მოღებადებს მიმართით, დაგებმარებაიანო. მაშას ეს წინადადება არ მოეწონა. რა გეტყვარება, შენი პირადი მოქმედებით დაამტკიცე, რომ კომკავშირის ღირსი ხარ, პასპორტი რომ მიიღო, უკვე დამოუკიდებელმა მოქალაქებ ცხოვრების გზაც დამოუკიდებლად უნდა გვიაროო.

რას ვაზამდი, არავინ მხარი არ დამიჭირა. ბე-

ჭრი დამე გამითენებია უიჭრებში. განსაკუთრებით ის მადიზანებდა, რომ წერწუბიას წინადადებას პირველმა, თურმე, ჩვენს კომკავშირის ამხანაგმა, ალიომა მღებმარტელომ დაუჭირა მხარი.

გავიდა დრო. მე და ალიომა უკვე ემსახურებოდით, ის მათთვის პაროქორის გაზდა, მე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ვიყავი. ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით, ერთმანეთს შეგობრულად მოვკაიხავადით, მაგრამ 1928 წლის ამბებზე სიტყვა არც ერთ ჩვენგანს არ ჩამოგვავიდა.

საჩხერის ალექ ადგილობრივი კომიტეტიდან ჩემი განცხადება გამოვიტანე.

დაგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლის დრო და ახლოობებმა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო მშუად დამიხატეს:

— სერგო, ამიერიდან შენს მუშაინტარულ დარგებზე სწავლას, კიდევ რომ მივაღონ, აზრო არ ექნება, პარტიის წევობის გარეშე ამა რას გააკეთებო. ჩემს ოცნებებს ფრთები საქმოდ შეეკვცა.

ჩემი პირველი მარცხი ჩემთან ერთად ოქახაშე მწუკადე განიცადა. განსაკუთრებულ უზერსულობას, რაშიც შემდეგმ დარწმუნდი, თურმე მაშა განიცდიდა: ჩემს გამო რატომ უნდა შეეშალოს სწავლაში ხელიო.

მას შემდეგ ხშირად მიუიჭრია: ასე ადვილია კი მაშა-შვილს ერთმანეთის გამო პასუხი აგებინო და ამ პასუხისმგებლობის დონე და ზღვარი დაადგინო?!

6.

1929 წელს მარტის დასაწყისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე და მესამე კურსის სტუდენტები მიგვეადინეს რაიონებში სოფლის მეურნეობის სამუშაოებთან დუკავშირებით. მე და ექვსი ჩემი თანაკურსელი გორის რაიონში ვაგვავავენეს. ჭერ მონაწილეობა საშარო შეკრებებში მივადეთ, შემდეგ კი სასოფლო სამუკებში გავგანაწილდეს. მე ხურვადეთის სასოფლო საბუკო შემავა.

პირველ საორგანიზაციო თათბარზე გორის მაზრის აგრონომმა არჩილ გვერდწიფოელმა დაახლოებით ასეთი სიტყვით მოგვემართა: „თქვენ სოფლად მუშაობა მქიმე პირობებში მოგვიწია. ამგვამად გამწუკებულმა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ უველადე შეკეთრად გამოხატულ ფრონტს სოფელი წარმოადგენს. კუდაკი და კულუკის გავლენის ქვეშ მყოფი ძადლები გაფოტრებით ებრძვიან სოფალიზმის დენმწეტებს. ეს გარემოება თქვენ უკოვლეთვის უნდა გქონდეთ შედგეულობაში. აგრონომები არ გვავს საქმარისი რაოდენობით. გორის მაზრაში ერთი აგრონომი, ნაცულად 800 მეურ-

ნისა, 8500 მეტრნის ენსაორება. პრესას, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებთ. რამდენიმე თვის წინათ ჩვენს მაზრასში სოფ. კარაღეთში კულაკებმა არაღვინალონი კრება მოაწყვეს, რომელიც მიზართული იყო ადგილობრივი კლდეტიორი მეურნეობის დაარსების წინააღმდეგ. თქვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ ახალი სოფლის შექმნაში. ახლა კვლავად ება კლდეტიორებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საფურცელს უფროთ ტარიფონის ველზე სარწავთ ხისტების, ვაშენებთ ხელს ბადებს, ვითარებთ ახალ ტექნიკურ კულტურას — შაქრის კარხალს. ამ რთულ სამუშაოებთან ერთად, სამწუხაროდ, თქვენ რთული საყოფაცხოვრებო პირობებიც გექნებათ. უფროსად რის მოთხოვნს თქვენგან დიდ ნებისყოფას და თავდადებას. ჩვენ ერთმანეთთან შეიძრო კავშირი უნდა გავკოდეხს. მე თქვენა დიდი აწიდა მაქვს“.

ამდე საღამოს მე ხ. ზურვალითისაყენ გავემგზავრე. როგორც არჩილ გვერდწიეთისა მონარია, გორის მაზრასე გავიდა და ერთ-ერთმა გლეხმა, რომელიც ურმით იყო და ხ. ნადარბაზევს მიდიოდა, წამიყვანა. ტარიფონის ველზე სახილელი ქარი და უნდა იყო. ჩემი ჩაცმულობა აშკარად არ შეეფერებოდა ამ კლიმატურ ვარდის, მაგრამ რას ვაზაშდი! ზურვალითის სასოფლო საბჭოს მივიანს შევეცოდე და მონარია საბჭოში გამეთენება და მე, ბზეში ჩავწოლილიყავი; საბჭო არ თებოდა.

მეორე დღით არჩილ გვერდწიეთელი გორიდან ამოვიდა. საბჭოს მახლობლად ერთ ოქახში დამიანაგა. ოთახში ოთხი მოხინაღრე ვიყავით: გორის მაზრის პარტიული კომიტეტის წარმომადგენელი ამანაგი თვარო, ლენინგრადის შემცენარეობის ინსტიტუტის ასპირანტი ცაგარელი, საქართველოს განათლების კომისარიატის მუშაკი ძიძიყური და მე. ოთხივეს ერთი და იგივე მიზანი გვექონდა: დავმარებოდიოთ საქოლმურნიე მშენებლობას მაზრასში. სხვადასხვა ასაკისანი ვიყავით, უფროსებიც სხვადასხვა გვეყავი. მაზრის აგრონომს მხოლოდ მე ვემორჩილებოდი. ერთმანეთს ჩვენ მალე შევეწყვეთ და მეგობრულად ვცხოვრობდით.

პირველი დავალება, რომელიც ზურვალითში მომცეს, ხალის გაშენება იყო. ინსტიტუტში შეხადეობა ჭირ კიდევ არ შექონდა ნასწავლი და ხალის გაშენების არაფერი გავიგებოდა. ამის ისიც დავაება, რომ დასარტარი მასალა დიდა წინს წინათ მოეტანათ და უკვე გამზარა იყო. საბჭოს თავჯდომარე შემუქრებოდა: ხეხილი მალე დარტე, თორემ პასუხისცეხაში მავცემო. უფროსად არჩილ გვერდწიეთელს ვუამბე. ორი დღე არ მომცალებია, გვერდწიეთელი მომადგა და სახადე ადგილის დაგეგმა მასწავლა. გამზარა სანერტე მასალაე აქტი შემათვინა და თან დამიბედა: რაც დავკლდემა,

ამასაც მალე მოგაწვდიოთ. წასვლისას გამოკითხა, როგორ იყებები, ასე უფროსადი და ვამბდარა რატომ ხარა. წესს უთხადრია საარსებო წყაროს სტიბენდია წარმოადგენდა. ამავ დროს სოფელში რამე საყვების შექმნათიქმის შეუძლებელი იყო. თუ ადგილობრივ მოსახლეს რამეს თხოვდა მომუადეო, ის უფასოდ მოგცემდა, ჩვენ არ ვვიდიოთ. რამდენჯერ შეიძლებოდა მოწყალების მიღება!

რამდენიმე კვირის შემდეგ არჩილ გვერდწიეთელი კვლავ მომაკითხა და დიმილით მომავოდა დაბეძული ბრძანება: ზურვალითის სასოფლო საბჭოს აგრონომის მოვალეობის შემსრულებლად ვიყავი დანიშნული. რა შეთქმონდას გახარებული და გაკვირებული უსიტყვოდ ვიდექი მაზრის აგრონომთან. არჩილმა ჩემი ყურადღება ახალ დავალებაზე გადამიტანა — დღეს სოფელ ნადარბაზევში უნდა წავიდეოთ, განუვალკებისთან დავაშორებით კრება უნდა მოვაწვიოთ, ზოგიერთ გლეხს საქონელი უნდა ჩამოვართვიოთ. გამგზავრებამდე კარგა ხანს მისწინდა, თუ რა ნიშნების მიხედვით უნდა გავცენაზდრა ვინ იყო კულაკი და ვინ არა. მე უკვე ვაძმაცემით ვიყოდი, რას ნიშნავდა ასეთი კრების ჩატარება!

ჩვენი შეკრება გვიან დამით შედგა. ძლიერი სიცივე იყო და ხალხი ბოსელში მოკრავდა. უმრავლესობა ოსურად დამარაკობდა არჩილს. მა ამისნა: ზოგიერთი მოთვინათვის რქოსანი საქონელი ჩამოურომევიათ და ქსნის სადგურში ჩურტკიათ ჩასაბარებლად. აქ საქონელი ვერ დაუბინავებიათ და ნაწილი დამოცილა. ცხენი ახლა ჩვენ ვეხსაყვედურებენ, ქვეყნის დოვლათს სპობთ და ხალხი რაში უნდა გენდიოთ. ჩხუბა და აუაღმაქული გვიანობამდე გაგრძელდა. — ამალდე აქ ვერაფერს ვერ მოვაწვიეთ, ზვალ მაზრის პარტიულ ხელმძღვანელ ამანაგებს კალმახელიძესა და ამრამიშვილს მოვასხენებს უფროსად, — გამინდო არჩილ გვერდწიეთელი. კრების ზოგიერთ მონაწილეს ისეთი გამოშეტვედელი შექონდა, რომ ჩვენი საქმე მთლად კარგად არ უნდა ყოფილიყო. მაზრის აგრონომს იცვი შეეპარა, შეიძლება აქ დარჩენად საშიში იყოს და ამ დამით გორში წასვლაც; აქნებს აქვე სოფელში ვანშესთან შევაფართოთ თავიო. მალე ჩემთან ერთი ახალგაზრდა გოგონა მოვიდა და ვამეცო. — მე ქეოთ შევა, გორიდან ვარ; აქ სოფელში პატარებს ვასწავლი. რა არჩილმა თხოვდა თქვენს მოგხლოთ. გამომევიო, ჩემთან წამობრძანდით, აქვე ახლოს ვცხოვრობ. მასწავლებელს აქ დიდ პატივს სცემენ და ნუ გეშინიათ, არავინ არ მოგაკითხავს. გარეთ ზნელიდა და ქეოთ ხელჩაყავებული აღმართ-აღმართ მივყავი. პატარა, სურთა, კამწიად მოროდელი ოთახი შექონდა, თვითონაც დამაში ქალი იყო, ჩემი ასაკის თუ აქნებოდა. თხილად მიიდიო, დამაშურა და

დამაწინა. ღამე მიიწი შიშში გადატარე. ახლა უკვე ქეთის გამოე მეწინადა, მისთვის რამე შეურაცხყოფა არ შეეუენებინაო.

გათენდა თუ არა, არჩილა მოგვაციობა, ნაღლაიანი სახე ჰქონდა. ორავენი ორთავდალი სასწრაფოდ გორს წაედეო. იქ მარხის აგრო. ნომს ვადევ უფრო მწვავე საკითხები დაჭდა გადასაწვედა. ტირიფონის ველზე ებრაელები ბის კლდეურნიობაში ვადაცის ვანგებ ახალი ტრაქტორის გამოკვევანა მწყობრიდან, საშპრეთოსითის და ქართლის მოსაზღვრე კლდეურნიეები ტროსანეთის წაქაფებოდენ სარწვაე წყაღზე. არჩილი ებრაელებთან წაეიდა. მე კანტორაში დამტოვა, თუ ვანმე მოვიდოდა, პაპუბე უნდა ვაგვედა.

იხემაღ მარხაში დამაბული მდგომარეობა იყო. დიდი ურჩადლება ემცეოდა კულაების წინააღმდეგ მკაცრ შეტევას, მოქმადიერთა შორის მუშაობას, სახელმწიფო აპარატის წმინდას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეშეუობით სხალბო კონტროლს, სავადსახადო კანონის სწორად ვატარებას და სხვ.

საში თვე ვაშუშავე ასეთ პარობებში არჩილ გვირდწითელის ხელმძღვანელობით. დაუფახებელი იყო მისი მეთაურობა. წყნარო, პრინციპული, ადამიანური, აგრონომიული მეცნიერების ღრმა მყოფდენ, დიდი შინაგანი კულტურის მქონე პაროენება იყო ვა. არჩილი, როგორც შემდეგში ვაივტი, შესანიწნავ ქართულ ოჯახში იზრდებოდა, სახელოვანი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვახრადელ გვირდწითელის უფროსი ვაი იყო. მან 1928 წელს დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი და 1929 წელს, 29 წლის ასაკში, გორის მარხის აგრონომად დანიწყო მუშაობა.

ბატონმა არჩილმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე, სტუდენტებზე, როგორც დღეში ადამიანმა, თავისი ქვეყნის პატრიოტმა, ძლიერი ნებისყოფის პაროენებამ. ყველანი ანტიკლებული ვიუვიოთ მისი ჩვენდამი მამობრივა ზრუნვათ.

დამთავრდა ჩვენი, სტუდენტებას გორის რაიონში მივლინების ვადა და გულდაწვებატალი გამოვცემწვიდობით ბატონ არჩილს. დაგვიბრდა, რომ საქართველოს შემთხვევაში სიამოვნებით შევიდებოდა მუდმივ სამუშაოზე.

გვაედა ვრლებო და ეს დროც დადგა. ზოგიერთი ჩვენთაგანი კვლავ ებტუმბო ქალაქ გორს.

7

1987 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის დეკანს ნიკო კიციშვილს ჩავახარე ნაშრომი „ძობს მევას ვერწიხის ბუნებრივი აღკობოღრა დაუღიანის დროს“ ბიოლოგიურ

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მრანაოეზლად. დისერტაციის დაცვა ბიოლოგიურ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე შეატარდა. სათვის დანიშნა. მაშინ რეცენზიებს დაცვამდე არ იძლეოდენ და ამის გამო ხარისხის ყველა მამიებელი ფრთხილობდა დისერტაციის დაცვის დროს რამე პრინციპული ხასიათის შედეგომა არ მოსვლოდა. დისერტანტის საერთო განათლების დონეს დიდი ურჩადლება ემცეოდა. ამიტომ რაც შემეძლო ბევრს ვკითხულობდი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები დიდად მემარტებოდენ, უკუვადვარო საჭირო ლიტერატურით მამარტებოდენ. ექსპერიმენტი დამთავრებული მქონდა და თითქმის უკუვადვლე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. ლიტერატურულ წყაროებს შორის ჩემი ურჩადლება მამაყრო მენდღებვის სახელობის ქიმიკოსთა საკუშირო საზოგადოების შრომებშია. შემთხვევით ვნახე, რომ საზოგადოების ერთ-ერთი ურჩადლობა ამ პარს ვატხნა, რომელიც შემდეგში ტროციისტი აღმოჩნდა. ამის შესახებ მე დაუყოვნებლივ ბიბლიოთეკას დირექტორს მოვახსენე. ის დაწინაურებული პარტიული მუშაკი იყო და ასეთი სიტუაციისათვის მადლობა გამომიცხვადა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც შინ დავბრუნდი, უმცროსმა ძმამ კოტემ ვაღმომცა უწყება, რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომისარიატში მამარტებოდენ, მეორად დღეს საღამოს 6 საათზე უნდა გამოცხვადებულყოფი.

შოთლა ღამე ჩემს ბიოგრაფიაში ვაქვემბოდა, მაგრამ ვერტარტებ ვეტი ვერ შევიტანე. 1928 წელს ალკ რიგებში არ მიმიდებ, მაგრამ 1935 წელს თანამშრომლობა ქვეულის წვერი ვახვდი, 1937 წლის დასაწყისში კო სკაე ვერტობის კანდიდატად მიღებას დამარტდენ. დავალებებს პარნათლად ვახსრულებდი, სტუდენტობა ჩემი უმეუოლოლონი არ იყუნენ. მამა 16 წელზე მეტი იყო, რაც მახსორობდა. და მიიწი ვამკრა გულში: თანამშრომლობა ქვეულო მიღებას ერთ-ერთი რეკომენდაცია ვამიწია ძველმა ბილშევიკმა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო საბჭოებში ვასილ კანდელაკმა, რომელიც იმ დროს ინსტიტუტში ვატაკადობული სემინის მიხედვით, დამატარებული უნდა ყოფილიყო. მეორე დღე, როგორც აქნა, შესაღამოვდა და 6 საათზე დანიშნულებისამებრ გამოცხვადდი. ჩემი მასპინძელი აღმოჩნდა ახალგაზრდა თანამშრომელი ნიკოლოზ ბარტოლოვა. მან თავიწინად მიიღო და მეგობრული საუბრისა ვამიწა. ქალაქის ბიბლიოთეკებიდან მოვტროვებინა პარათება და ათვლიერებდა, თუ რა ლიტერატურით ვიყუთა დანიტერტებულა. შეტვდერა მეტად საინტერესოდ წარამართა. ვამოკითხა, რა პარობდებზე მუშაობდა ჩვენი

ლაბორატორია და რას ეძღვნებოდა კერძოდ, ჩემი სადისერტაციო ნაშრომი. მე მალე აღმოვაჩინე ვისთან შეთანხმებას ვაპირებ. მის მიერ დასმულ კითხვებზე ცოცხლად ვასაუბრობდი. ჩვენმა საუნარმა თითქმის ორი საათი გაატანა. საშუალო ხელის მოწერის შემდეგ შემეცინა: — სერგეი ვასილეს ძეგ, რომ არავის უფიქროვია ამ კრებულის გამოტანა თქვენთვის, იქნებ მოიგონოთ, ეს ზეგნების მატად მნიშვნელოვანი იქნება. მე გულწრფელად ვუპასუხე, რომ ამ მასალას შემთხვევით წავაწყდი და მის შესახებ ზემოთის არავის არ მოუშარბავს. დაშორებისას მთხოვა: — ფიქრეთ, იქნებ გაგახსენდეთ, ხვალ სადამის 6 საათზე ისევ გამოვიარო, თქვენი საშვი კომენდატორაში იქნება.

ეს შეხვედრა 15 აპრილს მოხდა. ამ დროიდან დაწყებული 9 დღის განმავლობაში, ე. ა. დისერტაციის დაცვის დღეებში. მე უკვე საღამოს მასთან ვიყავი. უკვე დღე ერთსა და ამავე თემაზე ვსაუბრობდი. ვერაფერი ვერ დავარწმუნე, რომ ჩემს უკან არავის იყო და რაც მოხდა, ეს ბრმა შემთხვევას უნდა მიეწეროს. უკვე შეხვედრისას ჩემდამი მისი დამოკიდებულება იყო ურადილობანი და აღმოჩნდა. მხოლოდ დისერტაციის დაცვის წინა საღამოს, 28 აპრილს, განაწილდა: — სამართლის არ მეთუხუბო, არ ვინდობ დავუბნებო, რომ უკეთ ვცოდნენ ვინ არიან ჩვენი სახელმწიფოს მტრებიო. ამ დღეს აქაურობას გვიანობაზე შევრჩი. შენობიდან რომ გამოვდი, ტრამვაი ახალი ამუშავებული იყო, დღის 6 საათი იქნებოდა, დისერტაციის დაცვა კი ამავე დღის 12 საათზე იყო დაიწყო.

რუსთაველის პარსპექტიდან ტრამვაით სასოფლოსამურწერო ინსტიტუტში წავიდი, დისერტაციის მასალებს ლაბორატორიაში ვინახავდი. ინსტიტუტის მახლობლად სასაუბრე მქონდა ვინმე წყნითელ ლუკას, რომელიც მეტად კლდეობილი პიროვნება იყო და ვემორილ საშუალებებსაც აწვდიდა. ლაბორატორიიდან მას შევაკითხე, ვისთვის ჩემთან ერთად ესაუბრა. ადრე იყო და თავისთვის წინა დღით წახელია შეტყობად აცხადებდა. საუბრე არ დავცადა, სასაუბრეში ჩემი შეგობრები შემოცავდნენ, თუკი მთელი დამე შევბადნენ.

კვირა დღე იყო და სამეცნიერო სემპიუმში შევაბა ზუსტად 12 საათზე დამწყობი. ოპონენტები პროფესორები ვასილ ვარაზი და პეტრე ქობულაძე იყვნენ. პროცედურამ ნორმალურად ჩაიარა და ძიებულ ბარისზე ფარული კონკრეტული ერთსადა მომანიჭეს. როდესაც ოფიციალური ნაწილი დამთავრდა, დამსწრეთი მამაჩემთან მივიდი და ულოცავდნენ. დამსწრეთი შორის ნიკოლოზ ბარტოლოვსკი აღმოჩნდა, დისერტაციის დაცვის მოსახმენად მოსულად. ისიც მივიდა მამასთან და მიულოცა. მეორე დღეს მამამ მთხოვა — უნივერსიტეტი

წამყვანი, ბავშვებისათვის ფესხავილები უნდა ვყოფილი ვერის ხილზე ნიკოლოზ ბარტოლოვსკი შეგვხვდა. გავაჩერა, ახლა მე მომილოცა, მამას კიდევ ერთხელ ასიშოქა კარგი უნდა გულოთო და დავუბრუნე. დაღვრებილი, ჩაფიქრებული ჩანდა. მამა აღტაცებული იყო, რა ურადილობანი, კულტურული კაცი ჩანს, ვინ არისო.

ამ დღის შემდეგ ნიკოლოზ ბარტოლოვსკი აღარსად მინახავს. მე მას დღესაც მადლობის გრძნობით ვალოცებ.

8

1948 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს სხდომაზე ჩემი სადოქტორო დისერტაციის გეგმის დაცვა მომიწია. სხდომას აკად. ა. ორბელი თავშელომარებოდა. გეგმა მოიწონეს, მაგრამ სადავოდ მიიჩნეს ვაზის ტანიდების ქიმიური ბუნების დადგენა. ყველაზე მეტი წინააღმდეგობა აკად. ა. ოპარინმა გამოიწია: გამოჩინდა გერმანული მეცნიერი კარლ ფრაილინგერგი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მუხის ტანიდების ქიმიური ბუნებას სწავლობს და საბოლოო შედეგს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია, რა ვიცით, რომ ასე არ დამთავრდება ჩვენს დოქტორანტს, რეალობას მოყვებული გამხედაობა საჭირო არ არის. დისერტაციის გეგმიდან წმინდა ქიმიური ნაწილი უმეცხლად უნდა ამოვადოთ. განყოფილების ბიუროს ა. ოპარინის მოსაზრება გაიზარა. სხდომის დამთავრების შემდეგ ა. ოპარინმა მთხოვა მასთან მესულეუადი ბოქიბის ინსტიტუტში, გავაგრძელოთ მსჯელობა ვაზის ტანიდების ქიმიური ბუნებაზეო.

საუბარი საინტერესო გამოდგა. ხატონი აღქმანდრე დათანხმდა, რომ ქიმიური კვლევა გამეგრძელებინა, მაგრამ არაოფიციალურად, გეგმის გარეშე.

— გეგმაში ის უნდა შეიტანოთ, რაც ნამდვილად შესრულებია. დოქტორანტურაში მხოლოდ იმ პირებს დებულობენ, რომელთაც სადისერტაციო შრომის ორი მესამედი მანც აქვთ შესრულებული. ხომ შეიძლება, რომ ვაზის ტანიდებიდან ვერცერთი ინდივიდუალური ქიმიური ნაერთი ვერ გამოვოთ, ამასაც უნდა მოვლდეოთ, მაშინ მამინ დაცვის წინ შეიძლება შეიქნას მოქმედა-მოქმედა, განყოფილების ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმა არ არის შესრულებულიო.

— ამუშავე ისე, როგორც გული და გონება გაკარნახებს. კვლევის ფარგლების შეზღუდვას დადებითი შედეგი არასოდეს არ მოხუკდია, მაგრამ ისიც ხომ არის ცნობილი, რომ გეგმა

სახელმწიფო კანონი და მასთან ფრთხილი ურთიერთობა საჭიროა. ვაზის ტანიდების ქიმიური შენამდე მრავალი მკვლევარი მოუპოვდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელი და ფრანგი მეცნიერების შრომები. მათთან შედარებით შენ შინც რა უპარატისობა ვაქვს, რატომ ვგონია, რომ რაც სხამ ვერ გააკეთა, შენ აუცილებლად გააკეთებ, გაიმარჯვებ!

ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე მოკლედ მოვახსენებ:

— აღექვანდრე ივანეს ძე, ადრე მკვლევარები ტანიდების მისაღებად ძირითადად იყენებდნენ ფიზიოლოგიურად მომწიფებულ ვაზის თესვს, წიპწას. ამ ფროს თესვში მრავალი სხვადასხვაგვარი ნაერთია, თანაც თითოეულ მათგანს უკვე გარდაქმნის რთული გზა აქვს განვლილი. ასეთი გარემოდან ინდივიდუალური ნაერთის იდენტიფიკაცია ძნელია. მე ჩემი კვლევის ობიექტად ავიღებ იგივე ვაზის თესვს, მაგრამ ადრეულ ფიზიოლოგიურ ფაზაში, როდენაც ქერ კიდევ თესვს მხოლოდ ჩანახარის სახითაა. აქნებ რომელიმე ნაერთს მაშინ მივუხწრო, როდენაც იგი ქერ კიდევ არაა გარდაქმნილი რთულ შენაერთად. ამ ფროს ქიმიური ნაერთების მიერ შექმნილი გარემოდ ხომ უფრო მარტივად უნდა იყოს.

აღექვანდრე ოპარინმა მიღებულა მომწონა: მოსაზრება საინტერესოა, შეაძლება ბედმა გავიმართლოს, იმუშავებ, ვნახოთ.

თელავში ამ მიმართულებით კვლევა გვაძლიერებ, რაც გეგმის მიხედვით უნდა გამოეყენებინა, დროებით მას თვით დავანებე. ერთი წლის განმავლობაში უშედეგად ვიმუშავებ. ვერ აქვს და ვერ ჩავაგდე ზღვში ჩემი ნაინტარი ნაერთი. რამდენი ნივთიერებას გამოვყავი, ყველა ელვისებური სისწრაფით დავიანგა, სხვებ შენერთად გარდაქმნა.

ადიდ ხნის ნატურა 1949 წლის შემოდგომაზე ამისრულდა: ვაზის თესვის ტანიდებიდან პირველი ინდივიდუალური ნაერთი გამოვყავი. უკვე ზღვს მქონდა თერთი ნემსისებრი კრისტალემა მისი ყველა თვისება მარწმუნებდა, რომ ჩემს მიერ იდენტიფიცირებული ნივთიერება კატეჟინი უნდა ყოფილიყო. შედეგის რამდენქნამდე გადამოწმების შემდეგ აკად. ა. ოპარინს მოსკოვში დებენა ვაუთგზავნი: „პირველი კრისტალური ნაერთი მივიღე. ფიზიურ-ქიმიური თვისებების მიხედვით კატეჟინი უნდა იყოს“. მეორე დღებზე მოვიდა აკადემიკოსების ა. ოპარინის, ა. კურსანოვის და ნ. სოსაიანის მოლოცვის დებეშები. ამას აკად. ა. ოპარინის წერილაც მოჰყვა: თქვენს მიერ მიღებული ახალი ნივთიერება ჩამოიტანეთ, რაც შეიძლება მაღე ჩამოდიოთ.

ჩემი ამ მიღწევით ლაბორატორიის თანამშრომლებმა განაჩებულნი იყვნენ და ცენტრალურად შეხსახობდნენ. მათე 50 მილილიტრიანი

ერლენმაიერის კულა კატეჟინის კრისტალეზით გვავეს — მოხავალი უხვი მქონდა. ყველა საჭირო მონაცემი წესრიგში მოვთავსებ და მოსკოვს ვასამგზავრებლად მოვეწვდები. დადგამომენტი, ჩემი პირველი ნივთიერება სამგზავრო ჩანთაში უნდა მომთავსებინა, გავადე კარი დაკულა თერთი კრისტალეზით ადგაზე აღარ აღმოჩნდა!

ინტიტუტის ყველა კოხებ და კუნჭული გავსინტუ, ყველას ყველაფერი გამოვყოხებთ, მაგრამ დაკარგული ნივთიერება ვერ აღმოვაჩინებთ. ახლა უფრო მეტად ამას ვდარდობდი დებეშარომ გავაგზავნი, მოლოცვები მაინც არ მიმდელი რა შევთავალო აღექვანდრე ოპარინს, ანდრია კურსანოვის სულ მეტად ერთი წელი მაინც უნდა შევოცა, ვიდრე მცვაზე უფრძენი გვექნებოდა, ვიდრე კატეჟინს ზღვსახლა მივაღებდი.

ჩემთვის უფრო მეტად დანანანი კი ის იყო, რომ ჩვენი ინტიტუტის კოლექტაჟში ისეთი პიროვნება აღმოჩნდა, რომელმაც საერთო საქნეს უღალატა. მრავალი რჩევა მომცეს, თუ როგორ უნდა აღმოგვეჩინა დამნაშავე, როგორ უნდა მოგვეშო გარედან საგამომარებლო ორგანოები. მე ყველა შემოთავაზებულე დონისძიება უარყვავი. რომელი წინადადებაც უნდა მიმეღო, მისი განხორციელება ინტიტუტის კოლექტის ჩრდილს მიავენებდა. სჯობდა ისევე პირადად მე დავზარალებულიყავი. ზოგიერთი მეგობარი მათრთობილებდა, ვიდრე იმ ნივთიერებას შენ ზღვსახლა მიიღებ, მანამდე შეიძლება ვინმე გამოაქვეყნოს კვლევა, მაშინ რას იზამ, ამდენი ხნის შემოაბის შედეგად რომ დაგეარგებო. მძინე მდგომარეობაში აღმოჩნდი, მაგრამ ჩემი ვნებათა დღევა ინტიტუტის კოლექტის გარეთ არ გამოტანია.

როდენაც მდელარება შედარებით მიწუნარადა, მე მოსკოვს მაინც ვავაგზავრებ. მცირე რაოდენობის კრისტალეზი ერთ-ერთ სინქარაში შემოსხვევით შემარჩინილიყო და ა. ნ. ხახის საბეღობის ბოქიონის ინტიტუტში ჩემი გამართლებისათვის ეს მცირე მასალა წარვადგინე. მიიღებდებნენ, მოვა შემოდგომა და ყველაფერი რაგზე იქნებო.

9

1958 წლის დანაწესში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ბატონ ნიკო მუსხელიშვილს წარუდგინე პაროქტი დედომში ქიმიის, ბიოლოგიისა და მდელციანის განყოფილებათა ინტიტუტების განლაგებისა და აშენების შესახებ. პაროქტის მიხედვით სამივე განყოფილებას 45 მეტრარი უნდა დავაყვებინა, ზღვს საერთო მომსახურების შენობებს — ბიბლიოთეკას, კინოდაზნას, ლექტორიურს. საინფორმაციო ცენტრს, ვიკაროუსს, ორანერარებას, გაარებს, საჭეაბებს და სხვ. — 15 მეტრარი

მიწის ნაკვეთი ეთმობოდა. აკადემიის მცხრე პირნიდლოშმა ჩემს პარტიკი არ მიიღო. განსაკუთრებული წინააღმდეგობა ვიცი-პარტიკიდენტებმა გასწიეს, დიღმის რაიონი სამხისოდ ჭერ არაა მოწყობილი. იმ ღრის აკადემიისათვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე დიღმში ჭერ კიდევ არ იყო წყალი, ხინათლე, კანალიზაცია და ქალაქის ტრანსპორტი. უველა ამ საქითის მოგვარება, რა თქმა უნდა, მწელი იყო, მაგრამ გაუყოლებული არ დარჩებოდა, თუ ენერჯიულად მოგვადებდით ხელს.

ამის შემდეგ იძულებული ვახვდით დიღმში ტერიტორია მხოლოდ ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებისათვის გვეთმობოდა. მაღლე ქალაქიდან მე-10 კილომეტრზე აკადემიამ მიიღო 20 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და შეეუდგა მის კეთილმოწყობას.

ამ პერიოდში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო დადგენილება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში გაქლიერდეს კვლევა რადიოაქტურია იზოტოპების გამოყენებით. აქედან გამოვიდნარდა, მეცნიერება ბოქიმიის ლაბორატორიის ტერიტორიაზე დიღმში დაავადება აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების იზოტოპების ლაბორატორიის მშენებლობა.

1959 წლის დანაწილში იზოტოპების აღნიშნული ლაბორატორიის შენობას სპორტკვლევა ჩაეყარა. რამდენიმე თვეში შენობის პირველი სართული თათქმის ამოყვანალი იყო, როდესაც მოსკოვიდან გვესტუმრნენ აკადემიკოსები მ. შენიკინი, ა. ოპარინი, ა. კურსანოვი, ნ. სისაიანი. მათ ვეთათბირეთ ბოქიმიის ინსტიტუტის დარსების საკითხებზე და ვარკვეთ იზოტოპების ლაბორატორიის მშენებლობა. მოიწონეს ჰევენი წინასწარი სამუშაოები და დაავადებდეს: ტერიტორია გაქვთ, შენობა გეპნებათ, კადრებს ზრდით, მომავალი ინსტიტუტის დაარსებას საქმე მუარ საფუძველზეაო.

ერთ დღეს, დამის 12 საათზე ტელეფონით დამიავიწარდა საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობის საქმიანთა კომიტეტის თავმჯდომარე არქიტექტორი ბევენი ლორთქიფანიძე. მან ზოდამე მოთხოვა, ასე უდროო დროს რომ მაწუშებოდა და მორიდებით შემდეგი შემატებინა:

— ბატონო სერგა, ალბათ გაგიკარადებათ რასაც ვიტყვით: დიღმის ვიკუბოდა კიდევ, დაშორება თუ არა, მაგრამ რომ არ ვიხსრათ არ შემიძლია. თქვენ ალბათ წარმოადგენდა არა გაქვთ, თუ რას უპირებენ თქვენს მშენებლობას. საქართველოს სსრ მიწისტრთა საბჭოში გაწავადებულა განკარგულება, რომ ჩამოკერ-

თვით დიღმში 20-ჰექტარიანი მიწის ნაკვეთი, მასზედ დაწვებულ მშენებლებსაწე ურთაფე, და უსართობე და შენობაც ქალაქის ვიკუბეც. როგორც ვიცი, მიწისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამ განკარგულებაზე ჭერ ხელი არა აქვს მოწერილი, იქნებ რაიმეს აღონებდით და განკარგულებას გააუქმებინებდით. ახლა დაუოვნება სახიფათოა. ზეად დიღით, სამუშაოს დაწვებამდე უნდა მიხვიდეთ მიწისტრთა საბჭოში და უველადერა განკარგაოთ.

ბატონი ბევენი უოველთვის გამოარჩეოდა თავისი მაღალი კულტურით, დახვეწილი ტაქტით და ეროვნული ინტერესებისადმი ერთგული სამსახურით. ეს აქტივ მისი ეროვნული ხულისა და ენერჯიის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

დიღით სამუშაოს დაწვებამდე ერთი საათით ადრე, უვეე მიწისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კაბინეტთან ვიუთვი. თავმჯდომარე მოსკოვს გამოგვარებულყო. როდესაც პირველმა მოადგილემ დამინება, გაუყვარდა:

— სერგა, აქ რატომ ხარ, აკადემიაში ცუდი ზის პარტერი მოხდაო. კიდევ უფრო მეტად გაოცდა, როდესაც გაავო, თუ რატომ მივედი ასე ადრე მასთან.

— როგორც ჩანს, საქმის ნამდვილი ვითარება დამიმაღეს, არ გამოგებინეს. შეცდომას ახლავე გამოვასწორებო. განკარგულება, რომელიც აკადემიას ებებოდა, გააუქმა. თანაც დამიბრდა: მშენებლობაზე თუ რაიმე დაკვირდება დაავადებო.

გადავა წლები და ახლა იმ ტერიტორიაზე რამდენიმე შენობაა აგებული. აქ მოქმედებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და მეცნიერებათა ბოქიმიის ინსტიტუტები, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ქილდოქილის განყოფილება.

ბევენი ლორთქიფანიძეს რომ დროულად არ ეცნობებინა, თუ რა საფრთხე ელოდა ჰევენს ახლად ფხადაგმულ ლაბორატორიას, მაშინ... მაშინ ვინ იყოს, რა ზედე ეწეოდა ჰევენი დიღმის ოცნებას საქართველოში მეცნიერებათა ბოქიმიის ინსტიტუტის დაარსების თაობაზე!

დიღმში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა ბოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში გამოჩენილ რუს და ქართველ ბოქიმიკოსთა პორტრეტებს სამაროლანოდ უმწვენებს ვეკრდს ზევენი ლორთქიფანიძის სურათიც.

ღმერთმა ნუ გამოგვიღიას გონიერა, ნებისუოფიანიჩ, ჰევენი ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები!



გამოსათხოვარის ფუთავი

ქართულმა ლიტერატურამ, მთელმა მრავალეროვნულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. წავიდა ჩვენგან გამოჩენილი ქართველი მწერალი, სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე.

და აი დადგა ყველაზე მძიმე წუთები, წუთები საყვარელ მწერალთან გამოთხოვებისა, იმ ადამიანთან გამოთხოვებისა, რომელთანაც არასოდეს არ განდოდა განშორება, რომელზედაც მეტისმეტად ძნელია თქვა გამოსათხოვარი სიტყვა.

აფხაზები ამბობენ — სიყვდილი შეიძლება ჩემად შოდის, მაგრამ ხალხის ღირსეულ შვილს, დედა-სამშობლოს ღირსეულ შვილსაც კი არ შეუძლია გაეჭყეს მას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მუდამ იქნება შამულის იმ ღირსეულ შვილთა შორის, რომელთაც მოიპოვეს უფლება სამუდამოდ დაჩრენ ხალხთან, არასოდეს განშორდნენ მას, ყოველთვის იცოცხლონ ხალხის შეხსიერებაში.

აფხაზეთის მწერლები, აფხაზი ხალხი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები, რომლებთანაც ვუღმიე კავშირში იყო კოლხეთის სახელოვანა მომღერალი, უსაზღვროდ დაამწუხრა ამ მძიმე დანაკლისმა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მთელი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და საქმიანობით მოიპოვა ხალხის სამუდამო საყვარელი და პატივისცემა. მის ნაწარმოებებში ნათლად აღიჭმება ქართული სიტყვის ძალა, სიმდიდრე და სინატიფე, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა.

მისი ნაწარმოებები უმღერიან საბჭოთა ადამიანების საბრძოლო და შრომით გმირობას, მოუხმობენ მათ ახალ-ახალი მიღწევებისაკენ; მწერალი მთელი სისრულით გვიხატავს სახეებს, ვინც საყუთარი ხელით აშენებდა და აშენებს საბჭოთა საქართველოს.

ჩვენი დიადი ეპოქის თავდადებული სამსახური, კაცობრიობის ნათელი იდეალების, სამართლიანობის, სისამებაკისა და თავმდაბლობის რაინდული ერთგულება წარმოადგენდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ესთეტიკური მრწამსის საფუძველთა საფუძველს. მწერალი, რომელმაც ქართული პროზა გაამდიდრა შესანიშნავი ნაწარმოებებით, რომლის გულის ძგერა ერწყმის მკითხველის გულის ძგერას, მუდამ იცოცხლებს ჩვენს ხსოვნაში, ხალხის ხსოვნაში.

დიდი შიმარტების მფარალი

საქართველო
საბჭოთაო

დაბადების 80 წლისთვის ბატონი კონსტანტინე შეხვედა ყოველმხრივ და ყოველწილივ დაფასებული, დამსახურებული პატივისცემით, პარტიის, შთაფრობის, მშობელი ხალხის უზომო სიყვარულითა და აღიარებით გარეშოსილი, მხნედ, სიტყვის მისეული ნაბერწყლით, აზრით გაუბზარავით, ისევ ხმალი-უგებები, ისევ შემართული, შემტევი, მოუსვენარი, ახალი შემოქმედებითი გეგმებითა და სარედაქტორო საზრუნავით დატვირთული.

მა გულს მაინცდამაინც არაფრად ეცხებოდა იუბილეები, ტაშისცემა და ზარზემი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის კოლეგები, უმცროსი მეგობრები, მისი შეგირდები ყოველთვის ვიყავით გაოცებულნი მწერლის, ქეშმარიტად ქეშმარიტი შემოქმედის, მისი განვლილი ურთულესი და უძნელესი გზებითა და ბილიყებით.

ჩაღა სათქმელია, რომ ქუთათური მწერლობა დიდადა დავლებული ბატონი კონსტანტინესაგან, რადგან ქუთაისში მცხოვრები არცერთი მწერლის მცირე წარმატებაც კი არ მომზდარა მისი ხელწაშველების გარეშე.

ავერ, უკვე ცხრა წელიწადია კონსტანტინე ლორთქიფანიძე მოღვაწეობდა მისივე შექმნილ ქუთაისის უძველეს სამწერლო ორგანიზაციაში, იყო ჩვენი ყველაზე დიდი შენაძენის, ეურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი.

ამასთან, კეთილი რჩევით, ათეული წლობით დაგროვილი უიშვიათესი გამოცდილების უშურველად გაზიარებით, განყოფილების ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით დიდად უწყობდა ხელს ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებასა და განმტკიცებას; ახალგაზრდა სამწერლო კადრების მხატვრული ოსტატობის დახვეწას, მათ შემოქმედებითს ზრდასა და დაეფუკაცებას.

ქუთაისში მცხოვრებ მწერალთათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი იყო ბატონი კონსტანტინეს სულ ბოლოდროინდელი შეფასება ეჭვი არ მეპარება, დამიდასტურებთ, რომ მისებრ მკაცრი და პირუთენელი მოსამართლე ბევრი არ ჰყოლია ქართულ ლიტერატურას.

მან თქვა: „ძალიან მხარბებს, რომ ბოლო წლებში, ჩემი საყვარელი ქალაქის ლიტერატურული ცხოვრება მეტად ღრმა და შინაარსიანი გახდა... გადაიკითხეთ გაზეთ „ქუთაისის“ ლიტერატურული გვერდები, ქუთაისში გამოცემული წიგნები, დაესწარით ეურნალ „განთიადისა“ და სხვა ჩვენი ეურნალების ნომრების საჯარო განხილვებს და თქვენთვის ნათელი გახდება თუ რამდენად დაშორდა ჩვენი საუბარი, კამათი, მსჯელობა იმ პროვინციულ ელფერს, რაც დიღბანს უშლიდა ხელს ქუთათური მწერლობის წინსვლას“.

ბატონო კონსტანტინე!

ექვსი ათეული წლის უკან მშობლიურმა ქალაქმა გისაგზლათ ელვარე ნიჭი და სიყვარული, გიწინასწარმეტყველათ დიდი სამწერლო ასპარეზი და სარბიელი.

შაბათს, 2 აგვისტოს, თავის სახელოვან შეილთან, მხატვრული სიტყვის ქეშმარიტ დიდოსტატთან გამოთხოვების ფაშას თქვენი შემოქმედებითა და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწეობით მადლიერი ქუთათურები უკვდავებისკენ გილოცავდნენ გზას.

დავით კვიციანი

კალისტრატე სალია

გარდაცემული

ჩანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 27 ივლისს, 1985 წლის აგვისტოს 28-ე დღეს, გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, პროფესორი კალისტრატე სალია.

კალისტრატე ზოსიმეს ძე სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს სოფ. ჭვალში (წალენჯიხის რაიონი). სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ზუგდიდის საქალაქო ექვსწლიან სასწავლებელში, ხოლო 1916 წლიდან — ხაშურის გიმნაზიაში, რომელიც 1919 წელს დაამთავრა. ერთი წლის მასწავლებლად მუშაობის შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წ. ბოლოს კ. სალია უკვე ბერლინშია და სწავლობს ბერლინის უნივერსიტეტის გერმანული ენის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ქ. ჰალეს უნივერსიტეტში და წარჩინებით დაამთავრა იგი.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის ზრდის გამო, უცხოელებისთვის ძნელი იყო გერმანიაში ცხოვრება. კ. სალია საფრანგეთში გადავიდა. იგი ერთხანს მუშაობდა პარიზის გაზეთ „კოტიდიენის“ რედაქციაში, ხოლო შემდეგ, ამავე რედაქციის დახმარებით, შედის სორბონის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დაამთავრა.

რადგან უცხოეთის ქვეშევრდომობა არ მიუღია, უმაღლესი განათლების სამი დიპლომის მქონე კ. სალიასთვის ყოველთვის ძნელი იყო რიგიანი სამუშაოს პოვნა. მაგრამ, როგორც ცნობილია, მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა იმ დროს პარიზში მცხოვრებ ნინო ქურციკაშვილს (თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნიდან იყო), ხოლო ამ უკანასკნელის ძნელი ცხოვრებით, 1947 წელს, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფინანსური დახმარებით და ნებართვით, მათ დაარსეს სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“. პირველ ხანებში ეს ჟურნალი მცირე მოცულობის იყო და ქართულად გამოდიოდა, 1957-1985 წწ. სახელწოდებით „ბედი ქართლისა“ „რევიუ დე კარტველოლოჯი“ („ბედი ქართლისა, ქართველოლოგიური მიმოხილვა“), გამოდიოდა წელიწადში ერთხელ (გამოვიდა სულ 42 ნომერი, დიდი ფორმატის, — დაახლოებით 350-400 გვ.), მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, კავკასიოლოგები და ორიენტალისტები. ჟურნალის დირექტორ-რედაქტორი იყო კ. სალია, გამომცემელი — ნინო სალია. ორივე სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს აღნიშნულ ჟურნალში: კალისტრატე ისტორიისა და ლიტერატურის, ხოლო ნინო — კულტურისა და ეთნოგრაფიის დარგში. ეს იყო ერთადერთი სამეცნიერო ქართველოლოგიური ჟურნალი ევროპაში, სადაც ქვეყნდებოდა, როგორც მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგებისა და ორიენტალისტების, ისევე საბჭოთა მეცნიერების სტატიები.

პროფ. კ. სალიას კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია, რომლებიც წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. 1972 წელს კალისტრატემ და ნინომ ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნეს „საქართველოს მოკლე ისტორია“.

1980 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოიცა კ. სალიას წიგნი „ქართველი ერის ისტორია“ (522 გვ., მდიდრად ილუსტრირებული). წიგნს იმავე

წელს საფრანგეთის აკადემიის პრემია მიენიჭა. წიგნი დაწერილია ღრმა პატრიოტული გრძნობით. კ. სალია ჯერ-კიდევ ამ 35 წლის წინ წერდა: „საქართველი ერთ დიდი ერია თავისი ისტორიით, როლით, რომელსაც [ქვეყანა] მორეულ წარსულში ასრულებდა. საქართველო — ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო — არის და ყოველთვის იქნება ისტორიულ ასპარეზზე წარმოდგენილი“.

პროფ. კ. სალიას „ქართველი ერის ისტორიას“ შალაღი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა: ჰანგს ფოგტმა (ოსლო), ფრანსუა გრაფენმა, ჟან-პიერ შიემ, პ. პერიანიამ (პარიზი), იულიუს ასფალგმა (მიუნხენი), დონ ბერნარ უტიემ (სოლემი), ჟაკალიერმა (ტულუზა), ლუიჯი მაგაროტომ (ვენეცია), მიშელ ვან ესბრუკმა (ბრიუსელი) და სხვ.

აი ზოგიერთი მათგანის შეფასება: „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“ (ჰანგს ფოგტი); „ჩემი აზრით, საქართველოთი დაინტერესებულ პირთათვის ეს წიგნი იქნება აუცილებელი სახელმძღვანელო, რომელსაც ძალა შესწევს საერთო ხასიათის ძვირფასი ცნობები შიან-წოდოს შათ საქართველოს ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე“ (გრაფენი).

პროფ. კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“ ითარგმნა და გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. მისი მთარგმნელი, ცნობილი ინგლისელი მთარგმნელი ქათრინ ვივიანი წერდა: „ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა ექნება ყველასათვის, ვინც ხელს მოჰკიდებს ქართველოლოგიას“.

ფასდაუდებელია პროფ. კ. სალიას საქმიანობა უცხოეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეგროვებისა და დაცვის საქმეში. მასთან იყო თავმოყრილი უცხოეთში მოღვაწე ქართველების (მ. წერეთლის, მ. თარხნიშვილის და სხვ.) პირადი არქივები, რომელთა ერთი ნაწილი მან უკვე გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

პროფ. კ. სალია ცნობილი მეცნიერ-ქართველოლოგი იყო დასავლეთში. იგი არჩეული იყო ლუვენის, ბაშბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორად, იყო ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრი, პარიზის სააზიო საზოგადოების, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების, ბიზანტოლოგიის საზოგადოებისა და პარიზის საისტორიო საზოგადოების წევრი. პროფ. კ. სალიას 15 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ირჩევდნენ მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ეიცე-პრეზიდენტად. პროფ. კ. სალია მთელი რიგი საერთაშორისო ისტორიკოსთა კონგრესებისა და კონფერენციების აქტიური მონაწილე იყო. იგი იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი.

1966 წელს კალისტრატემ და ნინომ, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებასთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარიზში შოთა რუსთაველას საიუბილეო საღამოს მოწყობაში.

პროფ. კ. სალიას სამეცნიერო და კულტურული მოღვაწეობის დიდი დაფასება იყო, როცა ეს ღვაწლმოსილი მამულიშვილი 1983 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია.

მადლიერი ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს კალისტრატე სალიას დამსახურებას უცხოეთში ქართველოლოგიის განვითარების საქმეში.



„და გზა თელილი“

ბ. ბოგომოლოვმა სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოში, კერძოდ, თბილისში მომუშავე რუს მწერალთა შემოქმედების შესწავლით. წინაპართა შემოქმედების ხანგრძლივი მიზანმიმართული კვლევა-ძიებით მან დასახელებული სახელი მოიხვეჭა.

ბ. ბოგომოლოვის ლიტერატურული ნაშრომების სარეცენზო კრებულის რედაქტორი, მწერალი და მეცნიერი ზ. ციციშვილი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი ავტორის მრავალწლიანი შემოქმედების მოღვაწეობის ერთგვარი შედეგია მკვლევარის დახატვის 50 წლისთავზე.

კრებულში შესულ სტატიებსა და წერილებში უმთავრესად შესწავლილია ქართულ მწერალთა ურთიერთობა რუს თანამოაზრეებთან. განვიხილოთ კვლევრათა ურთიერთგამდობების გრძელ პერიოდს, რუსული პერიოდიკის მნიშვნელობა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისათვის, მოპოვებულია შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მე-19 საუკუნის რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული საინტერესო მასალები.

ავტორი უჩვენებს ქართულ-რუსულ ლიტერატურულ-კვლევრულ ურთიერთობათა ისტორიულ მნიშვნელობასა და მიუთითებს ამ დამკვლევრებაზე, რაც ბოლო ხანებში ამ ორი ხალხის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კვლევასა და პრაქტიკულ დაეცყო თბილისში ხალხთა მუშაობის მეშვეობით დაარსებით და მონაყოში ქართველთა ახალშენისადმი მიძღვნილი გამოცემის გახსნით.

წიგნის სახელწოდებად კვებულ ნაშრომში „მეგობრობის ბილიეთი“ მიმოხილულია ქართული და რუსული კავშირის გარემოებები მე-19 საუკუნის დამდეგადან, რაც ეფუძნება გეორგიევსკის ტრაქტატს, მის პოლიტიკურსა და კულტურულ შედეგებს. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ქართველ და რუს ხალხთა დაახლოება „შემოქმედებდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ლიტერატურაზეც“. ამ დებულების თვალსაზრისით დასტურია, ერთი მხრივ, ნიკოლოზ ბაჩათაშვილის, ალექსანდრე ჰავაშვილის პოეზია, მეორე მხრივ, ალექსანდრე

ბუშუინის, შიხვილ ლერმონტოვის შემოქმედება. აქვე შეიძლება გავისხენოთ საბჭოთა პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვის ნათქვამი: რუს პოეტთათვის იტალიად იქცა საქართველო.

რუს მოღვაწეთა ქართველი მეგობრებთან ლეგენდარული ნინო ჰავაშვილის ცხოვრების კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს ავლენს მკვლევარი სტატიაში: „პოეტის ერთგული მეუღლე“. რომელშიც ახლად მოპოვებული დოკუმენტის საფუძველზე უფრო სრულადაა წარმოჩენილი ნ. ჰავაშვილის წვლილი ა. გრიბოედოვის საფლავზე ძეგლის აგების საორგანიზაციო საქმეში.

მრავალი შემოქმედის გული დაუპყრია ქართველი ხალხს ზიზლსა და საქართველოს სიღმაზეც. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მე-19 საუკუნის ცნობილი პოეტი და სწავლული — აღმოსავლეთმცოდნე, დიპლომატი. მათე გამაზოვი, რომელმაც არაერთხელ მოხერხა ჩამოსვლა საქართველოში და რამდენიმე პოეტური ნაშრომები მიუძღვნა ჩვენს ქვეყანას.

ბ. ბოგომოლოვი გვაცნობს თბილისზე შევარდებულ პოეტის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას.

მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართველ ხალხთან მეგობრობა და სიყვარული შემოქმედებისათვის აქვებდა არა მარტო გამოჩენილი, არამედ ნაკლებად ცნობილი მწერლებს, რომლებმაც მრავალი საინტერესო ნაშრომები უძღვეს საქართველოს.

ლიტერატურის ამ მუშაეთა წარმოჩენა და მათი ადგილის განსაზღვრა ხალხთა კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში მწერლობისა და ლიტერატურული თანამშრომლობის ისტორიის მკვლევარის აქტუალური ამოცანათაგანია ხალხთა ურთიერთობა-თანამშრომლობის სრული სურათის აღსადგენად.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თბილისში მყოფ რუსი მწერლების საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შემოქმედების დახასიათებას.

წერილში — „ოსია კონსტანტინოვი საქართველოში“ ბ. ბოგომოლოვი მიუთითებს, რომ ჩვენთვის ეს საშუალო მოღვაწე საინტერესოა, უწინარეს ყოვლისა, როგორც ლიტერატორი, რომელიც მე-19 საუკუნის 30-

40-იან წლებში ამუშავებდა ქართულ თემას. მკვლევარი ი. კონსტანტინოვს ახასიათებს აგრეთვე, როგორც ვაზულ „ავჯაზის“ პირველ გამოცემულსა და რედაქტორს.

როგორც უკვე იხსენიებოდა, ბოგომოლოვმა ერთიერთი მისი ისტორიის, შესწავლის ერთ-ერთი ძირითად წყაროდ გაიხიდა საქართველოში გამოცემული რუსულენოვანი პრესა. ამ დასაფარდენი წყაროს კვლევის საფუძველზე ნაშრომში დახასიათებულია ერთი მხრივ, ი. პოლინსკის, ი. ი. კონსტანტინოვის, ა. სლივიანსკის, ა. ვერდერევისკის, მეორე მხრივ, ს. დოდაშვილის, პ. იოსელიანის, ნ. ბერძენიშვილის, რ. ვრასთაის, გ. ბარათაშვილის, დ. უფიანის და სხვების აქტიური ერთნაირსტრუქტურული-ციკლური მოღვაწეობა რუსულ ენაზე მკითხველთა საზოგადოებისათვის ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის, ქართული ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და თანამედროვე ქართულ მწერლობაზე შემოქმედების გაცნობაში.

მკვლევარი ვრცლად მსჯელობს ქართული მწერლობის განვითარების საკითხებსა და ქართული ლიტერატურისადმი რუს კრიტიკოსთა დამოკიდებულებაზე. ი. ბოგომოლოვი იცნობს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ეტაპებს.

წიგნში მიმოხილულია მხარის მრავალრიცხოვანი აღწერები (ქ. თბილისის, სვანეთის, მტკვრის აუზისა და ა. შ.), გზამკვლევიც. ბუნების სილამპით გამოჩვეულ აღფრთოვანებასთან ერთად, რუსი მოღვაწენი აღლართი გრძნობდნენ მხარის ეკონომიკური აღორძინების საკითხს, მაგრამ განვითარების რეალურ გეგმას ისინი ვერ სახედნენ.

რუსულმა ენამ და მწერლობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა შოთა რუსთაველისა და მისი პოემაზე, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში.

თუ როგორ ვითარდებოდა საზოგადოებრივი აზრი შ. რუსთაველსა და მის პოემაზე რუსულ პრესაში ამ საკითხს მკვლევარი ეხება სხვადასხვა ნაშრომში. გენიალური ქართველი პოეტის ცხოვრება-შემოქმედების პრობლემები ვრცლად განიხილულია ნარკვევში: „შ. რუსთაველი მე-19 საუკუნის I ნახევრის რუსულ ლიტერატურაში“.

რუსულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ერთიანობის შედეგებს ვათვალისწინების საფუძველზე ცხადია, რომ რუსეთის საზოგადოებისათვის საქართველო ადრევე აარგად იყო ცნობილი, მაგრამ უდავოა ი. ბოგომოლოვის მტკიცება, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის საზოგადოების იმ პრეტერსული ნაწილის მეობებით, რომელსაც სურდა ამ ქვეყნის უფრო ფართოდ და ღრმად შეცნობა რუსულ-ქართული ლიტერატურულ-საზოგადო-

ებრივი ერთიანობის განსაკუთრებული ძალითა და ინტენსივობით განვითარდა.

ამ პერიოდში რუსეთის ტრადიციულ-საზოგადოების მოთხოვნილებაზე უკვე დასაყრდენად საქართველოსა და მისი წარსლის შესწავლა-პოპულარიზაცია. ქართული თემა რუსული კლასიკური მწერლობის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იმდროინდელი საქართველო და მისი წარსული ფართოდ გამოქვეყნდა რუსული პრესის ფურცლებზე. გამოიცა უამრავი წიგნი, აღწერა, ნარკვევი, გზამკვლევი... საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, გვირგვინი ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის თავისთავადმა სულიერმა კულტურამ, კერძოდ; ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ და მისმა გვირგვინმა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“.

მსოფლიო ლიტერატურის ამ ერთ-ერთი შედეგისადმი რუსი მოღვაწეთა ინტერესი განპირობებული იყო კეთილშობილური მიზანსწრაფვით, რაც გულისხმობდა კაცობრიობის კულტურულ შეწყვეტისათვის აფიქსებას.

საგულსიმბოლოა, რომ ამ დროს შ. რუსთაველისა და მისი პოემაზე მსჯელობა გამოკაცებულა პეტერბურგში. 1802 წელს იქ დაიბეჭდა ე. ბოლხოვიტინოვის ცნობილი წიგნი. რუსი მოღვაწის ნაშრომში მალე უცხოეთშიც დაასრულა რუსულად და გერმანულად გამოქვეყნებულმა წიგნმა ბელი შეეფყო შ. რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედებაზე შეხედულებების ჩამოყალიბების რუსეთისა და უცხოეთში.

ქართული ლიტერატურის მდიდარ ტრადიციასა და შ. რუსთაველის პოემაზე შექმნილი წარმოდგენა დასაბუთებულად გააღრმავა ს. დოდაშვილის ცნობილი ნარკვევი, რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა: „ზავჯაჟისკი ვესტნიკისა“ და „მოსკოვსკიე ედობროსტში“. საქართველოს სახელოვანი ისტორიისადმი ეჭვებით შეპყრობილმა რეაქციულმა წარმომადგენელმა ქართველი ხალხის მდიდარი სულიერი კულტურისა და კერძოდ, შოთა რუსთაველის ქმნილების წინააღმდეგ. მათი გამოხდომანი უმასობოდ როდო დატოვა პროგრესული მოაზროვნე რუსი მოღვაწეების ერთმა ნაწილმა, მაგრამ საქართველოს ისტორიისა და კულტურის დასაცავად განსაკუთრებულ შოგულენად იქცა პეტერბურგის მუცნიერებათა აკადემიის წევრის, ფრანგი ორიენტალისტის მარტი ბროსეს დასაბუთებული მოხსენება რუსეთის მუცნიერებისა და კულტურის ამ ცენტრში.

შოთა რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლაში შემდგომ ეტაპს ქმნის 1842 წელს გამოქვეყნებული დ. ჩუბინაშვილის ნარკვევი — „ქართულ პოემა „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც ბერლინის ერთ-ერთმა სამეცნიერო ერთნაირად გადამბეჭდა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ევკასის რუს-



სული პრესის მასალებით ი. ბოგომოლოვმა წარმოსახა დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის საკითხში რუს და ქართველ მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამშრომლობის სურათი. ამავე ნარკვევში მკითხველს შეხედება მიითითებას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორით ა. პუშკინის სავარაუდო დანიტარესებაზე (გვ. 186), რუსეთის ამ გენიალური პოეტის ანტიადრევით გამოცემულ დეკაბრისტებთან დაკავშირებულ ა. შიშკოვის რომანზე, რომელშიც მწერალი იხსენებს საქართველოს ოქროს ხანას და ქვეყნის დიდ შენებლებს — თამარსა და შ. რუსთაველს.

ი. ბოგომოლოვმა დაადგინა ი. პოლინსკის ლექსისათვის „თამარი და მისი მომღერალი შოთა რუსთველი“ გამოცემული მასალები და შეთხზავს ზოგიერთი მომენტის აღნიშნული ნარკვევი მნიშვნელოვანია იმის შესაცნობად, თუ როგორ დამკვიდრდა შ. რუსთველი რუსულ ლიტერატურაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებშიც ასამბეჭდავებლად.

ი. ბოგომოლოვი განაგრძობს ი. პოლინსკის საქართველოსთან დამოკიდებულების კვლევას აღქსანდრე პოევიანისა და იაკობ პოლინსკის ურთიერთობის შესახებ სინტარესოდ დაწერილ ნარკვევით.

კრებულში წინ წამოწეულია საგელისებო ფაქტი ნ. ბარათაშვილის რუსულ ელტერაში აღრიდანვე დამკვიდრების ნათელსაფრად. მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა და მასალების ერთი ნაწილის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ი. ბოგომოლოვი აფართოებს ა. პუშკინისა და შ. ლერმონტოვის პოეზიასთან, დეკაბრისტების შემოქმედებასთან ნ. ბარათაშვილის იდენტრი ნათესაობის დებულებას. სინტარესოა ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და პოემაში ორიენტაციის საკითხის მკვლევარი-სეული გაშუქება, ნ. ბარათაშვილის რუსულ მწერლობაში დამკვიდრების საკითხების განხილვა და სხვ.

რუსი მკითხველისათვის მნიშვნელოვანია გ. ურისთაის თხზულებათა პერსონაჟების ი. ბოგომოლოვისეული დახასიათება;

დიდი სიყვარულია და აღფრთოვანების აღწერით იწყება ნარკვევა ა. წერეთლის შესახებ. საგელისებოა, რომ პეტერბურგის თავადანურთა დარბაზში გამართულ ა. წერეთლის იუბილზე მსკოვან ქართველ პოეტს ქუჩიდანაც ტაშით მიესალმნენ მისი შემოქმედების რუსი თავყვანისმცემლები.

ავტოს პიროვნებისა და უტკნობი შემოქმედების სიყვარულითაა გამოთხარი ამ ნარკვევში დახასიათებული პროტარესული რუსი საზღვა-

დოების გულთბილი დამოკიდებულება დიდი ქართველი მგონისადმი.

კრებულში გაერთიანებულ ნაწილებში... კრებულში ნაწილი მე-19 საუკუნის რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობისა და ქართველ მწერალთა რუსულ სინამდვილესთან დამოკიდებულების გარკვევას ეძღვნება.

ქართული ელტერა ზემოქმედებდა რუს მოღვაწეებზე. საბჭოთა ეპოქაში ფართოდ გაშლილი ელტერული ურთიერთობის პირობებში, ქართული სინამდვილის მრავალრიცხოვან რუს ამსახველთაგან ი. ბოგომოლოვი ეხება ს. ესენინის საქართველოში უოფნის ზოგიერთ ემიზოდს, საქართველოს თემატისას ნ. ტობინოვის პროზულ მეგვიადრეობაში.

საქართველოსადმი მიძღვნილი ნ. ტობინოვის თხზულებებიდან მკვლევარი ვრცლად განიხილავს: „ფიცი ბერესნი“, „ამპისონი“, „სიმონი ბოლშევიკი“, „წყნეთის საღამოები“ და სხვა. ეს პროზული ქმნილებები საქართველოზე ფართოდ ცნობილი ნ. ტობინოვის ლექსებთან, პოემებსა და პუბლიცისტურ ნაწარმოებებთან ერთად საქართველოს მეგობარი რუს პოეტს წარმოგვიდგენს ზოლიანობაში და გვაგრძნობინებს, ქართველი ხალხისა და საქართველოსადმი ამ მზურყალე სიყვარულს, რომლითაც ექვსი ათეული წლის მანძილზე გასხვავისნებული იყო ნ. ტობინოვის შემოქმედება. წიგნში შეტანილია სხვადასხვა ეპოქის რუსულ-ქართული ელტერულ-ლიტერატურულ ურთიერთობის ამსახველი ნარკვევები 1962 წლიდან მოყოლებული და 1962 წლით დამთავრებული.

ამ მცირე მიმოხილვიდან შეიძლება დანახავს, რომ წიგნში გაერთიანებული ნარკვევები საკითხთა ფართო წრეს და ქრონოლოგიურად ქართულ-რუსული ელტერულ-ლიტერატურული ურთიერთობის დიდ ეპოქებს მოიცავს.

ათასწლეულის მანძილზე ამ ორი ქვეყნის ურთიერთობანი არასოდეს უოფლი ერთგმაროვანი იმის შეუცნობლად ძნელია ელტერულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი თანამშრომლობის მეცნიერული წარმოჩენა.

ადრიდანვე ქართველებს მრავალ მეზობელ თუ შორეულ ხალხთან ჰქონდათ კავშირი, როდის და რა საფუძველზე გადამზიდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მატანის ფრცყელი, როგორ შეიქრა ერთმორწმენე საქართველოს თემა რუსი მწიგნობრების შემოქმედებაში თანამედროვე მკვლევართა გადასაწყვეტ აქტუალურ ამოცანად რჩება.

წიგნი კიდევ უფრო მოიგვებდა, რომ მისში უკეთ ყოფილიყო გათვალისწინებული მოსკოვის ქართული ელტერის კერაზე შექმნილი ის ძალი ნაშრომები, რომლებშიაც საფუძველიანადაა გადასაწერილი ძველი შეხედულებანი

აღნიშნული ცენტრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებზე.

ასევე სადავოდ გვეჩვენება ი. ბოგომოლოვის მწველობა რუსეთ-საქართველოს ძველი ურთიერთობის შესახებ არსებულ რუსულ ძეგლებზე.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი წინაპირობებით იყენებს შესაბამისად საქართველოში არსებულ მასალებს. ი. ბოგომოლოვის კარგად წერს, მისი სტილი ნათელია.

ამიტომაც ეს წიგნი გულთადად მიიღო მკითხველმა.

შრიდონ სიბარულიძე

წიგნების განმარტება

ვახტანგ ბერიძის წერილში: „კვლევი ადრე-ჭრისტიანული ხანის ქართული ზეგნით მოძღვრების შესახებ“ („მნათობი“, № 7, 1986 წ.). გვ. 140, სვ. 1, ქვემოდან მე-2 სტრ. დახედედილია:

ერთფასიანი, უნდა იყოს: ერთფასიანი. გვ. 141, სვ. 1, სქოლიო, ზემოდან მე-9 სტრ. დახედედილია: VI საუკუნეს, უნდა იყოს: IV საუკუნეს.

გადაცემის მისამართი:
თბილისი, აფხაზეთის პარსებქტა, № 18.

ბილეთების: ავტორის — 88-55-11, განყოფილებების — 88-55-15, 88-55-17, 88-55-20.

გადაცემა ასევე 9. 07. 86 წ. გელმოწერილია დსაბეჭდულ 5. 09. 86 წ. ანაწილის ზომა 21/4 № 12, ქალაქის ფორმატი 70X108, ფინიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საღრ.-საგამომცემლო თამაში 16,58.

ფე 10546. ტირაჟი 32.000. შუკ. 1671. საქართველოს კ. ც. -ის გამოცემის სტამბა.

6232/101

№ 80 1993.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ